ნაშრომში განხილულია ის საკითხები, რომლებიც გულისხმობენ პოლიტექნიკის განხორციელებას როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი განათლების სისტემაში. განათლების რეფორმის ფარგლებში სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იქნას თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების სწავლების პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხები. ამ მიმართებით კვლევის მიზანია სწავლების ახლებური მეთოდების დანერგვა, რომელიც ემყარება ახალ სასწავლო პროგრამებს და სწავლების მეთოდიკას, მეცნიერულ-მეთოდური ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი პედაგოგების ხელმძღვანელობით.

Nato Kavtaradze
Specialist of the Georgian technical university, Doctor of the pedagogic science, Professor
Nona Esiava
Chief teacher of the Georgian technical university, Academic Doctor

“Reflection of scientific-technical progress in the system of polytechnical education”

SUMMARY

The work deals with those issues which undermine realization of polytechnics both in the system of school and higher education. Within the frames of the educational reforms in

the teaching programs there should be stipulated principally important questions of the modern technique and technologies. In this respect the goal of the research is implementation of new methods of teaching which are based on new teaching programs and teaching methods under the direction of teachers equipped with scientific-methodical knowledge and skills.

Nato Kavtaradze
Специалист Грузинского технического университета, доктор педагогических наук, проф.
Нона Есиава
Старшая учительница Грузинского технического университета, академический доктор

«Отражение научно-технического прогресса в системе политехнического образования»

РЕЗЮМЕ

В труде, рассмотрены те вопросы, которые подразумевают осуществление политехнизма как в системе школьного так и высшего образования в пределах реформы образования. В программах образования должны быть предусмотрены принципиально важные вопросы современной техники и технологий. В этом отношении целью данного исследования является внедрение новых методов преподавания, которое основано на новые программы учёбы и методике преподавания под руководством педагогов вооружённых научным-методическим знанием и навыками.

მათის წყობილებისა, რომ გამოსაცნობლად ჭეშმარიტის ჩვენის ენის საგრამატიკო კანონებისა, გრამატიკოსი იძულებული ხდება თვალი მი-აპყროს უძველეს ჩვენს მწერლობასა, სადაც შეუმოკლებლად დაცულია ის, რასაც დროთა ცვლილებების გამო სახე უცვლია ერის თქმაში”[3]. თ. ჟორდანიას მოითხოვს, რომ ქართული სიტყვები წარმოითქვას მტკიცედ, გარკვევით. თუ ეს ასე არ მოხდა, ენას ეკარგება მუსიკალური ხასიათი, რომელიც შეადგენს მის გარეგან ღირსებას. თ. ჟორდანიას არა აქვს სპეციალურად განხილული ასიმილაციისა და დისიმილაციის საკითხები, მაგრამ ორთოეპიისა და ორთოგრაფიის საკითხებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს, სადაც სათანადო ადგილი ეთმობა ასიმილაციასა და დისიმილაციასთან დაკავშირებულ მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებსაც.

პ. კვიციანიძე "ქართულ სწორმეტყველებაში" მიუთითებს იმ ცვლილებებზე, რაც ხდება ენაში ნათესაურ ბგერათა ერთდროულად წარმოთქმის დროს: "ფონეტიკური ცვლილებები "დაფუძნებულია" ასოების ნათესაობაზე. მონათესავე ბგერები თვისებებისა და წარმოთქმის ადგილის მიხედვით, მ-ბ, ზ-ს, შ-ს, კ-ყ, ენაცვლებიან ერთმანეთს (იქვე მიმოხილულია ცვლილების მაგალითები)... ფონეტიკური ენის ვითარებას თავისი წესები აქვს, რომელთაც ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა მოპყრობა"[4].

ი. ნიკოლაიშვილი, 1913 წელს გამოცემულ "ქართულ მოკლე გრამატიკაში", ასიმილაციასა და დისიმილაციაზე არაფერს ამბობს. 1927 წელს კი გამოვიდა გადამუშავებული და შესწორებული სახელმძღვანელო, რომელშიც უმნიშვნელო ადგილი ეთმობა ასიმილაციასა და დისიმილაციას.

1937 წელს გამოვიდა **ილია სიხარულიძის** "ქართული ენის გრამატიკა, მორფოლოგია და სინტაქსი, სახელმძღვანელო V-VI-VII კლასებისათვის". ავტორს ამ სახელმძღვანელოში ძალიან მკრთალად აქვს განხილული ჩვენთვის საინტერესო საკითხი.

1939 წლიდან 1958 წამდე ქართული ენის სახელმძღვანელო გამოდიოდა მხოლოდ აკაკი შა-

ნიძის ავტორობით. ის V-VI-VII კლასებისთვის იყო გათვალისწინებული 1948 წლამდე, 1948 წლიდან კი მხოლოდ V-VI კლასებისთვის გამოსცა. მასში ასიმილაცია-დისიმილაციის საკითხებს, ფონეტიკის საკითხთა შორის, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს და სიღრმისეულადაა გამოკვლეული.

1958 წლის შემდეგ ქართული ენის სახელმძღვანელოს ავტორები არიან პროფესორები: **ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი და ლ. კვაჭაძე**.

მათ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში ასიმილაციასა და დისიმილაციას საკმაო ადგილი ეთმობა. 1971 წლამდე მე-5 კლასში ისწავლება, 1971 წლიდან კი მე-4 კლასშია გადატანილი. 1971 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში მე-4 - მე-6 კლასებისათვის არ ჩანს, რომელი მასალაა მე-4 კლასისთვის, რომელი მე-5-სთვის და რომელი მე-6-სთვის. ფონეტიკა პირდაპირ მოსდევს მე-5 კლასის მასალას- სახელები (მე-5 კლასი), ამას მოსდევს ზმნა (მე-6 კლასი).

შემდეგ გამოცემული სახელმძღვანელოები ძირითადად იმეორებენ თავიანთ წინამორბედებს. ფონეტიკის საკითხების დამუშავებას მრავალი წელი დასჭირდა და ის ენათმეცნიერულ ასპექტში მხოლოდ 1939 წელს აკად. აკაკი შანიძემ მოგვცა სახელმძღვანელოში "ქართული ენის გრამატიკა", რომელიც 39-ჯერ გამოიცა შესწორებებითა და შევსებულნი სახით.

ასიმილაცია-დისიმილაციის საკითხს **ა. შანიძის** გარდა იხილავდნენ: **გ. ახვლედიანი, არნ. ჩიქობავა, თ. გამყრელიძე, შ. მაჭავარიანი** და სხვები.

ისტორიული ცვალებადობისაგან განსხვავებით, ბგერათა მოქმედი ცვალებადობა არ ცვლის ენის ფონეტიკურ სისტემას, რამდენადაც მოქმედი ცვალებადობა, ერთი მხრივ, ქმნის ფონემის მხოლოდ უტოლფუნქციო სახესხაობას (ე.ი. არა ახალ ფონემას, არამედ ენაში არსებულს), ხოლო მეორე მხრივ, იმის (მოქმედი ცვალებადობის) შედეგად არ იკარგება ენაში რომელიმე ფონემა, თვით ფონემის ტოლფუნქციანი სახესხვაობის (ე.ი. ისეთი სახესხვაობისა, რომელიც არა აქვს მოცემულ ენას ფონემის სახით. მაგ. "ქ") წარმოქმნაც ვერ შეცვლის ქართულში ენის ფონეტიკურ სისტემას, სანამ ტოლფუნქციანი სახესხვაობა არ იქცევა ფონემად.

ენის ფონეტიკურ სისტემას შეცვლის მხოლოდ იმ ტოლფუძიანი სახესხვაობის წარმოქმნა, რომელიც ფონემად იქცევა. ასეთია მაგ. ქართულში "ჟ" და სხვ. მოქმედ ცვლილებათაგან მეტად თვალსაჩინო და გავრცელებულია ბგერათა ასიმილაცია (მიმსგავსება) და დისიმილაცია (განმსგავსება) ორივე ქმნის ფონემის უტოლფუნქციო სახესხვაობას.

ასიმილაციისა და დისიმილაციის სწავლების მიზანია, შეაჩვიოს მოსწავლეები თავისა და სხვის მეტყველებაზე დაკვირვებას, გააცნოს ის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და მოვლენები, რაც ხდება ენაში ფონეტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით.

ასიმილაცია-დისიმილაციის ცოდნის საფუძველზე შეიძლება მოსწავლეთა ორთოეპიისა და ორთოგრაფიის დახვეწა. ამავე დროს ასიმილაციური და დისიმილაციური მოვლენების გამოყენებით ეტიმოლოგია იქცა მეცნიერებად. ამ ფონეტიკური მოვლენების საფუძვლიანი ცოდნა ხელს შეუწყობს მოსაზღვრე დისციპლინასა და სხვა ენის შესწავლასაც.

ასიმილაციისა და დისიმილაციის ცოდნა მოსწავლეს საშუალებას აძლევს სიტყვის გამოთქმა დააკავშიროს მის გრაფიკულ სახესთან, გაარკვიოს რა საერთო აქვს ბგერასა და ასოს. როგორ იწერება და როგორ გვესმის ესა თუ ის ბგერა. რა იწვევს განსხვავებას დაწერილობასა და წარმოთქმას შორის. მოსწავლეებს შეუძლიათ დაინახონ ისინი არა მარტო მშობლიურ, არამედ მისთვის ნაცნობ სხვა ენაშიც. ამდენად, დიდია ასიმილაციისა და დისიმილაციის სწავლების მნიშვნელობა.

ლიტერატურა:

1. პ. იოსელიანი, პირუელ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამატიკისა, 1840წ.;
2. დ. ჩუბინოვი, მოკლე ქართული ღრამატიკა, 1855წ.;
3. თ. ჟორდანიას, ქართული ღრამატიკა/ ეტიმოლოგია და სინტაქსი, 1889წ.;
4. პ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, 1988წ.;
5. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1948წ.

*ეკატერინე შაკიაშვილი
სტუ ასისტენტ-პროფესორი*

ასიმილაცია-დისიმილაციის საკითხები ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში და მისი სწავლების მნიშვნელობა

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თუ რა ადგილი ეთმობა ასიმილაცია-დისიმილაციის საკითხებს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, რა როლი აქვს ფონეტიკის, ორთოგრაფია-ორთოეპიის საკითხთა შესწავლაში, რა მიზანი და მნიშვნელობა აქვს მის სწავლებას.

*Екатерине Шакиашвили
ГТУ, ассистент-профессор*

Вопросы ассимиляции-диссимиляции в грузинской языковедческой литературе и их значимость в обучении.

Резюме

В статье рассматривается какое место отводится вопросам ассимиляции- диссимиляции в грузинской языковедческой литературе, какова роль фонетики при изучении вопросов орфографии и орфоэпии. Какова цель и значимость их изучения.

Ключевые слова: ассимиляция, диссимиляция, фонетические явления, фонема, языковедческая литература

*Ekaterine Shakiashvili
Assistant Professor*

Assimilation-dissimilation of Georgia Linguistic literature and its significance linguistic literature

Summary

The article discusses what the space is devoted to the issues of assimilation-dissimilation Georgian linguistic literature, the role of the phonetic, orthography-orotoeipiis of study, with the purpose and meaning of his teachings.

Keywords: *assimilation, dissimilation, phonetic events, considering the background,*

ინგლისურენოვანი და არაინგლისურენოვანი მასწავლებლის როლი ენის სწავლების პროცესში

*ჩხარტიშვილი მანანა, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
ბაკურაძე თამარი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
შონია მარიამი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი*
XX

საკვანძო სიტყვები: ინგლისურენოვანი, არა-ინგლისურენოვანი, ენა, სწავლება, როლი, მასწავლებელი.

ბოლო ხანს სამეცნიერო წრეებში ხშირად მსჯელობენ ისეთი ცნებებისა თუ ტერმინების შესახებ, როგორცაა ინგლისურენოვანი და არა-ინგლისურენოვანი მასწავლებელი. თავიდან ამგვარი დაყოფა (დიქოტომია) მიღებული და დამკვიდრებული იყო ინგლისური ენის სწავლების სფეროსა და მასთან დაკავშირებულ კვლევებში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი ასეთ გამიჯვნას ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, რადგან, ჩვეულებრივ, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ტერმინ “ინგლისურენოვანს” თან სდევდა პოზიტიური აღქმა, ხოლო “არაინგლისურენოვანს”- საპირისპირო, ანუ ნეგატიური [3]. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი დიქოტომია გარკვეული დისკრიმინაციული ელფერის მატარებელია არაინგლისურენოვან, ანუ იმ მასწავლებელთან მიმართებაში, რომელიც თავის მშობლიურ ენას არ ასწავლის, აღნიშნული ტერმინები მაინც გამოიყენება.

ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ არაინგლისურენოვანი მასწავლებელი სრულყოფილად ვერ ფლობს ენას, ხოლო ინგლისურენოვანი ხშირად იდეალურ მასწავლებლად აღიქმება, რომელსაც, პირველთან შედარებით, ბუნებრივი უპირატესობა აქვს ენის სწავლების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, მიიჩნევენ იმასაც, რომ იდეალური მოსაუბრე ერთენოვანია, რადგან ორენოვნებამ (ბილინგვალიზმმა) შესაძლოა მოსაუბრეში გარკვეული “აღრევა” გამოიწვიოს. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით აღარავინ ამტკიცებს, რომ

ერთენოვნები ორენოვნებთან შედარებით რაიმე უპირატესობით სარგებლობენ. პირიქით, მიიჩნევა, რომ ორენოვნებს თუ მრავალენოვნებს მეტად აქვთ განვითარებული კომპლექსური მენტალური და სოციო-კომუნიკაციური სისტემა და მენტალური ორგანიზების განსხვავებული, თუმცა უფრო რთული ფორმა ახასიათებთ. აქედან გამომდინარე, ინგლისურენოვანი მასწავლებლის დომინანტური პოზიცია და გარკვეული გაიდეალება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ზემოხსენებულ ორი კატეგორიის მასწავლებელთან დაკავშირებული საკითხი მუდმივად განიხილებოდა ენის სწავლების სფეროში, ამ მიმართულებით კვლევები 90-ანი წლების დასაწყისამდე არ ჩატარებულა [7,45]. ენას ასწავლიდნენ ორივე კატეგორიის მასწავლებლები; აქცენტი კეთდებოდა სწავლების სხვადასხვა მეთოდებზე, იმისდა მიხედვით ინგლისურენოვანი იყო მასწავლებელი თუ არა.

თუმცა, რადგან ენის სწავლების კომუნიკაციურმა მეთოდმა წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა მეორე/უცხო ენის სწავლების პროცესში, ინგლისურენოვანი მასწავლებლები, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, უდაო უპირატესობით სარგებლობდნენ, მიიჩნეოდა რა, რომ მათ ბუნებრივი, სპონტანური კომუნიკაციის წარმართვა შეეძლოთ. არაინგლისურენოვნები კი მხოლოდ მაშინ იკავებდნენ მასწავლებლის ადგილს/პოზიციას, როდესაც ინგლისურენოვანი მასწავლებლების ნაკლებობა შეიმჩნეოდა.

არავინ მიიჩნევდა საჭიროდ ისეთი კვლევის ჩატარებას, რომელიც ნათელს მოჰყენდა არაინგლისურენოვანი მასწავლებლების წვლილს ინგლისური ენის სწავლების პროცესში. ისედაც ცხადი იყო, რომ მათი ინგლისურენოვანი კოლეგები

უფრო დაფასებულები იყვნენ და მხოლოდ ის არაინგლისურენოვანი მასწავლებლები სარგებლობდნენ გარკვეული პრესტიჟით, რომელთაც ინგლისურენოვანებთან მიახლოებული ენის ცოდნის დონე გააჩნდათ. მედგისმა [4, 5] წამოჭრა საკითხი, რომელმაც გარკვეული კითხვის ნიშნები დასვა ამ მიმართულებით. კერძოდ, დაისვა კითხვა - რომელი უფრო ფასეულია ენის სწავლების თვალსაზრისით, ინგლისურენოვანი თუ არაინგლისურენოვანი მასწავლებელი? კვლევის მთავარი მნიშვნელობა მდგომარეობდა არაინგლისურენოვანი მასწავლებლის პროფესიონალიზმის დასაბუთებაში. ეს იყო პირველი კრიტიკული მიდგომა და იმ დამკვიდრებული შეხედულების გადასინჯვა, რომლის მიხედვითაც ინგლისურენოვანი უპირობოდ აღიქმებოდა ენის იდეალურ მასწავლებლად.

ჩატარებული კვლევა მრავალ ასპექტს მოიცავდა, დაწყებული სტუდენტების დამოკიდებულებით არაინგლისურენოვანი მასწავლებლისადმი, დამთავრებული თავად მასწავლებლების თვითაღქმითა და მათთვის დამახასიათებელი თავდაჯერებულობის ერთგვარი ნაკლებობით. ეს უკანასკნელი, შესაძლოა, განპირობებული იყოს არასრულფასოვნების გრძნობით, რომელიც ხანდახან ახასიათებთ არაინგლისურენოვან მასწავლებლებს და რაც, შესაძლოა სწორედ იმ დისკრიმინაციული დამოკიდებულების შედეგი იყოს, რომელიც პროფესიულ კონტექსტში ინგლისურენოვანი მასწავლებლისთვის უპირატესობის მინიჭებაში გამოიხატება. ზოგიერთი მკვლევარი არსებული დისკრიმინაციული დამოკიდებულების გადალახვის ორ ძირითად გზაზე მიგვითითებს: 1) აღნიშნული ორი კატეგორიის მასწავლებელს შორის არსებული სავარაუდო განსხვავების აღმოფხვრა და 2) არაინგლისურენოვანი მასწავლებლის პროფესიული სრულფასოვნების დასაბუთება.

რაც შეეხება პირველ მოსაზრებას, როგორც აღმოჩნდა, არ არსებობს რამდენადმე გამოკვეთილი საზღვრები, რომელიც ერთმანეთისაგან გამიჯნავდა მასწავლებელთა ამ ორ ჯგუფს, არამედ, როგორც ლიუ [2] აღნიშნავს, არსებობს “მრა-

ვალგანზომილებიანი და მრავალდონიანი კონტინუმი, რომელიც ინგლისურის, როგორც მეორე ენის სწავლების სფეროს ყველა პროფესიონალს აერთიანებს”. ასე რომ, ენა, რომელიც საერთაშორისოა, არ წარმოადგენს მასწავლებელთა რომელიმე ერთი ჯგუფის საკუთრებას [8]. რაც შეეხება კომპეტენციას, იგი ეფუძნება ენის ისეთი ფორმების გამოყენების უნარს, რომლებიც გასაგები და აღქმადია მსოფლიო მასშტაბით [6].

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, ბოლოდროინდელმა კვლევამ გამოავლინა, რომ ენის სწავლების პროცესი შეიძლება წარმატებულად წარმართოს როგორც ერთი, ასევე მეორე ჯგუფის მასწავლებლების მიერ, რამეთუ მათ თავად აქვთ ენის შესწავლის გამოცდილება: ისინი სტუდენტებისათვის მისაბამ მაგალითს წარმოადგენენ, წარმატებით იყენებენ ენის სწავლების მეთოდებს, მათ შეუძლიათ იმ სიძნელეების გათვალისწინება, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ ენის შესწავლისას,

მათ შეიძლება მეტი ემფატია გამოავლინონ სტუდენტების პრობლემების მიმართ, მათი მშობლიური ენა ხშირად იგივეა, რაც მათი სტუდენტების, რაც საშუალებას იძლევა გამოიყენონ იგი, თუ საჭიროება მოითხოვს და გარკვეულწილად შეასრულონ მედიატორების როლი სხვადასხვა ენასა და კულტურას შორის, ისინი უკეთ იცნობენ ადგილობრივ კონტექსტს, სილაბუსის სპეციფიკას და გამოცდის პროცედურას.

ყოველივე ზემოთქმული წარმოადგენს იმ უპირატესობების ჩამონათვალს, რომლებიც არაინგლისურენოვან მასწავლებლებს ახასიათებთ. ინგლისური ენის სწავლების მიზნებისა და ამოცანების განხილვისას, კუკი [1] საუბრობს სხვადასხვა სახის სარგებელზე, როგორცაა, მაგალითად, შემსწავლელის აზროვნების ჩამოყალიბება/განვითარება, რომელიც ენასთან ურთიერთობას მოსდევს და მის გამოყენებას მოაქვს; კარიერული წინსვლისა და ემიგრირების შესაძლებლობა; იგი მიუთითებს, აგრეთვე, გარკვეულ გავლენაზე საზოგადოებრივი კუთხით, როგორცაა, მაგალითად, ეროვნულ უმცირესობათა ჯუფების სა-

ზოგადობაში ინტეგრირება, კვალიფიციური სამუშაო ძალის შექმნა ან საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა-განვითარება. არცერთი ეს მიზანი არ უკავშირდება ინგლისურენოვანი მასწავლებლების უცილობელი მოზიდვის აუცილებლობას და, აქედან გამომდინარე, ენის სასაუბრო თუ სტანდარტული ფორმების ზედმიწევნითი ფლობის მოთხოვნა შედარებით კლებულობს. აქვე უნდა ითქვას, რომ არაინგლისურენოვანი მასწავლებლის როლის აღიარება და მზარდი დაფასება სულაც არ გულისხმობს ინგლისურენოვან მასწავლებლთა როლის შემცირებას/ დაქვეითებას.

მეორეს მხრივ, ინგლისურენოვანი მასწავლებლის როლის არასათანადოდ დაფასება ენის სწავლების პროცესში შეცდომა იქნებოდა. მათ გათავისებული აქვთ ენის სტრუქტურა, სინტაქსი, ენის ლექსიკა ისევე, როგორც სლენგი, ჟარგონული გამოთქმები და ა.შ. ისინი შეუცვლელი არიან გამოთქმის, რიტმის, ინტონაციის სწორად სწავლების თვალსაზრისით. მათი უპირატესობა ენის სწავლებისას შესაძლოა ასე შევაჯამოთ: ისინი საუკეთესო შესაძლებლობას აძლევენ შემსწავლელებს, ისწავლონ ენა და გაეცნონ მათი ქვეყნის კულტურას, უქმნიან სტუდენტებს ენის ბუნებრივ გარემოს, რათა მათ უკეთეს შედეგებს მიაღწიონ ზეპირი კომუნიკაციის თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ენის ფლობა არ არის საკმარისი ენის სწავლებისათვის. აქედან გამომდინარე, “ინგლისურენოვანება” არც უნდა იყოს მოთხოვნა აღნიშნული პროფესიისათვის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ინგლისურენოვანი მასწავლებლის შემთხვევაშიც დიდი განსხვავებაა პროფესიონალ, კვალიფიციურ მასწავლებლებსა და მათ შორის, ვინც ორიოდე წელი ასწავლიდა ინგლისურს უცხო ქვეყანაში, ყოველგვარი წინასწარი პროფესიული მომზადების გარეშე. ცხადია, რომ უპირატესობა ყოველთვის კვალიფიციურ მასწავლებელს უნდა მიენიჭოს იმისდა მიუხედავად, თუ რომელია მისი მშობლიური ენა. კარგი მასწავლებელი ის არის, ვინც კარგად იცის საგანი, მოწადინებულია, რომ ცოდნა

სხვებს გაუზიაროს და გადასცეს, უყვარს საკუთარი საქმე, აღჭურვილია მოთმინებით. გვარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, აგრეთვე, შემდეგი ფაქტორები:

- ენის ცოდნის დონე; მასწავლებლის უნარი ისაუბროს, იკითხოს და წეროს ინგლისურად; სათანადო გამოთქმა, უცხო ქვეყნის წეს-ჩვეულებებისა და კულტურის ცოდნა, კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარი, ლინგვისტიკისა და ენის ათვისების საფუძვლების ცოდნა, საკომუნიკაციო მიზნების ინიცირება, წარმართვა და სისრულეში მოყვანა შესაბამის დონეზე.

- მასწავლებლის უნარი დაგეგმოს გაკვეთილი სასწავლო მიზნის გათვალისწინებით და მიზნის მისაღწევად გამოიყენოს შესაბამისი სასწავლო სტრატეგიები.

- სტუდენტების გათვითცნობიერება სუცხო ქვეყნის კულტურაში; მასწავლებლის პოზიტიური დამოკიდებულება უცხო ქვეყნის კულტურის მიმართ.

- კლასის მართვა: მასწავლებლის უნარი, უზრუნველყოს სიცხადე, სადაც საჭიროა, შეცვალოს პრეზენტაციისა და კითხვების დასმის ფორმა. მასწავლებელმა, აგრეთვე, უნდა შეძლოს სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვა, დაამყაროს უკუკავშირი მათთან და წარმართოს ჯგუფური და ინდივიდუალური აქტივობები.

- ფსიქოლოგიური და პიროვნული მახასიათებლები: მასწავლებელი აღჭურვილი უნდა იყოს მოთმინებით, უნდა ამყდვანებდეს თავდაჯერებულობას, წარმოსახვის უნარს, ენთუზიაზმს, იუმორის გრძნობასა და შემოქმედებითობას. მძან მეგობრული და თბილი ურთიერთობა უნდა დაამყაროს სტუდენტებთან და საჭიროებისამებრ წაახალისოს ისინი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ენის სათანადო დონეზე სწავლება გარდა ენის ცოდნის მაღალი დონისა, შესაბამის კვალიფიკაციას მოითხოვს. აღნიშნული ფაქტორების კომბინაციას ენის სწავლების წარმატებულ პრაქტიკამდე მივყავართ. ამრიგად, არც “ინგლისურენოვანები”

და არც “არაინგლისურენოვნები” არ შეიძლება ავტომატურად მივიჩნიოთ კვალიფიციურ მასწავლებლებად. როგორც ინგლისურენოვანი, ასევე არაინგლისურენოვანი მასწავლებლები თეორიულ საფუძველზე დაყრდნობით პრაქტიკულად უძღვებიან ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ენის სწავლების პროცესს. მათი როლის აღიარება საერთაშორისო კომუნიკაციის გაფართოების კონტექსტში აღნიშნული პროფესიის კომპლექსურობისა და მრავალფეროვნების გაცნობიერების საუკეთესო გზას წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. Cook, V.J. (2007). The goals of ELT. Reproducing native-speakers or promoting multicompetence among second language users?. In Cummins, J.&C. Davison (eds.) International Handbook of English Language Teaching. New York: Springer.
2. Liu, J. (1999). From their own perspectives: The impact of non-native ESL professionals on their students. In G. Braine (Ed.), Nonnative Educators in English Language Teaching. Mahwah, NJ: Erlbaum.
3. Matsuda, P.K. (2003). Proud to be a nonnative speaker. TESOL Matters 13.
4. Medgyes, P. (1992). Native or non-native: who's worth more? ELT Journal, 46,(4), Reprinted in T. Hedge and N. Whitney (Eds.) Power, Pedagogy & Practice. Oxford: Oxford University Press.
5. Medgyes, P. (1994). The Non-native Teacher. London: Macmillan Publishers.
6. Modiano, M. (1999). International English in the global village. English Today, 15,(2).
7. TESOL (1991) A TESOL Statement on Nonnative Speakers of English and Hiring Practices.
8. Widdowson, H.G. (1994) The ownership of English. TESOL Quarterly.

*მანანა ჩხარტიშვილი, თამარ ბაკურაძე, მარიამ შონია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ინგლისურენოვანი და არაინგლისურენოვანი მასწავლებლის როლი ენის სწავლების პროცესში

რეზიუმე

ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ენის შესწავლის მზარდი მნიშვნელობის აღიარების ფონზე ინგლისურენოვანი და არაინგლისურენოვანი მასწავლებლების გარშემო გაშლილი დისკუსია სულ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს. აღნიშნული ორი ჯგუფის მასწავლებელთა სუსტი და ძლიერი მხარეების, ინგლისური ენის სწავლებაში მათი წვლილის კრიტიკული განხილვა, ამ ჯგუფების შეფასების საშუალებას იძლევა. კერძოდ, მათ შორის თანამშრომლობა მთელ რიგ საკითხებზე წარმოადგენს ერთადერთ და საუკეთესო გზას ენის სწავლებაში სასურველი შედეგების მისაღწევად და ინგლისურის, როგორც საერთაშორისო ენის სწავლების მნიშვნელობის აღიარების ფონზე.

Манана Чхартишвили, Тамара Бакурაдзе, Мариам Шония, Грузинский Технический Университет

Роль англоязычных и неанглоязычных преподавателей в процессе обучения языку

Резюме

Неослабевающий интерес к изучению английского языка как средства межнационального общения вновь привлек внимание к дискуссии, касающейся спорного вопроса о возможности привлечения носителей и не носителей английского языка в качестве преподавателей. Критический обзор сильных и слабых сторон обеих групп преподавателей, а также их потенциала и вклада в процесс преподавания английского языка, делает возможным дать оценку этим группам и сделать заключение, что их сотрудничество, основанное на глубоком владении языком,

эффективных методах обучения, личности преподавателя и т.д. – это единственный путь к достижению наилучших результатов в деле обучения языку и понимания важности английского языка как средства международного общения.

Ключевые слова: носитель, не носитель, язык, обучение, роль, учитель

*Manana Chkhartishvili, Tamar Bakuradze,
Mariam Shonia, Georgian Technical
University*

Role of Native and Non-Native Speaker Teachers in Teaching English

SUMMARY

As the significance of learning English as an international language is increasingly

acknowledged, the controversial issue of native and non-native speakers as teachers of English has become an important topic for discussion. A critical review of strengths and weaknesses of both groups of teachers, as well as their potential and contribution to the English language teaching field makes it possible to evaluate these groups and to conclude that the collaboration between them based on such features as language proficiency, teaching effectiveness, the teacher's personality etc. is the only way to achieve the best results in language teaching and understanding the significance of teaching English as an international language.

Key words: native, non-native, language, teaching, role, teacher

ძირითადი ელემენტი ვლინდება უნარში განახორციელოს ბიზნესის პროფილირება. გამოავლინოს არსებული პრობლემები, შეუფარდოს ისინი პერსონალის ფუნქციონირების გაუმჯობესების რეალურ მოთხოვნებს.

სწავლების ორგანიზატორებიც პრაქტიკულად უნდა ფლობდნენ იმავე უნარებსა და ჩვევებს, რაც მასწავლებლებს მოეთხოვებათ.

სამეწარმეო ჩვევების ფორმირება საკმაოდ რთული პროცესია.

ბიზნეს-მომზადების ძირითად მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ მსმენელში საბაზრო უნარ-ჩვევების ფორმირება. მეორეს მხრივ ინფორმაციის და შესაბამისი ცოდნის მიღება კონკრეტულ ბიზნესზე და მის თავისებურებებზე.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ბიზნეს-განათლების ორგანიზაციაში წარმოადგენს მსმენელების სურვილებისა და წარმოდგენების შეუსაბამობა სწავლების ფორმებთან და შინაარსთან. როგორც წესი, მომხმარებლების მიერ პროგრამის არჩევა გართულებულია:

- დროის უკმარისობის გამო როგორც სწავლების კურსებზე დასწრებისათვის, ასევე უკვე მიღებული ცოდნის რეალიზაციისათვის;
- კვალიფიციური მასწავლებლების უკმარისობის გამო, რომელთაც შესწევთ უნარი გამოავლინონ და ზუსტად განსზღვრონ მისაღები ცოდნის კავშირი კონკრეტულ ბიზნესთან;
- საგანმანათლებლო და ტრენინგული ინსტიტუტების მიმართ საექჟო დამოკიდებულების გამო;
- ფინანსური სახსრების უკმარისობით;
- წარმოდგენის არქონა არსებულ საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე და საკუთარი მოთხოვნებისადმი მათ შესწავლებისა და კვლევების განუყოფელობააბამისობაზე;
- ორიენტაცია ნაცნობებისგან მიღებულ ინფორმაციაზე და საკუთარი გამოცდილების საფუძველზე.

სწავლების ტრადიციული მეთოდი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

- სასწავლო დაწესებულებები ჩვეულებრივ მუშაობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები

მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების და პერსონალის მართვის სფეროში;

- ლექტორები და ექსპერტები “აწვდიან” თავიანთ ცოდნას, მაგრამ არ წყვეტენ კონკრეტულ კომპლექსურ ამოცანებს, რომლებსაც მცირე ბიზნესი აწყდება პრაქტიკაში;
- პედაგოგი დომინირებს აუდიტორიაში, ხოლო მსენელთა როლი საკმაოდ პასიურია;
- შედეგად, სწავლების ტრადიციული მეთოდები, როგორც წესი, ნაკლებად ეფექტურია მეწარმეთა მომზადებისას. ჩვენი აზრით სასწავლო პროგრამების შემუშავებისას მიზანშეწონილია:
 - სასწავლო პროცესი აიგოს მეწარმის ბიზნესიდან გამომდინარე. საკითხების მაქსიმალურად პროფილირების გამოყენებით;
 - ჩატარდეს სასწავლო პროგრამებზე მოთხოვნის ანალიზი კონკრეტული მსმენელების გამოკითხვის საფუძველზე;
 - სწავლება ჩატარდეს (განხორციელდეს) იმ დონეზე, რომელიც შეესაბამება მეწარმეების მომზადებასა და მოთხოვნებს;
 - უნდა უზრუნველყოფილ იქნეს შემუშავებული პროგრამების მჭიდრო კავშირი ბიზნესის ფუნქციონირების პრაქტიკულ სფეროებთან;
 - სასწავლო პროცესი უნდა განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადებში. იმის გათვალისწინებით, რომ მსმენელების დრო შეზღუდულია;
 - გამოყენებულ იქნეს სწავლების აქტიური მეთოდები: საქმიანი თამაშები, ჯგუფში, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რამდენადაც თვითონ მეწარმეებს შეუძლიათ ბევრი რამ ასწავლონ ერთმანეთს;
 - ამრიგად, მეწარმეთა სწავლებისას საჭიროა გამოყენებულ იქნეს ასევე მეწარმეობრივი მიდგომა, რომლის დროსაც: რეალიზდება სწავლების არა საგნობრივ-ფუნქციონალური არამედ პრობლემურ-დისციპლინათაშორისი მიდგომა. მსმენელები მონაწილეობენ სასწავლო პროცესში არა პასიურად, არამედ აქტიურად. ცოდნის “გენერირებასთან” ერთად ითვისებენ მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს მასწავლებლების მხარდაჭერითა და დახმარებით. მეცადინეობა ტარდება მოქნილად, მსმენელთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

ერთობლივად განიხილება სწავლის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები.

სწავლების მეთოდური პროგრამების შემუშავების შინაარსობრივ ბაზას წარმოადგენს:

1. მოდელები. სამოდელო ბაზა საშუალებას იძლევა ეფექტურად იმუშაოთ ბიზნეს-ამოცანებთან, რომელიც ადაპტირებული იქნება საქართველოს რეალობასთან წარმოების, გასაღების, ფინანსების მართვის და სხვა საკითხებში;

2. კადრების მომზადება. სასწავლო პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს მსმენელებში საშემსრულებლო და საორგანიზაციო კულტურის დახვეწას. უნდა მოახდინოს აუცილებელი სამეწარმეო მახასიათებლების – გამბედაობის, მიზნობრივი მიდგომის, ნოვატორობისა და დამოუკიდებლობის ჩვევების სტიმულირება. სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი ადაპტაციის უნარის გამომუშავება;

3. ორგანიზაცია. სასწავლო ცენტრის სტრუქტურამ და მისმა დანაყოფებმა უნდა მისცენ დამწყებ მეწარმეებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერის არსებულ სისტემასთან მჭიდრო ურთიერთობის საშუალება, რათა მისი სერვისული ცენტრის მეშვეობით მიიღოს რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა და ბიზნესის რეალიზაციისათვის საჭირო დახმარება.

მიგვაჩნია რომ სწავლების ჩამოთვლილი მეთოდების დანერგვა და განხორციელება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის ამაღლებას .

*თეონა ხუფენია, პროფესორი
თამარ როსტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი
მაია სოსელია, ასოცირებული პროფესორი*

ბიზნეს-განათლების მართვის თანამედროვე მეთოდები

რ ე ზ ი უ მ ე

ბიზნეს-მომზადების ძირითად მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ მსმენელში საბაზრო უნარ-ჩვევების ფორმირება. მეორეს მხრივ ინფორმაციის და შესაბამისი ცოდნის მიღება კონკრეტულ ბიზნესზე და მის თავისებურებებზე. სამეწარმეო ჩვევების ფორმირება საკმაოდ რთული პროცესია. სწავლების თანამედროვე, ეფექტური მეთოდების დანერგვის შედეგად, ჩვენი ექსპერტული შეფასებებით, მეწარმეობრივი მონაცემები შეიძლება გაიზარდოს 8-10%-მდე;

მნიშვნელოვან პრობლემას ბიზნეს-განათლების მართვა წარმოადგენს მსმენელების მოთხოვნების შეუსაბამობა სწავლების ფორმებთან და შინაარსთან. სწავლების პროცესში საჭიროა გამოყენებულ იქნეს მეწარმეობრივი მიდგომა, რომლის დროსაც ხდება სწავლების პრობლემურ-დისციპლინათაშორისი მიდგომის რეალიზაცია.

*Teona Khupenia, professor
Tamar Rostiashvili, Assistant professor
Maia Soselia, Assistant professor*

Modern Methods of Business Education Manegment

SUMMARY

Major goal of business training, on one hand, is formation of the market skills and on the other hand – acquisition of the information and relevant knowledge with respect of specific business and its characteristics. Formation of the entrepreneurship skills is a quite complicated process. As a result of trainings, according to our

ლიტერატურა:

1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისაკენ. ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები. თბ. 2005
2. გ.ჯოლია დ. სეხნიაშვილი-ცოდნის ეკონომიკა და მართვა
3. თ. როსტიაშვილი - მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის სტრატეგიები

experts' evaluation, entrepreneurship skills could be increased up to 8-10%;

In organization of business education the major problem is non-conformity of the requirements of student with the forms and contents of training. In the training it is necessary to apply the entrepreneurship approach, when the problematic & inter-disciplinary approach is realized.

Теона Хуфения - профессор

Тамар Ростиашвили – ассоциированный профессор

Майя Соселия - ассоциированный профессор

Современные методы управления бизнес-образованием

РЕЗЮМЕ

Главной целью обучения является, с одной

стороны, формирование рыночных навыков, с другой - принятие информации и соответствующих знаний о конкретном бизнесе и его особенностях.

Формирование предпринимательских навыков довольно трудный процесс. По нашим экспертным оценкам в следствии внедрения современных эффективных методов обучения, предпринимательские навыки могут вырасти до 8-10%.

Важной проблемой в управлении бизнес-образованием является несоответствие требований обучающихся к формам и содержанию обучения.

Во время учебного процесса необходимо использовать предпринимательский подход, при котором реализуется междисциплинарный подход обучения.

ლებელია სიტყვებისაგან იზოლირებული ძახილის ნიშნებითაც: ohhh i like that !!!!!!!! Pussy:!!!!!!!!!!!!!!

ჩატებში სასვენი ნიშნების გამოყენება ნორმირებული არ არის და ნაკარნახევია პუნქტუაციის ან ინტონაციური და აზრობრივი პრინციპით. ამის გარდა ძალზე მნიშვნელოვანია გარკვეული სასვენი ნიშნების გამოყენება რეპლიკებისთვის ემოციური ელფერის მისაცემად. ჩვენი ანალიზის თანახმად ჩატებში ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი და მრავალწერტილი. ამ სამიდან ჩატებში ყველაზე ხშირად კითხვის ნიშანი გამოიყენება. სასვენი ნიშნების დუბლირების გარდა, რაც მათ სიჭარბეს განაპირობებს, ჩატებში ასევე შეიმჩნევა მათი მინიმალური გამოყენების ტენდენცია, რაც განპირობებულია ეკონომიის პრინციპით და სისწრაფის ფაქტორის მნიშვნელობით, ანუ სიტყვების აკრეფის სწრაფი ტემპით.

ჩატების ელექტრონული ენა როგორც წერითი ენა მოკლებულია შესტებს, სახის გამომეტყველებას და პროსოდიულ ნიშნებს: ინტონაციას, რითმს და ხმის სიმაღლეს. ცნობილია, რომ პირისპირ ურთიერთობის დროს წმინდა ლინგვისტურ ელემენტებზე უფრო მნიშვნელოვანია არავერბალური ინფორმაცია და პროსოდიული ნიშნები (5). ჩატებში არავერბალური ინფორმაციის გადმოსაცემად გამოიყენება სხვადასხვა გრაფიკული საშუალებები, მათ შორის სმაილი, ანუ ემოტიკონი [ინგლ., emoticon < emotion - ემოცია + icon - სახე]. სმაილები მიეკუთვნება მეტაენობრივ ნიშნებს, რადგან უნივერსალურობით (ფაზიგრაფიით) ხასიათდება. თავდაპირველად სმაილები წარმოადგენდა სასვენი ნიშნების განსაზღვრულ კომბინაციას. ყველაზე გავრცელებული სმაილი :-) გახდა დადებითი ემოციის გამოსახატავად და :-(უარყოფითი ემოციის გამოსახატავად. შემდგომში სმაილი გახდა ჩატის მონაწილეების შემოქმედების ობიექტი, რადგან ისინი იგონებდნენ ახალ-ახალ სმაილებს და, შესაბამისად, მათი მხრიდან გამოხატული ემოციური მდგომარეობის სპექტრი სულ უფრო ფართოვდებოდა. შემდგომში, სმაილების გამოყენება იმდენად პოპულარული გახდა, რომ ტექ-

სტური რედაქტორების შემქმნელებმა შემოიღეს სასვენი ნიშნების ზოგიერთი კომბინაციის ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოს მყოფ გამოსახულებად ავტომატური ტრანსფორმირების ფუნქცია. ასე, მაგალითად, :-) ან :-(ის თანმიმდევრული აკრეფისას ისინი ავტომატურად ტრანსფორმირდება შესაბამის სმაილად. შემდეგ კი ჩატების ადმინისტრატორებმა თავიანთ საიტებზე შექმნეს სმაილების გრაფიკული გამოსახულებების ერთგვარი “ბანკები”. თუმცა, ამის მიუხედავად, ჩატების ზოგიერთ მომხმარებელს იმდენად ჩვევად გადაეცა თავისი ემოციების გამოხატვა კლავიატურაზე სასვენი ნიშნების კომბინაციების აკრეფით მიღებული სმაილების მეშვეობით, რომ არ სარგებლობს ამ უფრო მოსახერხებელი სურათებით. ხშირად მომხმარებლები ამარტივებენ სასვენი ნიშნების თანმიმდევრობით მიღებულ სმაილებს ერთ სიმბოლომდე. დახურული ფრჩხილი)))))))) გამოიყენება დადებითი ემოციის გამოსახატავად, ხოლო გახსნილი ფრჩხილი ((((((((((გამოიყენება უარყოფითი ემოციის გამოსახატავად.

ტექსტში სმაილის ჩართვა მიზნად ისახავს აზრის გადმოცემის უფრო მეტ სიცხადეს (იმის მსგავსად, როგორც პირისპირ საუბრისას მიმართავენ მიმიკას და შესტებს). ჩატების კომუნიკანტები სმაილებს გამოიყენებენ ყველა პოზიციაში. სმაილის რეპლიკის დასაწყისში გამოყენებით კომუნიკანტი ცდილობს გამოწვევამისთვის ემოციური ტონალობის მიცემას. სმაილი რეპლიკის შუა პოზიციაში შესტის ან სასვენი ნიშნის ინდიკატორის ფუნქციას იძენს და გამოიყენება შინაარსის უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის (პირისპირი საუბრის დროს მიმიკისა და შესტების გამოყენების მსგავსად). სმაილი რეპლიკის ბოლოს ჩანაცვლებს სასვენი ნიშანს, რომელსაც ჩატ-კომუნიკაციაში ჩვეულებრივ არ იყენებენ. სმაილების იზოლირებულად გამოყენება ძირითადად ხდება საპასუხო რეპლიკებში ემოციის გამოხატვის მიზნით.

ჩვეულებრივ, სმაილები თან ახლავს რეპლიკას, თუმცა ხანდახან იგი დამოუკიდებელ შეტყობინებასაც წარმოადგენს. ეს ასევე იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ მომხმარებლები ერთმანეთის და-

უნახავადაც ცდილობენ მათთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით მოახდინონ მხედველობითი კონტაქტის არარსებობის კომპენსირება, რისთვისაც სმაილებით წარმოადგენენ საკუთარ მიმიკას (4). ამრიგად, შეინიშნება ორი შემადგენელი ნაწილის ურთიერთქმედება, რის გარეშე წარმოუდგენელია ელექტრონული დისკურსის წარმოქმნა. ესენია: ერთის მხრივ, წერილობითი კოდის გამოყენება, მეორე მხრივ – ზეპირმეტყველებისთვის დამახასიათებელი პარალინგვისტური დონის ელემენტების ჩამნაცვლებლის პოვნის სურვილი. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ, ჟესტები და მიმიკა ხშირად თან ახლავს რეპლიკებს, ჟესტმა შეიძლება შეცვალოს რეპლიკის ვერბალური კომპონენტი. მსგავსი ჩანაცვლება შეინიშნება ელექტრონულ დისკურსშიც – მომხმარებლებმა შექმნეს უამრავი სმაილი, რომლებიც, მართალია, სქემატურად, მაგრამ მაინც ახდენენ მხედველობითი კონტაქტის არარსებობის კომპენსირებას.

ფონეტიკური ექსპრესიულობა, როგორც ზეპირმეტყველების ერთ-ერთი კომპონენტი, გრაფიკულად აისახება ელექტრონულ დისკურსში. მისი წერილობითი რეალიზაცია იმითაა განპირობებული, რომ მომხმარებელს უფრო უადვიდებათ შესაბამისი გრაფიკული გამოხატულების პოვნა, ვიდრე ეკვივალენტური ლექსიკურ-სინტაქსური ექსპრესიული საშუალებების შერჩევა. აქედან გამომდინარე ელექტრონულ დისკურსში ჭარბად გამოიყენება ინტონაციური სასვენი ნიშნები, მაგალითად, no more!!!! What????????????? Whole???? ამ ნიშნებით მომხმარებლები გამოხატავენ ძლიერ გრძობებს, რის შედეგად ელექტრონული დისკურსი უფრო ემოციური ხდება და მაქსიმალურად უახლოვდება ზეპირი მეტყველების ფონეტიკას (1).

ექსპრესიულობის გამოხატვის საშუალებაა ასევე ელექტრონულ დისკურსში ასოების მრავალჯერადი გამოყენება. ამ ხერხის მეშვეობით ავტორები მათთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით ემოციურობას მატებენ თავიანთ რეპლიკებს. ხმოვნების, შიშინა ბგერებისა და სონანტების უზომო პროლონგირება ემოციურად მნიშვნელოვან სიტყვებში საკმაოდ ხშირად გამოიყენება ჩატებში ემოციების ფონე-

ტიკური საშუალებებით გამოსახატავად, მაგალითად, ასეთ რეპლიკაში – hugggggs (Hugs!). შრიფტის ზომის ვარიირება ეხმარება მომხმარებელს აზრობრივად და ინტონაციურად მთელი რეპლიკის ან მისი რომელიმე სეგმენტის გამოყოფაში: VERY SHAME; who will you go with THEN?

ამრიგად, ელექტრონულ დისკურსში ექსპრესიულობის გამოხატვის საშუალებას სასვენი ნიშნების მრავალჯერად გამოყენებასთან ერთად, წარმოადგენს მრავალრიცხოვანი ემოტიკონები (სმაილები) და ფონეტიკური დონის ექსპრესიულობის გამოხატვის გრაფიკული საშუალებები – ასოების მრავალჯერადი გამოყენება და შრიფტის ზომის ვარიირება.

ლიტერატურა:

1. Асмус Н.Г. Лингвистические особенности виртуального коммуникативного пространства. – Дис.канд.филол.наук. Челябинск, 2005, с.82.
2. Baron, Naomi S., Always on : language in an online and mobile world, Oxford ; New York : Oxford University Press, 2008.
3. Crystal, David. (2001). Language and the Internet, Cambridge: Cambridge University Press, p.67.
4. Marks T. Recommended Emoticons and Smile ys for Email Communication. Arlington: 1997. - URL: <http://www.windweaver.com/emoticon.htm>
5. Mehrabian, A. (1971). Silent messages. Wadsworth, Belmont, California.

*თამარ ბაკურაძე, მანანა ჩხარტიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ექსპრესიულობის გამოხატვის საშუალებები ელექტრონულ დისკურსში

რეზიუმე

ჩატების ელექტრონული ენა როგორც წერიითი ენა მოკლებულია ჟესტებს, სახის გამომეტყველებას

და პროსოდიულ ნიშნებს: ინტონაციას, რითმს და ხმის სიმაღლეს. ცნობილია, რომ პირისპირ ურთიერთობის დროს წმინდა ლინგვისტურ ელემენტებზე უფრო მნიშვნელოვანია არავერბალური ინფორმაცია და პროსოდიული ნიშნები. ამიტომაც კიბერსივრცეში შემოღებული იყო ემოტიკონები. ექსპრესიულობა, როგორც ზეპირმეტყველების ერთ-ერთი კომპონენტი, გრაფიკულად აისახება ელექტრონულ დისკურსში, რადგან მომხმარებელს უფრო უადვილებათ შესაბამისი გრაფიკული გამობატულების პოვნა, ვიდრე ეკვივალენტური ექსპრესიული ფრაზების შერჩევა.

*Тамара Бакурадзе, Манана Чхартишвили
Грузинский Технический Университет*

**Средства выражения экспрессивности в
электронном дискурсе**

РЕЗЮМЕ

Электронный язык чатов как язык письменный лишен жестов, выражения лица, просодических средств (расстановка ударений, высота тона, интонация, ритм и т.п.). Известно, что при непосредственном общении лицом к лицу невербальная информация и просодические средства важнее чисто лингвистических элементов. Поэтому в киберпространстве для компенсации невербальной информации стали использоваться эмотиконы. Экспрессивность как один из компонентов устной речи в электронном дискурсе выражается графически. Это объясняется тем, что пользователю гораздо проще подыскать соответствующее

графическое средство, чем подыскать эквивалентное лексико-синтаксическое экспрессивное выражение.

Ключевые слова: электронный, дискурс, экспрессивность, выражение, графические, средства.

*Tamar Bakuradze, Manana Chkhartishvili
Georgian Technical University*

**Ways of Expressing Emotions in
Electronic Discourse**

SUMMARY

Electronic chat room discourse as a written language has no jests, mimics, prosodic means (the rhythm, pitch, stress, and intonation, etc.). It is known that in face-to-face communication non-verbal information and prosodic means are more important than purely verbal elements. Therefore, in cyberspace to compensate for nonverbal information emoticons are used. Phonetic expressivity as one of the components of oral speech is expressed graphically. It is connected with the fact that for users it is easier to find appropriate graphic means than to find equivalent expressive phrases. As a result in electronic chat room discourse to show expressiveness users resort to multiple repetitions of punctuation marks (mainly question marks and exclamation marks) and separate letters, as well as changing the font size and, capitalization.

Key words: electronic, discourse, emotions, express, graphic, means.

is a **chain of word phrases** rather than a single WP: *nauji vaiko* ← *žaislai* [11, 51]. Nevertheless, there are exceptions to the rule.

For the sake of structural division of AWP, it is not only very important which component – principal or dependent – has the dependent word forms but also the **level of freedom of components** in a WP.

1. Simple attributive word phrases

An attributive word phrase consisting of two independent word forms is referred to as **simple**. The components of a phrase are linked by a single relation (*vėlyvas* ← *ruduo*, *mėnulio* ← *šviesa*, *Persų* ← *įlanka*, *pagarba* → *žmogui*). The words that are not independent (prepositions, conjunctions, particles) do not change the structure of a phrase, e.g. *daina* → *apie meilę*, *kad ir laikina* ← *bičiulystė*, *bent viena* ← *akimirka*, *net artima* ← *studentė* (particles only modify the meaning of a single component or an entire phrase).

By stability (consistency) or the level of freedom of components, AWP in the Lithuanian linguistics are divided into free and bound word phrases [11, 52].

1.1. Free phrases

Free phrases mean the word phrases formed freely and anew in each case of speech act on the basis of certain structural models. For instance, a variety of AWP can be formed following the model $N_g \leftarrow N$: *namo durys*, *sidabro taurė*, *kelionės laikas*, *kalno viršūnė*... The components of a free WP easily yield to semantic division: *namo* and *durys*, *sidabro* and *taurė*, etc. Each word in such a phrase has a separate independent lexical meaning.

1.2. Bound phrases

Bound phrases mean the phrases with a stable lexical expression and the components forming an indivisible unity, thus they are as if drawn from memory in a speech act. They function as ready-made units. The meaning of a bound

phrase may be absolutely independent from (or be little dependent on) the meanings of the words constituting them. Due to their semantic indivisibility, such phrases are much closer to individual words.

Several groups of bound phrases can be distinguished: 1) **phraseological** WP¹ (*balta varna*, *dievo avelė*, *aukso vidurys*, *devynios galybės*, *katino dienos*, *vargo vakarienė*, *vargo pelė*, *ašarų pakalnė*, *kryžiaus keliai*, *velnio lašai*, *velnio sėkla*, *pavydo kirminas*, *dievo rykštė*, *karo kirvis*, *vedžiojimas už nosies*, etc.); 2) **geographical names** (*Naujoji Akmenė*, *Kazlų Rūda*, *Naujoji Vilnia*, *Tolimieji Rytai*, *Didžioji Britanija*, *Baltieji Rūmai*, etc.); 3) certain **metaphorical names** (*Grįžulo ratai*, *Paukščių takas*, etc.).

1.3. Semi-bound phrases

There are no strict boundaries between free and bound WP. Apart from the extreme cases, there are also intermediate attributive word phrases, which are memorised rather than created in the process of speaking, i.e. they are used as half ready-made. They are referred to as **semi-bound phrases** [11, 53], or **collocations** [13, 40]. When composing a text, such phrases are chosen as a single unit, even though their components, despite a considerable difficulty, can, in principle, be decomposed into the components with their primary independent meanings.

A number of **compound names** (geographical, administrative and other, e.g. *Amerikos žemynas*, *Pamario kraštas*, *akcinė bendrovė*, *Hipokrato priesaika*, *Gulbės žvaigždynas*, *Baltosios naktys*, *jūros kiaulytė*, etc.) and **terms**² (*sakinio dalys*, *teigiamas polius*, *klinikinė mirtis*, *šaltasis karas*, *organinės medžiagos*, *verslo partneris*, *pelno*

¹ Not every phraseological unit is a word phrase, therefore, the concept of phraseological unit is broader in scope than the concept of phraseological WP.

² The structure, use and matters of standardization of the terminology of different spheres receive considerable attention in the Lithuanian linguistics [see 8; 17; 1, 5–12; 7, 7–21].

mokestis, etc.) can be attributed to semi-bound simple AWP.

It is obvious that semantics makes up the key distinctive feature of free and bound simple phrases: some of them are semantically decomposable, others are not. They also differ by their functions in a sentence. In free AWP, each word is used as an individual part of the sentence, whereas in bound phrases, both words go as a single complex part of the sentence (cf.: *Motinos širdis sugelta dieną naktį maudžia* SNēr. and *Kudirkos Naumiestyje mieste aikštėje atidengta nauja skulptūra* Sp. In the case of semi-bound AWP, it is not always easy to determine whether their components go as a complex part of the sentence or as several parts of the sentence linked by attributive relations: *Baltijos šalys patyrė daug priespaudos ir kančių* Sp. (considered intermediate cases).

It should be added that the AWP, where the dependent component constitutes of the combination of two independent words of close meaning without a clear grammatical link between its members, is also considered a simple word phrase (*tris keturias ← dienas, vienas kitas ← žiedelis*). The WP of such type fall near the boundary of complex phrases.

2. Complex attributive word phrases

2.1. Dependent component with dependent word forms

A **complex** attributive word phrase is a phrase with a dependent component having one or several independent word forms subordinate to it, e.g. (*vasaros ← nakties*) ← *ramybė*, (*muzikos ← instrumento*) ← *stygos*, (*nežinomo muzikos ← instrumento*) ← *stygos*. Also, a word combining with the dependent component of a WP may at its discretion have a dependent component. In this way, several stages of subordination – hierarchical relations between components – are formed in a complex phrase, e.g. (*kažkaip ←*

šviesiai ← pilkas) ← *dangus*, (*Lituanistikos ← fakulteto ← tarybos*) ← *pirmininkas*.

Thus, the components of such phrases are linked by at least two syntactic relations. It should be noted that the rank of relations between words must be taken into special consideration when distinguishing complex phrases. One relation is principal, dominant, yet others are supplementary and of lower rank in respect of the word phrase¹. The principal relation unites the entire attributive word phrase into a nominative block. Naturally, a complex component of a WP alone makes up a word phrase. One or both components of a complex phrase usually (not always) go as a complex part of the sentence in a sentence.

The dependent components combining with the dependent component of an AWP may be expressed by an adjective, numeral, pronoun, participle, various noun cases (except for nominative), prepositional constructions and adverb [18, 125–130; 143, 125–160]. It often depends on the part of speech of the dependent component of an AWP combining with new word forms. For instance, the semantic potential of numerals is far smaller compared to other parts of speech capable of combining with additional components for the sake of a more specific indication of a quality.

The subordinated words may form certain rows (*[skaisčios tekančios ← saulės] ← spinduliai*) and in theory their number is not limited [19, 96]. Nevertheless, it should be noted that sometimes a further increase in the scope of a phrase is not possible, i.e. the complex AWP reaches the maximum limit (e.g. [*labai ← skaisčios tekančios ← saulės*] ← *spinduliai*).

2.1.1. Bound phrases

Like simple attributive word phrases discussed above, complex AWP are not identical by the

¹ The concept of complex phrase is expanded when the rank of syntactic relation is not taken into consideration [cf. 12, 17–20].

level of freedom of components: the components may combine in a stronger or freer manner. Occasionally, the lexical valency of a word determines the prerequisite complex character of an AWP. The combination of the dependent component with a dependent word in such a phrase is necessary grammatically and structurally. The principal component is associated with an entire WP only, e.g. (*rutulio* ← *formos*) ← *akmuo*, *moteris* → (*ilga* ← *nosim*) (phrases **formos akmuo*, *moteris nosim* are not possible). They are considered **complex bound** attributive phrases. Such phrases, where the dependent component is an indivisible meaningful unit, are binary in terms of semantics, i.e. they are closer to simple phrases. However, in grammatical terms, they are complex as they express several rather than one syntactic relation. The dependent component of such an AWP and its dependent word form constitute a complex attribute in a sentence: *Priešais išpuolė šuo pieniniuotu snukiu Žem.*

2.1.2. Semi-bound phrases

The majority of complex phrases are formed when new word forms are connected to the dependent component of an AWP in a rather free manner, e.g. *žydėjimo* ← *metas*, (*obelų* ← *žydėjimo*) ← *metas*; *juodi* ← *debesys*, (*raudonai* ← *juodi*) ← *debesys*; *valdžios* ← *pareigūnai*, (*mūsų* ← *valdžios*) ← *pareigūnai*, (*naujosios mūsų* ← *valdžios*) ← *pareigūnai*. Such phrases are referred to as **complex semi-bound** attributive phrases (or collocations). They can be decomposed in terms of the semantics of components, but the principal component tends to form a compact unit with other word forms.

2.2. Principal component with several dependent words

As previously stated, the complex AWP is a phrase, where the **dependent** component combines with one or several word forms. Certain cases where two or more forms of independent words combine with the **principal component of**

a WP should also be treated the **complex phrase** [11, 51–52].

2.2.1. Occasionally, the constructions of **verbal nouns** tend to form a separate autonomous unit, hence, they should be considered complex phrases, even though word forms are linked with the principal component rather than the dependent component in a word phrase by means of different relations (*varpo* ← *dūžiai* → *naktį*, *žemės* ← *mokestis* → *valstybei*, *žirgų* ← *lenktynės* → *Sartuose*). It should be noted that such constructions perform only one function in a sentence.

2.2.2. Sometimes, the principal component of **specific meaning** also forms complex attributive word phrases with its dependent word forms. The lexicalised WP used as compound names should be noted, e.g. *Lietuvos Didžioji Kunigaikštystė*, *centrinė nervų sistema*. The phrases where the principal component combines with its dependent components rather freely also fall to complex phrases: *sporto* ← *salė*, *mokyklos* ← (*sporto* ← *salė*); *laukinė* ← *antis*, *viena* ← (*laukinė* ← *antis*). However, in this case one dependent word is more prerequisite than another. The prerequisite dependent word enters into a closer combination with the principal component (in a sentence – a complex part of the sentence), to which the second dependent word is connected. When such a complex phrase is decomposed dichotomically, the dependent word with a weaker subordination is the first to split away.

Formally, the latter constructions may coincide with the previously discussed semi-bound complex phrases; however, they differ by a syntactical relation (the dependent words combine with the principal rather than dependent component), which is understood from the lexical meanings of words and the sentence in its entirety (cf. [*baltos* ← *žaros*] ← *šviesa* and *pirmi* ← [*mokslo* ← *metai*]).

The semantics of the complex phrases

შესაძლებელი გახდა “ტრადიციული ეპოსის” სტრუქტურის მყარი უცვლელობის დამტკიცება... მკვლევარი დროულად იმოწმებს იან დე ფრიზის 10 ეპიზოდიან მოდელს, რომელიც ყველაზე უფრო მიესადაგება ქართულ ეპიკურ ძეგლებს, განსაკუთრებით ამირანს. თ. ჯაგოდნიშვილი ემყარება ზ. კიკნაძის განმარტებას იან დე ფრიზის თვალსაზრისისას ეპოსის სტრუქტურაზე (კიკნაძე ზ., “ქართული ხალხური ეპოსი”, თბ., 2001, გვ. 14-15). ნაშრომში საკმარისად ვრცელადაა მსჯელობა სტრუქტურალიზმის მიზნებსა და მეცნიერულ მნიშვნელობაზე, რომ სტრუქტურალისტებისათვის ტექსტში მთავარი იყო არა ამბავი, არამედ სტრუქტურა... სტრუქტურალისტებისათვის “ლინგვისტიკაში ფონემა თავისთავად არაფერს ნიშნავს, იგი სრულ მნიშვნელობას იძენს, როცა სიტყვის შემადგენლობაში შევა, სიტყვა კი მაშინ როცა წინადადებაში შევა, ანუ მისი ნაწილი გახდება... ყოველ დონეს, განაგრძობს მკვლევარი, საკუთარი ერთეულები აქვს. ეს ერთეულები ნაკრებებს ქმნიან... მათ შეკავშირების საკუთარი წესები აქვთ. ამასთან ტექსტების ვერცერთი დონე ვერ წარმოაჩენს ტექსტის შინაარსს სხვა დონეთა დაუხმარებლად (გვ. 31).

მკვლევარი ძალზე მოკლედ, შეკუმშულად, მაგრამ სრულად წარმოგვიდგენს ბარტისეულ თვალსაზრისებს ეპოსის სტრუქტურაზე და დაასკვნის, რომ ერეკლეს ეპოსის მოღწეული ფრაგმენტები უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ამ ეპოსის სტრუქტურული ერთეულებია. ეს ერთეულები ერთმანეთთან რ. ბარტისეული ინტერპრეტაციით ერეკლეს ეპოსის სტრუქტურას ავლენენ...

დავძენთ, რომ თეიმურაზ ჯაგოდნიშვილის მიდგომა აღიარებული თეორიული თვალსაზრისადმი ყოველთვის ორიგინალურია, შემოქმედებითი. იგი არა მარტო იმოწმებს სხვათა ნააზრევს, არამედ კრიტიკულად მიმოიხილავს, ერთი წუთითაც არ უშვებს მხედველობიდან საკვლევი მასალის (ერეკლეს ეპოსის) სპეციფიკურობას და გვაწვდის საკუთარ თვალსაზრისებს...

მეორე თავში “ერეკლეს ეპოსის სტრუქტურა: საუბარია პრობლემის სირთულეზე. ერეკლეს ეპოსთან მიმართებაშიო “ერთიან ზეპირსიტყვიერ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია. ასორმოცდაათამდე ხალხური ლექს-სიმღერა და თქმულება-გამოცემა თავიანთი ვარიანტით დაკვირვებულ თვალს ამ ეპოსის არსებობას ავარაუდებინებს” (გვ. 35). წინა პლანზეა წამოწეული ქს. სიხარულიძის, მ. ჩიქოვანის, ზ. სპარსიაშვილისა და სხვათა წვლილი ერეკლე II-ის ირგვლივ არსებულ მრავალრიცხოვანი მასალის შესწავლაში... მკვლევარი ვრცლად მსჯელობს ისტორიული სიმღერის ნიშან-თვისებებზე, ფრაგმენტის, ეპიზოდის განმარტებაზე, რომ იგი სიუჟეტის კონკრეტული ნაწილია, რომელიც დიდი ამბის რაიმე ეპიზოდს მოგვითხრობს” (გვ. 39).

“ხოლმეობით (მრავალჯერად) ეპიზოდებს კერძო ამბები ქმნის... გმირი მარტო ერთ მტერს არ ეომება, ანუ ბრძოლების გადახდა რამოდენიმეჯერ უხდება, ყოველი ბრძოლის ამბავი ტექსტში ცალცალკე, კერძო ამბად, ე. წ. რგოლებად შედის. რგოლები საკუთარი შინაარსისანი არიან, მაგრამ ერთიანად უცვლელი სტრუქტურა აქვთ (გვ. 39).

მკვლევრის დაკვირვებით, ერეკლე მეორის ირგვლივ არსებულ ლექს-სიმღერებში ჩნდებიან გმირები, რომელთათვისაც სამშობლოს დაცვა

ცხოვრების აზრია, არსებობის გამართლება, მაგრამ ისინი ცენტრალური გმირის მსახურნი ხდებიან, მისი ხელმძღვანელობით იბრძვიან, ეს გმირები ეპოსის ციკლებს ქმნიან... ციკლი წრეს ნიშნავს, რომელსაც, თავისი ცენტრი აქვს. ცენტრალური გმირი, ფიგურა კი ერეკლე მეორე არის. შრომის ავტორის დაკვირვებით, აღნიშნული ტექსტების ერეკლეს ეპოსისადმი კუთვნილება მარტო ამით არ მტკიცდება. აქვეა საუბარი ორთაბრძოლებზე და სხვა... შრომის ავტორის დასკვნით, ერეკლეს ეპიკური თავგადასავლის შედგენილობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: “პროლოგი; ამბავი ერეკლეს დაბადებისა; ერეკლეს გოლიათური აღზრდა; ამბავი ერეკლეს ბრძოლისა უსუფ ფაშასა და გივი ამილახვართან, ამბავი ერეკლეს ოსეთში ლაშქრობისა; ამბავი ერეკლეს ბრძოლისა და აბდულ ბეგთან; ამბავი ერეკლეს ბრძოლის ჰაჯი ჩალაბთან; ამბავი ერეკლეს ბრძოლის აზატ ხანთან; ამბავი ერეკლეს ღალატისა; ამბავი ერეკლეს ბრძოლისა სამცხე-ჯავახეთისათვის; ამბავი ალა-მანხმად-ხანის შემოსევისა და თბილისის დაცემისა; ამბავი რკინის კარის შეხსნისა; ეპილოგი (გვ. 44).

ნაშრომში ის აზრია გატარებული, რომ „ერეკლეს ეპოსში ყველაზე სრულყოფილი მანია წყნეთელის, თამრო ვაშლოვანელის, თინა წავკისელის ეპიკური ციკლებია... შემდეგია ლევან ბატონიშვილის, პაატა თემურიშვილის, გიორგი თილიძის, გელა ნათელაშვილის, ძალღიკა ხიმიკაურის, ტურა ქაიხოსროსა და ალუდაურ გაბურის ციკლები (გვ. 47).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში განხილული თეორიული თვალსაზრისები შემოქმედებითადაა გააზრებული და მისადაგებული საკვლევ მასალასთან. ნაშრომში ის აზრია გატარებული, რომ ქართველი ხალხის მხატვრულმა ალლომ და ეპიკურმა ტრადიციამ რთული, ე. წ. „ციკლური სტრუქტურის მქონე ეპოსი შექმნა და ცენტრალურ პერსონაჟად სახალხო მეფე ერეკლე მეორე მოიაზრა“... (გვ. 58).

მკვლევარი მთლიანად ემყარება თხრობითი ტექსტის სტრუქტურული მოდელის აგების ბარტიულ პრინციპს, რითაც „ერეკლეს ციკლის ეპოსში პირველ (ფუნქციათა) დონეს კონკრეტული

გმირების თავგადასავლების კერძო ამბები ქმნიან და არიან ამ ეპოსის ერთეულები... კონკრეტული გმირების თავგადასავლებში გაერთიანებით ისინი მეორე დონეს, ანუ ერთეულთა კლასებს ქმნიან. ეს თავგადასავლები ერეკლეს ეპოსში ერთმანეთთან ინტეგრალურად დაკავშირებული ერთეულთა კლასებია (გვ. 59).

ნაშრომის მესამე თავში „ერეკლეს ზეპირსიტყვიერი თავგადასავლის ეპიკური სტრუქტურა“ საუბარია ერეკლეს ეპოსის სპეციფიკურობაზე. მითითებულია, რომ ციკლური ყაიდის ეპოსისათვის არაა აუცილებელი ცენტრალურ გმირს თავისი თავგადასავალი ჰქონდეს. ამ აზრის დამადასტურებლად დასახელებულია ვლადიმირის (კიევის) ციკლის რუსული ხალხური ეპოსის გმირი, კიევის მთავარი ვლადიმირი... ერეკლეს ეპოსი კი მსგავსი სტრუქტურის ეპიკური ძეგლებისაგან იმით განსხვავდება, რომ ცენტრალურ გმირს საკუთარი ზეპირსიტყვიერი თავგადასავალი მოეპოვება... კვლევის სწორედ ამგვარი გზაა განსაკუთრებით საინტერესო და ფასეული. თ. ჯაგოდნიშვილმა შეძლო ჯეროვან მეცნიერულ დონეზე წარმოეჩინა და დაესაბუთებინა ერეკლეს ეპოსის სპეციფიკურობა. ნაშრომის უმთავრესი ღირსებაც სწორედ ეს არის. იგი მთლიანად კვლევითი ხასიათისაა... წმინდა ფოლკლორისტული თვალსაზრისით საინტერესოა ერეკლეს ეპოსის მიხედვით, თუ რა უმთავრესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენებია შემორჩენილი და წარმოჩენილი ხალხის მეხსიერებაში, რას აქცევს ის განსაკუთრებულ ყურადღებას და როგორ გაიაზრა ერეკლეს მოღვაწეობისა და მეფობისდროინდელი ომები, ბრძოლები.

შრომის ავტორი დროულად იმოწმებს თეიმურაზის, ერეკლესა და გივი ამილახვარის დაძაბულ ურთიერთობებს. ეს ის გივი ამილახვარია, რომელიც „ჰაჯი-ჩალიბის წინააღმდეგ უკვე ერეკლეს გვერდში იდგა და ომობდა... „ხალხის მეხსიერებამ, დასძენს ავტორი, არ შემოგვინახა გივი ამილახვარის აჯანყება ნადირ შაჰის წინააღმდეგ... არც განდგომის მიზეზი დააფიქსირა, არც მამულიშვილურ მცდელობათა შინაარსი. იგი

მტრის მომხრედ დაიგულა... გვიამბობს უსუპ-ფაშას და გივი ამილახვარის წინააღმდეგ ერეკლეს ომის ამბავი და ომის აღწერა“ (გვ. 80-81)...

თ. ჯაგოდნიშვილის დაკვირვება შრომის ამ ნაწილში საინტერესოა ზეპირსიტყვიერების და, საერთოდ, ფოლკლორულ ჟანრთა სინამდვილესთან ურთიერთობის რთული თეორიული საკითხების გასააზრებლად... მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ერეკლე მეორე, მიუხედავად რთული საშინაო და საგარეო სიტუაციებისა, ახერხებდა, რომ თვალყური ედევნებინა მართვა-გამგეობის ყველა დარგისათვის... 1798 წელს განხორციელებული სასამართლო რეფორმა, რეგულარული არმიის „მორიგე ლაშქრის დაარსება, საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის ახალ პრინციპებზე დაფუძნების ცდა, რომლის უტყუარი საბუთია 1790 წლის „ივერიელთა ერთიანობის ტრაქტატი“... საუბარია სახელმწიფოებრივი თანაარსებობის (ფედერაციისა და კონფედერაციის) პრინციპებზე... ქალაქისა და ხელოსნობა-წვრილმრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობასა და საეკლესიო საქმეების მოწესრიგებაზე... აუცილებელი იყო სკოლებისა და წიგნის ბეჭდვის განახლება, ფილოსოფიური სემინარების გახსნა თბილისში, არისტოკრატის შვილების გაგზავნა რუსეთში მეცნიერების, სამხედრო საქმის შესასწავლად, სტამბის აღდგენა თბილისში და სხვა (გვ. 62-63). მკვლევრის სამართლიანი შენიშვნით, ერეკლე მეორეზე შემორჩენილი ფაქტობრივი მასალა ამომწურავად ჯერაც არ არის გამოვლენილი, არც მისი მოღვაწეობაა სათანადოდ გამოკვლეული. უკვე ცნობილი გახდა, რომ ერეკლე მეორე ევროპაშიც ინტენსიურად ემეზდა მოკავშირეებს. საინტერესოა ერეკლე მეორის სახელის ხსენება გერმანელი დრამატურგის გ. ლესინგის კომედიაში „მინა ფონ ბილჰელმი“... ფრიდრიხ დიდიც, დასძენს ავტორი, ევროპულ მასალებს ითვალისწინებდა, როცა აცხადებდა: „ევროპაში მე ვარ პირველი, ხოლო აზიაში ერეკლე“... ევროპაში ერეკლე მეორის ასეთი პოპულარობის ფონზე დაუჯერებელი არ უნდა იყოს ცნობა იმის თაობაზე, რომ ლ. ბეთჰოვენის III სიმფონიის” ადრესატი ერეკლე მეორე ყოფილა“ (გვ. 65).

თ. ჯაგოდნიშვილმა დიდძალი მასალის ანალიზით შეძლო დაესაბუთებინა, რომ ერეკლეს ციკლურ სტრუქტურიანი ეპოსი ისტორიულია, უფრო ზუსტად კი საგმირო-ისტორიულია. შრომის ავტორი ვრცლად მსჯელობს ერეკლე მეორის მიერ გადახდილ ბრძოლებზე, ბიოგრაფიულ ეპიზოდებზე, გარდაცვალებაზე და სხვა...

მართალია, მკვლევარი თავმდაბლად აცხადებს, რომ „წიგნში შემოთავაზებული ცდა ტექსტების დალაგება-გამთლიანებისა, შესაძლოა არ აღმოჩნდეს იმ გაგებით, რომ რაიმე აკლდეს ან გამოჩინდეს რაიმე მნიშვნელოვანი,.... უნდა დავსძინოთ, რომ შრომის ავტორი სწორედ აქ, კვლევის ამ ნაწილში, იჩენს დიდ მეცნიერულ სიფრთხილეს, იგი განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდება ხალხის მიერ შექმნილ მასალას, თითოეული ტექსტი მოწოდებულია სრული სიზუსტით, ჩასწორების გარეშე. ალბათ, უმჯობესია, ავტორს მოვუსმინოთ... „არსად, არცერთი სიტყვა არ არის ჩამატებულ-ჩასწორებული, არცერთი პასაჟი არ არის გარანდული შემდგენლის მიერ. ასეთი არის ერეკლეს ეპიკური თავგადასავალი – ხალხური, ხალხის მიერ შექმნილი“. სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ავტორმა დასახულ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი...

მეოთხე თავში „ტექსტოლოგიური ისტორია“ მკვლევარი საგანგებოდ იკვლევს ერეკლე მეორის გარშემო არსებული ლექსებისა და გადმოცემების ჩაწერა-პუბლიკაციის ისტორიას, რომ ტექსტები ძირითადად ჩაწერილია აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და ბარში. შრომის ავტორის აზრით, ერეკლე მეორის ეპოსი ეროვნულია და არა რეგიონალური... თ. ჯაგოდნიშვილი მომხრეა ერეკლე მეორის გარშემო არსებული მასალის გამთლიანებისა ეპოსში ჩადებული იდეის დასადგენად... მკვლევრის აზრით, ამგვარად დადგენილი ტექსტი იქნება ხალხური ჩანაფიქრის გახსნა, გამომჟღავნება, გამოვლენა ერთიანობისა და მხატვრულ მთლიანობაში.

გამოკვლევის მეხუთე თავი „ერეკლეს ეპოსი“ მთლიანად ეთმობა ერეკლეს ეპიკური თავგადა-

სავლის ტექსტებს, მეექვსე თავში კი ერეკლეს ციკლის ეპოსის გმირების თავგადასავალია წარმოდგენილი... ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია და რედაქტორის, ნიკო ჯავახიშვილის საინტერესო გამოკვლევა „უძლიერესი კავკასიური მონარქი“, რომელსაც თან ახლავს ჩვენი დიდი წინაპრების პორტრეტები...

თეიმურაზ ჯაგოდნიშვილის გამოკვლევა „ერეკლეს ეპოსი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებსა და ეპოსის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს...

ოთარ ონიანი, პროფესორი

საინტერესო ნაშრომი ქართულ ხალხურ ეპოსისმცოდნეობაში

რეზიუმე

თეიმურაზ ჯაგოდნიშვილის ნაშრომი „ერეკლეს ეპოსი“ კვლევითი ხასიათისაა და მოიცავს მრავალმხრივ საინტერესო საკითხთა წრეს. მასში, პირველად ქართულ ფოლკლორისტიკაში, გამოვლენილი და ეპიკურ ტექსტად გაერთიანებულია ერეკლე მეორის შესახებ შექმნილი ხალხური ტექსტები; გამოკვლეულია, რომ ერეკლეს ეპოსი შინაარსით საგმირო-ისტორიულია, ხოლო სტრუქტურით - ციკლური. შრომის ავტორმა, პირველმა ქართულ ფოლკლორისტთა შორის, მეფე ერეკლე მეორის გარშემო არსებულ მრავალრიცხოვან ლექსებსა და გადმოცემებში კანონზომიერებას მიაგნო და ერეკლეს ეპოსს თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა ისეთ ცნობილ ეპიკურ ძეგლებს შორის, როგორცაა: „ამირანის ეპოსი“ (მითოლოგიური), „ეთერიანი“ (სატრფიალო), „არსენას ეპოსი“ (სოციალური). ეს კი მნიშვნელოვანი სიახლეა ქართული ხალხური ეპოსისმცოდნეობის ისტორიაში.

профессор Отар Ониани
**Интересная работа в грузинском
народном эпосоведении**

Ключевые слова: эпосб цикличный эпос,
героико-исторический, Ираклии II

prof. Otar Oniani

РЕЗЮМЕ

Работа Т. И. Джагоднишвили «Эпос Эрекле» исследовательского характера и содержит круг многосторонних интересных вопросов. В нем, впервые в грузинской фольклористике, выявлены и объединены в единый эпический фольклёрный текст созданные народом героико-исторические устнопоэтические произведения об Ираклии II; уставлено, что эпос Ираклии II по содержанию является героико-историческим, а по структуре-цикличный. Автор в первые среди грузинских фолклористов, выявил эпические закономерности многочисленных фольклорных текстов и определил место эпоса Ираклии II среди таких известных грузинских народных эпических произведений, какими являются «Эпос Амирани» (мифологический), «Этериани» (любовный), «Эпос Арсена» (социальный). Всё это значительное явление в истории грузинского народного эпосоведения.

**The interesting work about Georgian
National Epoknowledge**

SUMMARY

The thesis of Teimuraz Jagodnishvili – „Erekles’s epos” is research in nature and contains of various of interesting issues. The article, firstly in Georgian folklore, reveals the texts about Erekle II and unites them as epic texts; Erekle’s epos is heroic-historical with its content, cyclical –with its structure. The author of the thesis, who was first from Georgian folklorists, understood the regularity of the various of poems and publications about Erekle II and gave them their place among the famous epic monuments, which are: „Amiran’s epos” (mythological), „Eteriani” (love), „Arsena’s epos” (social). This is an important news in Georgian Epos history.

ინგლისურენოვანი საექიმო ტერმინოლოგიის ტრანსფორმირება ქართულ ენაში

შერაზადიშვილი ხატია,
სტუ-ს დოქტორანტი



საკვანძო სიტყვები: ტრანსფორმირება, ტერმინოლოგია, ლექსიკა, ადეკვატურობა, კომუნიკაცია, ექვივალენტი, ცნება, აქტუალური, ანალოგი, ორაზროვნება. რეალია.

ქართველ ერს უძველესი თვითმყოფადი სამედიცინო კულტურა და ტრადიციები გააჩნია. საქართველოში, ამ უძველესი კულტურის ქვეყანაში, სამედიცინო ხელოვნება ყოველთვის ეპოქის მოთხოვნილებათა დონეზე ყოფილა და ჩვენს ქვეყანას უაღრესად მრავალფეროვანი სამედიცინო კულტურა ჩამოუყალიბებია. ქართველი ერის ისტორიული განვითარების ნამდვილი სურათის წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა ქართული მედიცინის ისტორიის გარეშე, რომელიც მოიცავს ყველა საზოგადოებრივ ფორმაცია სუბველესი დროიდან დღემდე.

საქართველო ოდითგანვე ასოცირდებოდა მედიცინასთან. მიუხედავად ამისა ქართული ენა არ გამოირჩევა სამედიცინო ტერმინოლოგიის სიუხვით. თანამედროვე ეტაპზე მასში სჭარბობს ნასესხები სიტყვები, რომლებიც უმეტესად ლათინური, ბერძნული და ინგლისური წარმოშობისაა. საინტერესოა რატომ მოხდა ენაში ამდენი ახალი სიტყვის შემოდინება და რატომ არ მოიძებნა ქართული ექვივალენტები. მაშინ როცა საქართველო მედიცინის სიმბოლოდ ითვლება. ლათინურმა და ინგლისურმა სიტყვებმა გამოდევნა პროფესიული მეტყველებიდან ქართული შესატყვისები. როდესაც შეხება გვაქვს სამედიცინო ლიტერატურასთან ქართული ტერმინოლოგიის ხვედრითი წილი ძალიან დაბალია, დაახლიებით 20%. ბუნებრივია, არცერთი სპეციალური ენა, მათ შორის სამედიცინო ენა და მისი ტერმინოლოგია, საერთო-ეროვნული ენისაგან სრულიად იზოლირებული არ არის და თავადაც ასაზრდოებს საერთო ლექსიკურ საგანძურს (სამედიცინო ლექსიკა, ახალი ცნებები).

ამიტომ ნებისმიერი ტერმინის ხმარება (წერილობით თუ ზეპირად) ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს უნდა დაექვემდებაროს. ამ მხრივ დღესდღობით განსაკუთრებით აქტუალურია სპეციალური სამედიცინო ლექსიკა, სამედიცინო ტერმინოლოგია. «სამედიცინო ენის» ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია სამედიცინო სფეროში ოპერირება, აზროვნება და კომუნიკაცია.

მოგეხსენებათ, რომ მედიცინა ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგია და ადამიანებს თითქმის ყოველდღიურად უხდებთ მასთან დაკავშირებულ საკითხებთან შეხებას. ანუ ვგულისხმობთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაციას. თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში სამედიცინო ტერმინოლოგია და სამედიცინო თარგმანი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. მხედველობაში გვაქვს ახლად დანერგილი ცნებები, როგორცაა ტელემედიცინა - სამედიცინო მომსახურების დისტანციური უზრუნველყოფა, რომელსაც სამედიცინო დარგის პროფესიონალი ახორციელებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით და რომლის მიზანია ინფორმაციის გაცვლა დაავადებათა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, აგრეთვე სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლების, სამედიცინო კვლევისა და მისი შედეგების შეფასებისათვის; და ე.წ. ონლაინ კომუნიკაცია ანუ დისტანციური კონსულტაცია. ინტერნეტ-პოლიკლინიკა. მათი მეშვეობით პაციენტს საშუალება აქვს ექიმთან ვიზიტის გარეშე გაეცნოს სხვადასხვა სახის ინფორმაციას, ასევე შესაძლებლობა ეძლევა სახლიდან გაუსვლელად მიიღოს ექიმის რჩევა და დანიშნულება. აქედან გამომდინარე მეტად მნიშ-

ენელოვანად მიგვაჩნია სათანადო ლექსიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენება ფართო აუდიტორიისათვის. ბევრჯერ ყოფილა როცა ექიმის დასკვნაში ან სხვადასხვა გამოკვლევების შედეგებში ჩვენთვის გაუგებარი სამედიცინო ტერმინოლოგია შეგვხვდებოდა და ვერაფერს მივხვდარვართ. ბუნებრივია, ინგლისურენოვანი ტერმინების გამოყენება პაციენტს აბრკოლებს სათანადოდ ჩაწვდეს თავის დაავადებას. ჩვენ ხშირად გვავიწყდება ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ვერცერთი მედიკოსი ვერ აღწევს მიზანს, თუ ის ვერ ახდენს პაციენტის ჯეროვნად ინფორმირებას. რადგანაც ინფორმირებული პაციენტი უფრო იოლად უმკლავდება დაავადებას. ეს კი მხოლოდ სათანადო ლექსიკისა და სწორად შერჩეული ტერმინოლოგიის გამოყენებითაა შესაძლებელი. სათანადოდ ინფორმირებული პაციენტი კი თავისთავად წარმატების წინაპირობაა. განკურნების პროცესი დამოკიდებულია არამარტო ექიმზე, არამედ პაციენტზეც, რომელიც სათანადო ცოდნითაა აღჭურვილი. ხშირია შემთხვევები, როდესაც პაციენტი არ ფლობს უცხო ენას (კერძოდ ინგლისურს) და მისთვის გაუგებარია ქართულ მედიცინის ენაში დამკვიდრებული ისეთი ინგლისურენოვანი ტერმინები, როგორცაა: ინდიგესტია ანუ საჭმლის მონელება; ინჰიბიტორი ანუ შემაჩერებელი (დამორგუნველი); ობსტრუქცია ანუ დახშობა; რეციპიენტი ანუ მიმღები; სედატიური-დამამშვიდებელი; რენდომიზაცია ანუ შემთხვევითობა; ერადიკაცია ანუ ინგლ. eradication აღმოფხვრა, განადგურება; ელიმინაცია ინგლ. elimination ანუ გაქრობა. დიგიტალური ანუ ინგლ. digital ციფრული, კავიტაცია cavitation (ინგლ. cavity ღრუ) - ღრუსწარმოქმნა (მაგ., ფილტვის ტუბერკულოზის შემთხვევაში). კაზეოზი caseation (ინგლ. caseous ხაჭო-სებრი) - დაზიანებული ქსოვილის ნეკროზი (მაგ., ტუბერკულოზის შემთხვევაში). კონგლუტინანტი - conglutinant (ინგლ. conglutinate შეწყება, შეზრდა) მიგვაჩნია, რომ ქართული შესატყვისის გამოყენება ხელს შეუწყობს პაციენტის მკურნალობის პროცესისადმი დადებითად განწყობას. ასევე დაეხმარება მას გადაალახინოს შიშის

გრძნობა, რომელიც მას მკურნალობის პროცესის დაწყებისას უჩნდება. შესაბამისად, თავისთავად, ტერმინის ქართული ანალოგი კი თავიდან აგვაცილებს ისეთ პრობლემას, როგორცაა ენის დაზინძურება, ორაზროვნება და გაუგებრობა. აქედან გამომდინარე ჩვენ უკვე საქმე გვაქვს ორმაგ, თვისობრივ ხარისხობრივ პრობლემასთან, როგორცაა ენის დაზინძურება და არასათანადო დიაგნოსტიკა-მკურნალობა. საინტერესოა, თუ რა კავშირი აქვს ერთმანეთთან ლინგვისტიკას და მედიცინას. ბუნებრივია, რომ მედიკოსები ზრუნავენ მედიცინაზე, ხოლო ლინგვისტები ენაზე. ორივე ერთად კი აუდიტორიაზე. მათ შორის კომუნიკაცია კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. როგორც ცნობილია, კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცვლის ძირითადი საშუალებაა. ხოლო კომუნიკაციის დამყარება კი ენის მთავარი დანიშნულებაა. კომუნიკაცია ხორციელდება ინფორმაციის გამგზავნის და მიმღების, ანუ ჩვენს შემთხვევაში მედიცინის მუშაკსა და პაციენტს შორის. წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად საჭიროა მოსაუბრემ საუბრისას გაითვალისწინოს ორივე მხარის ინტერესები. ანუ გამოყენებული უნდა იქნას ორივე მხარისათვის მისაღები და გასაგები ვერბალური ერთეულები. თითოეული ენა ჩვენს შემთხვევაში ინგლისური და ქართული განსხვავდება ერთმანეთისაგან. აქვთ თავიანთი თავისებურებები. თანამედროვე ეპოქაში თარგმანის ადეკვატურობის პრობლემასთან დაკავშირებულმა საკითხთა კვლევამ კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შეიძინა. არ არსებობს ისეთი ენა, რომელშიც არ იყოს ნასესხები სიტყვები. სესხება და ენის საკუთარი ლექსიკა კორელაციური ცნებებია. წლების მანძილზე ზოგიერთი ტერმინი და ცნება სწრაფად იცვლება, ძველდება, იძენს ახალ შინაარსს და მოითხოვს შევსებას დაარსებით გადამუშავებას მეცნიერების უახლესი მონაცემების შესაბამისად. სწორედ ამაში მდგომარეობს მთელი სირთულე და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ საკითხის ორი კუთხით შესწავლა, (კერძოდ ლინგვისტური და სამედიცინო).

ჩვენი აზრით, ქართული ენის სიწმინდის და

ღირსების დაცვა ერთ-ერთი იმ მოთხოვნათაგანია, რაც თარგმანის პროცესში ყველაზე მეტადაა გასათვალისწინებელი; თუ ქართულში გვაქვს რომელიმე საერთაშორისო სიტყვის შესაბამისი სიტყვა, რომელიც ზუსტად გამოსახავს მის შინაარსს, სასურველია თარგმნის დროს ვიხმაროთ საკუთარი ენობრივი ნიშანი. დღესდღეობით ამ დარგში შეინიშნება ტენდენცია ინგლისურ ენოვანი ტერმინების ჭარბი გამოყენებისა მაშინაც კი, როდესაც ენაში მოიძებნება ქართული ექვივალენტი. ხშირად არა ერთი და ორიც. გვინდა გავმიჯნოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც მიზანშეწონილია მართებულად მიგვაჩნია უცხოური, კერძოდ ინგლისური სიტყვის გამოყენება. და რიგი შემთხვევები, როდესაც სასურველია ამა თუ იმ ინგლისურენოვანი სამედიცინო ტერმინის ქართული ანალოგიტ ჩანაცვლება. მაგალითად: ფართო აუდიტორიას ხშირად ესმის ისეთი ტერმინები, როგორცაა: სენსიტიური, სტრესი, რევიპროკული, სკრინინგი, მონიტორინგი, ტრანსპლანტი იმპლანტი, პროტეინი, რეპროდუქცია, რეგენერაცია, ვაქცინა, პრევენცია და მრავალი სხვა. ხშირად ამგვარი ტერმინების გამოყენება ქართულ ენაში ფართო აუდიტორიისათვის გაუგებარი და დამბზნვეელია, ამგვარი სიტყვების, ანუ გაუგებარი ტერმინების ჩამონათვალი, მას უმეტესწილად ეჭვითა და სკეპტიციზმით განაწყობს მედიცინისა და მედიკოსების მიმართ, რაც განპირობებულია არასათანადო ექვივალენტების გამოყენებით. ხშირად სწორედ ამგვარი ტერმინების გამოყენების გამო პაციენტი არასათანადოდ ინფორმირებული რჩება ისეთ მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ, რაც მის ჯანმრთელობასთან, ასევე რიგი დაავადებების თავიდან არიდებას უკავშირდება. არაადეკვატურად აღიქვამს ამათუ იმ დაავადების არსს, რაც შემდგომში პრობლემებს განაპირობებს. ამგვარი გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად მიგვაჩნიაა, რომ უპრიანია მათი ქართული ექვივალენტების გამოყენება. თუმცაღა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ვერ ხერხდება ამათუ იმ ტერმინის ერთი სიტყვით ჩანაცვლება და იქმნება გარკვეული ფრაზის გამოყენების აუცილებლობა. სწორედ

ჭარბსიტყვიანობის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ამგვარი უცხოური, კერძოდ ინგლისურენოვანი ტერმინები. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ისეთ აქტუალურ ტერმინებს, როგორცაა სკრინინგი-(screening), რომლის სრული მნიშვნელობის-ავადმყოფების გადარჩევის მეთოდი პათოლოგიური პროცესის გამოვლენის მიზნით, გადმოცემა ერთი ქართული ექვივალენტით ვერ მოხერხდა. ამიტომაც ის ჩანაცვლდა და დამკვიდრდა ქართულში ინგლისურენოვანი ტერმინით- screening. ასთივე მაგალითისათვის გამოდგება თანამედროვე მედიცინაში, კერძოდ რადიოლოგიაში დამკვიდრებული ინგლისურენოვანი ტერმინი-სკანირება (scanning-ყურადღებით ცქერა)- გამოსხივების ნაკადის სივრცობრივი გადახრა ობიექტის სხვადასხვა უბნების თანმიმდევრული გამოკვლევის მიზნით). ემერჯენსი-emergency. ამ სიტყვის ქართული შესატყვისი ერთი სიტყვით არის მიძღები, რაც სრულად ვერ ასახავს ინგლისურენოვანი ტერმინის მნიშვნელობას, რომელიც გადაუდებელ სასწრაფო დახმარებასაც მოიცავს. ამ შემთხვევაში ამ ტერმინის ერთი სიტყვით ჩანაცვლება ვერ ხერხდება. ამდენად წარმოიშვა გარკვეული ფრაზის გამოყენების აუცილებლობა. კრუპი croup (ინგლ. croup ხრინწიანიჩხავილი) - ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება, რასაც თან ახლავს შეშუპება, სანათურის შევიწროება და სუნთქვის გაძნელება (დახრჩობამდეც კი ხშირად ჭარბსიტყვიანობა ენისათვის არასასურველია და ამიტომაც, ასეთ შემთხვევებში მართებულად მიგვაჩნია მათი ჩანაცვლება ინგლისურენოვანი ტერმინით. ამ შემთხვევაში ემერჯენსი-თ, რადგან იგი სრულად ასახავს მნიშვნელობას, ხოლო ქართული ვერ გადმოსცემს სრულყოფილად. ამგვარმა ტერმინებმა თანამედროვე ქართულ ენაში ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი. ამგვარ შემთხვევებში მიგვაჩნია, რომ უპრიანია ინგლისურენოვანი ტერმინის გამოყენება ნაცვლად მრავალ კომპონენტისანი ფრაზისა. ენა ხომ დინამიკურია და არა სტატიკური, რაც იმას ნიშნავს, რომ ის გამუდმებით განიცდის პროგრესს, ცვლილებებს. ამას კი განაპირობებს შიდა და გარე

ფაქტორები. ვგულისხმობთ სამეცნიერო პროგრესს და ზოგადად გლობალიზაციის შეუქცევად პროცესს. ის ენა, რომელიც არ განიცდის ცვლელბებს დროსა და სივრცეში წყვეტს სიცოცხლეს. ანუ არ აქვს მომავალი თუკი მასში არ აისახება ახალი რეალიზები. ენა გამუდმებით იკვებება უცხო სიტყვებით, როდესაც მასში არ მოიპოვება შესაფერისი ექვივალენტები. ცხოვრებაში შემოდის ახალი რეალიზები, რაც აქამდე არ არსებობდა და ენაში რჩება ინტერნაციონალიზმების სახით. მედიცინის ტერმინოლოგიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვამღევეს ფართო არეალს ტერმინთა შემოდების საკითხების შესწავლისას, იმდენად რამდენადაც ინგლისური ენის განვითარების ისტორიული სპეციფიკა არეკლილია ამ მეცნიერების ლექსიკის ხასიათში, საინტერესო ხდება წარმოჩნდეს ახალ ტერმინთა წარმოქმნის მიზეზები, რომლებიც დამოკიდებული როგორც ექსტრალინგვისტური ასევე ლინგვისტურ ფაქტორებზე თანამედროვე მედიცინის ინგლისურენოვან ტერმინოლოგიურ სისტემაში. სამედიცინო ტერმინოლოგია ენისა და საზოგადოების ურთიერთობის პროცესში წარმოიშვა ენათმეცნიერების განვითარების შედეგად. იმდენად რამდენადაც თავისი ბუნებით სოციალური კატეგორიას მიეკუთვნება, სწორად ტოტალური პირობები განსაზღვრავენ ენობრივ ცვლილებებს. ენის სოციალური ბუნება განსაკუთრებით მჟღავნდება სიტყვათა სემანტიკურ ცვლილებებში. განმარტებით სიტყვების მნიშვნელობის ცვლილების ძირითადი მიზეზს წარმოადგენს სოციალური ფაქტორები, პირველ რიგში ენის სპონტანური განვითარება.

სოციალური ლინგვისტიკის ყველაზე აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს იმის კვლევა, თუ რა გავლენას ახდენს თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები ზოგად ენაზე, ინფორმაციის გაცემის ტერმინოლოგიური საშუალებები ასევე აჩქარებენ ინოვაციებს და ახალი გამოვლინებების დანერგვას ენაში.

ლიტერატურა:

1. სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისური განმარტებითი ლექსიკონი
2. <http://lexicon.med-doctor.net/>
3. <http://www.mkurnali.ge/>
4. Van Hoof H. Histoire de la traduction médicale en occident. CILL, 1993. 19: p. 1-2.
5. Hutchinson, T, & Waters, A. 1987. English for Specific Purposes: A learning-centered approach. Cambridge: Cambridge University Press.

Khatia Sherazadishvili
University of Georgia, PHD Candidate

Transformation of English Medical Terminology into Georgian

SUMMARY

Translation requires more than exchanging terms or phrases in one language for another, adhering to the rules of grammar, and choosing the appropriate register. Because language is closely linked to subject-matter knowledge, translators must know the subject they are addressing, not only to successfully master translation problems, but to, first of all, be aware of and identify potential pitfalls, some of which have been highlighted above.

The text genres a medical translator is most likely to work in include study protocols, clinical reports, package inserts, biomedical articles, monographs, commercial brochures, and patient education material. All of these genres differ in terms of their function and purpose, their 'whats' and 'whys', their audiences, and the expectations of these audiences. The translator must have a full understanding of both the source and the target text, and of what the author intends to say and what the recipient needs to hear. In this sense, every translation is a sort of interpretation, and

even a seemingly minor misinterpretation and mistranslation, e.g. in a package insert, can have serious practical consequences.

key words: transformation, terminology, vocabulary, communication, equivalent, adequate, notion, analogy, ambiguity, reality, actuality.

*Хатия Шераздишвили,
Докторант ГТУ*

Трансформация Английской Медицинской Терминологий в Грузинский Язык

РЕЗЮМЕ

Перевод требует больше, чем обмен слова или фразы с одного языка на другой, придерживаясь правил грамматики, и выбрав соответствующий регистр, потому что язык тесно связан с предметным знанием, переводчики должны знать они адресации, не только успешно осваивать проблемы перевода, но, прежде всего, быть в курсе и определить потенциальные ловушки, некоторые из которых говорились выше.

Текст жанры медицинский переводчик, скорее всего, включают в себя протоколы исследования, клинические отчеты, вкладыши, биомедицинские статьи, монографии, коммерческие брошюры и учебные материалы для пациента. Все эти жанры отличаются с точки зрения их функции и цели, их «что» и «почему», свою аудиторию и ожиданиям этих аудиторий.

Переводчик должен иметь полное понимание как источника и целевого текста, и о том, что автор намерен сказать и о том, что получатель должен услышать. В этом смысле, каждый перевод является своего рода интерпретации, и даже, казалось бы, незначительное неверное истолкование и неправильный перевод, например, в листке-вкладыше, может иметь серьезные практические последствия.

Ключевые слова: трансформация, терминология, лексика, коммуникация, эквивалентно, адекватный, понятие, аналогия, двусмысленность, реальность, действительность.

т.о. не касается структуры всего предложения в целом и существенна лишь для строения определенного члена предложения (определение и определяемое выступают в предложении как один комплексный член)» [3, 175]. «Атрибутивная ... связь меняет не строение предложения, а строение его элементов» [3, 183]. Следует добавить, что А.И.Смирницкий употребляет термин «атрибутивная связь» в широком смысле, как связь между ведущими и зависимыми членами в пределах одного комплекса [3, 184], различая присубстантивные и приглагольные определения. А.И. Смирницкий относит обстоятельства образа действия к определениям, так как и определение и обстоятельство образа действия стоят в тесной связи с определяемым словом и выражают кваликативные отношения и «имеют одну и ту же адъективную основу» [3, 225). К тому же обстоятельство образа действия выражается качественными наречиями, которые образованы от основы прилагательного.

О. Есперсен несколько иначе толкует сущность синтаксической связи в предложении и дает следующую классификацию всех возможных в языке синтаксических связей: нексусные и юнктивные связи. Нексус, по Есперсену, это такой вид связи, который соотносит сказанное с действительностью. Юнкция, напротив, не может соотнести сказанное с действительностью. «In a junction the joining of the two elements is so close that they may be considered one composite name for what might in many cases just as well have been called by a single name... If we compare “the red door” and “the barking dog”, on the one hand (junction), and on the other “the door is red” and “the dog barks” or “the dog is barking” (nexus), we find that the former kind is more rigid or stiff, and the latter more pliable; there is, as it were,

more life in it. A junction is like a picture, a nexus is like a drama or a process. In a nexus something new is added to the conception contained in the primary...” [4, 95-96].

Если мы попытаемся синтезировать синтаксические концепции Реформатского и Есперсена, то увидим, что все синтагмы, выделяемые Реформатским, кроме предикативной, являются разновидностями юнкции и, следовательно, можно говорить об атрибутивной, объектной и релятивной юнкции.

При анализе атрибутивной синтагмы, т.е. атрибутивного вида юнкции в английском языке следует учитывать 2 проблемы: а) проблему материальной выраженности членов атрибутивной синтагмы и б) проблему расположения элементов в пределах синтагмы.

Атрибутивная синтагма состоит из двух членов – определяемого и определяющего (определяемого и определения). А.И. Смирницкий отмечает: «... говоря о ведущем и зависимом словах, не следует смешивать «ведущий и зависимый» в грамматическом и лексическом плане. Нередко оказывается, что грамматически зависимое слово является ведущим лексически, а грамматически ведущее слово – второстепенным с точки зрения лексических отношений между словами» (He is a good doctor) [3, 177].

Определяемый член синтагмы может быть выражен существительным, местоимением, числительным. Прилагательные, существительные, местоимения, числительные, неличные формы глагола, некоторые наречия и другие слова могут выполнять функцию определяющего члена атрибутивной синтагмы. Признаком определительной функции слова в английском языке служит позиция, которую оно занимает, исключая указательные местоимения this, these, that, those, которые

согласуются с определяемым в числе. По семантическому признаку определения можно разделить на качественные, количественные и обстоятельственные, а по положению относительно ядра синтагмы - на препозитивные и постпозитивные.

Нашей задачей является анализ особенностей употребления неличных форм глагола в качестве определяющих членов атрибутивной синтагмы.

Причастие настоящего времени в функции определения определяет существительное или местоимение, дает дополнительную информацию о людях или предметах, выраженных существительными. Причастие в этой функции может стоять в препозиции или постпозиции по отношению к определяемому существительному. Простая форма единичного причастия настоящего времени обычно употребляется в препозиции: *The twisted limbs, the gaping mouths, the staring lustreless eyes, fascinated him* (6, 223). *She wiped her eyes with shaking hands.* (6, 96) *There was a rustle of chirruping swallow in the green lacquer leaves of the ivy...* (6, 32) Причастие, употребляемое в качестве препозитивного определения, может выражать признак, основанный на действии или иметь значение, близкое к значению прилагательного. Иногда препозитивные причастия приобретают закрепленное значение качества и превращаются в прилагательные: *exceeding, charming, overwhelming*. *Basil Hallward's compliments had seemed to him to be merely the charming exaggerations of friendship.* (6, 45) *I think that is their distinguishing characteristic.* (6, 61)

В постпозиции обычно употребляется простая форма причастия с зависимыми от него словами, однако нередко встречаются и единичные причастия. Причастие настоящего времени в постпозиции выражает действие одновременное с действием, выраженным

глаголом-сказуемым предложения: ... *we watch the dawn remaking the world in its antique pattern.* (6, 161) *Most of the people dancing were women.* Причастные группы не могут стоять в препозиции, так же как и причастия, образованные от тех глаголов, которым несвойственно выступать без дополнения.

Следует отметить, что при употреблении одного и того же причастия в препозиции и постпозиции может наблюдаться определенное различие в семантическом плане. В том случае, когда причастие указывает на качество существительного, на его типичные свойства, оно стоит в препозиции. Причастие в этой позиции и с таким значением сближается с прилагательным. С другой стороны, причастие в постпозиции подчеркивает действие, характерное для существительного в данный период времени, дает временную характеристику определяемого. Сравним, например, «*a climbing plant*» и «*a man climbing the tree*». В первом случае «*climbing*» - это постоянное, характерное свойство некоторых растений. Во втором же примере это слово обозначает действие, выполняемое человеком в течение определенного отрезка времени, мы видим, как он выполняет это действие. Следовательно, сочетание «*a climbing man*» не очень естественно, потому что «*climbing*» не является характерной чертой этого человека.

Причастие прошедшего времени в функции определения характеризует определяемое существительное, описывая его признаки и свойства. Пассивное значение причастия прошедшего времени, которое присуще всем его формам, четко проявляется и в атрибутивной функции: *a broken window, the people invited* и т.д.

They had sometimes said it themselves: a forgotten army of forgotten men (6, 61). *Don't run down dyed hair and painted faces.* (6, 74) Однако, причастие прошедшего времени

непереходных глаголов имеет активное значение: a retired teacher, a married woman, a grown man и т.д. I hate the way you talk about your *married* life, Harry. (6, 23)

Подобно причастию настоящего времени, причастие прошедшего времени может быть как препозитивным, так и постпозитивным определением. В препозиции оно выражает состояние или признак, тогда как в постпозиции оно характеризует действие. Сравните: The broken window and The window *broken* last night. Nowadays a *broken* heart will run to many editions. (6, 30) She lives with her mother, a *faded, tired* woman. (6, 76) His eye fell on a large purple satin coverlet heavily *embroidered* with gold... (6, 148) Следует отметить, что постпозитивные причастия прошедшего времени с зависимыми словами могут быть как ограничительными (defining), так и распространительными: Cars *parked illegally* will be removed. He climbed the mountain, *covered with snow*.

Не все причастия прошедшего времени могут занимать обе позиции. Причастия с активным значением редко употребляются как в одной, так и в другой позиции. Однако, если эти причастия образуют сложные слова с наречиями в качестве первого элемента, то они стоят в препозиции. Например: a *well-read* man, a *much-travelled* man, the *newly-arrived* immigrant, a *soft-spoken* person, our *recently-departed* friend, a *newly-born* child и т.д. The thoroughly *well-informed* man – that is the modern ideal. (6, 31)

... in accordance with a wise and *well-known* rule. (6, 59)

Причастие прошедшего времени большинства переходных глаголов может быть как препозитивным, так и постпозитивным: I have his *written* promise. Here is a letter *written* by Tom. ... movements *elaborately* repeated, produced ... a form of reverie... (6, 155)

Однако причастия прошедшего времени некоторых переходных глаголов, таких как *discussed, questioned, left* и т.д. могут стоять только в постпозиции, потому что они обозначают скорее действие, чем состояние или признак: The problem *discussed* at the meeting excited us. Many of the people *questioned* refused to answer.

Иногда одно и то же причастие прошедшего времени может иметь разные значения в зависимости от занимаемой позиции: The people *concerned* (the people in question).

A *concerned* expression (a worried expression). The solution *adopted* (the solution chosen).

An *adopted* child (a child who lives with people who are not his biological parents).

Герундий в функции определения может стоять в препозиции и постпозиции. В препозиции употребляется только простая форма герундия без предлога: Her heavy *riding* jacket was lumpish across her square solid shoulders (5, 149) Такое употребление сближает герундий с причастием, но это только внешнее сходство, так как причастие указывает на признак по действию, производимому определяемым (лицом или предметом), которое выражено существительным: a *writing* man, a *dancing* girl, *sleeping* child. Герундий указывает на признак, связанный с назначением предмета, выраженного существительным, на признак, уподобляющий его чему-то. Это существительное не может совершить действие, выраженное глагольной ing-формой: a *reading* material = a material for *reading*; a *sleeping* car = a car for *sleeping*. Герундий, таким образом, входит в состав сложных существительных, например: a *writing* table, a *booking* office, a *swimming* pool, a *driving* force, a *drilling* machine.

В функции постпозитивного определения герундий в большинстве случаев стоит при

отвлеченном существительном – *art, hope, idea, freedom, intention, thought, chance, difficulty, objection, delight* etc. В роли определения герундий обычно стоит после поясняемого существительного с различными предлогами, чаще с *of*, реже с *for, in, at, about* и *to*. Чаще встречается после таких абстрактных существительных, как например: *chance of, hope of, idea of, interest in, reason for, right of, thought of, way of* и т.д. I shudder at the thought of *being free*. (6, 92) What was your reason for *refusing to exhibit my picture?* (6, 142) I am much obliged to you for your kindness *in coming round*. (6, 153)

В последнем примере конструкция «for + герундий» определяет конкретное существительное и имеет дополнительное значение цели. Наряду с герундием одиночным, а также с простыми герундиальными оборотами, в функции определения употребляются и сложные обороты с герундием: Gradually it had begun to grow on her that her father really thought she was a man, that the pretence of *treating her as a male*, as a person to be called Peter, was not a pretence any longer (5, 150). The new manner in art, the fresh mode of *looking at life*, suggested so strangely by the merely visible presence of one who was unconscious of it all... (6, 57) Иногда герундий употребляется для уточнения или конкретизации идеи, выраженной отвлеченным существительным. В таких случаях герундий выступает в функции приложения: She enjoyed her job, *teaching English to foreign students*. Герундий в такой функции указывает на частичное равенство с определяемым словом, которое шире его по значению.

Инфинитив в функции определения соотнесен с определяемым как со своим субъектом, активным или пассивным, в тех случаях, когда определяемое выражено конкретным существительным, неопределенными или

отрицательными местоимениями, прилагательными или числительными в роли предметного члена. Инфинитив в функции определения чаще имеет форму страдательного залога и отвечает на вопрос *какой?* Инфинитив-определение включает в себя модальный оттенок долженствования, возможности (иногда желания) или передает будущее время.

Инфинитив в функции определения всегда стоит в постпозиции и может иметь зависящую от него группу. А.И.Смирницкий отмечает: «инфинитив – именная (субстантивная) категория по своему происхождению; частица «to» по происхождению предлог и инфинитив естественно ставится на том же месте, что и существительное с предлогом т.е. после определяемого слова.»[3, 248].

В функции определения употребляется только инфинитив с частицей «to». При бессоюзном соединении частица «to» стоит перед каждым инфинитивом в фразе, при союзном соединении частица стоит только перед первым инфинитивом: For a few moments the longing *to move into the sun*, combined with the longing *to be touched, to be spoken to and to be comforted*, was almost too much for her (5, 158). Инфинитив может выступать в качестве определения при отвлеченных и конкретных существительных, неопределенных местоимениях, порядковых числительных и прилагательном «last». He felt that his could not be the hand *to take the handkerchief away...* (6, 246) considering that I shall be the first *to build...* I have no desire *to help you*. (6, 204) ... he scribbled a note to Lord Henry asking him to send him round something *to read*. (6, 149) I'm the last *to close up...* Then he ... gave it to his valet, *with orders to return as soon as possible...* (6, 206).

В функции определения может стоять как одиночный инфинитив, так и сложные

конструкции с инфинитивом: They called each other Johnson and Burke, as if Christian names were a soft concession *not to be tolerated* (5, 59). Women ... inspire us with the desire *to do masterpieces...* (6, 104) Инфинитив в качестве определения может выражать различные отношения с определяемым существительным. Эти отношения могут быть субъектными, объектными, обстоятельственными и аппозитивными.

При субъектных отношениях действие или состояние, выраженное инфинитивом, исходит от определяемого (поясняемого) существительного: Good resolutions are useless attempts *to interfere with scientific laws*. (6, 127) Have you got anything *to cure a bad cold*? При объектных отношениях определяемое существительное находится под влиянием действия или состояния, выраженного инфинитивом: Can you give me some work *to do*? Civilization is not by any means an easy thing *to attain to*. (6, 246).

Обстоятельственные отношения указывают на место, время и образ действия, выраженного инфинитивом: The place (for you) *to stay* is the university guest house.

It will soon be the time *to leave*.

При аппозитивных отношениях инфинитив поясняет или уточняет определяемое слово, которое обычно выражено отвлеченным существительным. В качестве определяемых слов часто употребляются такие абстрактные существительные как: *ability, appeal, agreement, proposal, advice, resolution, decision, inclination, fact, attempt, desire, readiness, willingness, determination, intention, invitation, necessity, obligation, refusal, promise, will, wish*: The appeal *to give blood* received strong support. I have no wish *to quarrel with you*. ... there was no reason *to waste one's time over him*. (5, 358).

Аппозитивные отношения значительно отличаются от субъектных, объектных

и обстоятельственных. Словосочетания с такой связью невозможно заменить на определительные придаточные предложения. Инфинитив в таких словосочетаниях указывает на частичное равенство по отношению к определяемому слову, значение которого шире, чем значение инфинитива.

Таким образом, употребление неличных форм глагола в составе атрибутивно-юнктивной синтагмы иллюстрирует такие специфические синтаксические возможности английского языка как широкая лексическая разнородность атрибутивного адьюнкта и возможность препозитивного и постпозитивного его употребления.

Литერატურა

1. Ахманова О.С. Словарь лингвистических терминов. Москва, 1966.
2. Реформатский А.А. Введение в языковедение. Москва, 1967.
3. Смирницкий А.И. Синтаксис английского языка. Москва, 1957.
4. Jespersen O. Essentials of English Grammar. London, Routhledge, 2007.
5. Bates H.E. Colonel Julian and Other Stories. Penguin Books, 1955.
6. Wilde Oscar. The Picture of Dorian Gray. Moscow, 1963.

*მანანა ჩხარტიშვილი, თამარ ბაკურაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

ზმნის უპირო ფორმები ატრიბუტულ სინტაგმაში

რეზიუმე

დაქვემდებარებით შესიტყვებაში ერთი წევრი განსაზღვრულია, მეორე კი – განმსაზღვრელი. ატრიბუტული სინტაგმის განმსაზღვრელი წევრი ასახელებს განსაზღვრული წევრის რაიმე თვისებას დროისა და კილოს კატეგორიების გარეშე. შესიტყვებები ატრიბუტული კავშირით

წინადადებაში ერთიან, კომპლექსურ წევრებად გვევლინებიან, ისინი არ მოქმედებენ წინადადების სტრუქტურაზე. სინტაგმაში ზმნის უპირო ფორმების გამოყენების შესწავლისას, გამოვლინდა ამ ფორმებისათვის დამახასიათებელი თვისებები. ნაჩვენებია, რომ ზმნის უპირო ფორმების გამოყენება ატრიბუტული სინტაგმის შემადგენლობაში დამოკიდებულია როგორც მათ ლექსიკურ მნიშვნელობაზე, ასევე მათ პოზიციაზე.

საკვანძო სიტყვები: სინტაგმა, ატრიბუტული, ფორმა, უპირო, ზმნა, წევრი.

*Manana Chkhartishvili, Tamara Bakuradze
Грузинский Технический Университет*

Неличные формы глагола в атрибутивной синтагме

РЕЗЮМЕ

В подчинительных словосочетаниях один член связан с другим отношением подчинения, т.е. один член является определяемым, а другой – определяющим. В атрибутивной синтагме определяющий член называет какой-либо признак определяемого вне категорий времени и склонения. Словосочетания с атрибутивной связью выступают в предложении как один комплексный член, не касаясь структуры всего предложения в целом. При изучении особенностей употребления неличных форм глагола в качестве определяющих членов атрибутивной синтагмы выявлен ряд особенностей, присущих этим формам, показано, что употребление неличных форм

глагола в составе атрибутивной синтагмы зависит как от их лексического значения, так и от позиции, занимаемой в синтагме.

Ключевые слова: синтагма, атрибутивная, форма, неличный, глагол, член.

*Manana Chkhartishvili, Tamara Bakuradze
Georgian Technical University*

Non-Finite Forms of the Verb in the Attributive Syntagma

SUMMARY

Word-combinations and sentences are the main units constituting the syntactic level, one of the levels in the stratification model of the language. In subordinate word-combinations one element is connected to the other through subordination i.e. one element is the determined, the other – the determinant. In the attributive syntagma the determinant names some feature of the determined element without correlating it to the tense and mood. Attributive word-combinations form complex members of the sentence which do not affect its structure as a whole. The study of non-finite forms of the verb in the attributive syntagma revealed certain characteristic features of these forms. It is shown that the use of the forms depends on their lexical meaning as well as on their position in the syntagma.

Key words: syntagma, attributive, form, non-finite, verb, member.

და სემანტიკა” წინ წამოწევს სემანტიკის აქტუალობას, აღნიშნავს რა, რომ მოსაუბრის ინტენციები და მყურებლის პასუხები კვლავ სემანტიკას დაუბრუნდა, ოღონდ პრაგმატიკის და სასაუბრო აქტების თეორიის გათვალისწინებით [Norrick2004:78].

აქედან გამომდინარე დისკურსის ანალიზის დროს სემანტიკური კვლევა უნდა მიმდინარეობდეს პრაგმატიკულ ასპექტში, რადგან ცალკეული სიტყვის ან შესიტყვების შესწავლა განყენებულად არ იქნება სრულყოფილი, ისინი უნდა შევისწავლოთ კონტექსტთან ერთად, რათა უკეთ აღვიქვათ და გავიგოთ ყველაფერი და ასევე თუ რა მიზნით გამოიყენება ესა თუ ის სემანტიკური თუ პრაგმატიკული ხერხი.

ლევინსონი თავის ნაშრომში „პრაგმატიკა” (1983) აღნიშნავს, რომ მრავალი განმარტებისგან ის პრაგმატიკის განმარტებად მიიჩნევს იმ კონკრეტულს, რომელიც განმარტავს პრაგმატიკას, როგორც, მნიშვნელობას/აზრს გამოკლებული სემანტიკა, ანუ ხაზს უსვამს **კონტექსტის** მნიშვნელობას [Levinson 1983].

იულესათვის პრაგმატიკა ინტერპრეტირებული მნიშვნელობაა. ის აღნიშნავს, რომ პრაგმატიკა იმ მნიშვნელობათა შესწავლას ემსახურება, რომელიც მოსაუბრის (ან მწერლის) კომუნიკაციის პროდუქტია, ხოლო მსმენელის (ან მკითხველის) ინტერპრეტაციის შედეგი [Yule 1996:3].

შესაბამისად, მის ინტერესს და კვლევის მიზანს წარმოადგენს ინდივიდის მიერ ნაგულისხმევი ანალიზი და არა საკუთრივ სიტყვათა და ფრაზათა მნიშვნელობების შესწავლა. იულეს მიერ პრაგმატიკის მიზნებისა და შესწავლის სფეროს განსაზღვრება შემდეგნაირია:

პრაგმატიკა ინდივიდის ნაგულისხმევის შესწავლაა – გამონათქვამში არა სიტყვათა ანალიზი, არამედ გამონათქვამის საშუალებით გამოხატული მნიშვნელობის ანალიზია მოცემული;

პრაგმატიკა **კონტექსტუალური** მნიშვნელობის შესწავლაა – შესწავლა იმისა, თუ რას გულისხმობენ ადამიანები სხვადასხვა კონტექსტში და, რა სახის ზემოქმედებას ახდენს კონტექსტი მათზე;

პრაგმატიკა იმის შესწავლაა, რამდენად ბევრია გადმოცემული ნათქვამთან შედარებით – ერთგვარი „უხილავი“ მნიშვნელობის შესწავლა. ეს იმ ხერხების შესწავლაა, რომელსაც მსმენელი იყენებს, რათა დასკვნა გამოიტანოს მოსაუბრის მიერ გამონათქვამში ნაგულისხმევის შესახებ;

პრაგმატიკა აგრეთვე არის „ფარდობითი“ დისტანციის კვლევა. მოსაუბრე „ირჩევს”, თუ რა და რამდენი თქვას იმის მიხედვით, თუ რამდენად ახლოს ან შორს არის მსმენელი [ფარჯანაძე 2010: 22, იულე 1996:3].

აქედან გამომდინარე პრაგმატიკა ადამიანს, როგორც სოციალურ და კულტურულ ინდივიდს განიხილავს, რომელიც გარკვეულ კულტურულ და **სიტუაციურ კონტექსტში** მოქმედებს და გამოხატავს გარკვეულ აზრს, შესაბამისად მათი შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ სინტაქსურ და სემანტიკურ დონეზე.

მრავალი მკვლევარი ცდილობს პრაგმატიკის ზუსტი განმარტების ფორმულირებას. პრაგმატიკა განმარტებულია, როგორც: ურთიერთობა ლინგვისტურ ფორმებსა და თანამონაწილეებს შორის კომუნიკაციურ აქტებში, ისევე როგორც გრამატიკისა და სემანტიკის ერთობლიობა [Fawcett 1997:123]. პრაგმატიკა იმ კონკრეტული მიზნების შესწავლაა, რომლისთვისაც გამოიყენება შესაბამისი წინადადება [Stalnaker 1990:59]. ბეიკერისათვის პრაგმატიკა იმ მნიშვნელობების შესწავლაა, რომელიც არათუ ლინგვისტური სისტემის პროდუქტია, არამედ კომუნიკაციაში თანამონაწილე პირების მანიპულირების შედეგია [Baker 1992:217].

ვან დეიკი კი აღნიშნავს, რომ **კონტექსტური** მოდელები ჩვეულებრივ აკონტროლებენ არა იმას, თუ რა ითქვა, არამედ იმას, თუ როგორ ითქვა. ისინი შეგვიძლია მივიჩნიოთ დისკურსის პრაგმატიკულ და სტილისტიკურ მახასიათებლებად. **სწორედ კონტექსტის მოდელები** ანუ პრაგმატიკული ხერხები აკონტროლებენ იმას, თუ რა რელევანტური ინფორმაცია მოიცვა ტექსტის სემანტიკურმა რეპრეზენტაციამ [Dijk 2002:216].

რაც შეეხება ზოგადად **კონტექსტის** ცნებას იგი ცნობილია როგორც ტერმინი სიტუაციონალურობა,

რომელიც მომდინარეობს ბიუგრანდისა და დრესლერის მიერ [Baugrande R.A; Dressler W, 1981: 163], იგი არის ტექსტუალურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტანდარტი და ცნობილია როგორც „კონტექსტი“ ლიტერატურულ მეცნიერებასა და ლინგვისტიკაში.

იგი გამოხატავს ტექსტში ასახული ინფორმაციის რელევანტურობას იმ გარემოსთან, რომელშიც ადრესატი იმყოფება, ასევე იგი გამოხატავს კომუნიკაციურ სიტუაციას რომელიც აქტუალურად მოქმედებს მოცემულ კონტექსტში.

ეს სტანდარტი ეხება იმ ფაქტორებს, რომელთა გამო მოცემული ტექსტი შეიძლება შეესაბამებოდეს განსაზღვრულ სიტუაციას და კონტექსტს და იყოს ადეკვატურად აღქმული. ტერმინი „სიტუაციონალურობა“ ჩვეულებრივად იმ ფაქტორებზე მიგვითითებს, რომელთა გამოც ტექსტი შეესაბამება მიმდინარე მოვლენებს და იმ ფაქტორებს, რის გამოც მისი აღქმა შესაძლებელი ხდება. ტექსტის შესაძლებელი აღქმა შეიძლება იყოს დამოკიდებული ჩვენს ადრინდელ ცოდნაზე იმის შესახებ, თუ როგორ არის აგებული „რეალური სამყარო“, როგორც უკვე ავღნიშნეთ იგი აქტუალურად მოქმედებს მოცემულ კონტექსტში და ასევე იგი ცნობილია როგორც „კონტექსტის“ ცნება ლიტერატურულ მეცნიერებასა და ლინგვისტიკაში.

ტერმინი „ კონტექსტი“ ეტიმოლოგია „ context“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „contextus“ რაც ნიშნავს:

1. ტექსტის ნაწილს, რომელიც გარშემორტყმულია სიტყვებით ან მოკლე ტექსტებით, რომელიც განსაზღვრავს მის მნიშვნელობას.
2. გარემოება, სადაც რაიმე შემთხვევა იკვეთება მაგ: (ომის ისტორიული კონტექსტი), მთლიანი სიტუაცია, პერსონალურობა, შემოქმედებითობა და სხვა.

ენა არ წარმოადგენს ბგერების ერთობლიობას, წესებს და მნიშვნელობებს; ის არის მთლიანი კოჰერენტული სისტემა რომელიც ერთმანეთთან ინტეგრაციაშია, რომელიც ძირითადად კონტექსტში აისახება [Kenneth I. Pike], ასევე როგორც ალფრედ მარშალი განმარტავს, “ ყველა სიტყვას აქვს თავისი

მნიშვნელობის ჩრდილი, რომელსაც ესაჭიროება ინტერპრეტირება კონტექსტის საშუალებით.

უკანასკნელმა კვლევებმა დასვა კითხვა კონტექსტის დეფინიციასთან დაკავშირებით, რომელიც განიხილება უფრო დინამიურად ლინგვისტურ და არა-ლინგვისტურ ურთიერთობებს შორის კომუნიკაციურ შემთხვევებზე დაყრდნობით.

კონტექსტის განხილვის ნაცვლად, რომელიც სტატისტიკურად გარშემორტყმულია საუბრის ხაზებით, კონტექსტი და საუბარი განიხილება როგორც, რეფლექსიური ურთიერთობა ერთმანეთის მიმართ, საუბართან , ინტერპრეტირებულ მუშაობასთან სადაც ფორმირებული კონტექსტი უფრო მეტია ვიდრე კონტექსტის ფორმის საუბარი. [Charles Goodwin and Allesandro Duranti, ” Rethinking Context: An Introduction,” in Rethinking Context: Language as an Interactive Phenomenon. Cambridge Univ. Press, 1992].

კონტექსტი ნიშნავს სიტყვებს რომელიც, მოიცავს სხვა სიტყვებს და ფაქტორებს, რომელთა გამო მოცემული ტექსტი შეიძლება შეესაბამებოდეს განსაზღვრულ სიტუაციას და კონტექსტს და იყოს ადეკვატურად აღქმული.

კონტექსტის ცნებები მოდის სხვადასხვა ფორმებიან და ეს შეიძლება იყოს:

- სიტყვის დეფინიციის მნიშვნელობა ტექსტიდან გამომდინარე.
- სიტყვის სინონიმები ან ანტონიმები, ფრაზის, წინადადების, ან პარაგრაფის ირგვლივ.
- მაგალითი რომელიც, გვხმარება სიტყვის უკეთ გაგებაში.
- გამეორება სიტყვის ან აზრის.

კონტექსტის შესწავლამ და მისმა კვლევებმა გვიჩვენა რომ, კონტექსტის ცნება შეიძლება განხილულ იქნას როგორც სიტყვის მნიშვნელობა და სწორედ აქედან გამომდინარე ჩვენ ვსწავლობთ თავდაპირველად სიტყვას და შემდეგ მის მნიშვნელობას როდესაც ვხვდებით მას ახალ და განსხვავებულ კონტექსტში. (Michael F. Graves, The Vocabulary Book: Learning and Instruction. Teachers College Press, 2006).

ამრიგად ჰალიდის და ჰასანის თანახმად [Halliday, Hassan, 1985:12], ტექსტი არ შეიძლება განხილულ იქნას კონტექსტის სიტუაციის აღქმის გარეშე, სადაც ტექსტი ტრიალდება და სადაც ისინი უნდა იყვნენ განმარტებულნი“. ისინი სამი ძირითადი პარამეტრებით ხასიათდებიან რომლებიც დახმარებას უწევენ კომუნიკანტებს რათა წინასწარ განსაზღვრონ მნიშვნელობის სახეობები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან, ესენია: დისკურსის სფერო, მნიშვნელობა და სახეობა.

სწორედ აქედან გამომდინარე სიტუაციონალურობა ანუ იგივე კონტექსტი ასახავს ინფორმაციის რელევანტურობას იმ გარემოსთან, რომელშიც ადრესატი იმყოფება და გამოხატავს კომუნიკაციურ სიტუაციას რომელიც აქტუალურად მოქმედებს მოცემულ კონტექსტში, სწორედ აქედან გამომდინარე კონტექსტის მოდელები ანუ პრაგმატიკული ხერხები აკონტროლებენ იმას, თუ რა რელევანტური ინფორმაცია მოიცვა ტექსტის სემანტიკურმა რეპრეზენტაციამ.

ლიტერატურა:

1. ფარჯანაძე ნიკოლოზ 2010. პრაგმატიკული მნიშვნელობის წარმოშობის სპეციფიკა (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე), სადოქტორო დისერტაცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
2. Austin, John L. 1962. How to Do Things with Words. Clarendon, Oxford 1962.
3. Baker M. 1992. In Other Words: A coursebook on translation. London: Routledge.
4. Baugrande R.A; Dressler W.1982. An Introduction to text Linguistics.
5. Goodwin Ch. and Duranti All. 1992. Rethinking Context: An Introduction to Rethinking Context: Language as an Interactive Phenomenon. Cambridge Univ. Press.
6. Dijk T.A. van 1985. Semantic Discourse Analysis. 4 Vols. London: Academic Press.

7. Fawcett, Peter 1997. Translation and Language, Manchester: St. Jerome Publishing
8. Hassan, R.1985. The texture of a text. In M.A. K. Halliday and R. Hassan (Eds). Language, text and context. Geelong, Vic: Deakin University. pp.70-97
9. Levinson, Stephen C. 1983. Pragmatics. Cambridge Univ. Press.
10. Mebuke, T. 2013, Reader in Text Linguistics and Discourse Analysis, Tbilisi. Publishing House “Technical University”.
11. Norrick, Neal R. 2004. Discourse and semantics. The handbook of discourse analysis, ed. by Deborah Schiffrin; Deborah Tannen; and Heidi E. Hamilton. Oxford: Blackwell. pp.76-99
12. Stalnaker, Robert 1990. In: Discourse and the Translator. Longman Group Limited, Longman Inc, New York.
13. Yule G. 1996. Pragmatics, Oxford: Oxford University Press.

მერი ცუცქერიძე

კონტექსტის ცნება და მასთან დაკავშირებული პრაგმატიკულ- სემანტიკური თავისებურებანი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ტექსტუალურობის ერთ-ერთი სტანდარტი -- სიტუაციონალურობა, რომელიც ცნობილია როგორც კონტექსტი ლიტერატურულ მეცნიერებასა და ლინგვისტიკაში, ის ასახავს ინფორმაციის რელევანტურობას იმ გარემოსთან, რომელშიც ადრესატი იმყოფება და გამოხატავს კომუნიკაციურ სიტუაციას რომელიც აქტუალურად მოქმედებს მოცემულ კონტექსტში, სწორედ აქედან გამომდინარე კონტექსტის მოდელები ანუ პრაგმატიკული ხერხები აკონტროლებენ იმას, თუ რა რელევანტური ინფორმაცია მოიცვა ტექსტის სემანტიკურმა რეპრეზენტაციამ.

Понятие контекста и связанные с ним прагматические и семантические особенности текста**The notion of context and its pragmatic-semantic features****РЕЗЮМЕ****SUMMARY**

В статье рассматривается один из стандартов текстуальности – ситуативность, которая известна как контекст в литературной науке и лингвистике. Она отражает релевантность информации с той средой, в которой находится адресат и выражает коммуникативную ситуацию, которая активно действует в данном контексте. Исходя из этого, модели контекста, то есть прагматические методы, контролируют то, какая релевантная информация покрывается семантической репрезентацией текста.

The paper deals with one of the main standards of textuality, - a situationality which is known as the context in literary studies and linguistics, it reflects the relevance of information to the situations in which the recipient exists and expresses the communicative situation which actively works in the given context. On these grounds the models of context, that is the pragmatic methods , control what relevant information is covered by semantic representation of the text.

გურულში გვაქვს ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი ჭონჭყოც. **ჭონჭყო** - შეფენება (ზემო ჩხუტუნეთი, ხელვაცაურის რ.), ფერდობი (ინტაბუეთი) და მრავალი სხვა..

3. **ლანდშაფტური ტერმინებიც** მრავალ შემთხვევაში გვხვდება ტოპონიმად სემანტიკური ტოპონიმიზაციის გზით.

აქ შეიძლება ოთხი ქვეჯგუფი:

ა) ხმელეთის ზედაპირი;

ბ) მცენარეული საფარი,

დ) ნიადაგი, ქვა-ქვიშა.

სათანადო მაგალითების მოხმობით განვიხილოთ ყველა მათგანი:

ა) **ხმელეთის ზედაპირის აღმნიშვნელი ტერმინები**: საკვლევ რეგიონში საკმაოა **დობირო** - უბანი, საყანე, ვაკე, სამოვარი, ტყე, ფერდობი და ა.შ. გურულში დობირო - "ვაკე ადგილი, სადაც ხებია აშვებული" (ალ. ლლონტი, გვ. 209). **ვაკე** - სოფელი (შრომის საკრებულო) - საყანე (ბუქსიეთი), სამოვარი (გოგოური).. **ვაკე** - სწორი, გაშლილი, უმთავორაკო ადგილი (ქეგლ). **კონცხი** - ბორცვი (ნაურმევი, შუშანდარი), კონცხი - კლდის (ან მთის) წინ წამოშვებული ნაწილია. 2. ზღვაში წვრილად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი (ქეგლ). გურიისა და ქვემო აჭარის ტერიტორიაზე 60-მდე ტოპონიმი არის.

მერე (დაბალი, ვაკე, სახნავი, საყანე, უბანი). ლექსიკონებში ეს სიტყვა განმარტებულია როგორც "ვაკე-სახნავი მდინარის პირას". მსგავსი ტერმინები საკმაოა.

ბ) **მცენარეული საფარის აღმნიშვნელი ტერმინები ტოპონიმებად**: **შხუნა/შხუნები** - ტყე, ბუჩქნარი (ახალსოფელი). შხუნა სიტყვა მეგრული ენის კუთვნილებაა, თუმცა საკვლევ რეგიონშიც გვხვდება; **ჩქვიფი** - ფერდობი (თავპანტა). ჩქვიფი - ხის ამონაყარი, ჩქოლა, ახალნაგები (ალ. ლლონტი, სიტყვის კონა). მსგავსი ნომენი საკმაოა.

გ) **სავარგულების აღმნიშვნელი ნომენები** ტოპონიმებად:

ახო - ფერდობი (ზედა შუხუთი), ტყე (აცანა, ნიგოთი). ახო საყანედ გაკაფული ტყეა (ქეგლ).

უყი - სამოვარი (ნაკადული)//**უყვი** - ტყე (ქოქო-

ლეთი, ხელვაჩაურის რ.). **უყი** - მიწა, ყამირი, გაუტეხელი მიწა, დიდხანს დასვენებული (ალ. ლლონტი, გვ. 528). ასევე გვხვდება ტოპონიმებად: **ბალი, ბოსტანი, ზვარე, მამული, კაპეტი, წალკოტი** და მრ. სხვ.

დ) **ნიადაგი, ქვა-ქვიშა**. ესენი ნაკლებპროდუქტიულად, მაგრამ მაინც მონაწილეობენ სემანტიკური ტოპონიმიზაციის პროცესში: **დიხაშხო** - შეფენება (სამება), საყანე (კოხნარი, დაბლაციხე, ზედა მამათი, ონჭიკეთი..), უბანი (მეწიეთი, განთიადი).. სულ სამი ათეული ტოპონიმი. დიხაშხო - ნიადაგი, კარგი მოსავლიანი მიწა. მეგრ. დიხა - მიწა (ალ. ლლონტი, გვ. 209). **როხი** - სანაპირო ოჩხამურის დელეზე, ქვიანი ადგილი (ლეღვა, ქობულეთის რ.) - საბანაო (განახლება), სამოვარი (ქვედა მამათი). როხი ზოგადად ქვიან ადგილს აღნიშნავს.

ჭერეხი - სამოვარი (კოხნარი). **ჭერეხი** - ქვა-ხვინჭკიანი ადგილი (ალ. ლლონტი, გვ. 719). მსგავსი მაგალითები საკმაოა საკვლევ რეგიონის ტოპონიმიში.

მარტივფუძიან ტოპონიმებად ზოგ შემთხვევაში გვხვდება ადამიანის გვარი ან სახელი ყოველგვარი გაფორმების გარეშე. მაგ. **სანიკიძე** - სახნავი (ჩოლობარგი) მიუთითებს ყოფილ მეპატრონეზე. **დივიტი** - ჩაის პლანტაცია (ბუკნარი, ქობულეთის რ.). ადგილობრივთა გადმოცემით, დივიტი გვარია. ამ პიროვნებას წინათ აქ აგარაკი ჰქონია. სხვათა შორის, შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ბათუმიდან ქობულეთამდე, რუსეთის იმპერიას XIX-XX სს. თავიანთი გადამდგარი სამხედრო მოხელეებისა და ჩინოვნიკებისათვის დაურიგებია სააგარაკე მამულები. აქედან შერჩენიათ ამ ადგილებს სახელად: **რემიზოვი** - ჩაის პლანტაცია (განთიადი, ხელვაჩაურის რ.), **ლიტვინოვი** - ფერდობი (მახინჯაური, ხელვაჩაურის რ.), **რობინოვი, სიბირიაკოვი, დიომნი** და სხვ.

ამრიგად, ასეთია **მარტივი** (ოდენფუძიანი, გაუფორმებელი) ტოპონიმები და მათი მიღების გზები.

ლიტერატურა:

1. შანიძე - ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
2. პ. ცხადაია - ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005.
3. ალ. ღლონტი - ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1981.
4. გ. ხორნაული გ. - ქართული ონომასტიკა, თბ., 2004.
5. ივ. ჯავახიშვილი - თხზულებანი თორმეტ ტომად
6. ვ. მალრაძე - გვარსახელიდან ნაწარმოები ოიკონიმები: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.
7. ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბ., 1951-1964.

რევაზ ძნელაძე,

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

მარტივი ტოპონიმები გურიასა და ქვემო აჭარაში

რეზიუმე

ავტორი გვთავაზობს გურიისა და ქვემო აჭარის ადგილის სემანტიკური ტოპონიმიზაციის (აპელატივი > ტოპონიმი) მისეულ კლასიფიკაციას: სემანტიკური ტოპონიმიზაციისათვის გამოყენებულია:

1. **ბოტანიკური ტერმინები:** კამური, მაგნოლია, ტევრი, ქასრა, კვიჭიჭა, ცაცხვი, წყავი, ჭიფერა, წიფელა და სხვა მსგავსი აპელატივები, რომლებიც საკვლევი რეგიონების ტოპონიმებად გვხვდება.

2. **ჰიდროგრაფიული ტერმინები:** გარამი, საცივი, ლენჭყი, ჭონჭყო, წყარო და ა.შ.

3. **ლანდშაფტური ტერმინები:** ა) ხმელეთის ზედაპირის აღმნიშვნელი აპელატივები: დობირო, ვაკე, შეფენება, კონცხი, ფერდობი, მერე და სხვ. ბ) მცენარეული საფარის აღმნიშვნელი აპელატივები: შხუნა, ჩქვიფი, ბუჩქნარი და სხვ. გ) სავარგულების

ნომენები: ახო, უყი, ბალი, ბოსტანი, ზვარე, მამული, კაპეტი, წალკოტი და სხვ. დ) ნიადაგი, ქვა-ქვიშა: დიხაშხო, როხი, ჭერები და სხვ.

4. ზოგ შემთხვევაში გვხვდება ადამიანის გვარი ან სახელი ყოველგვარი გაფორმების გარეშე: სანიკიძე - სახნავი (ჩოლოზარგი, ლანჩხუთის რ.).

ამგვარად, ნაშრომში გაანალიზებულია მარტივი ტოპონიმები და მათი მიღების გზები.

რევაზ ძნელაძე

Ассоциированный профессор

Грузинского технического университета

Простые топонимы в Гурии и Нижней Ачаре

РЕЗЮМЕ

Автор предлагает собственную классификацию семантической топонимизации (апеллятив>топоним) на территории Гурии и Нижней Ачары.

Для семантической топонимизации использованы:

1. Ботанические термины: камури, магнолия, чаща, касра (наименование растений), квичича, липа, лавровишня, чипера, ципела и др. похожие апеллятивы, которые встречаются в исследуемых топонимах региона.

2. Гидрографические термины: гарами (колодец), сациви (родник), ленчи (заболоченная местность), чончхо, источник и т.д.

3. Ландшафтные термины: а) апеллятивы, обозначающие земную поверхность: добиро, равнина, шепенеба, мыс, склон, мере (прибрежная равнина) и др. б) апеллятивы, обозначающие растительный покров: шхуна, чквипи, кустарник и др. в) номены угодьев: подсека, целина, сад, огород, зваре, имение,

капети, цветущий и др. г) почва, ква-квиша (мелкий песок): дихашхо (потрескавшаяся земля), рохи, жерех (зоол.) и др.

4. В некоторых случаях встречается фамилия человека: саникидзе – пахотный (чолобарги, ланчхутский р-он).

Итак, в работе проанализированы простые топонимы и пути их образования.

Ключевые слова: *онимизация, простые топонимы, апеллятив, семантическая топонимизация.*

Revaz Dzneladze

Associate Professor, Georgian Technical University

Simple Toponyms in Guria and Lower Adjara

SUMMARY

Key words: a noun transformation into a proper name, simple toponyms, appellative, semantic transformation of a noun into a toponym.

The author offers his own classification

of semantic transformation of a noun into a toponym (appellative > toponym) in Guria and Lower Adjara.

The following are used on semantic transformation of a noun into a toponym:

1. Botanical terms: ***kamuri*, *magnolia*, *thick forest*, *kasra*** (name of plants), ***kvichicha*, *linden*, *cherry laurels*, *chipera*, *cipela*** and other similar toponyms found in the toponyms of the region.

2. Hydrographic terms: ***garami*** (well), ***satsivi*** (spring), ***lenchkhi*** (marshlands), ***chonchkho*, *water spring***, etc.

3. Landscape terms: a) appellatives representing the Earth's surface: ***dobiro***, plain, ***shepeneba***, cape, slope, ***mere*** (the coastal plain), etc.; b) appellatives representing vegetation: ***shkhuna*, *chkvipi***, bushes, etc.; c) agricultural lands: virgin lands, orchard, ***zvare***, manor, ***kapeti***, blooming, etc.; d) soil, ***kva-kvisha*** (fine sand): ***dihashlho*** (cracked land), ***rokhi***, chub fish, etc.

4. In some cases, personal surnames: **Sanikidze** – arable (***cholobargi***, Lanchkhuti region).

Key words: *Thus, common toponyms and their formation are the assessed in the article.*

1847-1848 წლებში რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გამოსცა ნ. ი. ნადეჟდინის პროგრამა - ეთნოგრაფიული მასალების შეკრების პროგრამის სახელწოდებით. ეს პროგრამა მატერიალური და სულიერი კულტურების თითქმის ყველა სფეროს მოიცავდა. მასში ყველაფერი იმდენად ოპტიმალურად იყო გააზრებული, რომ მთელს XIX საუკუნეში ინარჩუნებდა მეცნიერულ ღირებულებას და არაერთ ანალოგიურ სამეცნიერო პროექტს დაედო საფუძვლად, მათ შორის გარკვეულწილად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხალხური სიტყვიერების შეკრების პროგრამასაც.

ნ. ნადეჟდინის პროგრამამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. მამულიშვილურ მოვალეობად იქცა ეთნოგრაფიული აღწერილობების შედგენა, ზეპირსიტყვიერი ტექსტების ძიება, ჩაწერა, კრებულების გამოცემა, ნაირგვარი სტატისტიკური ცნობების, გეოგრაფიული რუკების დამუშავება შექმნა. მოძიებული მასალის სიუხვემ და მრავალფეროვნებამ საზოგადოების ბეჭდური ორგანოს დაარსება მოითხოვა. მალე გაჩნდა კიდევაც ასეთი კრებული, სახელწოდებით “ზაპისკი იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშჩესტვა”.

თბილისში რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება 1851 წლის 10 მარტს გაიხსნა, იმავდროულად დაარსდა მისი ბეჭდვითი ორგანო - “ზაპისკი კავკაზსკოგო ოტდელა რუსსკოგო იმპერატორსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ოტდელა” (“ვკოირგო”), დამტკიცდა მისი რედაქცია. საზოგადოების ამ განყოფილებაში 9 წევრი გაერთიანდა: თავადი ვ. ო. ბებუთოვი, წევრებად მიიწვიეს: პლ. იოსელიანი, რაფ. ერისთავი, ნ. ბერძენიშვილი, დ. ყიფიანი, მ. ლომიძე. განყოფილების მუშაობის კონტროლი ევალებოდა კავკასიის მეფისნაცვალს მ. ვორონცოვს. ქართველი ავტორები განყოფილების საქმიანობის ახლოს არ გააკარეს, რადგან არ უნდოდათ, რომ მათ რაიმენაირად გავლენა მოეხდინათ მეცნიერული კვლევების მიმართულებისა და შინაარსის განსაზღვრაზე. ისინი მხოლოდ ნიჭიერი შემსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ, ამასთან საკვლევი მასალის ღრმა მცოდნენი.

გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას კოლექტიური თანამშრომელიც ჰყავდა. ეს იყო გაზეთ “კავკაზი” თავისი რედაქციის თანამშრომლებითა და კორესპოდენტებით. გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ადგილობრივი წევრების დიდი ნაწილი სწორედ “კავკაზის” კორესპოდენტებისაგან იყვნენ შერჩეულნი.

გაზეთ “კავკაზის” რედაქცია პრაქტიკულადაც იყო ჩართული გეოგრაფიული საზოგადოების საქმიანობაში. “კავკაზი” ხშირად ბეჭდავდა თავის ფურცლებზე საზოგადოების განცხადებებს, ასრულებდა სხვადასხვა დავალებებს.

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების დაარსებისა და მეცნიერული კვლევების მიზანი ოფიციალურად ამგვარად იყო ფორმულირებული ამ საზოგადოების პირველი კრებულის მოწინავეში:

კავკასიონის მწვერვალებზე ბევრი უკვე გადაშენებული ხალხის მყოფობის ისტორიული კვალია აღბეჭდილი, ისტორიული ამოცანის გასაღებია დამარხული. ეს ამოცანა მწელი გადასაწყვეტია იმის გამოც, რომ ძველი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მწერალთა დანატოვარ წერილობით წყაროებში ნაკლებად არის ასახული. ამიტომ მხოლოდ შემორჩენილი ენების, სახელების, უაღრესად ჭკუისსარგო წეს-ჩვევების, ადათ-წესებისა და გამოცემების შედარებითი შესწავლა დაგვრჩენიაო. მოწინავე წერილს ხელს აწერდა ვ. სოლოგუბი, რომელიც გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო კრებულის რედაქტორი იყო, აქტიურად თანამშრომლობდა “კავკაზის” რედაქციასთანაც. (იხ. “Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества” (ЗКОИРГО), том I, 1852, стр. XIV).

აქვე აშკარად იყო აქცენტირებული საზოგადოების მეცნიერული საქმიანობის პრაქტიკული ასპექტებიც. მითითებული იყო, რომ მთავრობას უჭირდა უცნობი მხარის მართვა. აუცილებელი იყო ადგილობრივი (აბორიგენი) ხალხების ტრადიციული ყოფის, ისტორიული წარსულის შესწავლა. საზოგადოების უმთავრეს მიზნად გაცხადებული იყო კავკასიის გეოგრაფიული რუკის შედგენა,

ისტორიული, ეთნოგრაფიული, სხვა სახეობების სტატისტიკური ცნობიერების შედგენა.

უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ აღნიშნული მიზნები სრულად განახორციელა. კავკასიის გეოგრაფიული აღწერა და სათანადო რუკის შედგენა უმოკლეს დროში განახორციელა პოდპოლკოვნიკმა **ო. ი. ხოდკომ**, ხოლო ნაირგვარი დანიშნულების სტატისტიკური კრებულების ბეჭდვა დაიწყო უკვე XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში განასრულა, ამ ტიპის ბოლო კრებულები 1916 წლით თარიღდება.

საერთოდ, ამ საზოგადოებამ სწრაფად და ენერგიულად დაიწყო მუშაობა, ყველანაირ წამახალისებელ ღონისძიებებს მიმართავდა კავკასიის მკვიდრი, რუსი თუ უცხოელი მკვლევრების მისაზიდად გრანდიოზული მასშტაბების კვლევებში მონაწილეობის მისაღებად; თბილისის სერიოზულ სამეცნიერო ცენტრად გადასაქცევად საზოგადოებამ სერიოზულად იზრუნა ბიბლიოთეკის, არქივის, მუზეუმებისა და გამომცემლობის დასაარსებლად. მაგალითად, ვ. სოლოგუბის ინიციატივით დაარსდა კავკასიის მუზეუმი, რომლის გახსნაშიც დიდი წვლილი შეიტანა რაფ. ერისთავმაც. ასევე გაიხსნა ბიბლიოთეკა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გეოგრაფიული საზოგადოების პირველ სამეცნიერო სერიას (პერიოდულ ორგანოს) 1872 წლიდან მოჰყვა მეორეც - "რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების უწყებანი" (შემოკლებით "ИКОИРГО". ორივე სერიის ტომეულებში უაღრესად საყურადღებო პროდუქციაა წარმოდგენილი.

მაგალითად, გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების კრებულებში სხვადასხვა წლებში გამოქვეყნდა: ი. ევლახოვის «Грузинские пословицы и изречения», кн. I, 1852; რაფ. ერისთავის «О Тушино-Пшаво-Хевсурском Округе», кн. III, 1855; ი. ა. ბარტოლომის «Поездка в вольную Сванетию», кн. III, 1852; პლ. იოსელიანის «Описание города Душета», кн. V, 1862; გ. ყაზბეგის «Три месяца в турецкой Грузии», ა. სტოიანოვის «Путешествие по

Сванетии», кн. X, 1876; გ. რადეს «Хевсурия и хевсури», кн. XI, 1881 ; პ. უსლარის «Древнейшие сказания о Кавказе», кн. XII, 1881 და «О колхах», кн. XIV, 1890; დ. ხიზანიშვილის «Пшавия и пшавы», кн. XVIII, 1896; რ. ერისთავის «Заметки о Сванетии», кн. XIX, 1897; მისივე «Заметки о монографии «Хевсурия и хевсуры», кн. XI, 1881 და «Извлечения из этнографических очерков Н. Урбнели о хевсурах» кн. XIX, 1897; გ. ჩურსინის «Народные обычаи и верования в Кахетии», кн. XXV, 1905; მ. ჯანაშვილის «Абхазия и абхазы», кн. XVI, 1894; «ИКОИРГО»-ში დაიბეჭდა: ა. ცაგარელის «Сообщение о поездке в Менгрелию», ე. ვეიდენბაუმის «Священие роши и деревья у кавказских народов», №5, 1877; მ. ჯანაშვილის «Легенда о кахетинском море», №14, 1905; მისივე ნეკროლოგი რაფ. ერისთავის გარდაცვალებაზე №14, 1905; ე. ცაგარეიშვილის «Свадьба в Имеретии», №XVIII, 1905.

ა. ოგრანოვიჩის «სპარსეთის პროვინციები - არდაბილი და სერაბი (1876, II გამოშვება); გ. ა. აბიხის «ავშერონის ნახევარკუნძულის პარაფინის შემცველი სასარგებლო წიაღისეულის შესახებ» (1879, III გამოშვება); ნ. გ. პეტრუსევიჩის «თურქმენები ამუდარიას ძველ კალაპოტსა და სპარსეთის ჩრდილოეთ სანაპიროს შორის» (1880, წიგნი XI, გამოშვება I); მისივე «ზორასნის ჩრდილოეთი პროვინციები», ასევე «კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო და გზა მერკში» (1880, II გამოშვება); პ. კ. უსლარის «უძველესი თქმულებები კავკასიის შესახებ» (1881, XII წიგნი); ნ. ი. დინნიკის თერგის მხრის მთები და ხეობები (1881, XIII წიგნი, I გამოშვება); მისივე «ოსეთი და რიონის სათავეები», ე. ვეიდენბაუმის «არარატი და მწვერვალზე ასვლის მცდელობანი», ნ. მ. ლესარის «შენიშვნები კასპიისპირა მხარის და მეზობელი ქვეყნების შესახებ», კ. ნ. როსინოვის «მგზავრობა ჩეჩნეთსა და მთიან დაღესტანში», მისივე «კონხიდატლი და ქვემო ენხელი», ნ. ი. დინნიკის «ყუბანის მხარის მთები და ხეობები» (1881, II გამოშვება); ს. ა. ელიაზაროვის «ერევნის გუბერნიის ქურობები», მისივე «კურმანჯიული ტექსტები», მისივე «ერევნის გუბერნიის იეზიდების მოკლე ეთნოგრაფიული-იურიდიული ნარკვევი», ასევე ი. ზ. კარცოვის

“შენიშვნები თურქეთის იეზიდების შესახებ”, ს. ა. ელიაზაროვის “ამონარიდები ბ. სტუფის შენიშვნებიდან იეზიდების შესახებ”, მისივე “მოკლე კურმანჯიულ-რუსული ლექსიკონი” და ლ. პ. ზასურსკის “მოკლე რუსულ-კურმანჯიული ლექსიკონი” (1881, წიგნი XIII, I გამოშვება);

ნ. ი. დინნიკის “მოგზაურობა დიგორიაში”, ნ. ა. ხუდადოვის “შენიშვნები ხევსურეთზე”, რ. დ. ერისთავის “შენიშვნები მონოგრაფიაზე “ხევსურეთი და ხევსურები”, ნ. ი. დინნიკის “მოგზაურობა ბალყარეთში”, რაფ. ერისთავის “ამონარიდები ბ. ურბნელის ეთნოგრაფიული ნარკვევებიდან ხევსურეთის შესახებ”, ნ. ი. დინნიკის “მგზავრობა ბალყარეთში 1887 წ.”, დ. ბაქრაძის “შენიშვნები ზაქათალას მხარეზე”, ნ. ი. დინნიკის “კავკასიონის ძველი და ახალი მყინვარები”, ვ. ს. მარკოვის “შახსევანები და მულამები” (1897, II გამოშვება); ს. ა. ელიაზაროვის “ქალაქური ამქარი. ამიერკავკასიის ამქართა ორგანიზება და შინამმართველობა”, პ. კ. უსლარის “ჩანაწერები კოლხების შესახებ” (1890, წიგნი XIV, I გამოშვება).

ა. კონტინის “ამუდარიას ძველი დინების შესახებ თანამედროვე გეოლოგიური და ფიზიკური გეოგრაფიის მონაცემებით”, ა. პასტუხოვის “ელბრუსზე ასვლა 1891 წ. 25. VIII”, ნ. დინნიკის “მოგზაურობა ოსეთში”, მისივე “მოგზაურობა ფშავსა და თუშეთში”, ნ. ფილიპოვის “რამდენიმე შენიშვნა კასპიის ზღვის შესახებ”, ნ. ალბოვის “ბოტანიკური ექსკურსია ლაზისტანში”, მისივე “1890 წელს აფხაზეთში ბოტანიკური მოგზაურობის შესახებ”, კ. როსიკოვის “ტბების დაშრობა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე”, ა. ხახანაშვილის “კავკასიის ისტორიული გეოგრაფიისათვის”; ი. პანტიუხოვის “ანთროპოლოგიური დაკვირვებები კავკასიაში”, ი. აკინფიევის “კავკასიის ფლორის ახალი და იშვიათი სახეობები, შეკრებილი 1888-1891 წწ.” (1893, წიგნი XV);

მ. ჯანაშვილის “აფხაზეთი და აფხაზები”, ი. აკინფიევის “სტავროპოლის გუბერნიის ბოტანიკური გამოკვლევა 1890 წ.”, მისივე “მგზავრობა არდონზე ოსეთსა და სვანეთში”, ნ. მ. ალბოვის “დასავლეთ ამიერკავკასიის ბოტანიკურ-გეოგრაფიული

გამოკვლევა 1898 წელს”, ე. დიკის “აფხაზეთის პირველყოფილი ტყე. კავკასიის ზღაპრული პიხტას სამშობლოში...” ზემო სვანეთში, ექსკურსია სომხეთის მთიანეთში...”, ნ. ჟუკოვის “სვანეთის ზოგიერთი მყინვარის აღწერა”, ა. პასტუხოვის “მგზავრობა კავკასიის მაღალმთიან სოფლებში” და ასვლა შახ-დაგზე”, კ. ნ. როსიკოვის “კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთის ცენტრალური ნაწილის მყინვარების და ტბების მდგომარეობა”, კ. რ. შალიკოვის “დუშეთის უეზდის ქსანის უბნის აღწერა”, ა. ნ. ანდრონიკოვის “თბილისის გუბერნიის ახალციხის უეზდის ურაველის უბნის აღწერა”, ნ. დინნიკის “ოშტეტი და მისი ყუბანის ოლქის მოსაზღვრე ნაწილები”, ა. ვ. პასტუხოვის “ასვლა არარატზე” (1898, წიგნი XVI).

ა. ვოზნესენსკის “ნალექების შესახებ კავკასიაში” (1893, წიგნი XVII); მისივე “კავკასიაში 1894 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში მოსული ატმოსფერული ნალექების მიმოხილვა”, ნ. ალბოვის “მოგზაურობა შავი ზღვის მთებში 1894 წ.”, მისივე “ბოტანიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევები დასავლეთ ამიერკავკასიაში 1894 წელს”, ი. პანტიუხოვის “კომიკების შესახებ”, დ. ხიზანიშვილის “ფშავი და ფშავლები”, ა. როსიკოვის “მოგზაურობა მთიანი ჩეჩნეთის ცენტრალურ ნაწილში” (1896 წიგნი XVIII) და სხვა.

კავკასიის ადგილობრივი (აბორიგენი) ხალხების ეთნოკულტურების კვლევები გეოგრაფიული საზოგადოების ეგიდით XIX საუკუნის დასასრულისათვის მეტნაკლებად გასრულდა. ძირითადი ეტაპები - სხვა და სხვა თემატიკა-პრობლემატიკის სტატისტიკური კრებულებისა და ცნობარების გამოცემა - უკვე ამის შემდეგ დაიწყო. ამასთან, ერთგვარად შეიცვალა სამეცნიერო კრებულების სტრუქტურა. კრებულის პერიოდულობა კვლავინდებურად ტომეულების პრინციპით აღინიშნება, ოღონდ კონკრეტული ტომი უკვე ერთი კრებულით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ცალ-ცალკე წიგნებად - ე. წ. “ვიპუსკებად” (выпуск). ამასთან არსად მიეთითება რამდენი “ვიპუსკისაგან” შედგება მოცემული კონკრეტული ტომი. დარღვეულია გამოცემის

რიგითობა, რაც ართულებს ქრონოლოგიის დადგენას. ასე, მაგალითად, “ЗКОИРГО”-ს 26-ე ტომის მესამე გამოშვება დაიბეჭდა 1910 წ. მასში მოთავსებულია ს. ვ. ფარფოროვსკის ნარკვევი “სტავროპოლის გუბერნიის ნოღაელები”, ამავე ტომის მეექვსე გამოშვება გამოქვეყნდა 1909 წელს. ეს გამოშვება მოიცავს ი. ნ. სტრიჟოვის ნაშრომს “О берекейском нефтянном месторождении”, სადაც აღწერილ დახასიათებულია ჭაბურღილები და ნავთობმარაგები.

1910 წელს 26-ე ტომის აღნიშნულ გამოშვებასთან ერთად დაიბეჭდა 27-ე ტომის პირველი გამოშვების პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს ნ. ი. დინნიკის გამოკვლევას “Китообразные и копытные”.

28-ე ტომის მეორე გამოშვება დაიბეჭდა 1912 წელს და შევიდა კ. ა. სატუნინის “კავკასიის მხარის ფრინველთა სისტემური კატალოგი”. ამავე ტომის მესამე გამოშვება გამოქვეყნდა 1913 წელს და მასში წარმოდგენილია დ. ი. სოსნოვსკის ნაშრომი “ზუნების ძეგლთა დაცვა კავკასიაში”, სადაც წიწვოვანი ტყის დაცვის საკითხებია განხილული. 28-ე ტომის მეხუთე გამოშვებაში კი დაბეჭდილია ა. ლალაიანის ნარკვევი “ვანის ვილაიეთის აისორები” (1915 წ.).

29-ე ტომის პირველი გამოშვება 1911 წელს გამოქვეყნდა, მეორე - 1915 წელს, ხოლო მესამე - 1916 წელს. შესაბამისად, პირველი გამოშვება დაეთმო კ. ი. პოდოზერსკის ნაშრომს “კავკასიის ქედის მყინვარები”, მეორე - ფ. ფ. ოსვალდის ნარკვევს - “სომხეთის მთიანეთის ტექტონიკური განვითარების ისტორიისათვის”, ხოლო მესამე - კ. ა. სატუნინის “კავკასიის მხარის ფაუნისტური კვლევების მიმოხილვა 1910-1914 წლების პერიოდში”. 29-ე ტომი მეოთხე გამოშვება 1916 წელს დაისტამბა. მასში შევიდა ა. ა. როსტოვცევის “ბიჭვინთის წიწვოვანი კორომი 3 გეგმარითა და 6 ნახატით”; ლ. მ. მელექსეთ-ბეგის “უძველესი ბიჭვინთა ევქინიის პონტთან”. ორივე ნაშრომი ბიჭვინთას ეძღვნება. ლ. მელექსეთ-ბეგის ნაშრომი “ზკოირგოს” რედაქციის ინიციატივით და ავტორის თანხმობით გადმობეჭდილია “ისტორიისა და სიძველეთა საიმპერატორო ოდესის საზოგადოების

ჩანაწერების” 33-ე ტომიდან. ეთნოკულტურის თვალსაზრისით საინტერესოს არაფერს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ ამ წლებში სხვა ტომების სხვადასხვა გამოშვებებიც იბეჭდებოდა. ზოგიერთ ტომს ახლავს მინიშნება გამოშვებათა რაოდენობაზე. მაგალითად, 29-ე ტომის მეოთხე გამოშვებას აწერია, რომ იგი “უკანასკნელია”, რასაც ვერ ვიტყვიტ სხვა ტომებზე. ასე რომ, ძნელდება იმის დადგენა, რომელი ტომი რამდენი გამოშვებისაგან შედგება.

30-ე ტომი კიდევ უფრო საინტერესო ვითარებას ცხადყოფს. მისი ძირითადი ნაწილი გამოვიდა 1913 წელს. მასში დაიბეჭდა დ. დ. პაგირევის შედგენილი “ანბანური სამიეხელი კავკასიის მხარის ხუთვერსტიანი რუკისა, რომელიც გამოსცა კავკასიის სამხედრო-ტოპოგრაფიულმა განყოფილებამ”. ეს გამოცემა გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ განახორციელა კავკასიის სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებასთან ერთად. ამ ტომს ახლდა დამატებაც. ეს დამატება ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1914 წელს. ყდაზე აღნიშნული იყო: Д. Д. Пагирев, Предметный указатель к «Перечню некоторых книг, статей и заметок о Кавказе». ამ ნუსხას განსაკუთრებული ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს. იგი რვა ათასზე მეტი დასახელების წერილს, სტატიას, გამოკვლევას, წიგნს მოიცავს, რომლებიც კავკასიის ხალხების ისტორიას, კულტურას, ყოფის შესახებ იყო დაწერილი XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში. თუ გავითვალისწინებთ, რომ კავკასიისმცოდნეობითი ბიბლიოგრაფიული ლიტერატურით ამჟამად არა ვართ განებივრებული და, მეტიც, აშკარად იგრძნობა დეფიციტი, ცხადი გახდება დ. პაგირევის ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობა.

რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება თავისი არსებობის მანძილზე (1846-1917), სახელისუფლებო პოლიტიკური გამიზნულობის მიუხედავად, დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის ხალხთა ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის შესწავლაში, ერთი მხრივ, ცოცხალ ტრადიციულ ყოფაში ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის გამოვლენის, ხოლო მეორე მხრივ, აღწერა-დახასიათებისა და კვლევების თვალსაზრისით.

თ. ჯაგოდნიშვილი, სტუ-ს პროფესორი

**რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული
საზოგადოების კავკასიის განყოფილების
კავკასიოლოგიური კვლევების ისტორიიდან**

რეზიუმე

სტატიაში განხილულია რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების დაარსების ისტორიის, მიზნების, კავკასიის ხალხთა ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის შესწავლის მიზნით გაშლილი მეცნიერული კვლევების მიმოხილვა. ამასთან წარმოდგენილია ამ საზოგადოების პერიოდულ სამეცნიერო კრებულში გამოქვეყნებული ფოლკლორისტული და ეთნოგრაფიული ნარკვევების, სტატიების ბიბლიოგრაფია.

T. Джагоднишвили, профессор ГГУ

**Из истории кавказоведческих
разысканий Кавказского Отдела
Императорского Русского географического
Общества**

РЕЗЮМЕ

В статье представлен обзор научных исследований Кавказского Отдела Императорского Русского Общества (ЗКОИРГО)

с целью изучения фольклора и этнографии народов Кавказа; рассматриваются также вопросы создания данного научного учреждения, представлена библиография фольклорно-этнографических статей и очерков, опубликованных в научном сборнике ЗКОИРГО.

Ключевые слова: *географическое общество, кавказоведческие исследования, кавказский фольклор, этнография*

T. Jagodnishvili, professor

**The part of history of the research about
Caucasian department from Russian
Empair Geographical Society**

SUMMARY

The article reviews scientific researches in order to study the history of origin of the Caucasus department of the Russian Geographic Society, goals, Folklore and Ethnography of Caucasian people. It also represents the bibliography of folkloristic and ethnographical essays and articles that are published in periodic scientific collection.

Key words: *Geographic society, Caucasiological researches, Caucasiological folklore, Ethnography*

внутреннего мира человека нашей такой «неустойчивой» эпохи, потому что человек, живущий в эпоху перемен обладает особым типом мышления. Как пишет Д. Лихачев: «Портрет связывает изображение внешности героя с особенностями внутреннего мира героя, с свойственной ему спецификой пространственно-временных отношений, психологизма, системой нравственных оценок». Каков образ политика, созданный в прессе, такова и наша действительность. При создании политического портрета, журналист пользуется разными средствами. Для журналиста портрет политика, как герой для писателя. Они используют одни и те же средства для создания образа. Жесты, поступки, антураж, внутренняя речь, все помогает раскрыть образ лидера. Иногда маленькая деталь помогает созданию политического портрета. «Хороший портрет есть драматизированная биография модели – раскрытие естественной драмы, свойственной каждому человеку» - утверждал Шарль Бодлер.

Психология «исторического характера» (Термин «исторический характер» употребляется в значении, которое использует Л. Гинзбург в своей книге «О психологической прозе») каждого последующего периода, являясь прямым порождением закономерностей развития общественно-исторических отношений, познается в ее сопоставлении с психологическим портретом предыдущего «героя времени».

С точки зрения Л. Я. Гинзбург, художественные образы человека, создаваемые той или иной культурной формацией, сочетая в себе особенности индивидуальной психики и психологические каркасы своей эпохи, позволяют говорить о социально-психологической типологии, в которой и выявляется «драгоценное бремя всеобщности и преемственности» (Гинзбург, с. 15). Исторический характер, встречаясь с индивидуальным, эмпирическим человеком,

формирует его на свой лад – с разными поправками на данную индивидуальность. Журналистика отражает это движение, после чего политический образ, если он стал «семиотически» значимым, сам начинает формировать эпохальный характер.

Портреты политиков, созданные на страницах современной российской прессы, исходя из нашей эпохи, обладают некой двойственностью. Они загадочны для своих современников и порождают у них вопрос, кому они служат – Христу или Антихристу? «Смутная эпоха, которая потрясла всю русскую жизнь, меняет народную психику». (Н. Бердяев, с. 497). Сегодняшний политический лидер одержим идеей создания державы, и для воплощения этой идеи он жертвует всем, что дорого любому человеку. Сегодняшний политический портрет – это маска, за которой скрыто истинное лицо. Когда лицо человека скрыто маской, он может позволить себе любое поведение, вплоть до публичного проявления низменных качеств. «Символическая функция маски та же, что у первоначального одевания животным. Индивидуальные человеческие черты ряженого скрыты, но вместо них носитель «звериного наряда» обретает достоинство и красоту. В психологических терминах можно сказать, что маска преобразует ее носителя в архетипический образ» (К.Г. Юнг, с.233). Вся Россия, изображенная на страницах газет – средоточие лицемерия, фальши, эгоизма, где нет места подлинным чувствам и где под маской внешней благопристойности и блеска скрывается порок. Каков политический портрет, такова и эпоха. Сегодня политик не создает свой образ, а играет с уже заданным образом, обыгрывает его в различных ракурсах.

Эта извечная двуликость, запечатленная в русском сознании обликом ряженого, воспринимается как присущая русской ментальности духовная раздвоенность, сочетание в пределах одной личности

«бесовского» и «ангельского». Естественно политический образ рисуется из потребностей эпохи. Бесовское должно быть выжжено из национального сознания: *«только тогда, когда исчезнет больная Россия, мы сможем превратить лозунг Достоевского: «Буди», в ликующий лозунг: «Есть».* (Белый А. Россия. // «Утро России», 1910, 18 ноября, №303, с.2) Эти слова написаны в начале XX века, но актуальны и сегодня. Портрет политика обладает своими особенностями, обусловленными развитием российской политической культуры. В России личность всегда играла важную роль. Власть олицетворяло ЛИЦО: император, вождь, президент. Такой «индивидуально оформленной» и вместе с тем расширяющейся действительностью может явиться характер, образ личности, сотворенный в самой этой действительности. Психология давно уже подняла вопрос о том, что человек в различных ситуациях по-разному строит свою личность, и что одна личность не обязательно соответствует одному эмпирическому индивиду. Сегодня уже рассматривается вопрос о многомерности составляющих человеческой личности.

Литература:

1. А. Белый Утро России 18 ноября 1910, № 303
2. Л. Гинзбург О психологической прозе, М., 1999
3. К. Г. Юнг Человек и его символы, М., 1997

თ. ბონდარენკო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პოლიტიკური პორტრეტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია როგორ იქმნება პოლიტიკური პორტრეტი. პოლიტიკოსი პორტრეტი ყალიბდება ეპოქის მოთხოვნილებაზე დაყრდნობით. პოლიტიკოსის პორტრეტს გააჩნია თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია რუსული პოლიტიკური კულტურის განვითარე-

ბით, რადგან რუსეთში პიროვნება ყოველთვის თამაშობდა მნიშვნელოვან როლს. ხელისუფლება განასახიერბს სახეს: იმპერატორი, ბელადი, პრეზიდენტი.

საკვანძო სიტყვები: პორტრეტი, ფსიქოლოგიზმი, შინაგანი სამყარო, ისტორიული ფიგურა.

Бондаренко Тамара

Грузинский технический университет
Политический портрет

РЕЗЮМЕ

В статье рассматривается как создается политический портрет. Политический образ рисуется исходя из потребностей эпохи. Портрет политика обладает своими особенностями, обусловленными развитием российской политической культуры, так как в России личность всегда играла важную роль. Власть олицетворяло ЛИЦО: император, вождь, президент.

Ключевые слова: портрет, психологизм, внутренний мир, историческая личность.

T. Bondarenko

Georgian Technical University
Political Portrait

SUMMARY

The article discusses how to create a political portrait. Political image is drawn on the basis of the needs of the era. Portrait of a policy has its own characteristics, due to the development of Russian political culture, as the Russian personality has always played an important role. Power personified PERSON: Emperor, the leader, the president.

Key words: portrait, psychology, inner world, a historical figure.

თუ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების დონისგან აბსტრაგირებას მოვახდენთ, დავინახავთ, რომ სრულიად დასაშვებია ანალოგია დამწერლობამდელ უძველეს საინფორმაციო სისტემებთან. ჩვენი ვარაუდის დასადასტურებლად შევადაროთ ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის პრინციპები პარემიოლოგიურსა და თანამედროვე საინფორმაციო-საძიებელ.როდესაც ვსაუბრობთ საზოგადოებრივ საკომუნიკაციო სისტემაზე, უნდა ხაზი გავუსვათ რამდენიმე პრინციპული მნიშვნელობის კომპონენტს: ინფორმაციის შინაარსის რევიპიენტი-კომუნიკანტები,კომუნიკაციური სამსახურები და არხები,რომელთაც მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და შესაბამისი კადრები გააჩნიათ.

საზოგადოებრივი საინფორმაციო სისტემები იყოფა საზოგადოებრივ და ტექნიკურ სისტემებად. პირველი წარმოადგენს ადამიანთა კოლექტივებს ,რომლებიც ინფორმაციის მოძრაობას არეგულირებენდა საზოგადოების „მართვაში მონაწილეობენ. უნდა აღინიშნოს,რომ ინფორმაცია არ შეიძლება არსებობდეს აღმქმელი სუბიეტის გარეშე, რომელიც სოციალური ურთიერთქმედების სისტემაშია ჩართული.თვით ინტერაქციის პროცესი მოითხოვს კომუნიკანტთათვის ერთიანი კოდის არსებობას. გარდა სიტყვისა, რომელიც, ინფორმოლოგთა აზრით, პირველი ინფორმაციული რევიოლუციის არსს გამოხატავდა, ერთიანი კულტურულ-საინფორმაციო სივრცის ფორმირება ტექსტების საშუალებით. ამგვარი თვალსაზრისი ეხმიანება კულტურის როგორც ტექსტების ერთობლიობის, მათ შორის არავერბალურის, გაგებას ი. ლოტმანი, უ. ეკო).

კომუნიკანტთა ურთიერთობა დამწერლობამდელ ეპოქაშითანზიარობის შეგრძნებით იყო გამსჭვალული. მხოლოდ მჭიდრო ურთიერთობა და კოლექტივიში იძლეოდა შესაძლებლობას გადარჩენისთვის ბრძოლაში ადამიანს წარმატება მიეღწია. ამ თვალსაზრისით უდიდეს როლს თამაშობდნენ კულტურისთვის რელევანტური საზოგადოების ინფორმაციულ მთლიანობას განაპირობებდნენ. ზეპირი კომუნიკაციის პირობებში

კომუნიკანტები მუდმივად ცვლიდნენ როლებს, რაც უზრუნველყოფდა როგორც ინფორმაციის „რეცენზირებას“,ასვე მისი მიმოქცევის თავისებურებას.

ერთჯერად შეტყობინებებისგან განსხვავებით კულტურისთვის ღირებულ ტექსტებს აღწარმოებადი ხასიათი ჰქონდათ, რაც ერთიანი კოდის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფდა. პირველყოფილ საზოგადოებების „დემოკრატიზმის“ მიუხედავად ამგვარ ინფორმაციას მართვითი ხასიათი გააჩნდა. პარემიოლოგიური ტექსტები შეიცავდა ინფორმაციას სამეტყველო ქცევის ტაქტიკასა და პრიორიტეტებზე,რომელთა საფუძველზე ხდებოდა ძალაუფლების პირველადი ინსტიტუციების ფუნქციონირება. პარემიოლოგიური ტექსტებისთვის დამახასიათებელ „დიდაქტიზმი“ განაპირობებდა მათ განსაკუთრებულ ადგილს კულტურის ღირებულებების გათავისებისა და სწავლების პროცესში კულტურის სემიოტიკურ ველში კომუნიკანტები ქმნიდნენ ერთიან საინფორმაციო სივრცეს,რომელსაც თავისი არსთა იერარქია გააჩნდა

„ინფორმაციული საზოგადოების“ ერთიანობას უზრუნველყოფდა კულტურისთვის ღირებულ ტექსტების არსებობა, რომელთაც ფონობრივი ხასიათი გააჩნდათ და ასახავდნენ ხალხის სამეტყველო-ქცევით ორიენტირებს საინფორმაციო-საძიებო სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობა უშუალოდ დამოკიდებულია კომუნიკაციაში გამოყენებული კოდის ხასიათზე. ამ დანიშნულებით ძალზე ეფექტურად გამოიყენებოდა პარემიოლოგიური ტექსტები, რაც რიგი არსებითი გარემოებით შეიძლება აიხსნას. როგორც სამართლიანად აღინიშნება სამეცნიერო ლიტერატურაში, პარემიები წარმოადგენენ სტერეოტიპული სიტუაციების ნიშნებს, რაც საზოგადოებრივ ცნობიერებაში სამეტყველო-ქცევითი ნორმის ფიქსაციას უწყობს ხელს. დამწერლობამდელ კულტურებში არსებობდა ტექსტების შენახვისა და გადაცემის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა. გარდა აღწარმოებადობისა, დამახსოვრების ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება ჩავთვალოთ პარემიათა რიტმო-

მელოდიკურისტრუქტურა. საგულისხმოა ისიც, რომ პარემიოლოგიურ ერთეულებში შემავალი სიტყვების რაოდენობა (5–7 სიტყვა) დამახსოვრების ოპტიმალურ რეჟიმსა და ფსიქოლოგთა ექსპერიმენტალურ მონაცემებს შეესაბამება. როგორც ცნობილია, პარემიები წარმოიშობა ან როგორც ნიშნობრივი სიტუაციების დამოუკიდებელი ვერბალური კომენტარი, ან გაბმული ტექსტის წიაღში და უპირისპირდება პირველადს, როგორც მორალი მთლიან იგავს. მსგავსი სიტუაციების კომენტარებისას, ჩვენ მივმართეთ „აბრევიაციის“ ცნებას და მივედით დასკვნამდე, რომ მორფოლოგიურ და სინტაქსურ აბრევიაციასთან ერთად შესაძლებელია ვისაუბროთ ტექსტობრივ აბრევიაციაზე.

ტექსტობრივი აბრევიაციის პროცესების კვლევას ჩვენ გამოვყავით ფრაზული ტექსტების კატეგორია, რომელიც პირველადი ტექსტების რეკრეუენტანტს წარმოადგენს. აღნიშნულ მოვლენას ჩვენ მივაკუთვნებთ როგორც პარემიოლოგიურ ერთეულებს, ასევე მოვლენებს, რომელთაც განსხვავებული წარმოშობა გააჩნიათ–სათაურებს, ლოზუნგებს, მოწოდებებს და ა.შ.

პარემიოლოგიური ერთეულები გენეტიკურად დაკავშირებული არიან პირველად ტექსტებთან და მათ წარმოადგენენ შესაბამის კონკრეტულ ტიპობრივ სიტუაციებში

ტიპობრივი სიტუაციების ხასიათი და შინაარსი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კავშირი სამყაროს ეროვნულ ხატთან. პარემიოლოგიური სისტემა წარმოადგენს კულტურისთვის ღირებულ მეორად ტექსტთა ერთობლიობას, რომელიც მოიცავს ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროს. პარემიოლოგიური სისტემის ცენტრში იმყოფება ადამიანი და მისი დამოკიდებულება გარე სინამდვილესთან. ამ უკანასკნელის დეტალიზაციის ხარისხი ცალკეული ხალხის ცხოვრების სპეციფიკისა და მის ღირებულებათა სისტემატიზაციაზე არიან დამოკიდებული.

ვინაიდან ადამიანის საქმიანობის ყველა მხარე მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან და ქმნის ერთიან სისტემურ მთლიანობას, უპრიანია

ვისაუბროთ ტექსტების სისტემურობაზე, რომლებშიც ეს ერთიანობა აისახება.

თანამედროვე საზოგადოებრივ საკომუნიკაციო სისტემებთან დაკავშირებით მოიხსენიება კომუნიკაციური არხები და სპეციალური სამსახურები, რომლებიც მატერიალურ – ტექნიკურ და პროფესიონალურ კადრებსაც გულისხმობს. რთულია დამწერლობამდელ პერიოდთან სრული ანალოგია დავადგინოთ, მაგრამ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სპეციალური საკომუნიკაციო სამსახურების უქონლობის პირობებშიც კი კულტურული შინაარსი ზეპირი ფორმით გადაიცემოდა სოციალურ სივრცესა და დროში. თემური საზოგადოების პირობებში საკომუნიკაციო სისტემა გამოირჩეოდა პირველყოფილ სოციალური ერთგვაროვნებით და თანასწორობით. არ არსებობდა წიგნიერება/უწიგნიერობის პარამეტრებით ადამიანთა დაყოფა. ზეპირი სიტყვა, როგორც კომუნიკაციური კოდი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო. ამ დროს არ არსებობდა ავტორის ცნება და, სერვანტესისა არ იყოს პარემიები წარმოადგენდნენ „ერთის გონებამახვილობასა და მრავალთ სიბრძნეს“. ინფორმაციის შერჩევისა და გადამუშავების ორგანოს ფუნქციას თვით საზოგადოება იღებდა თავის თავზე.

ტექნიკური შესაძლებლობების მრავალფეროვნების მიუხედავად თანამედროვე საინფორმაციო–სამიებო სისტემები წარმოადგენენ პარემიოლოგიური საინფორმაციო სისტემის მოდერნიზირებულ ვარიანტს. ისევე როგორც ეს უკანასკნელი ისინი წარმოიშვნენ ინფორმაციული ენტროპიის პირობებში, რომელიც ინფორმაციულმა აფეთქებამ წარმოიშვა და გამოიწვია მკვეთრი დისბალანსი ინფორმაციის რაოდენობასა და ადამიანის მიერ მისი დამუშავების შესაძლებლობას შორის. ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, ადამიანი დადგა სამყაროს უსასრულობისა და მისი გააზრების სირთულის წინაშე. პირველ ნაბიჯს ამ მიმართულებით წარმოადგენდა სამყაროს ერთიანი სურათის სეგმენტაცია და ემპირიული საქმიანობის შედეგად მიღებულ ინფორმაციული ორიენტირების გამოყოფა. თანამედროვე სამიებო სისტემებში

ასევე გამოიყენება სემანტიკის პრინციპი, მაგრამ ინფორმაციის მოცულობა ისეთი ტემპებით იზრდება, რომ საჭირო ხდება სპეციალური ტექსტების შექმნა საინფორმაციო ტექსტების შესახებ. სწორედ ამგვარი დანიშნულებისაა ისეთი თანამედროვე სამეცნიერო დისციპლინები, როგორცაა, „ინფორმატიკა“ და „ინფორმოლოგია“. ისინი შეისწავლიან მეორად ტექსტებს, რომელთა დანიშნულებაა პირველადი ტექსტების ისეთი რეპრეზენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემებში მათი ფუნქციონირების მაქსიმალურად ეფექტურ რეჟიმს.

ისევე როგორც პარემიოლოგიურ ტექსტებში, სპეცილურ პროფესიონალთა მიერ მომზადებულ ინფორმატიკის ტექსტებში, ავტორის ცნება საკმაოდ სპეციფიკურია, ფაქტიურად მეორადი ტექსტის ავტორს ის კოლექტივი წარმოადგენს, რომლის დამსახურება, ისევე როგორც პარემიოლოგიური ტექსტის შემთხვევაში, კადრს მიღმა რჩება. საინფორმაციო-საძიებო სისტემების ამოცანების განსაზღვრისას სამ ფაქტორს გამოყოფენ: ინფორმაციის 1) მიღებას 2) შენახვას; 3) გადაცემას.

თანამედროვე საინფორმაციო-საძიებო სისტემებისა და პარემიოლოგიური სისტემის შედარება მოვლენათა განვითარების მემკვიდრეობითობაზე მიუთითებს. ამასთან აკავშირებით მნიშვნელოვანია ი.როჟდესტვენსკის აზრი: «Введение в систему речи новой фактуры речи сопровождается установлением преемственности между языковыми знаками разных фактур речи» [Рождественский, 1999:107].

თუ დავუბრუნდებით ინფორმაციულ-საძიებო სისტემების არსებობის პრინციპებს, უნდა აღვინიშნოთ რომ, სამივე ფაქტორი – ინფორმაციის მიღება, შენახვა და გადაცემა-ერთნაირად დამახასიათებელია შესადარებელ სისტემებისთვის. ინფორმაციის წყაროს ორივე შემთხვევაში პირველადი ტექსტები წარმოადგენს, რომლებიც რეპრეზენტირებულია პარემიებითა და ინფორმაციის ტექსტებით. ორივე სისტემა, გამომდინარე ტექნიკური შესაძლებლობებიდან, ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის ფუნქციას ახორციელებს და საზოგადოების ინფორმაციულ

ერთიანობას განაპირობებს. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ი. როჟდესტვენსკის მოსაზრება, რომელიც განიხილავს თემის დაშლის ფაქტორებს და მიიჩნევს, რომ ეს უკავშირდება კონტაქტების ინტენსივობისა და ფოლკლორის მთლიანობის დარღვევას [Рождественский, 1999:358].

აღნიშნულ გარემოება ხაზს უსვამს პარემიების სისტემოცენტრისტულ მიმართულებას, რომლებიც ერის კოლექტიური მეხსიერების ოპერატიულ ერთეულებს წარმოადგენენ.

ამგვარად, უნდა ვაღიაროთ, რომ პარემიოლოგიური სისტემა წინ უსწრებს თანამედროვე საინფორმაციო-საძიებო სისტემებს და მათ არქექტის წარმოადგენს.

Литература:

1. Гоциридзе Д.З. Принципы типологической интерпретации фразовых текстов. Тбилиси, 1988.
2. Рождественский Ю.В. Теория риторики. Москва. 1999.
3. Соколов А.В. Общая теория социальной коммуникации. СПб., 2002.

Zurab Gotsitidze,

Technical University of Georgia

From paremias to mass-communication

SUMMARY

Modern informative community found a basis on the high tech IT meeting the informative needs of people today.

The prototype of modern informative systems is the paremeological system covering all spheres of the human activity.

The paremeological system can be referred to the informative systems due to the following reasons:

- a) systematic way of the reflected world image;
- b) specific means of storing and transferring of the information peculiar to the oral utterance;

c) culture integrating function of the paremeological texts that had the great educational meaning in the former times.

In spite of the differences in the technology in transference and storage of the information preconditioned by the various speech factors, the paremeological system may be regarded as a particular type of the information retrieval system.

Зურაბ Гоциридзе, ГТУ

От паремий к масс-коммуникации

РЕЗЮМЕ

При всем многообразии технических возможностей современные информационно-поисковые системы представляют собой

модернизированный вариант паремиологической информационной системы. Как и последняя, они возникли в условиях информационной энтропии, вызванной информационным взрывом, породившим огромный дисбаланс между количеством информации и возможностью его переработки человеком. Все три фактора - получение, хранение и передача информации – одинаково присущи сопоставляемым явлениям. Источником получения информации в обоих случаях являются первичные тексты, репрезентируемые паремиями и текстами информатики. Обе системы, исходя из соответствующих технических возможностей, осуществляют хранение и передачу информации и обеспечивают информационную целостность общества.

вает прямые и обратные связи между носителями политической власти или политических идей, претендентами на политическую власть - с одной стороны, и обществом или его частью - с другой. [1]

- **Информационная функция** - Политическая реклама распространяет данные о политических силах, их предложениях, целях, намерениях и действиях. В условиях политической конкуренции эта функция помогает осознанному политическому выбору, дает человеку возможность сравнить особенности политических предложений и сделать информированный выбор. Вместе с тем политическая реклама может не только информировать электорат, но и трансформировать информацию в определенный образ, который становится в общественном сознании своего рода проводником тех или иных политических установок.

- **Идеологическая функция** - Политическая реклама действует на сознание и поведение аудитории с целью поддержания или преобразования социальных отношений в соответствии с интересами и потребностями носителей этой идеологии. В современном мире идеологическая функция политической рекламы носит в основном ориентирующий и убеждающий характер. Хотя на определенных этапах развития страны она может сыграть и функцию идеологической пропаганды с элементами жесткого убеждения. [1]

Пока что правового определения понятия «политическая реклама» не существует. [5] Поэтому такая разновидность рекламы подчиняется общим правилам, определяющим свободу слова, свободу объединений, свободу информации и т.д.

На данный момент ключевыми заказчиками политической рекламы являются:

- **Кандидат** - лицо, выдвинутое

в качестве претендента на замещаемую посредством прямых выборов должность;

Употребление в заголовках журналистских текстов пословиц, поговорок, афоризмов, крылатых слов, “говорящих” имён, цитат, как в их первоизданном виде, так и перефразированных, осмысливается как социокультурный феномен, актуализирующий внутритекстовые и межтекстовые связи употреблённой в речи единицы, её развёртывание. Прецедентные тексты - это своего рода хрестоматийные тексты, знание которых является обязательным для всех членов одного культурного сообщества. При этом, «знание прецедентных текстов есть показатель принадлежности к данной эпохе и культуре, тогда как их незнание, наоборот, есть предпосылка отторженности от соответствующей культуры» (1). Стилистический приём аллюзии, на котором основано данное явление, привлекая внимание получателя информации к культурному контексту, реализует свою действенную, отсылочную функцию в той степени, в какой адресат в состоянии активизировать в сознании определённые знания, тексты и соотнести их с услышанным или прочитанным.

Прецедентные единицы языка и речи

выступают репрезентантами прецедентных концептов - ментально-вербальных единиц, которые используются для представления, категоризации, концептуализации и оценки действительности при построении картины мира и ее фрагментов. Использование прецедентных единиц в заголовках журналистских текстов создает определенный эффект восприятия, они привлекают внимание, надолго остаются в памяти. Прецедентные единицы пользуются популярностью у носителей языка, поскольку они отсылают к знакомым источникам, апеллируют к культурному фонду, побуждают вспомнить популярные тексты, что обуславливает интерес к ним со стороны как автора – создателя текста, так и читателя-адресата журналистского произведения.

Таким образом, обращение к использованию прецедентных имен в современных заголовках прессы обусловлено не только постмодернистскими тенденциями письма, которые воплощаются в постоянном поиске уже готовых фраз, удачных речевых формул, но и созданием глубинного контекста при восприятии журналистского текста.

Прецедентное имя может выступать и как средство выражения субъективной оценки, сформированной под воздействием ценностей, господствующих в данной культуре. Это обусловлено тем, что, создавая заголовок, автор выбирает для своих целей конкретное прецедентное имя из числа возможных средств выражения отношения к предметам и явлениям действительности. Таким образом, оценочные суждения, выражаемые при помощи прецедентных имен, могут отражать как личные взгляды и отношения субъекта оценки, так и мнения определенного лингвокультурного сообщества.

Количество прецедентных единиц, используемых в средствах массовой ком-

муникации, стремительно расширяется, растет и частотность их использования, что связано, в частности, с особенностями постмодернистской парадигмы, характерной для современной коммуникативной ситуации. Знания, необходимые для полноценного понимания современной устной речи и языка письменных произведений, особенно языка средств массовой информации, - это знания реалий, художественных фильмов, художественных произведений, текстов популярных песен, стереотипных образов, стереотипных ситуаций, то есть всего, что лежит в основе прецедентных текстов. Таким образом, понимание заголовков, содержащих прецедентные единицы, являющие собой отсылки к прецедентным текстам, невозможно без мыслительной деятельности получателя информации - читателя журналистского текста.

Литература:

1. Караулов Ю. Н. Русский язык и языковая личность. М., 1987.
2. Чудинов А. П. Метафорическая мозаика в современной политической коммуникации/А.П. Чудинов. – Екатеринбург, 2003.

SUMMARY

Following article is dedicated to usage of precedent units in journalistic text headers.

Heading is most important structural element of journalistic text and bears certain information about publicistic work content. It is

text quintessential and signal which determines reader to read the text.

Usage of precedent units in journalistic text heading creates certain perceptual effect, attracting attention and remains memorable long after reading.

Understanding precedent units is impossible without referring to overall cultural background of reader who is main recipient of journalistic text.

Key words: *journalistic text, head line, precedent units, precedent text, communication media, information.*

რეზიუმე

მოცემული სტატია ეძღვნება ჟურნალისტური ტექსტების სათაურებში პრეცედენტური ერთეულების გამოყენებას. სათაური ჟურნალისტური ტექსტის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ელემენტია. იგი ატარებს გარკვეულ ინფორმაციას პუბლიცისტური ნაწარმოების შინაარსის შესახებ, წარმოადგენს ტექსტის კვინტესენციას და თავისებურ სიგნალს, რომელიც იწვევს მკითხველში მატერიალის წაკითხვის სურვილს. ჟურნალისტური ტექსტის სათაურში პრეცედენტული ერთეულების გამოყენება ქმნის ადქმის გარკვეულ ეფექტს, იპყრობს ყურადღებას და დიდ ხანს რჩება მეხსიერებაში. მათი გაგება შეუძლებელია მკითხველთა საერთო კულტურული ფონდით აპელირების გარეშე.

საკვანძო სიტყვები: *ჟურნალისტური ტექსტი, სათაური, პრეცედენტული ერთეული, პრეცედენტული ტექსტი, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ინფორმაცია.*

ადამიანის კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკის შესასწავლად, კარლ გუსტავ იუნგმა სიზმრების შესწავლის მეთოდს მიმართა; მან სამ მილიონამდე სიზმარი ჩაიწერა, გააანალიზა და დაასკვნა, რომ კაცობრიობას „ერთი ძირი აქვს“; მათ შესახებ ინფორმაციას ადამიანის თავის ტვინი (ეს პერსონალური კომპიუტერი) ინახავს; მასში რასობრივად, კულტურალურად, ეროვნულად, კუთხურად და პიროვნულად ურთიერთგანსხვავებული ხალხის გამოცდილებაა „შენახული“; მისი გაცნობიერება (გახსენება) სპეციალური მეთოდების გამოყენების გარეშე შეუძლებელია.

კოლექტიური არაცნობიერისგან განსხვავებით, პიროვნულ არაცნობიერში „შენახულია“ ცალკეული ადამიანის პიროვნული გამოცდილება, რაც ადამიანებს შორის კულტურალურ ფსიქიკურ განსხვავებულობებს ქმნის.

„ზე-მე“ კულტურის მიერ მიუღებელ, ინსტინქტური ლტოლვებით ნაკარნახევ ქცევა-მოქმედებებს ბლოკავს და ცნობიერებაში („ეგო-ში“) მათ „ამოსვლას“ (გაცნობიერებას) ხელს უშლის, თუმცა არაცნობიერიდან „წამოსული“ იმპულსები მუდმივად „ცდილობენ“ ცნობიერში შეჭრას; „სუპერ-ეგო“ („მინაგანი ცენზორი“, ანუ სინდისი) მუდამ „სადარაჯოზე“ (ან უნდა იყოს); მხოლოდ იშვიათად - ფსიქიკის შეცვლილ მდგომარეობებში (სიზმარში, ოცნებაში, ფანტაზიაში, ჰიპნოზურ მდგომარეობაში, ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ზემოქმედების დროს) ახერხებენ ცნობიერებაში შეღწევას (ისიც მეტ-წილად შენიღბული ფორმით); მხოლოდ აქ ჩანს ის, რაც „კოკასა შიგან“, ანუ არაცნობიერში „დგას“.

მთელი ამ ფსიქოანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ანდაზა - **„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდება“** იმ ხალხის მიერ არის შექმნილი, შენახული და მემკვიდრეობით გადმოცემული, ვისაც ადამიანის არაცნობიერი ფსიქიკის არსებობა კარგად ჰქონდა გაცნობიერებული.

ანდაზაში - **„ფუყე თავთავი თავს მაღლა ასწევს, სავსე კი მუდამ თავდახრილია“** - „მაღლა

თავაწულში“ ის ადამიანი იგულისხმება, ვისაც საამაყო არაფერი აქვს - არც თანდაყოლილი ნიჭი და არც შეძენილი სიბრძნე. ამიტომ ცდილობს საზოგადოების პატივისცემა ყოყორობით დაიმსახუროს, რასაც თანამედროვე ფსიქოლოგია „ცრუ ოპტიმიზმის“ სახელით მოიხსენიებს. ასეთი ადამიანის საქციელს, საუკეთესო შემთხვევაში დიმილი, უარეს შემთხვევაში კი კონფლიქტები ახლავს. ადამიანისთვის დამახასიათებელი „თვით-პატივისცემის მოთხოვნილების“ რეალიზაცია მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების რეალისტურ შეფასება-წარმატებებს ახლავს, თუ სწორად „მიაგნებს“ და შრომით განივითარებს მას, რისი უნარიც აქვს (რაშიც, ცხადია მშობლები, მასწავლებლები, მეგობრები, კონკურენტები და ა. შ. დაეხმარებიან). მაშინ მას ყოყორობა აღარ დასჭირდება და პატივისცემას ღირსეულად დაიმსახურებს.

რეალიზებულ პიროვნებას ყოყორობა აღარ სჭირდება; ამიტომ ის „სავსე“ და „მუდამ თავდახრილია“. არარეალიზებული, „შეუძღვარი“ პიროვნება კი „ცარიელია“ და ამაო მცდელობით, სიცრუით, ძალადობით, ნაცნობობით ან ყოყორობით ცდილობს ავტორიტეტის მოპოვებას.

ადამიანის ქცევის ასეთი ანალიზი შედარებით „ახალგაზრდა“ მეცნიერებების - ეთიკა-ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება, არადა ქართულ გონს ის ჯერ კიდევ მეცნიერებამდელ პერიოდში აღმოუჩენია და ასე სხარტად, გასაგებად და ყველასთვის ხელმისაწვდომად (უფასოდ), ანდაზების სახით გაუვრცელებია. მაგალითად:

„ვინც თავს მაღლა წაიღებს - ფეხს წაიკრავსო“;
„უფხო კაცს ტრაზახი საქმე ეგონაო“;
„თავმდაბლობას მთებიც მოუდრეკიაო“ - **გვასწავლის ქართული ხალხური სიბრძნე.**

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ დღეს „თავდახრილობა-თავმდაბლობა“ სათნოებად აღარ ითვლება, ანდაზის დედააზრი მაინც დიდ ფსიქოლოგიურ მიხვედრილობად (აღმოჩენად) შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც იგი სხვა არაფერია, თუ არა ფსიქიკის ისევ ფსიქოანალიზური „საიდუმლო“ - არასრულფასოვნების კომპლექსის კომპენსაცია.

ამ ანდაზის დედააზრს გაგება-შეგნება ბევრ

ხელმოცარულს გადაარჩენს დაცინვისა და კონფლიქტებისგან.

ჩვენმა წინაპრებმა რომ არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ იცოდნენ იქიდანაც ჩანს, რომ მისი „მართვის“ ერთგვარ საშუალებებსაც კი გვთავაზობენ. მაგალითად, ანდაზაში - **„ტყუილად ყოფნას ტყუილად შრომა ჯობიაო“** - კულტურის მიერ მიუღებელი ინსტინქტური ლტოლვებისაგან თავშეკავების (პრევენციის) მექანიზმია მოცემული. იგი კულტურისთვის მიუღებელი ქცევა-მოქმედებების შეზღუდვას (კონტროლს) გულისხმობს, რის გამოც პოტენციური ენერგიის წყაროა და აქტივობის მოთხოვნილებად განიცდება, რაც კონსტრუქციული (შექმნა-შენების) ან დესტრუქციული (ნგრევა-განადგურების) აქტივობის შედეგადაა შესაძლებელი; მაგრამ ის ადამიანი, ვინც ამ ენერგიას კონსტრუქციულ საქმიანობაში (იგულისხმება სასარგებლო შრომა, სპორტი, ცეკვა, სიმღერა, ტურიზმი, და სხვა, ფიზიკურ ფსიქიკური ენერგია) „დახარჯვას“ ვერ მოუხერხებს, იძულებულია გაუცნობიერებლად, დესტრუქციულ აქტივობას მიმართოს, რაკი ფსიქიკა ჭარბი ენერგიის მოზღვავებას „ვერ უძლებს“ და ფსიქიკის ნგრევაც კი არის მოსალოდნელი) დესტრუქციული აქტივობა კი ისჯება როგორც კანონის, ისე „შინაგანი ცენზორის“ - სინდისის მიერ. ამიტომ, ჰუმანიზმი, პირველ რიგში ადამიანისთვის ამ ენერგიის კონსტრუქციულად „დახარჯვის“ პირობების შექმნას - დასაქმებას გულისხმობს.

ანუ, ადამიანს უნდა ჰქონდეს საქმე, რაშიც ის ფიზიკურ ენერგიასაც „დახარჯავს“ და სასარგებლო პროდუქტსაც შექმნის, რასაც თანამედროვე ადამიანი თვითრეალიზაციას უწოდებს. თუ ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, ზრდასრული და ჯანმრთელია, მაგრამ ვერც ერთ ამათგანს ვერ ახერხებს, ის ან „აშრებულია“, ან „უკვე შარშია“ - ანგრევს, ჩხუბობს, ან ამისათვის ემზადება ისე, რომ მან ამის ნამდვილი მიზეზის შესახებ არაფერი იცის და მიზეზს გარეთ, სხვაში ეძებს.

ჩვენმა წინაპრებმა რომ ფსიქიკის ეს საიდუმლოები იცოდნენ, ამის „საბუთად“ ანდაზა მიმაჩნია - **„ტყუილად ყოფნას, ტყუილად შრომა ჯობიაო“**

იგივე ქვეტექსტი შეიძლება ჰქონდეს ძველქართულ გამოთქმას **„წყლის გამოლტვა“**. რატომ? იმიტომ, რომ „დაუხარჯავი ენერგია“ არის „აშარების“ მიზეზი, თავისი არასასურველი შედეგებით. „დახარჯვის“ შედეგი კი რაღაც უბედურების თვიდან ამორებას და მატერიალური ღირებულებების შექმნის შესაძლებლობას გულისხმობს ანუ, ჩვენ წინაპრებს „შრომა“ ფსიქოთერაპიის ერთ-ერთ მეთოდად მიაჩნდათ!

ამასვე ადასტურებს ბრძნული გამონათქვამები - **„შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“ (ქართული ფოლკლორი); „შრომამ შექმნა ადამიანი“ (ენგელსი); „შრომა აუცილებელია ჯანმრთელობისთვის“ (ჰიპოკრატე); „ნაკლოვანებები შრომით დაიძლევა“ (სენეკა); „შრომა არის ყველა უბედურებისგან თავის დაღწევის საშუალება“ (ჰემინგუეი) და ა.შ.**

ეს ანდაზები ქართული მდიდარი ფოლკლორის მხოლოდ მცირე ნაწილია, რაც ფასიქოლოგიამდელი „ფსიქოლოგიის“ ნიმუშად აქ მოვიტანეთ.

ქართული ფსიქოლოგიამდელი ფსიქოლოგიური მიხვედრები არა მარტო ანდაზებშია მოცემული, არამედ იგი უზგადაა გაბნეული ზღაპრებსა და თქმულებებში; ცრურწმენებში კი ადამიანის ფსიქიკაში ღირებულებათა ჩანერგვის, ფსიქიკის მართვის და ფსიქოთერაპიის შესანიშნავი ნიმუშებია მოცემული, რის გაცნობაც ყველა ქვეყნის ფოლკლორულ აზროვნებას გაამდიდრებდა და ადამიანებს ბევრი ხიფათისგანაც დაიცავდა.

ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი რ., „ფსიქოლოგია“ ქართულ ფოლკლორში, „ივერიონი“, 2014 (გვ. 216).
2. ჩიქოვქნი მ., ქართული ფოლკლორი, თბილისი 1946.
3. ფროიდი ზ. ფსიქონალიზი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2008.
4. იუნგი კ. გ., ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“ 1975.

როზა გაფრინდაშვილი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ფსიქოანალიზი ქართულ ფოლკლორში
ანოტაცია

არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ მოძღვრება ზიგმუნდ ფროიდის სახელს დაუკავშირდა; თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენმა წინაპრებმა ამ „აისბერგის წყალქვეშა ნაწილის“ შესახებ ოდითგან იცოდნენ; ამ აზრის საბუთად ზოგიერთი ქართული ანდაზის დამოწმება გამოდგება; მაგალითად:

ანდაზაში - „სადაც არის ბედი შენი, იქ მიიყვანს ფეხი შენი“, ადამიანის მიერ გაუცნობიერებელი ლტოლვის არსებობა იგულისხმება, რასაც „ბედისწერის“ ცნებით გამოხატავდნენ და რასაც ფროიდმა „ოიდიპოსის კომპლექსი“ უწოდა.

ანდაზაში - „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“, „კოკა“ იგივე არაცნობიერი ფსიქიკაა, სადაც კულტურისთვის მიუღებელი შინაარსებია „შენახული“ რაც, შესაძლოა სათანადო პირობებში, უნებლიედ „წარმოსდინდეს“;

ფსიქოანალიზში ცნობილი „არასრულფასოვნების კომპლექსი“ ქართულმა ცნობიერებამ გამოხატა ანდაზაში - „ფუყე თავთავი თავს მაღლა ასწევს, სავსე კი მუდამ თავდახრილია“;

ხოლო ანდაზაში - „ტყუილად ყოფნას ტყუილად შრომა ჯობიაო“, კულტურის მიერ მიუღებელი, გაუცნობიერებელი ლტოლვებისაგან თავშეკავების (პრევენციის) მექანიზმია მოცემული. „ტყუილად ყოფნა“ კულტურისთვის მიუღებელი ქცევა-მოქმედებების შეზღუდვის (კონტროლს) შედეგად დაგროვილი პოტენციური ენერჯის წყაროა, რაც კონსტრუქციულ (შექმნა-შენების) ან დესტრუქციულ (ნგრევა-განადგურების) აქტივობებში უნდა „დაიხარჯოს“ (გამოვლინდეს); წინააღმდეგ შემთხვევაში ფსიქიკა ინგრევა და თუ ადამიანს მისი კონსტრუქციულად „მოხმარების“ საშუალება არა აქვს თუნდაც „ტყუილად შრომით“, ის ნგრევა-განადგურებაში, დანაშაულობებში იჩენს თავს.

ცხადია, ფსიქიკურ დაავადებებს ან ნგრევა-განადგურებას, ისევე „ტყუილად შრომა“ ჯობია!

Roza Gafrindashvili,
Associate Professor of GTU

Psychoanalysis in Georgian Folklore

SUMMARY

Teaching about the subconscious mind is related to the name of Sigmund Freud, but it seems our ancestors knew about this “underwater portion of iceberg”. We can refer to several Georgian proverbs to prove this point.

For instance, the proverb “where your fortune lies, there you will go” implies existence of subconscious urge. This is the concept of “destiny” and Freud calls it “Oedipus complex”.

In the proverb “what is in the jar, the same will pour out of it”, “jar” is subconscious mind. It stores the concepts that are repugnant for culture, but in the desirable conditions these concepts may accidentally “pour” out of it.

“Inferiority complex” known from psychoanalysis is expressed in the proverb “hollow head is always raised, but full one always looks downwards”.

The proverb “fruitless labor is better than fruitless existence” teaches us how to restrict subconscious and repugnant urges. “Fruitless existence” is the source of potential energy gathered from restriction of activities and behaviours. This energy may be expended on constructional (creational) or destructional activities. Otherwise, psyche is destructed and if person can’t “use” this energy for constructional activities (by means of “fruitless labor”), it will appear in destructional, criminal activities.

Of course, “fruitless labor” is better than psychic diseases and destruction.

1. სამუშაო ძალის პროცენტი, რომელიც ვერ დასაქმდა 15 კვირის ან მეტი პერიოდის განმავლობაში;
2. სამუშაო ძალის პროცენტი, რომელმაც კვლევის მომენტისთვის დაკარგა სამუშაო ან დაასრულა დროებითი სამუშაო;
3. ოფიციალური უმუშევრობის დონე საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის განმარტებების შესაბამისად;
4. სამუშაო ძალა, რომელსაც სურს მუშაობის დაწყება, მაგრამ შეწყვიტა ძიება, რადგან არსებული ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილი არ არის ხელმისაწვდომი;
5. ნახევარი განაკვეთით დასაქმებული პირები, რომლებსაც სურთ სრულ განაკვეთზე მუშაობა, მაგრამ არ შეუძლიათ გარკვეული ეკონომიკური მიზეზების გამო. (3)

ამერიკის შეერთებული შტატების კრიტიკულების მსგავსი საქართველოშიც გამოიყენება. დასაქმების ორგანოებში დარეგისტრირებულ უმუშევრებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განეკუთვნებიან საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები, შესაფერისი სამუშაოს პოვნის მიზნით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დასაქმების ცენტრებში დარეგისტრირებული შრომისუნარიანი მოქალაქეები, რომელთაც არ აქვთ სამუშაო და ანაზღაურება(შრომითი შემოსავალი), ეძებენ მას და მზად არიან შეუდგნენ მუშაობას.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უმუშევრად არ ითვლება 16 წელზე ნაკლები ასაკის პირები, მოქალაქეები, რომლებსაც დანიშნული აქვთ პენსია III ჯგუფის ინვალიდობის პენსიის მქონეთა გარდა. უმუშევრად არ მიიჩნევიან ისინიც, ვინც დასაქმების სამსახურში მიმართვის შემდეგ 10 დღის განმავლობაში უარი განაცხადეს შესაფერისი სამუშაოს ორ ვარიანტზე, სამუშაოს პირველად მამიებელი კი, რომელსაც არ აქვს სპეციალობა (პროფესია) პროფესიული მომზადების მიღებაზე ან შეთავაზებულ სამუშაოზე, მათ შორის დროებითი ხასიათის-ორჯერ უარის განცხადების შემთხვევაში.

უმუშევრებს არ განეკუთვნებიან შრომისუნარიანი მოქალაქეები, რომლებიც სწავლობენ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, ასევე გადიან სწავლების დასწრებულ კურსს უმაღლეს, საშუალო სპეციალურ და სხვა სასწავლო დაწესებულებაში.

ასე რომ, დღეს ჩვენ გვაქვს უმუშევრობის რიცხოვნობის(ოდენობის) გაზომვის ორი მეთოდი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) ამ რიცხოვრობას განსაზღვრავს მოსახლეობის დასაქმებისა უმუშევრობის გაზომვის პრობლემების შერჩევითი გამოკვლევის საფუძველზე მოსახლეობის საკვლევი დონის მთელ რიცხვზე შედეგების შემდგომი განზოგადებით.

უმუშევრობის მიზეზები ფრიად მრავალფეროვანია. მათ რიცხვში შეიძლება დასახელდეს ავტომატიზირებული წარმოება. ავტომატიზაცია არის წამყვანი ფაქტორი, რაც განაპირობებს უმუშევრობას, მაგრამ არა ერთადერთი. იგი განისაზღვრება სხვა მრავალი სოციალურ-ეკონომიკური და საორგანიზაციო - მმართველობითი ფაქტორით. მათ რიცხვში უნდა დასახელდეს სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის დასაქმებისათვის გატარებული პოლიტიკა, დასაქმების სამსახურების საქმიანობის ორგანიზაცია და სისტემა, უმუშევრობის დახმარების ოდენობა და გადახდის პრაქტიკა, სახელმწიფოს მოსახლეობის ცხოვრების დონე, სამუშაო ძალის ხარისხი, მათი ყოფისა და შრომის პირობები. არანაკლებ როლს თამაშობს სახელმწიფოს საინვესტიციო და ტექნიკური პოლიტიკის ფორმირება და რეალიზაცია. უმუშევრობის დონეს განსაზღვრავს ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაცია. უმუშევრობის გამომწვევი მიზეზებია ასევე ფართომასშტაბიანი გლობალიზაციის პრობლემა, გარკვეული სახის სფეროებში აქტიური სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაბალი დონე, დასაქმების სააგენტოებისა და სამსახურების არარსებობა, შრომის ბაზრის მოწყობის არასწორი პოლიტიკა, პროფკავშირების არ არსებობა, მზარდი ურბანიზაცია.

უმუშევრობის მიზეზების უფრო სრული ახსნისათვის აუცილებელია მისი ძირითადი სახეების განხილვა.

უმუშევრობის ანალიზისას გამოყოფენ ფრიქციულ უმუშევრობას. იგი, უცხოელი ეკონომისტე-

ბის შეფასებით, ითვლება გარდაუვალად და, გარკვეული აზრით, სასურველადაც. უმუშევრობის ეს სახე განიხილება, როგორც თავისუფალი მეწარმეობის გვერდითი პროდუქტი. ფრიქციული უმუშევრობა განპირობებულია კადრების მობილურობით. მუშაკები ნებაყოფლობით იცვლიან სამუშაო ადგილს სხვადასხვა, როგორც საწარმოო, ისე პირადი ხასიათის მიზეზით და შრომის პირობებისა და ანაზღაურების გაუმჯობესების მიზნით. გათავისუფლების მოტივი შეიძლება იყოს პროფესიით იმედგაცრუებაც.

სამუშაოს ძებნას ახორციელებენ ის ადამიანებიც, ვინც პირველად იწყებენ თავის შრომით ცხოვრებას ზოგადსაგანმანათლებლო ან პროფესიულ სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგ. განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს მომუშავე ახალგაზრდობა, რომელსაც სურს გაარკვიოს „თავისი ადგილი“ შრომის დანაწილების სისტემაში - იპოვოს თავისთვის „საინტერესო“ სამუშაო. ყველა ეს პროცესი ხორციელდება სამსახურიდან გათავისუფლებისა და სამსახურში მიღების ფონზე. ვიღაც გადის პენსიაზე, ვიღაც ამავე დროს ეძებს სამუშაოს სასწავლო დაწესებულების დამთავრების შემდეგ, სხვას აღარ აწყობს ზეინვლის პროფესია, ვიღაც კი ეძებს სწორედ ასეთ სამუშაოს. ადამიანი ყოველთვის ვერ ახერხებს იპოვოს ისეთი სამუშაო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მუშაკის მოთხოვნათა და სამუშაო ადგილის შესაბამისობა. ისეთი ადამიანების ერთობა, ვინც ეძებს სამუშაოს, ქმნის ფრიქციული უმუშევრების კონტიგენტს.

ფრიქციულია უმუშევრობა, როდესაც ადამიანები ეძებენ სამუშაოს მათი უნარისა და გამოცდების შესაბამისად. დასაქმებულები უფრო ეფექტიანად მოქმედებენ, თუ მათი ხელფასი წონასწორულ დონეზე მეტია. მაღალი ხელფასი მშრომელის ჯანმრთელობასა და მათ მწარმოებლურობის ამაღლებას უზრუნველყოფს.

სტრუქტურული უმუშევრობა - ეს ისეთი უმუშევრობაა, რომელსაც ზოგიერთ ბაზარზე წარმოშობს სამუშაო ადგილების სიმცირე სამუშაოს მაძიებელ რაოდენობასთან შედარებით. სტრუქტურული უმუშევრობის დროს ხელფასი წონასწორულ დონეზე მაღალია, რის გამოც სამუშაო ძალის

მიწოდება მოთხოვნას აჭარბებს.

სტრუქტურულ უმუშევრობას აქვს არა იმდენად პირადი, რამდენადაც უფრო მეტად ტექნიკურ-ეკონომიკური საფუძველი. იგი ასე ნათლად არაა დამოკიდებული ადამიანის სურვილებსა და მისი შრომითი ქცევის მოტივებზე. სტრუქტურული უმუშევრობის საფუძველი უდევს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მისი მიღწევების გამოყენება სამეურნეო პრაქტიკაში. საბოლოოდ ეს გამოიხატება მოსახლეობის საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნების სტრუქტურის ცვლაში, წარმოების ტექნოლოგიების შესაბამის სრულყოფაში. შედეგად იცვლება სამუშაო ადგილების სტრუქტურა;

- ხდება მისი მოდერნიზირება;
- ჩნდება ახალი, უქმდება ძველი;

ასეთი ნოვაციები ახდენენ დასაქმებული მოსახლეობის პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის ტრანსფორმირებას და, ამასთან დაკავშირებით, მოთხოვნას სამუშაო ძალაზე. შრომის შეთავაზება კი უფრო კონსერვატიულია და შემდეგშიც ინარჩუნებს ხარისხსა და სტრუქტურას.

ადამიანებს ხელახალი ორიენტაციისათვის სჭირდებათ გარკვეული დრო, რომლის განმავლობაშიც შეიძენენ ახალ შრომით ჩვევებს, ცოდნას, შეეგუებიან ახალ საარსებო გარემოს. სტრუქტურული უმუშევრობის მიზეზი შეიძლება გახდეს შრომის ტერიტორიული დანაწილების ცვლა.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა ეგრეთ წოდებულ სტრუქტურულ უმუშევრობას განიცდის. ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანი უმუშევრობაა, რაც ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან. არასათანადოდ განათლებული სამუშაო ძალა მხოლოდ უფროს თაობებს არ მოიცავს. თუ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე ვიმსჯელებთ, მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმები ხორციელდება, განათლების სისტემა კვლავ არაეფექტიანია ისეთი მომავალი ლიდერების აღზრდაში, რომლებსაც თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები ექნებათ განვითარებული. ამ ვარაუდს ადასტურებს 2011-2012 წლის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგები,

რომლის თანახმადაც, უმუშევართა ყველაზე დიდ ჯგუფს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები - 20-35 წლის ადამიანები შეადგენენ. (4)

„უცხოურ ლიტერატურაში უმუშევრობისა და მისი სახეების ანალიზის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა სრულიად გარდაუვალია და, გარკვეული აზრით, სასურველი. ამასთან ერთად სრულიად ცხადია, რომ ამ უმუშევრობას საზღვრები უნდა ჰქონდეს მკაცრად განსაზღვრული. უმუშევრობის ასეთ მისაღებ დონედ თეორიული გამოკვლევებში მიღებულია ჩაითვალოს უმუშევრობის დასახელებული ბუნებრივი დონე. ის ყალიბდება, როცა მიღწეულია გარკვეული დაბალანსებული მოთხოვნა და მიწოდება სამუშაო ძალისა, ანუ ვაკანტური ადგილები არის იმდენივე ან დაახლოვებით იმდენივე, რამდენიც - სამუშაოს მაძიებელი ადამიანი. სწორედ ამ პირობებში შეიძლება უზრუნველყოფის საზოგადოების მთელი რესურსის „სრული გამოყენება“ მისი ერთობლივი მოთხოვნის პოზიციიდან და, შესაბამისად, ფასების ზრდის ტემპის ეკონომიკისათვის მისაღებია. რაოდენობრივად ბუნებრივი უმუშევრობა განისაზღვრება, როგორც ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამი.“ (2) ნათელია, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში და მისი სიდიდე არ შეიძლება იყოს მუდმივი.

ფრიქციულ და სტრუქტურულ უმუშევრობასთან ერთად არსებობს კიდევ ციკლურიც. უმუშევრობის ეს სახე მჭიდროდაა დაკავშირებული საქმიანი აქტიურობის ციკლის (საწარმოო ციკლის) მოძრაობასთან. საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის საერთო ვარდნამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს დასაქმებულთა რიცხვის შემცირება, რაც იწვევს უმუშევრობის ზრდაც. ციკლური უმუშევრობა თანამედროვე საზოგადოებრივ ეკონომიკაში ითვლება არასასურველ მოვლენად. ეკონომიკაში, რომელიც იმყოფება საწარმოო ციკლის მწვერვალზე, იგი უნდა იყოს ნულის ტოლი, თუმცა თანამედროვე ეკონომიკის პრაქტიკაში ასე არაა.

ციკლური უმუშევრობის ტიპურობა საინტერე-

სოდ მიგვაჩნია საქართველოს რეალობაში. ამ ტიპის უმუშევრობა მოკლევადიანია და ეკონომიკური რეცესიის დროს ჩნდება, როდესაც ეკონომიკური პროდუქცია მცირდება და წარმოების ციკლზე ბაზარზე მოთხოვნის კლება მოქმედებს. ასევე, როცა ინვესტიციების მოცულობა იკლებს.

უმუშევრობა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, შეუძლებელია შეფასდეს ერთმნიშვნელოვნად. ახლა შევხვით მის სოციალურ შედეგებს.

უმუშევრობა, ამცირებს რა ოჯახის შემოსავალს, აძლიერებს მოსახლეობის დიფერენციაციას. საჭიროა საკმაოდ დრო, რომ მოსახლეობის უმეტესობამ გააცნობიეროს, რომ განაწილების ასეთი ხასიათი აკავებდა წარმოების ეფექტურობის ზრდას და დამლუპველია სახელმწიფოსა და ადამიანისთვის. თუმცა არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ დღეისთვის არსებული შემოსავლების დიფერენციაცია ყოველთვის გამართლებული არაა და ხელს არ უწყობს სოციალურ მშვიდობას ქვეყანაში, წარმოების ეფექტურობას.

უმუშევრობა თრგუნავს ადამიანის ქცევის ზნეობრივ საწყისს. იგი ხდება გაღიზიანებული, უხეში, გაბოროტებული, სხვისი ბედისადმი გულგრილი, თავს გრძნობს დამცირებულად, საზოგადოებისათვის, ოჯახისათვის, თავისი თავისადმიც კი არასაჭიროდ. უმუშევრობას მივყავართ ადამიანის უმოქმედობასა და დეგრადაციამდე - ლოთობა, ნარკომანია, სრულიად ამორალური მართლსაწინააღმდეგო ქმედებები. ხდება მოსახლეობის მარგინალიზაცია, უარესდება სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი საზოგადოებაში. შრომისუნარიანი ასაკის განსასჯელთა, უმუშევართა და იმათი, ვინც არ სწავლობს, რიცხვი სისტემატურად იზრდება.

კრიმინოგენული სიტუაცია მძაფრდება ახალგაზრდათა უმუშევრობის მაღალი დონითაც. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მისი მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე მოსახლეობის სხვა ასაკობრივი ჯგუფებისა.

უმუშევრობა იწვევს ოჯახური კავშირების შესუსტებას, მშობლის მოვალეობის დავიწყებას. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ

უმუშევრების რიცხვის ზრდა ამცირებს ქორწინების რიცხვს. ასეთი დასკვნა ამტკიცებს სპირმენის რანგების კორელაციის კოეფიციენტის გათვალისწინებით. უკანასკნელ წლებში იზრდება უსახლკარო ბავშვთა რიცხვიც. ზოგიერთი შეფასებით, ისინი დღეს უფრო მეტნი არიან, ვიდრე სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ. გაჩნდა ცნება „სოციალური ობლები“, ე.ი. ბავშვები, ვინც დატოვეს მშობლებმა და გადაეცნენ ბავშვთა სახლებს და ა.შ.

უმუშევრობის შედეგების შეფასებისას უნდა ვადიაროთ, რომ ეს არის სოციალური სტრესი, რომელიც შესამჩნევად აუარესებს ადამიანის ჯანმრთელობას. ის უფრო ემორჩილება დაავადებებს და პირველ რიგში ფსიქიკურ აშლილობას. სწორედ ამას მოწმობს იმ დაავადებულთა რიცხვის ცვლა, რომელთაც უწევს საკონსულტაციო-სამკურნალო დახმარებას. უმუშევრობის შედეგი შეიძლება იყოს სოციალური აღშფოთება და სოციალური აფეთქებაც კი. ეს შესაძლებელია, როცა მისი ზომები გადააჭარბებს დასაშვებ დონეს. უცხოურ ლიტერატურაში ასეთ კრიტიკულ სიდიდედ ითვლება უმუშევრობის დონე 10-12%-ით.

უმუშევრობა შეიძლება გახდეს სოციალურ-ეკონომიკური დესტაბილიზაციის ფაქტორი, თუ უმუშევრობის საფრთხე შეეხება მუშაკთა მრავალრიცხოვან და კარგად ორგანიზებული პროფესიულ ჯგუფებს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, ან მოღვაწეობის დარგებში, რომელიც ეხება ბევრი ადამიანის ინტერესს. ასეთი პროფესიული ჯგუფების მაგალითი შეიძლება იყოს მადაროელები, ენერგეტიკოსები, ექიმები, მასწავლებლები და სხვა.

უმუშევრობა შეიძლება გახდეს სოციალურ-ეკონომიკური დესტაბილიზაციის ფაქტორი იმ შემთხვევაშიც, როცა მნიშვნელოვნად იზრდება იმ პირთა ჯგუფი, ვინც დიდი ხნის განმავლობაში ვერ პოულობს სამუშაოს, ეგრეთწოდებული „სასოწარკვეთილები“. გარკვეული წარმოდგენა მასზე შეიძლება შექმნას ინფორმაციამ უმუშევრების, ვინც 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ პოულობს სამუშაოს, რიცხოვნობის დინამიკის შესახებ.

ყველა ამ გარემოებას არ შეიძლება არ მოეხდინა ნეგატიური დამოკიდებულების ფორმირება

მოსახლეობის უმუშევრობის მიმართ. უმუშევრობის წარმოშობა ადამიანთა ცნობიერებაში განუყოფლადაა დაკავშირებული ეკონომიკურ რეფორმებთან და,

მასასადამე, ავიწროვებს რეფორმების სოციალურ ბაზას და აყოვნებს ეკონომიკის ზრდას ქვეყანაში.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგენკო NDI-ს კვლევის შედეგების კომენტარებისას აცხადებს, რომ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა ახალი მთავრობის პრიორიტეტია. კვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად სამუშაო ადგილების პრობლემას ასახელებს. „ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი სტრატეგია შრომის ბაზრის შესასწავლად, შრომის კოდექსი უკვე შეიცვალა. ეს პროგრესი თვალსაჩინო შედეგს მოგვცემს წლის ბოლოსთვის, უახლოესი თვეების განმავლობაში. ცხადია, რომ სამუშაო ადგილების შესაქმნელად, უმთავრესი ეკონომიკის გაძლიერებაა, რასაც დრო სჭირდება“, - განაცხადა მინისტრმა.(5)

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია რომ დღეს დამკვიდრებული თვალსაზრისით „უმუშევრობის და სოციალური უთანასწორობის დაძლევა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის გზით მიიღწევა“. ამასთან დაკავშირებით სწორედ შენიშნავს ლ. რეხვიაშვილი „ერთია რომ ეკონომიკური ზრდა აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი პირობაა უმუშევრობის და სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. მეორეც, მიზეზ-შედეგობრიობა სოციალურ უთანასწორობასა და ზრდას შორის მკვეთრად განსაზღვრული არ არის. შეფერხებული ეკონომიკური ზრდა ისევე აღრმავებს სოციალურ პრობლემებს, როგორც მწვავე სოციალური პრობლემები აფერხებენ ეკონომიკურ ზრდას. შესაბამისად არ შეიძლება რომელიმე მიმართულება ცალსახა პრიორიტეტად გამოცხადდეს. არ შეიძლება ეკონომიკური ზრდა გახდეს ცენტრალური მიზანი ხოლო სოციალური კეთილდღეობა მეორეხარისხოვან, თანმდევ პროცესად აღვიქვათ.“ (6) ჩვენც ვფიქრობთ რომ აუცილებელია, ხელისუფლებამ სოციალური პოლიტიკის დაგეგმვისას ეკონომიკური პოლიტი-

კის მიზნები გაითვალისწინოს, და პირიქით. სოციალური პასუხისმგებლობა არ გამოირიცხავს იმას, რომ მთავარი მიზანი მოგების მაქსიმიზაცია იყოს. უბრალოდ, მთავარია ვიცოდეთ, თუ სად გადის ზღვარი მოგების მაქსიმიზაცია და კაცობრიობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების უგულვებელყოფას შორის.

XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკის ისტორიკოსის კარლ პოლანი წერდა: „რომ ბიზნესი მუდმივად ამგვარ სახიფათო ზღვარზე ფუნქციონირებს, რადგან რთულია დაიცვა ბალანსი მოგების მაქსიმიზაცია და საზოგადოების ინტერესების უგულვებელყოფას შორის.“(7) მისი გადმოსახედიდან მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული საბაზრო ეკონომიკის დომინანციამ შექმნა როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური თავისუფლებები. მისი თეორიის მიხედვით, საჭიროა მიღწეული წარმატებების შენარჩუნება და ასევე სოციალური პრობლემების საბაზრო ეკონომიკისთვის გადაბარებით შექმნილი დესტრუქციის აქტიური რეგულაციით და ჩარევით დაბალანსება. პოლანის ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნება არის ის, რომ შეუძლებელია სოციუმის საბაზრო წესებზე დაქვემდებარება. აუცილებელია სახელმწიფო გონივრულად ჩაერიოს, მოახდინოს დესტრუქციის კომპენსაცია, არეგულიროს ეკონომიკა, რითაც საბაზრო ეკონომიკას კრიზისებისგან, ხოლო მოსახლეობასა და ბუნებრივ რესურსებს განადგურებისგან დაიცავს.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ამოცანაა უმუშევრობის შემცირების ძირითადი გზების ძიება. სახელმწიფოს უმთავრესი როლია წარმოების ისეთი რესურსის სრული და რაციონალური გამოყენება, როგორცაა შრომა, მასშტაბური უმუშევრობის არდაშვება, აქტიური მოღვაწეობა მისი შემცირებისათვის. ამ პრობლემის გადაწყვეტაში შეიძლება სამი გენერალური მიმართულების გამოყოფა.

პირველი (შეიძლება ეწოდოს სუბიექტური) მდგომარეობს ადამიანის მომზადების ორგანიზებაში ისეთი შრომითი საქმიანობისათვის, როცა ის წარმოების პრობლემის, ტექნიკური ბაზის შეცვლასთან დაკავშირებით საკმარისად სწრაფად შეძლებს გაიაროს გადამზადება და დაეუფლოს

ახალ ცოდნას, უნარ-ჩვევებს წარმატებული შრომითი საქმიანობისათვის. ამისი აუცილებლობა დიდია, რამდენადაც თანამედროვე წარმოებას ახასიათებს ტექნოლოგიების, ტექნიკური ბაზების სისტემატური ცვლა. მუშაკი უნდა შეესაბამებოდეს წარმოების განვითარების ასეთ ტენდენციას.

მეორე გენერალური მიმართულება მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად არის სახელმწიფოს მოღვაწეობა ეკონომიკის განვითარების სტიმულირებისათვის, რათა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები.

მესამე სახელმწიფოს მიერ სოციალური პოლიტიკის შექმნა და გატარებაა. საქართველოში უმუშევრობის დონე მეზობლებთან შედარებით უფრო მაღალია, ეკონომიკური უთანასწორობისა და აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლებით მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში გამოვიჩვენებთ. ამ განვითარების ცენტრალური მიზეზი კი დანარჩენ ქვეყნებში სოციალური უზრუნველყოფის ფარდობითად უკეთესი სისტემის არსებობაა. ისტორიას უნდა ჩაბარდეს სოციალური ვალდებულებებისგან თავისუფალი სახელმწიფოს არსებობა. სახელმწიფოს კეთილდღეობის არსებობის მნიშვნელოვანი პირობებია: სახელმწიფო პენსიები, უბედური შემთხვევებისგან და უმუშევრობისგან დაზღვევა, მატერიალური და სოციალური დახმარებები უპატრონო და უსახლკარო მოქალაქეებისათვის.

ლიტერატურა:

1. (http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)
2. <http://demoscope.ru/weekly/2002/073/biblio03.php> Социальная политика, Учебник Под общ. ред. Н. А. Волгина, М.: Издательство “Экзамен” 2002. с. 736
3. http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo (Civil ენციკლ. ლექსიკონი)
4. http://eapnationalplatform.ge/admin/editor/uploads/files/publications/Policy%20Paper%20WG4_Axalgazrdebis%20dasaqmeba.pdf ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები საქართველოში

5. <http://news.ge/ge/news/story/59432-sergeenko-umushevrobis-tsinaagmdeg-sakhelmtsifo-politikis-shedegs-tslis-bolostvis-elodeba>
6. <http://blogs.liberali.ge/ge/blog/1567/117289/> ლელა რეხვიაშვილი გვჭირდება თუ არა სოციალური ვალდებულებების გადადება?
7. Карл Поланьи „Великая трансформация: политические и экономические истоки нашего времени”, [бесплатной электронной библиотеке Royallib.ru](http://royallib.ru)

**ფიქრია დიდებაშვილი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
უმუშევრობის დაძლევის სამი ძირითადი გზა**

რეზიუმე

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უმუშევრობა ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევს და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს. გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანაა რასაც უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარებული ყველა სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს. ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში უმუშევარია საერთო მოსახლეობის 14.6% .

უმუშევრობის შინაარსი იმაშია, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ჩამოყალიბდა განსაზღვრული მომენტისათვის სამუშაოს სრული უქონლობის სიტუაცია. უმუშევრობის ნორმალურ ანუ ბუნებრივ დონეს განსაზღვრავს ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა ხვედრითი წონა შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში. უმუშევრობის მიზეზები ფრიად მრავალფეროვანია. მათ შორისაა: ავტომატიზირებული წარმოება, იგი ასევე განისაზღვრება სხვა მრავალი სოციალურ-ეკონომიკური და საორგანიზაციო - მმართველობითი ფაქტორით. უმუშევრობის დონეს განსაზღვრავს ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციაც. უმუშევრობისგამომწვევი მიზეზებია ასევე ფართომშტაბიანი გლობალიზაციის პრობლემა, მზარდი ურბანისაცია. სტატიაში განხილულია უმუშევრობის ძირითადი სახეების: ფრიქ-

ციული, სტრუქტურული, ციკლური. ყურადღება გამახვილებული უმუშევრობის სოციალურ შედეგებზე.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ამოცანაა უმუშევრობის შემცირების ძირითადი გზების ძიება. ამ პრობლემის გადაწყვეტაში შეიძლება სამი გენერალური მიმართულების გამოყოფა.

პირველი (შეიძლება ეწოდოს სუბიექტური) მდგომარეობს ადამიანის მომზადების ორგანიზებაში ისეთი შრომითი საქმიანობისათვის, როცა ის წარმოების პირობების, ტექნიკური ბაზის შეცვლასთან დაკავშირებით საკმარისად სწრაფად შეძლებს გაიაროს გადამზადება და დაეუფლოს ახალ ცოდნას.

მეორე გენერალური მიმართულება მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად არის სახელმწიფოს მოღვაწეობა ეკონომიკის განვითარების სტიმულირებისათვის, რათა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები.

მესამე სახელმწიფოს მიერ სოციალური პოლიტიკის შექმნა და გატარებაა. სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს სოციალური ვალდებულებანი. შექმნას სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, რაც გულისხმობს: სახელმწიფო პენსიებს, უბედური შემთხვევებისგან და უმუშევრობისგან დაზღვევას, მატერიალური და სოციალური დახმარებები უპატრონო და უსახლკარო მოქალაქეებისათვის.

**Пикриа Дидебашвили, асоц. профессор
Преодоление безработицы тремя
основными путями
Резюме**

Всем известно, что безработица для населения любой страны тяжёлым бременем упирается и вызывает экономические, психологические, социальные потери. Наша страна не исключение, что подтверждают проведённые социологические исследования за последние 15 лет. По официальным данным в стране безработица составляет 14.6 % населения.

Содержание безработицы в том, что для определенной части экономически активного населения сложилась ситуация полного

отсутствия работы в определенный момент времени. Причины безработицы весьма многообразны. В их числе можно назвать автоматизацию производства. Она определяется и многими другими социально-экономическими и организационно-управленческими факторами. Уровень безработицы определяется и демографической ситуацией в стране. Причину безработицы составляет широкомасштабная проблема глобализации, рост урбанизации.

В статье обсуждаются основные виды безработицы: фрикционная, структурная, циклическая. Внимание заостряется на социальных последствиях безработицы. Одной из задач государства искать основные пути для сокращения безработицы. В решении этой проблемы можно выделить три генеральных направления.

Первое (его можно назвать субъективным) заключается в организации такой подготовки человека к трудовой деятельности, когда он в связи с изменениями условий производства, технической базы достаточно быстро сможет пройти подготовку и овладеть новыми знаниями. Второе генеральное направление по социальной занятости населения — это деятельность государства по стимулированию развития экономики, чтобы создать новые рабочие места.

Третье, государство должно создать и провести социальную политику. Государство должно предоставить социальные обязательства. Создать систему социального обеспечения, что подразумевает: пенсионную систему, страхование от безработицы и несчастных случаев, материальные и социальные пособия для одиноких и бездомных граждан.

Pikria Didebashvili, associati professor

Three Main Ways of Reduction of Unemployment

SUMMARY

It is universally known that unemployment is a heavy burden for the population of any country and

causes economic, psychological and social losses. Our country is not exclusion either, which is proved by all the social researches conducted in Georgia within last 15 years. By the official data, 14, 6% of the entire population of Georgia is unemployed. The meaning of unemployment is in that the situation of complete absence of work has been formed for a certain part of the economically active population by the definite moment. A normal, i.e. natural level of the unemployment is determined by the specific weight of the officially registered unemployed in the total amount of the working-age population. The reasons of unemployment are quite diverse. Among them is: an automated production, it is also determined by many other socio-economic and organizational and managerial factors. The level of unemployment is determined by the demographic condition in the country as well. The reasons causing unemployment are also the problem of wide-scale globalization, growing urbanization. The present paper discusses the main forms of unemployment: frictional, structural, cyclic. The attention is concentrated on the social results of unemployment.

One of the tasks of a country is search for the main ways for reduction of unemployment. Three general directions can be outlined in settlement of this problem.

First (it can be called – subjective) is to organize preparation of people for such work activities, when they will quickly enough manage to pass training and to master new knowledge in regard to change of production terms and technical base.

Second general direction for providing employment of population is the state activity for stimulating development of economy for forming new work places.

Third is formation and implementation of social policy by the state.

The state should have social obligations. It should form the system of social security, which implies: state pensions, insurance against accidents and unemployment, material and social allowances for homeless citizens.

შეფასებები უფრო გვხვდება, ვიდრე მათი ჭეშმარიტი დანიშნულებისამებრ გაშუქება. უფრო მეტიც, საგნები, რომლებიც ადამიანს თავის წინაპართა დიდებას, თუ მძიმე დღეებს ასწავლის, წიგნები, რომლებიც ქართველის ზნეობრივ ღირებულებებს გამორჩეული დიდებით მოსავს, სათანადოდ არ ისწავლება. ამ ბოლო დროს ხშირია, ფარულად თუ აშკარად, სექსუალური თავისუფლების პროპაგანდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია გასულ ზაფხულს ანაკლიაში ჩატარებული „კაზანტიპის ფესტივალი“, რომელსაც ნამდვილ მუსიკალურ ფესტივალთან საერთო ნაკლებად ჰქონდა. სამაგიეროდ, აშკარად ეწეოდა სექსუალური თავისუფლების პროპაგანდას, ფესტივალის მონაწილეებს შორის ე. წ. ქორწინების მოწყობით.

დიურკემი განათლებასა და სოციალიზაციას განიხილავს როგორც პროცესს, რომლის შედეგადაც ინდივიდი სწავლობს მოცემული ჯგუფის ან საზოგადოების თავისებურებას; ითვისებს ფიზიკურ, მორალურ და ინტელექტუალურ საშუალებებს, რომლებიც საჭიროა საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. მისი აზრით მორალურ აღზრდას სამი ასპექტი აქვს: პირველი, ინდივიდების იმ დისციპლინებით აღჭურვა, რაც მათ ვნებათა მოთოკვისათვის სჭირდებათ. მეორე, ადამიანები დაჯილდოებულები არიან ავტონომიურობის შეგრძნებით, მაგრამ ეს არის თვისობრივად განსხვავებული, ატიპური ავტონომია, სადაც ბავშვი აცნობიერებს თუ რატომ უნდა იყოს თავისუფლად მიღებული გარკვეულ ქმედებებზე შექმნილი წესები, და ბოლოს, მესამე, სოციალიზაციის პროცესი მიზნად ისახავს საზოგადოებისათვის და მისი მორალური სისტემისათვის თავის მიძღვნას (ემილ დიურკემი 2010.03.08. „Sociologyingorgia.org.S.B.“).

ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო სტუდენტი ახალგაზრდების სოციალიზაციის პროცესში სხვადასხვა სოციალიზაციის აგენტების როლის შესწავლა; იმ ღირებულებების გამოკვლევა, რომლებზეც მოხდა მათი სოციალიზაცია. გამოკვლევამ მოიცვა ქ. თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლის (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) 800 სტუდენტი.

თანამედროვე ქართული საზოგადოების ღირებულებათა იერარქიაში ოჯახს მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უკავია და მას ნდობის მაღალ ხარისხს ანიჭებენ. რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ოჯახის მნიშვნელობა მისი პიროვნების ძირითადი ელემენტების ფორმირებაში განსაკუთრებით დიდია (გოგონები-95,4%, ვაჟები-93,3%).

ცხრილი 1.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან თითოეულმა როგორი როლი შეასრულა თქვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაში?(%)

	ძალიან დიდი	დიდი	საშუალო	უმნიშვნელო	არანაირი
ოჯახი	94,9	4,1	0,8	0,2	0,0
სკოლა	24,7	47,4	21,5	5,8	0,6
ტელევიზია	4,1	6,4	30,5	32,2	26,8
მეგობრები	40,5	33,1	13,8	1,3	0,4
წიგნები	32,1	38,8	21,0	3,7	2,0

ახალგაზრდების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ოჯახი ის ადგილია, სადაც ყველაზე მეტად გრძნობს თავს კარგად (60,6%). ამასთან მშობლების ნდობის მაჩვენებელიც მაღალია (81%).

ოჯახის მერე რესპონდენტებმა მიუთითეს მეგობრების მნიშვნელოვან როლზე, რაც იმით აიხსნება, რომ მოზრდილებისა და ბავშვების დამოკიდებულება ასიმეტრიულია. ამ დამოკიდებულებაში ბავშვები ყოველთვის დაქვემდებარებულ როლს ასრულებენ. თანატოლებთან კი ისინი თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. თანაბარი მდგომარეობა და ასაკობრივი თანატოლობა ხელს უწყობს მათი ინტერესების, ხასიათების და შეხედულებების მსგავსებას. რესპონდენტთა ნახევარი მეგობრებს საერთო ინტერესით ირჩევს. საერთო ხასიათზე მიუთითა 35,7%-მა. მეგობრის არჩევისას საერთო ინტერესის ფაქტორი უფრო მაღალია გოგონებთან (54,8%), ვიდრე ვაჟებთან (36,5%), საერთო ხასიათს კი ვაჟები უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ (შესაბამისად ვაჟები-59,6%, გოგონები-28%). მეგობრების არჩევის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის დასახელდა:

ცხრილი 2.

ტელეგადაცემებიდან ძირითადად რას უყურებთ?(%)

მხატვრული ფილმი	50,0
სერიალი	5,8
საინფორმაციო გადაცემა	24,3
სპორტული გადაცემა	16,2
კონცერტი	16,5
შოუ	42,1
რელიგიური გადაცემა	19,4
შემცნებითი გადაცემა	21,9
დოკუმენტური ფილმი	15,5

ქვევს კარგი მანერები(31,7%), კარგი წრე-ოჯახი (15,2%), ძალიან მცირე ნაწილმა აღნიშნა კარგი სწავლა. მატერიალური მდგომარეობა დასახელებულ ფაქტორთა შორის საერთოდ არ მოხვედრილა. აღნიშნული ფაქტორების გავლენით რესპონდენტი სტუდენტები მეგობრების წრეში თავს კარგად გრძნობენ, რის გამოც თავისუფალ დროს უმეტესად მათთან ატარებენ (69,2%).

რესპონდენტთა შეფასებით სკოლის როლი მათ პიროვნებად ჩამოყალიბებაში არც თუ მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ ექვსი წლის ასაკიდან ცხოვრების გარკვეულ წლებს სკოლაში ატარებენ. სოციოლოგების აზრით, სკოლას უდიდესი როლი ენიჭება ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რადგან აქ მოზარდი ითვისებს არა მარტო განათლებას, არამედ ქვევის ნორმებს, ღირებულებებს. ისინი სკოლაში ხდებიან დიდი კოლექტივის წევრები. ბავშვები აქ ექვევიან ოჯახისაგან განსხვავებულ გარემოში, სადაც უნდა იმოქმედონ გარკვეული წესრიგით, ისწავლონ ცხოვრება დიდ საზოგადოებაში.

სოციოლოგები საკომუნიკაციო საშუალებებიდან გამოარჩევენ ტელევიზიის როლს. სატელევიზიო გადაცემების შეფასებისას ხაზე უსვამენ მის პოზიტიურ ეფექტს. ითვლება, რომ სატელევიზიო გადაცემები არის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო. ისეთი გადაცემები როგორცაა: დოკუმენტური ფილმები, სამეცნიერო პოპულარული ფილმები, შემოქმედებით-გასართობი გადაცემები სასარგებლოა მაყურებლისათვის, რადგან აფართოებენ მაყურებლის ცოდნას, ხელს უწყობენ ქვევის მოდელის ათვისებას. თუმცა მეცნიერები აღნიშნავენ ტელევიზიის ნეგატიურ ეფექტსაც. როგორც გამოკვლევებით დადასტურდა არსებობს კავშირი სატელევიზიო გადაცემებსა და აგრესიულ ქვევებს შორის (Масионис 182). სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებისადმი რესპონდენტთა ინტერესი განსხვავებულია. რესპონდენტთა მხოლოდ 40,0% უყურებს თავისუფალ დროს ტელევიზორს და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ძირითადად გასართობ გადაცემებს უყურებს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გამოკითხული სტუდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას (36,7%), კომპიუტერს ძირითადად გართობის მიზნით იყენებენ („ჩათაობს“ 34,5%, თამაშობს 17,6%). კინოსა (14,8%) და თეატრში (10,9%) ნაკლებად დადიან და არც ჟურნალ გაზეთებისადმი იჩენენ დიდ ინტერესს (კითხულობს მხოლოდ 7,6%). მიღებული შედეგები, ვფიქრობთ, დამაფიქრებელია, მით უფრო, რომ საქმე ეხება სტუდენტებს.

სოციალიზაციაზე საუბრისას ყოველად დაუშვებელია არ შეეხო იმ ღირებულებებს, რომელთა ათვისებაც ხდება ამ პროცესში. ჩამოყალიბებული ღირებულებითი ორიენტაციები წარმოქმნიან ცნობიერების თავისებურ ღერძს, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების სიმტკიცეს, გარკვეული ქვევისა და საქმიანობის მემკვიდრეობითობას, რომელიც ინტერესთა და მოთხოვნილებათა მიმართულებას გამოხატავს. ამის ძალით ღირებულებითი ორიენტაცია გამოდის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად პიროვნების მოტივაციის დეტერმინირებისა და რეგულირების საქმეში (Масионис.110-114). ღირებულებითი ორიენტაციის განვითარება პიროვნების სიმწიფის ნიშანი და მისი სოციალურობის ზომის მაჩვენებელია. იგი არის ინდივიდის არა მხოლოდ გარეგანი, არამედ შინაგანი სამყაროს აღქმის პრიზმა, რომელიც განაპირობებს ცნობიერების და თვითშემცნების კავშირს. ღირებულებითი ორიენტაციის სიმყარე განაპირობებს პიროვნების ისეთ თვისებებს, როგორცაა მთლიანობა, საიმედოობა, განსაზღვრული

პრინციპებისა და იდეალებისადმი ერთგულება, სისწორე, ნებელობითი ძალისხმევის უნარი. აგრეთვე, ამ იდეალებისა და ღირებულებების სახელით ცხოვრებისეული პოზიციების აქტივობა, მიზნის მიღწევაში სიმტკიცე.

ცხრილი 3.

ღირებულებები, რომლებიც შეითვისეს რესპონდენტებმა (%)

	ოჯახში	სკოლაში	მეგობრების წრეში
კარგი აღზრდა	98,4	7,4	2,0
შრომის სიყვარული	75,0	28,7	3,7
პასუხისმგებლობის გრძნობა	75,6	26,2	6,3
რელიგიური რწმენა	71,3	9,5	13,4
ტრადიციებისადმი ერთგულება	84,3	9,7	3,0
გაჭირვებულების დახმარება	54,6	16,6	12,9
წარმატებისაკენ სწრაფვა	48,8	39,5	19,2
შემწყნარებლობა	72,9	17,5	12,5
მორჩილება	75,5	19,9	1,6
სხვა ადამიანების პატივისცემა	83,6	17,5	12,2
პრინციპულობა	47,9	23,3	31,4
ყიარათიანობა, თანხის დაზოგვა	73,1	6,0	7,4
კეთილგანწყობა	65,5	13,2	26,2
დამოუკიდებლობა	47,2	31,5	33,1
კარგი განათლება	40,0	61,5	2,0
მეგობრებთან ურთიერთობა	28,5	24,7	66,6
არაფერი	0,0	10,8	14,6

ამ ბოლო დროს, ყურადღებას ამახვილებენ ოჯახის ფუნქციათა ტრანსფორმაციაზე, ზოგიერთი ფუნქციის დაკარგვაზე. ერთი რამ ცხადია, ოჯახს კვლავ უდიდესი როლი აკისრია, გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, მისი როლი შეუცვლელია, ჩვენს მიერ განხილულ ერთ-ერთ ფუნქციაში-სოციალიზაციაში. თუმცა, საყურადღებოა, რომ ოჯახში, სხვა ღირებულებებთან შედარებით, ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთი ღირებულებების ათვისებას, როგორცაა: წარმატებისაკენ სწრაფვა, პრინციპულობა და დამოუკიდებლობა, რადგან მათზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ახალგაზრდების შემდგომი ბედი. სწორედ ეს ღირებულებებია წარმატების წინა პირობა.

ლიტერატურა:

1. ემილ დიურკემი 2010.03.08. „Sociologyingorgia.org.S.B.“.
2. Масионис. Социология.2004.
3. Э. Гидденс Социология.1999.

*Elguja Menabdishvili,
Assistant-Researcher of the institute of
Demography and Sociology, Iliia State University,
Doktor of Economic Sciences*

*Lela Menabdishvili,
Researcher of the institute of Demography and
Sociology, Iliia State University, Doktor of Economics*

INFLUENCES OF THE ENVIRONMENTS IN THE PROCESS OF STUDENTS' PERSONALITY FORMATION

SUMMARY

According to the respondents (94, 9%), the greatest role in formation of personality is attributed to a family. The majority of young people (60,6%) indicate, that the family is the place where they feel best of all. The confidence towards the parents is high (81%) as well. After the family they name the friends (35, 6%), the books (32, 3%), and the school (24, 7%). They choose friends by the common interests and the common nature. The common interests factor is higher among the girls (54,8%), than among the boys (36,5%). The common nature is more important for the boys, (accordingly: boys – 59, 6%, girls – 28%). They mainly spend the free time with them (69, 2%). Only a small number of the respondent students (36,7%) reads fiction, uses computer only for the fun (has a chat 34,5%, plays – 17,6%), seldom goes to the cinema (14,8%) or to the theater (10,9%) and doesn't express the great interest to the reading newspapers and magazines (reads only 7,6%).

Respondents received a good upbringing (98, 4%) in the family as usual, studied the loyalty to the traditions (84, 3%) and the respect for

the other person (83, 6%). The development of internal control and the formation of a sense of responsibility, obedience and love to work among the young people in the family are high, but rather small attention is paid to the aspiration to success, commitment to principles and the independence.

Besides of a good education (61,5%) respondents note the role of the school in the formation of such values as is the aspiration to success (39,5%), the independence (31, 3%), the love for work (28,7%), the sense of responsibility (26,6%) and the commitment to principles (23,3%). The role of family in the process of socialization is very high.

Key words: cultural inheritance, value, value orientation, socialization, socialization agents, transformation, a family, a school, friends, media.

*Элгуджа Менабдишвили,
Доктор экономических наук, Ассистент-
исследователь Институт Демографий и
Социологий ИЛИАУН-а,*

*Лела Менабдишвили,
Доктор экономики, Исследовательница
Институт Демографий и
Социологий ИЛИАУН-а,*

13 თებერვალს წითელი არმიის ნაწილები დაეუფლნენ წითელ ხიდს, დაიკავეს თითქმის მთელი კახეთი და თბილისს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მიუძღოდნენ. 14 თებერვალს საქართველოს მთავრობამ მთავარსარდლის პოსტი დაატოვებინა გენერალ ი. ოდიშელიძეს და მის ნაცვლად დანიშნა გენერალი გ. კვინიტაძე. მან მთელი ყურადღება თბილისის დაცვაზე გადაიტანა და ჯარი კოჯრის და ტაბახმელას მიდამოებში განალაგა. ქართველი ჯარისკაცები, გვარდიელები და იუნკერები გმირულად იბრძოდნენ. მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მრავალრიცხოვან მტრის ძალებს. ერთკვირიან ბრძოლებში უპირატესობა საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარეზე იყო. მათ ჯერ კიდევ შეეძლოთ ომის წარმატებით გაგრძელება, მაგრამ რუსთა მოქმედ ჯარს ახალი დივიზიები ემატებოდა. მტრის უპირატესობა ორმაგი და სამმაგი გახდა. თბილისის დამცველი ქარ-

თული ჯარის რეზერვები კი ამოიწურა. მიუხედავად ქართველთა გმირული წინააღმდეგობისა, წითელარმიელებმა მაინც შეძლეს გაჭრილიყვნენ მცხეთის მიმართულებით და თბილისის დამცველ ქართულ ჯარს ზურგში მოექცნენ. საქართველოს მთავრობამ სამხედრო საბჭოს რჩევით გადაწყვიტა თბილისიდან ჯარის გაყვანა და ომის ხელსაყრელ პოზიციებზე გაგრძელება. მთავარსარდლის ბრძანებით ქართულმა ჯარმა თბილისი დატოვა. მასთან გაჰყვა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობაც.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია თბილისში შემოვიდა. წითელი არმიის მიერ თბილისის აღების შემდეგ საქართველო მართალია, საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა, მაგრამ უთანასწორო ომი გრძელდებოდა. ბრძოლები მოხდა გორის მიდამოებში, ოსიაურთან, სადაც ქართველი ჯარი შეება როკი-ჯავის გზით შემოსულ წითელ არმიას. მოხერხდა მამისონის უღელტეხილით გადმოსული რუსული დივიზიის მცირე ხნით ლოკალიზაცია. მცირე მასშტაბის ბრძოლებს ჰქონდა ადგილი შქმერის, ნიკორწმინდის და ხვანჭკარის მიდამოებში. დასავლეთ საქართველოს ოკუპაციის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა აფხაზეთის გზით შემოსულმა რუსულმა ჯარმა, რომელიც აღმოსავლეთიდან უკან დახეულ ქართულ ლაშქარს ზურგში მოექცა.

სერგო ქავთარაძემ პირადად შესთავაზა ნოე ჟორდანიას საქართველოში დარჩენა და კომუნისტებთან თანამშრომლობა. ქართველმა კომუნისტებმა კომპრომისული შეთანხმების საკითხი 18 მარტის ქუთაისის საზავო მოლაპარაკების დროსაც დააყენეს. ამ მოლაპარაკებას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მხრიდან აწარმოებდა სრულუფლებიანი წარმომადგენელი გრიგოლ ლორთქიფანიძე. „ქართულმა დელეგაციამ – იგონებდა მოგვიანებით გრ. ლორთქიფანიძე – დეკლარაციულად განაცხადა, რომ ის არის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი და მას ახალი მთავრობის შედგენის შესახებ არავითარი მოლაპარაკება არ შეუძლია, რომ სადაც და რა პირობებშიც დარჩეს საქართველოს მთავრობა, ის

ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად სთვლის თავს, სანამ იმის წინააღმდეგ არ იქნება ქართველი ხალხის თავისუფლად გამოთქმული ნებისყოფა” (ლორთქიფანიძე, 1995, 244-245). ესე იგი, დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლება უცხოეთში გახიზვნის შემდეგაც შეინარჩუნებდა უფლებამოსილებას, საერთაშორისო სარბიელზე დაყრდნობით გააგრძელებდა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლას, ან მშვიდობიანი ფორმით, ან თოფ-ზარბაზნის ენით (ალ. ბენდიანიშვილი, 2007, 35). საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ უარი თქვა საბჭოური კომუნისტური ტოტალური რეჟიმის მარიონეტობაზე, 1921 წლის 17 მარტს საქართველოს ტერიტორია დატოვეს, საფრანგეთს შეაფარეს თავი და იქ მიიღეს საქართველოს ემიგრანტული ხელისუფლების სტატუსი. ემიგრანტულ მთავრობას, როგორც მკვლევარი ალექსანდრე ბენდიანიშვილი წერს: „არ შეუწყვეტია კავშირი სამშობლოში დარჩენილ თანამოაზრეებთან და მათთან ერთად გააგრძელა ხანგრძლივი, მაგრამ იმედიანი ბრძოლა ქართველი ხალხის სუვერენული უფლებების აღდგენისათვის” (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, 2008, 372).

1921 წლის 12 მარტს აჭარაში თურქები შემოვიდნენ და მოახდინეს ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაცია.

რუსეთ-საქართველოს ომის სულ ბოლო ეტაპზე, გრ. ლორთქიფანიძის განმარტებით, დაისვა კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი სახით დარჩენილიყო დამარცხებული საქართველო – ორად გახლეჩილ რუსეთსა და ოსმალეთს შორის, თუ ხელი შეგვეწყო კირთების ქვეშ, მაგრამ ე.წ. საბჭოთა საქართველოს ნაწილით, არჩევანი, რასაკვირველია უკანასკნელზე შეჩერდა (გრ. ლორთქიფანიძე, 1995, 221-222).

ამგვარ ვითარებაში მეომარ მხარეებს (რუსეთ-საქართველოს) შორის მოლაპარაკების იდეა ჩაისახა. შეხვედრა შედგა 1921 წლის 17-18 მაისს, იგი ქუთაისის კონფერენციის სახელითაა ცნობილი. ამ შეხვედრის, მის მონაწილეთა პოზიციისა და მოლაპარაკების სწორი შეფასება გრ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნის.

ქართულმა ჯარმა გენერალ გიორგი მაზნიაშ-

ვილის სარდლობით თავგანწირული ბრძოლის შედეგად შეძლო თურქი დამპყრობლებისაგან ბათუმის განთავისუფლება, მაგრამ ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი და ამავე დროს დროებითი წარმატება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოკუპანტ წითელ არმიას თურქ ასკერთა წინააღმდეგ ბრძოლაში ფაქტობრივად არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, საბჭოთა რუსეთმა ისარგებლა ქართული ჯარის გამირული ბრძოლის შედეგად მოპოვებული გამარჯვებით და თავისი ინტერესების განხორციელების მიზნით, გადაწყვიტა დიპლომატიის გზით ჩარეულიყო საქართველო-თურქეთის საომარ კონფლიქტში. 1921 წლის 16 მარტს რუსეთმა თურქეთთან გააფორმა დროებითი ხელშეკრულება, რამაც შესაძლებელი გახადა 18 მარტს აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადებულიყო.

ამრიგად პატარა საქართველო თითქმის თვენახევრის მძიმე და სასტიკი ბრძოლების შემდეგ, რომელსაც იგი აწარმოებდა წითელი არმიისა და ოსმალთა ასკერების წინააღმდეგ, მიუხედავად გარკვეული წარმატების მოპოვებისა, უთანასწორო ომში მაინც დამარცხდა. საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს არა მარტო ინტერვენცია, ანექსია და ოკუპაცია, არამედ გასაბჭოებაც.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ნაცვლად, რომელმაც საფრანგეთს შეაფარა თავი და ემიგრანტული ხელისუფლების სტატუსი მიიღო, კომუნისტებისაგან შეიქმნა „რევოლუციური კომიტეტის” (სახალხო საბჭოს წინამორბედი ორგანო – ი. გ.). იგი შინაპოლიტიკური ძალებსა და საერთაშორისო დემოკრატიის საყურადღებოდ აცხადებდა, რომ მან ნ. ჟორდანისას ხელისუფლება ჩამოართვა, მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებას არ აპირებდა, საქართველოს დამოუკიდებლობას საბჭოური ფორმით ინარჩუნებდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა 1921 წლის 10 აპრილს წინადადება წამოაყენა, რომ საბჭოურ-კომუნისტური ხელისუფლებისა და საქართველოს მთავრობის სადაო საკითხები გადაჭრილიყო საერთაშორისო არბიტრაჟის მეშვეობით. ამას

საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიამ დაუჭირა მხარი. ამ საქმესთან დაკავშირებით საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკება იკისრა სოციალისტურმა ინტერნაციონალმა, რამზეც მაკდონალდის სახით, მაგრამ რუსეთმა უარი განაცხადა ყოვლად სამართლიან წინადადებაზე.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა, არამედ მან დაკარგა თავისი ძირძველი მიწების დიდი ნაწილი, თითქმის 20 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, რომელიც საბჭოთა რუსეთმა ნაწილი თავისთვის დაიტოვა. დიდი ნაწილი კი თურქეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს გადასცა.

აი, რას წერს რუსეთის მიერ განხორციელებული ამ ვანდალური აქციის შესახებ გრ. ლორთქიფანიძე: „დაიპყრეს თუ არა საქართველო, მაშინვე შეუდგნენ მის განაწილებას. ოსმალეთს მიეცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი შავშეთ-ერუშეთ-არტაანი ფოცხოეთი. სომხეთსა და აზერბაიჯანსაც მოუჭრეს საქართველოს საგრძნობი ნაწილი, სომხეთს მიეცა მთელი ეგრეთწოდებული ნეიტრალური ზონა ალავერდის მადნითა და ქარხნით, ხოლო აზერბაიჯანს სიღნაღისა და ტფილისის მაზრების ნაწილები ყარაიას ვეილს აღმოსავლეთ ნახევარში და დავით გარეჯის რაიონით. სომხეთისა და აზერბაიჯანის ქართული ტერიტორიით დაჯილდოებას რუსეთისათვის უმთავრესად საპროვოკაციო მნიშვნელობა ჰქონდა. ვინაიდან ამ ერებს ერთი მეორეზე გადაკიდებდა, ხოლო ეს ძველი ნაცადი ხერხი კი სავსებით ხელუხლებლად დარჩა. ეგრეთწოდებული კომუნისტური რუსეთის ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, სახელდობრ გაგრის ოლქის დასავლეთი ნახევარი ცივი წყლიდან მდინარე ჰ(ფ) სოუმდე. ესე იგი დაარღვია ის საზღვარი, რომელიც 7 მაისის ხელშეკრულებით დაუდო საქართველოს.

ასე ტრაგიკულად დამთავრდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის თითქმის სამწლიანი პერიოდი.

რუსეთის კომუნისტური პარტია და მის კვალზე ქართველი კომუნისტები დემაგოგიურად

აცხადებდნენ, რომ 1921 წლის 25 თებერვლის აქტის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობა არ დაუკარგავს. მოხდა მხოლოდ ბურჟუაზიული წყობილების სოციალისტური წყობილებით შეცვლა, მაგრამ არამარტო ქართველი ერი, არამედ მთელი მსოფლიო ხედავდა, რომ საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ინტერვენციამ, მის მომდევნო ხანაში განხორციელებულმა ღონისძიებებმა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია დაამკვიდრა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო წმინდა ფორმალობას, ფიქციას წარმოადგენდა. მისი მარიონეტული კომუნისტური პარტია და მთავრობა კრემლის კარნახით მოქმედებდა. იგი, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლებოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ.

ახალმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაიწყო საბჭოთა სტრუქტურების დაფუძნება. ადგილზე იქმნებოდა რევოლუციური კომიტეტები. ეს იყო საგნგებო ორგანოები, რომლებიც კომუნისტური პარტიის მიერ ინიშნებოდა. მათ ხელში იყო როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ძალაუფლება. მათი მთავარი მიზანი იყო დაეთრგუნათ კომუნისტური რეჟიმის ყველა მოწინააღმდეგე, განემტკიცებინათ კომუნისტური დიქტატურა, შეექმნათ ხელსაყრელი პირობები საქართველოში საბჭოთა რეჟიმის სრულად დამკვიდრებისათვის (ნათმეღამე, დაუშვილი, ჯაფარიძე, წენგუაშვილი, 2008, 50-51).

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა შექმნა საბჭოთა საქართველოს პირველი მთავრობა. სახალხო კომისართა საბჭო. პირველი, რაც გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ ეს იყო ის, რომ გააუქმა სასამართლოს არსებული სისტემა სენატი და სხვა სამართალდამცავი ორგანოები. მის პარალელურად შეიქმნა საბჭოთა პოლიტიკური სტრუქტურები, პირველ რიგში – რევოლუციური კომიტეტები, რომელთა მთავარი მამოძრავებელი მისია ძალადობა იყო. რევკომები თბილისიდან ინიშნებოდნენ. კვალიფიციური კადრების სიმცირის გამო, მათ შემდგენლობაში მრავალ ადგილას შემთხვევითი პირი აღმოჩნდა, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ თანამდებობას, ახდენდნენ სხვადასხვა უკანონო ქმედებებს, ე.წ. რევიზიებს

– ართმევდნენ მიწებს, საქონელს, სახლებს, საოჯახო ინვენტარს და სხვა. საქართველოში შემოსულმა წითლებმა დევნა დაუწყეს დამოუკიდებლობის მომხრე საუკეთესო მამულიშვილებს, ბევრი გადაასახლეს, ბევრი დახვრიტეს. ძალადობას ვერც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, მისი მსახურები და მათი კუთვნილი ქონება გადაურჩა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რუსული კომუნისტური, მებრძოლი ათეიზმი საქართველოშიც დამკვიდრდა. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ფაქტობრივად კანონგარეშედ გამოცხადდა. მას ჩამოერთვა ქონება, ადგილმამულები, რითაც სერიოზული დარტყმა მიაღება ეკლესიის ინტერესებს (ნათმეღაძე, დაუშვილი, ჯაფარიძე, წენგუაშვილი, 2008, 121). ძალადობაში რევკომებს არ ჩამოუვარდებოდნენ საქართველოში მყოფი რუსეთის ოფიცრები და ჯარისკაცები. ისინი, ფორმალურად მაინც, არ ეპუებოდნენ დამოუკიდებელი საბჭოთა საქართველოს კანონებს, ქედმაღლობდნენ, ტეხდნენ აყალმყალს (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (სუიცსა), ფონდი 600, აღწერა 1, საქმე 360, ფურც. 235), ზოგიერთი მათგანი აშკარად ავლენდა ქართველებისადმი სიძულვილს (სუიცსა, ფ. 600, აღწ. 1, საქმე 67, ფურც. 22). მათ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში არაერთი ადამიანის სახლ-კარი და მამული გამარცხეს და გადაბუგეს. მაგალითად, ქართლში ანასტასია ჯანდიერის, ნინო ქიქოძისა და როდამ ბაგრატიონ-დავითაშვილის მამულები (სუიცსა, ფონდი 285, აღწ. 1. საქმე 163, ფურც. 213) ასევე დიდ ჯიხაიში ნიკო ნიკოლაძის სახლ-კარი (სუიცსა, ფ.600, აღწ 1. საქმე 360, ფურც. 154) და სხვა. იმდენად თვალსაჩინო გახდა ეროვნული იდეებისა და ფასეულობების შეურაცხყოფა, რომ დაიწყო წინააღმდეგობების ძალთა, შეკრება-მოხილიზება და ბრძოლისათვის მზადება.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ქართველების მხარეს იყო, გმობდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას, ამით გამხნევებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელსაც საფრანგეთში ემიგრანტული

მთავრობის სტატუსი მიენიჭა, თავიდანვე აქტიურ ანტისაბჭოურ საქმიანობას შეუდგა. იგი ცდილობდა ევროპის სახელმწიფოებისაგან მიეღო რეალური სამხედრო-პოლიტიკური დახმარება, მათი შემწეობით აღედგინა საქართველოს სუვერენული სახელმწიფო.

ლიტერატურა:

1. ბედიანიშვილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008 – ალ.ბედიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008.
2. ბედიანიშვილი, დაუშვილი, ნათმეღაძე, 2012 – ალ. ბედიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მ. ნათმეღაძე, საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში, ტ. II, გამომცემლობა „პალიტრა“L, თბილისი, 2012
3. კირთაძე, 1996 – ნესტან (ელისაბედ) კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 1996.
4. ნათმეღაძე, დაუშვილი, ჯაფარიძე, წენგუაშვილი, 2008 – მ. ნათმეღაძე, ალ. დაუშვილი, მ. ჯაფარიძე, ვ. წენგუაშვილი, საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2008.
5. წენგუაშვილი, 2005 – ვ. წენგუაშვილი, „საქართველო“ 1921-1925 წლების ისტორიოგრაფია“, გამომცემლობა „მემატიანე“, თბილისი, 2005.
6. ლორთქიფანიძე, 1995, გრ. ლორთქიფანიძე „ფიქრები საქართველოზე“, თბილისი
7. ბედიანიშვილი, 2007. ალ.ბედიანიშვილი, გრ. ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველოზე“ და „ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ“. თბილისი.
8. სუიცსა, ფონდი 600, აღწერა 1, საქმე 360, ფურცელი 35
9. სუიცსა, ფონდი 600, აღწერა 1, საქმე 67, ფურცელი 22

10. სუიცსა, ფონდი 285, აღწერა 1, საქმე 163, ფურცელი 213
11. სუიცსა, ფონდი 600, აღწერა 1, საქმე 360, ფურცელი 154

*Иракли Гиоргадзе
докторант докторская програма
новой и новейшей истории Грузии*

**Антисоветские выстуления и
предводители 20-ых годов XX-века**

Irakli Giorgadze

**The leaders Anti-Soviet demonstration
(20 years XX centuries)**

SUMMARY

The scientific Article of Irakli Giorgadze - “The leaders Anti-Soviet demonstration “ (20 years XX centuries) is dedicated to the action of Red Army and the leaving Tbilisi by Georgian troops, and government immigration in Europe.

Author points out and rightly evaluates the existing situation. In 25 of February of 1921 year the 11th Army of Soviet Russia entered in Tbilisi. After the capture Tbilisi by the Red Army Georgia was declared as Soviet republic , but unequal war was going on.

The occupation of Georgia by the Soviet Russia was followed not only the loss of State independence, but the loss of its indigenous lands to a large extent, almost 20 thousand square kilometers of territory, which was led to an obvious anti-Soviet movement.

Key words: *anti-Soviet; The 11th Red Army invasion; Revolutionary Committee of the Soviet government.*

РЕЗЮМЕ

Научная статья– «предпосылки антисоветских вытуплений (20-ые годы XX-го века)» посвящены действиям Красной Армии для установления советской власти в Грузии и оставлению Тбилиси грузинской армией, а также уходу в эмиграцию грузинской власти.

Автор даёт справедливую оценку созданной ситуации и отмечает, что 25 февраля 1921 года вторая армия советской России вступила в Тбилиси. После взятия Тбилиси Красной Армией Грузия правда была провозглашена Советской Республикой, но продолжалась неравная война.

Окупации Грузии советской армией последовала не только потеря государственной независимости, а также потери основной части своих исконных земель, почти 20 тысяч квадратных километров территории, что вызвало явное начало антисоветского движения.

Ключевые слова: *Антисоветский; 11-ая красная армия; Установление советской власти; Революционный комитет; Советская власть.*

გამლების მეორე ნახევარი იდენტურია პირველი 9 და 10-ის შესაბამისი ლუწი რიცხვების კენტი ნახევრისა. მაგალითად, განვიხილოთ რიცხვების გამლები:

$$2 \times 9 = 18 = \underbrace{3+15=5+13=7+11=9+9}_{\text{(I ნახევარი)}} = \underbrace{11+7=13+5=15+3}_{\text{(II ნახევარი)}} \quad (\text{I ნახევარში გვაქვს 4 გამლა})$$

$$2 \times 10 = 20 = \underbrace{3+17=5+15=7+13=9+11}_{\text{(I ნახევარი)}} = \underbrace{11+9=13+7=15+5=17+3}_{\text{(II ნახევარი)}} \quad (\text{I ნახევარში გვაქვს 4 გამლა})$$

ამიტომ ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში გათვალისწინებულია კენტი გამლების მხოლოდ პირველი ნახევარი. ეს გამლები შეიძლება მივიღოთ საკმაოდ მარტივი ფორმულების გამოყენებით:

$$2N_3 = N_{3,1} + N_{3,2} \dots\dots(1)$$

$$2N_{\infty} = (N_{\infty} - 1) + (N_{\infty} + 1) \dots\dots(2)$$

(1) და (2) ფორმულებით მიღებულ კენტ გამლებს უნდა დაემატოს ის კენტი გამლები, რომელთა სიდიდე (ორი შესაკრების ჯამი) ტოლია შესაბამისად $2N_3$ და $2N_{\infty}$ რიცხვებსა. შემდეგ დავალაგოთ ეს გამლები პირველი შესაკრების ზრდის მიხედვით და შედეგი წარმოვადგინოთ ცხრილის სახით. მარტივი და კენტი შედგენილი რიცხვები გამოვყოთ ერთმანეთისგან შემდეგნაირად. მარტივ რიცხვებს ქვევიდან გაუსვათ ხაზი - N_3 , ხოლო კენტი შედგენილი რიცხვები მოვათავსოთ წრეში - $N_{3,2}$ ამას გარდა ჩვენ გვექნება ლუწი რიცხვები, რომლებიც მიიღება ისევ ლუწი რიცხვების გაორკეცვით. ეს უკანასკნელი მოთავსებულია ჩარჩოში - N_{∞} .

ცხრილ 1-ში შევნიშნოთ შემდეგი კანონზომიერებანი: $N=3,4,\dots$, ხოლო $i=i_1=i_2=1,2,3,4,\dots$ ყოველი მომდევნო ორი კენტი და ლუწი რიცხვების შესაბამისი $2(N_3-2)$ და $2(N_{\infty}-2)$ ლუწი რიცხვების კენტი გამლების რაოდენობა ერთმანეთის ტოლია: $i_1(2(N_3-2))=i_{II}(2(N_{\infty}-2))$: შემოღებულია აღნიშვნა:

$$i_{\text{Imax}}(2(N_3-2))=i_{\text{IImax}}(2(N_{\infty}-2)) \equiv M.$$

ცვლადი $i=1,2,\dots$ მნიშვნელობების გარბენისას ორი გზით აღწევს M რიცხვს - I და II. ცხრილი 1-ის მიხედვით I გზაა $2^*3=3+3$ ($i=1$ კენტი გამლა); $2^*5=3+7=5+5$ ($i=2$ კენტი გამლა); $2^*7=3+11=5+9=7+7$ ($i=3$ კენტი გამლა) და ა.შ., ხოლო II გზაა: $2^*4=3+5$

($i=1$ კენტი გამლა); $2^*6=3+9=5+7$ ($i=2$ კენტი გამლა); $2^*8=3+13=5+11=7+9$ ($i=3$ კენტი გამლა) და ა.შ., ე.ი. გვაქვს $iI=1,2,\dots, M$ და $iII=1,2,\dots, M$. ამიტომ ქვემოთ ჩვენ უბრალოდ ვიხმართ i -ს ($i=1,2,\dots, M$).

ცხრილი 1-დან აგრეთვე ჩანს, რომ გვაქვს სულ 3 ტიპის ლუწი რიცხვი: I - $2N_{3,2}$ და III - $2N_{\infty}$. ამგვარად, რაგინდრა დიდი ლუწი რიცხვი, რომლის კენტი გამლები განიხილება, იქნება I, II ან III ტიპის ლუწი რიცხვი, აქედან I ტიპის - $2N_{3,2}$ ლუწი რიცხვების გამლებში გარანტირებულად გვაქვს ერთი მარტივი გამლა, მაგ: $2^*3=3+3$, $2^*5=5+5$, $2^*67=67+67$, ამიტომ მათი გამლა იქნება მთლიანად მარტივი, განსახილველი რჩება II და III ტიპის ლუწი რიცხვების გამლები.

ცხრილი 1-დან, აგრეთვე ჩანს, რომ ყოველი ორი მომდევნო II და III ტიპის ლუწი რიცხვების გამლათა რაოდენობა ერთნაირია და უდრის i -ს, ჯამში ორივე გამლების რაოდენობაა $2i$, ახლა რადგან თითოეული გამლა შედგება 2 შესაკრებისაგან, ამიტომ $2 \times 2i = 4i$ არის II და III ტიპის გამლებში მონაწილე მარტივი (K) და კენტი შედგენილი (L) რიცხვების საერთო რაოდენობა: $(K1+l1)+(K2+l2)=4i$ ანუ

$$i = \frac{(K_1 + l_1) + (K_2 + l_2)}{4} \dots(3).$$

მამსადამე, i წარმოადგენს II და III ტიპის ლუწი რიცხვების ძირითად მახასიათებელს. ქვემოთ მოყვანილია ცხრილი 2, რომელიც მიიღება ცხრილი 1-ის გაგრძელებით იმ მიზნით, რომ წარმოადგენა ვიქონიოთ რაგინდრა დიდი II და III ტიპის ლუწი რიცხვების კენტ გამლებში მონაწილე მარტივი და კენტი შედგენილი რიცხვების რაოდენობაზე.

ცხრილი 1.

N	2N	კენტი გამლები	კენტი გამლების რაოდენობა $i_{I,II}=i$
3	2*3		$i_I=1$
4	2 * 4	$\left. \begin{array}{l} 3+3 \\ 3+5 \end{array} \right\} 2i=2*1 \dots\dots\dots$	$i_{II}=1$
5	2*5	$\left. \begin{array}{l} 3+7=5+5 \\ 3+(9)=5+7 \end{array} \right\} 2i=2*2$	$i_I=2$
6	2 * 6		$i_{II}=2$
7	2*7		$i_I=3$
8	2 * 8	$\left. \begin{array}{l} 3+11=5+(9)=7+7 \\ 3+13=5+11=7+(9) \end{array} \right\} 2i=2*3$	$i_{II}=3$
9	2 * 9	$\left. \begin{array}{l} 3+(15)=5+13=7+11=(9)+(9) \\ 3+17=5+(15)=7+13=(9)+11 \end{array} \right\} 2i=2*4$	$i_I=4$
10	2 * 10		$i_{II}=4$
.	.	.	.
.	.	.	.
.	.	.	.
N_3-2	$2(N_3-2)$	$\left. \begin{array}{l} \dots i_{I\max}(2(N_3-2))=M \\ \dots i_{II\max}(2(N_3-2))=M \end{array} \right\} 2i_{\max}=2M$	$i_{I\max}=M$
$N_{\ell}-2$	$2(N_{\ell}-2)$		$i_{II\max}=M$
.	.	.	.
.	.	.	.
.	.	.	.

გამოვიყენოთ (3) ცხრილ 2-ში შემავალ K მარტივ და l კენტმედგენილ რიცხვებისათვის:

$$i = \frac{(K_1 + l_1) + (K_2 + l_2)}{4} = \frac{5 + 3 + 6 + 2}{4}; i = \frac{8 + 6 + 9 + 5}{4}; i = \frac{11 + 9 + 12 + 8}{4};$$

$$i = \frac{22 + 22 + 23 + 2}{4} \text{ და ა.შ.}$$

ცხრილი 2.

N	2N	მეზობელ II(2 Nკ.შ) და III(2 Nლ) ტიპის ლუწ რიცხვთა წყვილების კენტი გაშლები	გაშლებში შემავალ მარტივ რიცხვთა რაოდენობა K	გაშლებში შემავალ კენტი შემადგენელი რიცხვების რაოდენობა ლ
9	2·9	$3+(15)=5+13=7+11=9+9$	5	3
10	2·10	$3+17=5+(15)=7+13=9+11$	6	2
15	2·15	$3+(27)=5+(25)=7+23=9+21=11+19=13+17=15+15$	8	6
16	2·16	$3+29=5+(27)=7+(25)=9+23=11+(21)=13+19=(15)+17$	9	5
21	2·21	$3+(39)=5+37=7+(35)$	11	9
22	2·22	$3+41=5+(39)=7+37=$	12	8
25	2·25	$3+47=5+(45)=7+43=$	14	10
26	2·26	$3+(49)=5+47=7+(45)=$	14	10
27	2·27	$3+(51)=5+(49)=7+47=$	14	12
28	2·28	$3+53=5+(51)=7+(49)=$	15	11
.
45	2·45	$3+(87)=5+(85)=7+83=$	22	22
46	2·46	$3+(89)=5+(87)=7+(85)=$	23	21
.

ცხრილი 2-დან ჩანს, რომ სასრულო რიცხვისათვის $K \leq l$, რაგინდრა დიდი რიცხვისათვის გვექნება $K \approx l$, ხოლო უსასრულოდ დიდი რიცხვისათვის გვექნება $K = l \dots (4)$. მსგავსად იმისა, როგორც ზემოთ ვნახეთ, რომ უსასრულოდ დიდი რიცხვი შეიცავს ტოლი რაოდენობის კენტ და ლუწ რიცხვებს.


შევნიშნოთ, რომ ცხრილ 2-ში შემავალი II ტიპის მეზობელ III ტიპის ლუწი რიცხვების გარდა გვაქვს აგრეთვე I ტიპის ლუწ რიცხვებს შორის მდებარე (II ტიპის ლუწი რიცხვების არა მოსაზღვრე) III ტიპის ლუწი რიცხვები, მაგ: 2·11-სა და 2·13-ს შორის გვაქვს 2·12 III ტიპის ლუწი რიცხვი. თუ განვიხილავთ მათ გაშლებსაც - $(11 < 12 < 13)$, გვექნება $2x \cdot 12 = 3+(21)=5+19=7+17=9+(15)=11+13$ (ამ გამ-

ლებში მარტივი რიცხვების რაოდენობა $K=7$, ხოლო კენტი შედგენილი რიცხვებისა $l=3$); $(17 < 18 < 19)$ და გვექნება $2x \cdot 18 = 3+(33)=5+31=7+29=9+(27)=11+(25)=13+23=(15)+(21)=17+19$ ($K=10, l=6$); $(41 < 42 < 43)$ და გვექნება $2x \cdot 42 = 3+(81)=5+79=7+(77)=\dots$ ($K=20, l=18$) და ა.შ., რაც უსასრულოდ დიდი ლუწი რიცხვების განხილვისას არა თუ ცვლის (4) ტოლობას.

ახლა იმისათვის, რომ $2x \cdot (N_{კ.შ})$ ან $2x \cdot (N_{ლ})$ (II და III) ტიპის რაგინდრა დიდი ლუწი რიცხვის გაშლა მთლიანად შედგენილი იყოს, (4) ტოლობის თანახმად, აუცილებლად უნდა განხორციელდეს იდეალური შემთხვევა - ყველა შედგენილი გაშლა უნდა იყოს შერეული, ანუ ყოველ მარტივ რიცხვს მეორე შესაკრებად უნდა ჰქონდეს კენტი შედგენილი რიცხვი.

ამ განშლემში მონაწილე, ჩვენთვის უცნობი, რაგინდ დიდი მარტივი რიცხვები აღვნიშნოთ ისეთი “-”. ჩვენთვის ცნობილი მცირე მარტივი რიცხვები კვლავ ქვევიდან გავხაზოთ; ჩვენთვის უცნობ დიდ კენტ შედგენილ რიცხვებს, ისე, როგორც ცნობილ მცირე კენტ შედგენილ რიცხვებს კვლავ შემოვავლოთ წრე, ხოლო III ტიპის ლუწი რიცხვების

განშლების განსახილველად კენტი რიცხვები ჩავწეროთ როგორც $\boxed{N_{\text{ლ}} \pm 1}$. განშლები კვლავ ისე დავალაგოთ, როგორც ეს ცხრილშია მოყვანილი (პირველი შესაკრების ზრდის მიხედვით). ამგვარად განშლების იდეალური შემთხვევისათვის უნდა გვეკონდეს შემდეგი სურათი (ზოგიერთი (ზოგიერთი $\textcircled{N_{3,31}}$, $\textcircled{N_{3,32}}$ - და ა.შ. ტოლია $\boxed{N_{\text{ლ}} \pm 1}$):



სურ.1. რაგინდრა დიდი ლუწი რიცხვის შერეული შედგენილი (იდეალური) განშლები. ორმაგი ისრებით (კუნქტირით) ნაჩვენებია შესაკრებთა შესაძლო გადაადგილება ჯამის შეუცვლელად

(1) და (2) ფორმულები II და III ტიპის ლუწი რიცხვებისათვის გადაწეროთ ასე:

$$2 \cdot \textcircled{N_{3,i}} = (\textcircled{N_{3,i}} - 2i) + (\textcircled{N_{3,i}} + 2i) \dots (5)$$

($i=1,2,\dots, M$; სადაც i ლუწი რიცხვების ძირითადი მახასიათებელია)

$$2 \cdot \boxed{N_{\text{ლ}}} = (\boxed{N_{\text{ლ}}} - 1 - 2i) + (\boxed{N_{\text{ლ}}} + 1 + 2i) \dots (6)$$

(5) და (6) ფაქტიურად იგივე (1) და (2) ფორმულები საშუალებას გვაძლევს ნებისმიერი II და III ტიპის ლუწი რიცხვების თითოეულ გამლაში მონაწილე შესაკრებთა ჯამის შეუცვლელად, ვაწარმოოთ ამ შესაკრებთა i “საფეხურით” მარჯვნივ და მარცხნივ ერთდროულად გადანაცვლება. მაგალითად, III ტიპის ლუწი რიცხვების გამლებისათვის (6) ფორმულიდან ($i=2$) გვაქვს:

$$2 \cdot \textcircled{9} = (\textcircled{9} - 1 - 2 \cdot 2) + (\textcircled{9} + 1 + 2 \cdot 2) = 3 + 13 = 7 + 9$$

ამ შემთხვევაში ორი შერეული გამლიდან მიღება მარტივი გამლა ($3+13$), II ტიპის ლუწი რიცხვების გამლებისათვის (5) ფორმულიდან ($i=1$) ვღებულობთ:

$$2 \cdot \textcircled{9} = (\textcircled{9} - 2 \cdot 1) + (\textcircled{9} + 2 \cdot 1) = 7 + 11 = 9 + 9$$


ამ შემთხვევაში კი მარტივი ტიპის განშლა სუფთა შედგენილია. ამ უკანასკნელ მაგალითში ხდება ცვლილება $\textcircled{N_{3,34}} \rightarrow 7$ და $\textcircled{N_{3,34}} \rightarrow ???$. ცხადია, რომ ამ ცვლილებისას გაჩნდება ერთი სუფთა შედგენილი განშლა $\textcircled{N_{3,34}} + \textcircled{N_{3,33}}$ (ჩვენს მაგალითში $9 + 9$), და, პირიქით, ყოველი სუფთა შედგენილი გამლა აუცილებლად გამოიწვევს მარტივი გამლის (ამ შემთხვევაში $7+11$) გაჩენას. თუ, მაგალითად,

რეალურ გამლებში უკვე გვაქვს იგივე მარტივი გამლა (ჩვენს მაგალითში $7+11$), ეს იმას ნიშნავს, რომ ეს რეალური გამლა ისევე მთლიანად მარტივია. აქ მთავარია ის, რომ შესაკრებთა ჯამი უცვლელი რჩება. იმ შემთხვევაში როცა რეალურად შედგენილი გამლები ზედიზედ არიან განლაგებულნი და ქმნიან სასრულო რაოდენობის “საფეხურებს”, მაშინ (5) და (6) ფორმულებში შესაბამისად უნდა შეიცვალოს i -რიცხვი. ყოველივე აქედან გამომდინარე ყოველი იდეალური გამლა თავისთავში აუცილებლად შეიცავს მარტივ გამლას და ამგვარად, იგი განუხორციელებელია.

უსასრულოდ დიდი ლუწი რიცხვის შემთხვევაში, თუ რომელიმე გამლიდან მარცხნივ და მარჯვნივ სიმეტრიულად განლაგებული ორი მარტივი რიცხვია, მაშინ ეს გამლა მთლიანად მარტივია. ეს პირობა კი ყოველთვის სრულდება. მართლაც, სურ.1-ზეწარმოდგენილ შერეულ გამლებში შესაკრებთა სათანადო გადანაცვლებით შეიძლება მივიღოთ სურათი, სადაც ერთ-ერთ სტრიქონში განლაგდება მარტივი რიცხვები, ხოლო მეორეში კენტი შედგენილი რიცხვები, მაშინ უფრო ნათლად გამოჩნდება, რომ ზემოთ მოყვანილი პირობის შესრულება უზრუნველყოფილია. ამჯერად, როგორც უცნობი, ისე ცნობილი მარტივი რიცხვები აღვნიშნოთ ტირეთი, ხოლო შედგენილი (როგორც უცნობი, ისე ცნობილი) რიცხვები წრეებით (სურ.2. გავიხსენოთ, რომ მარტივი და კენტი შედგენილი

რიცხვების რაოდენობა უსასრულო დიდი რიცხვებისათვის ერთმანეთის ტოლია (იხ. (4) ტოლობა):

სურ.2-დან ჩანს, რომ თუ მოცემულ გაშლას ავიღებთ უსასრულოდ დიდი რიცხვების გაშლების “შუაში” (ანუ საკმაოდ შორს), მაშინ გვექნება სიმეტრიული განლაგებული მარტივი რიცხვების



სურ.2. უსასრულო ლუწი რიცხვის იდეალური გაშლა. პუნქტირიანი ისრებით მონიშნულია ერთ-ერთი გაშლის მიმართ სიმეტრიულად განლაგებული მარტივი და კენტი შედგენილი რიცხვების შესაძლო გადანაცვლებები

რჩება კიდევ ერთი შესაძლებლობა; კენტი შედგენილი რიცხვები ქმნიან უსასრულო რაოდენობის “საფეხურებს”. ეს იგივეა, რაც რომელიმე რაგინდრა დიდი სასრული მარტივი რიცხვიდან დაწყებული, ყველა კენტი რიცხვი შედგენილია. უსასრულო დიდი ლუწი რიცხვის შემტხვევაში, კენტი შედგენილი რიცხვების უსასრულო რაოდენობა გადააჭარბებს მარტივი რიცხვების სასრულო რაოდენობას, კერძოდ, მარტივი რიცხვების რაოდენობა ?

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ჩვენ დასაწყისში შევნიშნეთ, რომ რიცხვი (ციფრი) 1 არც ლუწია და არც კენტი, არც მარტივი და არც შედგენილი, ეს იმიტომ, რომ 1 ნიშნავს სამყაროს რომელიმე ობიექტის ერთეულს. ერთეულის ტოლად კი შეგვიძლია განვიხილოთ ნებისმიერი სიდიდის იგივე ობიექტი. თუ ამ ერთეულს შევცვლით მასზე მცირე ან დიდი ერთეულით, მაგალითად $\frac{1}{2} \rightarrow 1$, მაშინ 1-ც გაიშლება ორი „ახალი ერთეულის“ ჯამად და ა.შ. დასაერთოდ, მასზე ნაკლები რაციონალური Q რიცხვებისათვის ($0 < Q < 1$) თამაშობს იგივე როლს, რასაც უსასრულობა - ნატურალური რიცხვებისათვის. ამიტომ რიცხვი 1, 0-სა და უსასრულობის მსგავსად არც კენტია და არც ლუწი, არც მარტივია, არც შედგენილი.¹

¹ ლუწი რიცხვის კენტი გაშლების (1) ფორმულა $-2N_{\frac{1}{2}} = N_{\frac{1}{2}} + N_{\frac{1}{2}}$, გადაწეროთ ასე: $1 \cdot 2N_{\frac{1}{2}} = 1 \cdot N_{\frac{1}{2}} + 1 \cdot N_{\frac{1}{2}}$, სადაც რიცხვი 1-ის შეცვლა Q რაციონალური (მათ შორის 1-ზე მეტი) რიცხვით, გვაძლევს: $Q \cdot 2N_{\frac{1}{2}} = Q \cdot N_{\frac{1}{2}} + Q \cdot N_{\frac{1}{2}}$, რაც არ იწვევს ლუწი რიცხვის კენტი გაშლების კანონზომიერების დარღვევას. ამიტომ, ციფრი 1 პირობითი რიცხვია (სიმბოლოა) და დამოკიდებულია იმაზე, რომელ Q რაციონალურ რიცხვს ავირჩევთ მოცემული ობიექტის საზომად. მაშასადამე რიცხვი 1, ნოლისა და უსასრულობის მსგავსად, არც კენტია და არც ლუწი, არც მარტივია და არც შედგენილი. იგივე დასკვნამდე მივიყვანს (3) ფორმულის ანალოგიური განხილვა.

ბის უსასრულო რაოდენობა. ამგვარად, გვაქვს შესაძლო მარტივი გაშლების უსასრულოდ მრავალი ვარიანტები. აქედან, ერთი ვარიანტის განხორციელებაც კი იწვევს იმას, რომ გაშლა იქნება მთლიანად მარტივი. ე.ი. იდეალური გაშლების შემთხვევა პრაქტიკულად გამორიცხულია.

თუ 1-ს ჩავთვლით კენტ ნატურალურ რიცხვად, და მას მივაწერთ მარტივი რიცხვის თვისებასაც, მაშინ ზემოთ მოყვანილი ცხრილი 1-ის დასაწყისში და მარცხენა სვეტში დაემატება გაშლები, შესაბამისად, $2=1+1$ და $2N=1+(2N-1)$ რაც მიღებულ შედეგს არ შეცვლის.² ამ შემთხვევაში ზემოთ მოყვანილი ჰიპოთეზა სამართლიანი იქნება სიტყვების - „გარდა 2-სა“ - გარეშე (იხ. P.S).

P.S. დავუშვათ, რომ 1 კენტი მარტივი რიცხვია, მაშინ ცხრილ 1-ის ზედა სტრიქონში დაიწერება მხოლოდ ერთი გაშლა - $2=1+1$, რაც თავისთავად მარტივია. მარცხენა სვეტში კი პირველი შესაკრები იქნება მარტივი რიცხვი - 1 და საკმარისია, რომ მოცემული სვეტის შესაბამის სტრიქონში გვექონდეს ერთი მაინც მარტივი რიცხვი - $2N-1$, რომ ამ სტრიქონის შესაბამისი ლუწი რიცხვის გაშლა იყოს მთლიანად მარტივი. ამგვარად, საინტერესოა განვიხილოთ სტრიქონები, რომლებშიც 1-ის მერე შესაკრები კენტი შედგენილი რიცხვია (9), (15); (27) (დანარჩენი II ტიპის ლუწი რიცხვის გაშლები იქნებიან მთლიანად მარტივი):

$$2N - 1 = 9; \square = \frac{9+1}{2} = 5; 2N=25=5+5$$

მივიღეთ I ტიპის ლუწი რიცხვის მარტივი გაშლა;

$$2N-1 = 15; N=8; 2 \cdot 8 = 8+8=(8-3)+(8+3)=5+11$$

მივიღეთ III ტიპის ლუწი რიცხვის მარტივი გაშლა;

$$2N-1 = 27; N=14; 2 \cdot 14 = 14+14=(14-3)+(14+3)=11+17$$

² მარტივ რიცხვ 3-ს შეცვლის „მარტივი“ რიცხვი 1.

არ კარგავს თავის შანსს. i -ს II გზის გარბენისას ანალოგიურად მივიღებთ, რომ ასევე $\mathcal{P}_{\text{III}}=1$ ე.ი. მიუხედავად იმისა, რომ გამლეების რაოდენობათა (i) შანსი მცირდება გეომეტრიული პროგრესიით, მარტივი გამლეები „ბოლომდე“ (∞ -ის ჩათვლით) არ კარგავენ თავის შანსს.

ახლა განვიხილოთ მთლიანად შედგენილი გამლეები. შედგენილ გამლას ვერ მივიღებთ კენტი შედგენილი რიცხვის გარეშე. პირველ გამლაში ($i=1$) ასეთი შედგენილი რიცხვი არ გვაქვს. i -ს I გზით გარბენისას იგი გამოჩნდება მხოლოდ მესამე ($i=3$) გამლეებში - 9 - (იხ. ცხრილი, რაც იმას ნიშნავს, რომ $P_{\text{III}}(1)=P_{\text{III}}(2)=0$. i -ს II გზით გარბენისას ასეთი რიცხვი - (i გამოჩნდება მეორე გამლეებში ($i=2$), ანუ $P_{\text{III}}(1)=0$. ყოველივე ამის გათვალისწინებით (11) ფორმულის გამოყენებით ვღებულობთ:

$$\mathcal{P}_{\text{III}}^{(M)} = \sum_{i=2}^M P_{\text{III}}^{(i)}$$

უსასრულო დიდი რიცხვებისათვის

$$\mathcal{P}_{\text{III}} = \lim_{M \rightarrow \infty} \sum_{i=3}^M P_{\text{III}}^{(i)} = \sum_{i=3}^{\infty} \frac{1}{2^i} = \frac{1}{8} + \frac{1}{4} + \dots = \frac{1}{1 - \frac{1}{2}} = \frac{1}{4} \neq 1$$

ხოლო $\mathcal{P}_{\text{III}}^{(M)} = \sum_{i=2}^M P_{\text{III}}^{(i)}$ უსასრულოდ დიდი ლუწი

რიცხვისათვის

$$\mathcal{P}_{\text{III}} = \lim_{M \rightarrow \infty} \sum_{i=2}^M P_{\text{III}}^{(i)} = \sum_{i=2}^{\infty} \frac{1}{2^i} = \frac{1}{4} + \frac{1}{8} + \dots = \frac{1}{2} \neq 1$$

ე.ი. განხორციელდა (8) პირობები.

მთლიანად შედგენილი გამლეები არა მარტო დასაწყისშივე კარგავენ შანსს. მართლაც, ეს შან-სი დაკარგულია შემდეგშიც. კერძოდ, ცხრილი 1-ის ჩვენთვის ხილული გამლეებიდან ჩანს, რომ გარდა $P_{\text{III}}^{(1)} = P_{\text{III}}^{(2)} = P_{\text{III}}^{(3)} = 0$ -სა, გვაქვს

$$P_{\text{III}}^{(2)} = P_{\text{III}}^{(3)} = P_{\text{III}}^{(4)} = P_{\text{III}}^{(2)} = P_{\text{III}}^{(3)} = P_{\text{III}}^{(4)} = 0.$$

თუ ცხრილ 1-ს გავაგრძელებთ დავინახავთ, რომ ჩვენს თვალსაწიერზე არსებული i -ს როგორც dm გზით, ისე dm გზით გარბენისას რაგინდრა დიდი ლუწი რიცხვებისათვის ($dm \gg 1$), გვაქვს

$$\mathcal{P}_{\text{III}}^{(M)} = \sum_{i=1}^M P_{\text{III}}^{(i)} = P_{\text{III}}^{(1)} + P_{\text{III}}^{(2)} + \dots + P_{\text{III}}^{(M-1)} + \sum_{i=M}^M P_{\text{III}}^{(i)} = 0 + \sum_{i=M}^M \frac{1}{2^i}.$$

ამრიგად, არ არსებობს ისეთი ლუწი რიცხვი, რომლის ყველა გამლა შედგენილია, ან ყველა ლუწი რიცხვის გამლეებში აუცილებლად გვაქვს 1 მაინც მარტივი გამლა.

P.S. იგივე დასკვნა - უსასრულო დიდი ლუწი რიცხვის შედგენილი გამლის ალბათობისათვის $\mathcal{P}_{\text{III}}=0$, ჩვენს მიერ მიღებული იქნა ადრეც (იხ. Kokilashvili L.G. The probable precision of the Goldbach hypothesis/Georgian Engineering News (GEN), N4, 2005, PP.29,30. Georgia, Tbilisi

ძელქვის მთლიანი ბიოლოგიური მასა ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ი.გრიშინასა და ე. სამოილოვას (И.Гришина, Е.Самоилова, 1971) მეთოდით, რისთვისაც საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე შერჩეული იქნა სამოდელი ხე, რომლის ხნოვანებაც 26 წელი იყო, სიმაღლე

8,2 მ, ხოლო დიამეტრი 12,4 სმ-ს შეადგენდა. ხე მოჭრილი იქნა ფესვის ყელთან და გადატანილი იქნა ბრეზენტზე, სადაც ჩატარდა მისი ნაწილების დაცოფა. ცალკე იქნა აწონილი ღერო, ტოტები და ფოთლები. ჩატარდა ფესვთა სისტემის გათხრა, გარეცხვა, აწონვა. მონაცემები შეტანილი იქნა ცხრილში N1.

ცხრილი N 1.

ძელქვის საერთო ბიოლოგიური მასა

ხის ხნოვანება (წელი)	ხის სიმაღლე (მ)	ხის დიამეტრი (სმ)	ღერო		ტოტები		ფოთლები		ფესვები	
			კგ	%	კგ	%	კგ	%	კგ	%
26	8,2	12,4	24,9	52	7,7	16	3	6	12,4	26

მონაცემებიდან (ცხრილი N1) გამომდინარე, ხის ღეროს წონა შეადგენდა 52 კგ-ს, ტოტების წონა - 7,7 კგ-ს, ფოთლების წონა 6,0 კგ-ს, ხოლო გარეცხილი და შემშრალებული ფესვების წონა 12,4 კგ-ს შეადგენდა. ხის ცალკეული ნაწილების წონა გადაყვანილი იქნა პროცენტებში და დადგინდა, რომ ხის საერთო ბიომასაში ღეროს უკავია 52 %, ტოტებს - 16 %, ფოთლებს - 6 %, ხოლო ფესვებს - 26 %.

ძელქვის მთლიანი ბიოლოგიური მასის შესწავლასთან ერთად, გაანალიზებული იქნა მისი ჩამონაცვენის რაოდენობა თვეების მიხედვით, რისთვისაც ძელქვის კორომის ქვეშ დაიდგა 10 ცალი 1X1 მ. ზომის ჩამონაცვენის შემკრები ყუთები. ჩამონაცვენის შეგროვება ხდებოდა სექტემბერ - ოქტომბერ - ნოემბერში ყოველთვიურად, შრებოდა საშრობ კარადებში, ჰაერმშრალ მდგომარეობამდე, რის შემდეგაც, მონაცემები იწერებოდა და მუშავდებოდა თვეების მიხედვით.

ტყის ხე-მცენარეების ორგანული ნარჩენების ყოველწლიური ჩამონაცვენის რაოდენობა დიდადა დამოკიდებული კლიმატურ და ნიადაგურ პირობებზე, ამ სახეობების ბიოლოგიურ თავისებურებებსა და კორომის წარმადობაზე. თავის მხრივ, ჩამონაცვენი ნიადაგში არსებული მიკრო და მაკროორგანიზმების ძირითადი საკვებია, რომელთა ცხოველმოქმედების შედეგად, ნიადაგში გამოიყოფა მცენარის ზრდა-განვითარებისთვის როგორც საკვებად აუცილებელი, ისე ტოქსიკური ნივთიერებები.

სხვადასხვა წლებში, ერთიდაიგივე კორომში გროვდებოდა სხვადასხვა რაოდენობის ჩამონაცვენი, რაც დამოკიდებული იყო გარემო პირობებზე და პირველ რიგში, მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე და გახშირებულ გვალვებზე. როგორც მონაცემებიდან ჩანს, (ცხრილი 2) 2013 წელს დაგროვილი ჩამონაცვენი 445 კგ-ით მეტი იყო, ვიდრე 2014 წელს.

მონაცემებიდან ნათლად იკვეთება, (ცხრ. 2) ჩამონაცვენის დაწყების და დამთავრების პერიოდი. იგი იწყება სექტემბრიდან და გრძელდება ნოემბრის ჩათვლით. 2013 წლის სექტემბრის თვეში ჩამონაცვენის რაოდენობა ერთ ჰექტარზე შეადგენდა 185 კგ-ს, ხოლო 2014 წლის შესაბამის თვეში ჩამონაცვენის რაოდენობა შეადგენდა 200 კგ/ჰა. ჩამონაცვენის მაქსიმუმი ფიქსირდება ოქტომბრის თვეში და შეადგენს 2013 წელს 286 კგ/ჰა, ხოლო 2014 წელს - 275 კგ/ჰა-ზე. ჩამონაცვენის ყველაზე მცირე რაოდენობა აღინიშნება ნოემბრის თვეში და იგი შეადგენს 2013 წელს -150 კგ/ჰა, ხოლო 2014 წელს- 100 კგ/ჰა. საშუალო ჩამონაცვენის საერთო რაოდენობამ შეადგინა 2013 წელს- 3195 კგ, ხოლო 2014წელს --3050 კგ/ჰა. 2013 და 2014 წლების ჩამონაცვენის რაოდენობაში ნათლად ფიქსირდება სხვაობა რაოდენობაში. 2013 წელს 145 კგ-ით მეტი ჩამონაცვენი დაგროვდა, ვიდრე 2014 წელს, რაც განპირობებული იყო ხანგრძლივ გვალვებთან და ატმოსფეროს მაღალ ტემპერატურასთან 2014 წელს.

ძელქვის კორომის ჩამონაცვენის დინამიკა (ტ/ჰა)

წლები	2013 წელი				2014 წელი			
თვეები	IX	X	XI	წლიური	IX	X	XI	წლიური
ძელქვა	0,185	2,86	0,15	3,195	0,2	2,75	0,1	3,05

ლიტერატურა:

1. Уткин А. И. Дылис Н. В. – Изучение вертикального распределения фитомассы Биол. НОИП ,71 ,вып. 6, 1980.
2. Семечкина М. Г. - Структура фитомассы сосняков. изд-во „Наука” М., 1978.
3. Сабинин Д. А. - О значении корневой системы в жизнедеятельности растений. изд-во АН СССР , М ,1949.
4. Воронков Н. А. Невзоров В. П . - Транспирационный расход влаги и рост культур сосны при остром дефиците увлажнения .лесоведение. №3, 1979.
5. Воронков Н. А. Невзоров В. П. - Корневая система сосны в связи с водным режимом песчаных почв. Лесоведение, №6, 1981.
6. Оленин С . М. – Динамика радианного прироста древостоев сосновых фитоценозов. атор. дисс .к. б. н. Свердловск, 1982.
7. Гришина А. А. Самоилова Е. М. - Учет биомассы и химический анализ растений. МГУ, 1971.

ჯუმბერ ლომიძე, მაია გოგოტიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ძელქვის მთლიანი ბიოლოგიური მასა და
ჩამონაცვენის დაგროვების დინამიკა

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია რცხილისებრი ძელქვის სამოდელო ხის ცალკეული ნაწილების: ღეროს, ტოტების, ფოთლების და ფესვების წონა და მათ მიერ დაკავებული პროცენტი ხის საერთო ბიომასაში. განხილულია აგრეთვე ძელქვის ჩამონაცვენის დინამიკა თვეების (სექტემბერი, ოქ-

ტომბერი, ნოემბერი) მიხედვით. დადგენილია ძელქვის ჩამონაცვენის წლიური ოდენობა.

Дж. Ломидзе, М. Гоготшвили, ГТУ
Общая биологическая масса и динамика накопления опада Дзельквы Граболистной

РЕЗИОМЕ

В статье рассматривается масса отдельных частей (стеблей, ветвей, листьев, корней) модельного дерева дзельквы граболистной. рассчитывается процентное соотношение массы этих частей в общей биомассе дерева. Дается анализ динамики образования опада по месяцам. (сентябрь октябрь ноябрь) Установлено ежегодные показатели накопления опада.

Ключевые слова: Дзельква граболистная, Биомасса, опад.

J. Lomidze, M. Gogotishvili, GTU
The whole Biomass and the fallen leaves’ dynamics of Dzelkova carpinifolia

RESUME

The working paper deals with the separate parts of Dzelkova-Carpinifolia modeling tree: trunk, branches, leaves, and the roots’ weight, and their occupied percent of the total tree biomass. There are also discussed Dzelkova fallen leaves’ dynamics by months (September, October, November,) And estimated annual amount of Dzelkova fallen leaves.


key words: Zelkova carpinifolia, Fallen leaves, Biomass

(k_i) მატრიცების სტრიქონების ნახევრების წარმოდგენა რიცხვითი სახით, რომლებზეც ხორციელდება შემდეგი სახის ბაიტური გარდაქმნა:

$$f(R_{i-1}, k_i) = a_i x_{i-1} \oplus b_i y_{i-1},$$

სადაც a_i და b_i არის წარმოებული გასაღების k_i მატრიცის სტრიქონების მარცხენა და მარჯვენა ნაწილები, x_{i-1} და y_{i-1} - R_{i-1} მონაცემთა მატრიცის სტრიქონების მარცხენა და მარჯვენა ნაწილები. ხოლო f_2 - ზემოთ აღნიშნული გარდაქმნის შედეგად მიღებული შედეგის მუდმივ მატრიცაზე მარცხნიდან გამრავლება, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$\begin{matrix} 0 & 1 & 0 & 1 \\ 1 & 1 & 0 & 1 \\ 1 & 0 & 1 & 1 \\ 1 & 1 & 1 & 0 \end{matrix}$$



ნახ 1. მონაცემთა დაშიფვრა

რაუნდებს შორის ადგილებს ცვლიან მონაცემთა ბლოკები. ბოლო, ე. ი. მე-8 რაუნდში, L_n და R_n შედეგები ერთიანდება და კვლავ მიიღება 64 - ბიტანი მატრიცა, ზომით (4×16) . შემდეგ ეს მატრიცა წარმოდგება სტრიქონის სახით, რომელზედაც ჩატარდება S გარდაქმნის შეზღუდული ოპერაცია S^{-1} და უკვე დაშიფრული ინფორმაცია ანუ კრიპტოგრამა E სტრიქონის სახით სისტემის გამოსასვლელს მიეწოდება.

გაშიფვრის სქემა დაშიფვრის სქემისაგან განსხვავდება იმით, რომ მასში წარმოებული გასაღებები გამოიყენება შეზღუდული მიმართულებით, ე. ი. პირველ ციკლში გამოიყენება k_n , მეორეში k_{n-1} და ასე შემდეგ k_1 -მდე. რაც შეეხება დაშიფვრის წარმოებული გასაღებების მიღებას, როგორც ღია ტექსტი, ძირითადი გასაღები წარმოდგენილია 64 - ბიტანი სიგრძის მატრიცის სახით. K გასაღებიდან წარმოებული გასაღების ფორმირებისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ სისტემის საუკეთესო საიმედოობა და მდგრადობა მიიღწევა მაშინ, როცა ძირითადი გასაღების ყველა ბიტი გამოიყენება თანაბარი სიხშირით.

განვიხილოთ k_i წარმოებული გასაღების ასეთი ფორმირების ერთ-ერთი სქემა. დასაწყისში 64 ბიტი სიგრძის ძირითადი გასაღები იყოფა ორ C და C' ნაწილად, ზომით (4×8) , შემდეგ იწარმოება შემდეგი გარდაქმნა: $f(C, C')$, სადაც C და C' -ის მატრიცების სვეტები $\text{mod}2$ -ით იკრიბება. ეს ხდება პირველ ციკლში, ხოლო დანარჩენში ალგორითმი k_i წარმოებულ გასაღებების მიღებას აწარმოებს შემდეგი სახით: $f(P^{i-1}(C), C')$. რაც მდგომარეობს C გასაღების მარცხენა ნაწილის სტრიქონების ციკლურ გადაადგილებაში მარცხნივ ერთი ერთეულით. შემდეგ კვლავ ხდება C და C' მატრიცების სვეტების $\text{mod}2$ -ით შეკრება. K გასაღების C' მარჯვენა ნაწილი ყოველთვის უცვლელია. ვაჩვენოთ, რომ შემოტანილი $ax \oplus by$ ფუნქცია, საზოგადოდ, არაწრფივი გამოსახულებაა: f გამოსახულება წრფივია მაშინ, თუ მას აქვს შემდეგი თვისებები:


$$f(x+y) = f(x) + f(y), f(\alpha x) = \alpha f(x),$$

სადაც x და y არის წრფივი სივრცის ელემენტები,

ხოლო α - ველის ელემენტი. ამ გამოსახულებებიდან გამომდინარე

$$f(\alpha_1 e_1 + \alpha_2 e_2 + \dots + \alpha_n e_n) = \alpha_1 f(e_1) + \alpha_2 f(e_2) + \dots + \alpha_n f(e_n),$$

სადაც e_1, e_2, \dots, e_n წრფივი სივრცის ბაზისია, $\alpha_1, \alpha_2, \dots, \alpha_n$ - კოეფიციენტები ველიდან.



ნახ. 2. წარმოებული გასაღების მიღების სქემა

დავუშვათ, წრფივ სივრცეს წარმოადგენს $n=2$ სიგრძის თანამიმდევრობათა ვექტორული სივრცე ორელემენტის GF(2) ველზე. სივრცეში განსაზღვრულია mod2-ით თანრიგობრივი შეკრების ოპერაცია. სივრცის ბაზისად ვირჩევთ ბუნებრივ ბაზისს:

$$e_1 = (1, 0, 0, \dots, 0)$$

$$e_2 = (0, 1, 0, \dots, 0)$$

.....

$$e_{32} = (0, 0, 0, \dots, 1)$$

ამის მიხედვით $f(N) = ax + by$ გამოსახულებისთვის გვექნება:

$$f(x_1 e_1 \oplus x_2 e_2 \oplus \dots \oplus x_{32} e_{32}) = f(x_1 e_1 + x_2 e_2 + \dots + x_{32} e_{32}),$$

სადაც x_1, x_2, \dots, x_{32} ღებულობს 0, 1 მნიშვნელობებს და წარმოადგენს N შეტყობინების კოეფიციენტებს E ბაზისში. დავუშვათ, გვაქვს შემდეგი წარმოდგენა:

$$\begin{aligned} f(x_1 e_1 + x_2 e_2 + \dots + x_{32} e_{32}) &= \\ &= \alpha(x_1 e_1 + x_2 e_2 + \dots + x_{16} e_{16}) \oplus \beta(x_{17} e_{17} + x_{18} e_{18} + \dots + x_{32} e_{32}) = \\ &= (x_1 \alpha e_1 + x_2 \alpha e_2 + \dots + x_{16} \alpha e_{16}) \oplus (x_{17} \beta e_{17} + x_{18} \beta e_{18} + \dots + x_{32} \beta e_{32}) = \\ &= (x_1 f(e_1) + x_2 f(e_2) + \dots + x_{16} f(e_{16})) \oplus (x_{17} f(e_{17}) + x_{18} f(e_{18}) + \dots + x_{32} f(e_{32})), \end{aligned}$$

სადაც αe_i და βe_i გამრავლება ისე წარმოებს, როგორც რიცხვებზე. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ არ დაგვჭირდეს mod2-ით შეკრება, $ax \oplus by$ ფუნქცია ინარჩუნებს წრფივ კავშირს სახესა და წინა სახეს შორის მხოლოდ ისეთი N შეტყობინებისთვის, რომელთა კოეფიციენტები ბაზისურ წარმოდგენის პირველ ან მეორე ნახევარში ნულურია. ასეთი N არის 2^{17} , რაც შეადგენს $2^{17}/2^{32} = 1/215$ ნაწილს ანუ $100/2^{15} = 0.0003\%$ ყველა შესაძლო $n=32$ სიგრძის 2^{32} მიმდევრობიდან, რომელიც დაშიფრვის შემდგომ ციკლებში სრულად იკარგება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დამატებების მიმართ სიმეტრიულობა ირღვევა, რაც ძეზნაზე დახარჯულ დროს 50 %-ით ამცირებს.

დასკვნა. შემოთავაზებული მეთოდი კრიპტოგრაფიული თავდასხმების მიმართ DES-თან შედარებით, მდგრადია, ხოლო RIJNDAEL-თან შედარებით გამოყენებულია გაცილებით მარტივი გარდაქმნები და აქვს უფრო მკაცრი არაწრფივი სისტემა, რაც ამაღლებს მის მდგრადობას. გარდა ამისა, სისტემა არის დინამიკური, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მდგრადობაზე მოთხოვნის მიხედვით ავწიოთ შიფრის მედეგობა. მაგალითად, გაიზარდოს დასაშიფრი ინფორმაციის და გასაღების სიგრძე, ასევე რაუნდების რაოდენობა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შემოტანილი არაწრფივი ელემენტის ყოველ რაუნდში მრავალჯერადი გამოყენება იძლევა იმის საშუალებას, რომ M მუდმივ მატრიცაზე გამრავლება საერთოდ იყოს ამოღებული დაშიფრვის პროცესიდან, რაც, შესაბამისად, გაამარტივებს ალგორითმის დაშიფრვის პროცესს, მაგრამ დიდად არ იმოქმედებს კრიპტომდგრადობის შემცირებაზე.

ლიტერატურა:

1. Диффи У., Хелман М. Защищенность и имито - стойкость. Введение в криптографию // Труды Института иженеров по электротехнике и радиоэлектронике, 1979.
2. Винокуров А., Rijndael (AES). Серия "Энциклопедия блочных шифров".

3. Соколов А., Хвостовец А. Криптографическая защита информации. Центр цифровой подписи.
4. http://www.masters.donntu.edu.ua/2002/fvti/a_slamov/files/algorithms/rijndael100

of processing. This, in turn highly increases stability of system all known cryptographic attacks. System adopted all major advantages of American standards DES and RIJNDAEL, ciphering and deciphering of systems are identical. It does not include any kind of information about.

Key words: *cryptography; symmetric ciphering; open text; key; ciphering; deciphering; cryptanalyst; cryptographic attack; firmness.*

მარინე კარსელაძე
სტუ-ს დოქტორანტი,

კრიპტოგრაფიული სისტემის მდგრადობა

რეზიუმე

დამუშავებულია კრიპტოგრაფიული სისტემის აგების მეთოდი, რომელშიც გამოყენებული არაწრფივი ელემენტი თითქმის არ შეიცავს წრფივობის რაიმე ნიშანს. მისი გამოყენების დროს სისტემის წრფივობის ხარისხი ეცემა 0,0003%-მდე, რაც გაშიფვრის შემდგომ რაუნდებში სრულიად იკარგება. ეს კი საგრძნობლად ამაღლებს სისტემის მდგრადობას ყველა ცნობილი კრიპტოგრაფიული თავდასხმის მიმართ. სისტემაში გამოყენებულია DES და RIJNDAEL ამერიკული სტანდარტების ყველა საუკეთესო ღირსება. სისტემის დაშიფვრის და გაშიფვრის პროცესი იდენტურია. ის სრულიად არ შეიცავს სიმეტრიულობას დამატების მიმართ, რაც საგრძნობლად ამცირებს გაშიფვრაზე დახარჯულ მუშაობას.

Marine Karseladze, GTU, Doctorate

HIGH FIRMNESS CRYPTOGRAPHIC SYSTEM

SUMMARY

There is elaborated the method for cryptographic systems design. It includes a nonlinear element, which does not obtain any sign of linearity. Thus the systems linearity degree is reduced up to 0,0003%, which is absolutely neglected within further rounds

Марине Карселадзе, ГТУ, Докторант, РИПТОГРАФИЧЕСКАЯ СИСТЕМА ВЫСОКОЙ СТОЙКОСТИ

РЕЗЮМЕ:

Разработан метод построения криптографической системы, в котором содержится нелинейный элемент, не содержащий никакого признака линейности. При его использовании степень линейности системы падает до 0,0003%, что абсолютно уничтожается в последующих раундах обработки. Это, в свою очередь, значительно увеличивает устойчивость системы относительно всех известных криптографических атак. В системе использованы все достоинства американских стандартов DES и RIJNDAEL. Шифрование и расшифровка системы абсолютно идентичны. Они ни в коей мере не содержат симметрии относительно дополнения, что чувствительно снижает время, затрачиваемое на шифрование.

Ключевые слова: *криптография; симметрическое шифрование; открытый текст; ключ; шифрование; дешифрование; криптоаналитик; криптографическое нападение; стойкость.*

ვობოიენიული ტეპლოტი რაივორენიი პოლიგაემ პოლიიიიული. ა რაივორენიი ტვირდიხ ვეიშვიბიხ, ნაობოროტი, იბიჩ-ნო სვიზანიო ს პოლიოიენიი ტეპლი. პოლიოიენიული ტეპლოტი რაივორენიი ნაივიზაემ ირიციაციული. პრივიდემ დვი პრიმერი: პრი რაივორენიი სერიიი კიილიოი H_2SO_4 ვი ვიდე ტეპლო ვიივობოიენიი; სოოივოიიული ტეპლოტი რაივორენიი რაივი $+17,9$ კკალი მოლი⁻¹. ნა რაივორენიი ხლორიდი ამონიი NH_4Cl ვი ვიდე, ნაობოროტი, ტეპლო სლედიუტი პიდივი; ნეობიიიიი ტეპლოტი რაივორენიი ვ იემო სლუიე სოივირეი $-3,9$ კკალი მოლი⁻¹.

ვ იბერიდენიი კოლიივიბი დანიიო რაივორენიი მოიიი პრი იბერიდენიიხ ილივიბი (ტემპერაიური დ დავლიენი) რაივორენიი დანიი ვეიშვიბი, თოლიკო ვ იბერიდენიი კოლიივიბი. რაივორი, სიბერიიიიიიი კოლიივიბი ვეიშვიბი, კოიორე მოიიი ვ იემ იე რაივორენიი, ნაივიზაემიი ნაივიიენიი. ისლი დიბაივიტი ვ ნაივიიენიი რაივორი კაკიილიბო კოლიივიბი თოიი კე ვეიშვიბი, კოიორე ვ იემ რაივორენიი, კონციირაციი რაივორი ნე ივილიიიიიი დ დიბაივილიი ვეიშვიბი იბანიიენიი. ნაივიიენიი რაივორი ვ იემო სლუიე ნაივიიენიი ვ რაივიბიიიი ს ვეიშვიბი, კოიორე იბილიკო ნე რაივორენიი. იეა სიიიემა – ნეიბორიიიიი, სიბერიიიი დივი ფაივი (ნაივიიენიი რაივორი დ იბიიიენიი ვეიშვიბი) დ იეი პიიზოიუი სოოივოიიიი თოლიკო დივი სიბერიი სივობიი, კოიორიი ივილიიენიი ტემპერაიური დ დავლიენი; კონციირაციი რაივორი ვ სიბიიიიიი ნაივიიენიი პოლიიიი იბერიდენიი, ისლი დანი ტემპერაიური დ დავლიენი.

კონციირაციი, სოოივოიიიიი ნაივიიენიი რაივორი, ნაივიზაემიი რაივორიიბიიი დანიი ვეიშვიბი დ დიიენიი იიიე სიბიიი მოლიარნიიბიი ილი პი ვეიბივი კონციირაციი. რაივორიიბიი იბიჩი დივოლიი სიბიიი ივიიიიიი ტემპერაიური დ ვ იბიიიიი სიბერიი იბილიკო დავლიენი. ისლი რეიხ იბიე ი რაივორიხ ტვირდიხ ვეიშვიბი (იიიე სიბიიი) ვ იბიე,

რაივორიიბიი ს რაივიიი ტემპერაიური დ დავლიენი, კაკ პრივილი, ვიზრეიიი. ი ხარიკიბი ვივიიიიი რაივორიიბიი იბი ტემპერაიური გივორიი ტაბლი. 1, ვ კოიორი დანი კოლიივიბი ნეკოიორიხ ბეივოდნიიხ სიბიიი, კოიორე პრი ტემპერაიური 0,20,50 დ 100°C რაივორიიენიი ვ 100 გ იბივი. ივი ტაბლიივი ვიბნი, კოიო ი ნეკოიორიხ ვეიშვიბი ($NaCl$) რაივორიიბიი რაივიიი ს ტემპერაიური იიიი ნეივიიიიიიი, თოიი კაკ ი ბიიიიიიიიი იბილიკო იიიიიიი ივიიიი სიბიიი. ისლი სრავნიიტი პი რაივორიიბიი ვეიშვიბი პრი კონიიანიი ტემპერაიური, თო იბანივიიიი, კოიო ნეკოიორე ივი ნიი, კაკ $AgNO_3$, $ZnCl_2$, ა ტაკიე სიხარ (200 გ ვ 100 გ იბივი), ვ იბიე სიბიიი რაივორიიბი; ვ პრივიბოლიიიიი იემო, ნეივიიიიიი რაივორიიენიი ვ იბიე სილფატი ბარიი $BaSO_4$ (0,00023 გ) ილი ხლორიდი სერიბრა $AgCl$ (0,00014 გ ვ 100 გ იბივი).

ტაბლიი 1

რაივორენიი ვეიშვიბი	რაივორიიბიი (გ) პრი ტემპერაიური (0°C)			
	0	20	50	100
ხლორატი კალიი	3	7	21	56
ნიტრატი კალიი	13	32	85	245
ხლორიდი ნაივრიი	35,6	35,8	36,7	39,1
ნიტრატი ნაივრიი	73	88	114	176
ნიტრატი სერიბრა	122	230	460	900
ხლორიდი ცინკი	210	370	500	610

ივილიიენიი ილი სნიიიენიი რაივორიიბიი ვ ვივიიიიი იბი ტემპერაიური ტეიი სვიზანიო სი კონიკი ტეპლოტი რაივორენიი. ისლი რაივორენიი ვეიშვიბი სიპრივიიიიიი პოლიოიენიი ტეპლი, ტ.ე. ილი ტეპლოტი რაივორენიი ირიციაციული, თო რაივორიიბიიი იბი რაივიიი ტემპერაიური პივიიიიიი. ისლი, ნაობოროტი, პრი რაივორენიი ტეპლო ვიივობოიენიი (ტეპლოტი რაივორენიი პოლიიიიიიი), თო პივიიიენიი ტემპერაიური სიპრივიიიიიი იბიიიიი რაივორიიბიი.

პრი რაივორენიი კიიიკიიი ვ დრიიიი კიიიკიიი მოიიი იბიე მოიიი ტრი სლუიე:

ა) კიიიკიიი ვივიიორაივორიიენიი ვ იბიიიხ

соотношениях, образуется также одна однородная фаза. Типичным примером является раствор воды и этилового спирта, которые вместе неограниченно смешиваются;

б) взаиморастворимость жидкостей ограничена, растворяются также только в определенных диапазонах концентрации. Если, например, смешать воду с эфиром, образуются два однородных раствора, один из которых при комнатной температуре имеет следующий состав

6,48% эфира и 93,52% воды,

а второй

1,22% воды и 98,78% эфира.

Первый представляет насыщенный раствор эфира в воде, второй – насыщенный раствор воды в эфире. С растущей температурой падает растворимость эфира в воде, зато растет растворимость воды в эфире.

Иногда бывает, что взаиморастворимость обеих жидкостей с температурой растет или, наоборот, снижается. Первый случай ведет к существованию так называемой верхней критической температуры, второй – к существованию нижней критической температуры. Эти критические температуры характеризуются тем, что над верхней критической температурой или под нижней критической температурой обе жидкости смешиваются в любых соотношениях. Примером жидкостей с существованием верхней критической температуры являются вода и фенол (C_6H_5OH). При $20^{\circ}C$ в воде растворяется 8,4% фенола, а в феноле – 27,6% воды. С возрастающей температурой растворимость фенола и воды увеличивается после достижения верхней критической температуры $68,8^{\circ}C$ обе жидкости начинают смешиваться в совершенно произвольных соотношениях. Это поведение хорошо видно по рис. 1, на котором представлена предельная кривая растворимости системы «вода и

фенол», указывающая пределы растворимости обеих жидкостей в зависимости от температуры.




Рис. 1.

Так например, точка А дает предел растворимости фенола в воде, точка В – предел растворимости воды в феноле при $20^{\circ}C$. Точки графика, лежащие вне заштрихованной области, ограниченной предельной кривой растворимости, представляют единую однородную фазу, которая является взаимным раствором воды и фенола, не имеет значение раствор ли фенола в воде или воды в феноле. В противоположность этому, точки внутри заштрихованной поверхности представляют две разные фазы, одной из которых является насыщенный раствор фенола в воде (при $20^{\circ}C$ точка А), а второй насыщенный раствор воды в феноле (точка В). Соотношение количеств обеих этих фаз – в обратном соотношении отрезков АС и ВС, если точка С, по рис. 1, означает концентрацию смеси воды и фенола при $20^{\circ}C$. Следует обратить внимание на подобие предельной кривой растворимости с предельной кривой (рис. 2), в связи с изотермами Ван-дер-Ваальса, у которых точки вне этой кривой также принадлежат одной фазе (жидкости или газу), а точки внутри – двухфазовой системе (жидкости или ее насыщенному пару).




Рис. 2.

Примером смеси жидкостей с нижней критической температурой является смесь воды и триэтиламина ($C_2H_5)_3N$. При температурах, превышающих нижнюю критическую температуру ($18,6^{\circ}C$), триэтиламин смешивается с водой или, наоборот, только в ограниченной степени, тогда как ниже этой критической температуры обе жидкости взаиморастворяются в любых соотношениях.

У некоторых смесей жидкости существуют обе критические температуры. Такими жидкостями, например, являются вода и никотин $C_{10}H_{14}N_2$, которые под нижней и над верхней критической температурой смешиваются в любых соотношениях, тогда как между обеими этими температурами их взаиморастворимость ограничена.

с) Жидкости вообще взаимно не растворяются. Такими жидкостями, например, являются сероуглерод CS_2 и вода.

Кроме твердых веществ и жидкостей, в жидкостях растворяются и газы. Если газ соприкасается с жидкостью, то жидкость поглощает его, абсорбирует. Поэтому кроме

растворения газа в жидкостях мы также называем абсорбцией газа. При данной температуре и давлении в данном количестве жидкого растворителя можно растворить только определенное количество газа. Растворимость газов в жидкостях зависит не только от температуры и от вида растворителя и растворенного газа, но очень сильно и от давления газа над жидкостью. Этим процесс растворения газов в жидкостях отличается от растворения твердых веществ и жидкостей. Зависимость растворимости газов от давления выражает закон Генри (1803), в соответствии с которым количество газа, которое при постоянной температуре растворяется в единице объема жидкости, пропорционально давлению газа над жидкостью. Если удвоить давление газа над жидкостью, то в ней, по закону Генри, растворится при постоянной температуре двойное количество газа. Из закона Бойля-Мариотта следует, что давление p газа прямо пропорционально его плотности ρ ($p = const; T = const$), действует также

$$p = const. \quad p = const. \frac{M}{V}, \quad (2)$$

где M – количество растворенного газа, выраженное в единицах массы, а V – его объем. Значит, если давление возрастет с величины p до величины $2p$ и если вследствие закона Генри количество газа увеличится с величины M до $2M$, объем растворенного газа, как это следует из уравнения (2), остается постоянным. Но это означает, что жидкость данного объема адсорбирует при той же температуре при различных давлениях всегда одинаковый объем газа. Соотношение объема V растворенного газа и объема V_0 жидкости

$$\frac{V}{V_0} = \alpha \quad (3)$$

при данной температуре постоянно и выражается другой формой закона Генри. Коэффициент α , называемый коэффициентом растворимости Освальда или, коротко, растворимостью, определяет объем газа, растворенного в единице объема жидкости при данной температуре. Этот коэффициент не зависит от давления газа и с растущей температурой у большинства газов падает. Для иллюстрации в табл. 2 дан коэффициент растворимости α некоторых газов в воде при разных температурах.

Закон Генри с надлежащей точностью действителен только при не слишком высоких давлениях газа (также, как и закон Бойля-Мариотта) и только для газов, которые менее растворимы в жидкостях. У газов, которые сильно растворяются (как например, двуокись серы или аммиак) способствуют сильной растворимости химическая реакция между газом и растворителем.

Таблица 2

Газ	Коэффициент растворимости α при температуре (°C)			
	0	20	40	60
Азот	0,024	0,016	0,012	0,010
Кислород	0,049	0,031	0,023	0,019
Двуокись углерода	1,713	0,878	0,530	0,359
Двуокись серы	79,8	39,4	18,8	8,0
Аммиак	1300	702	465	316

Если с жидкостью соприкасается смесь газов, количество каждого растворенного газа из смеси так высоко, как если бы он был над жидкостью один, т.е. прямо пропорционально его парциальному давлению. Но это означает,

что процентный состав смеси, учитывая различную растворимость отдельных газов, обычно не соответствует их процентному составу после растворения смеси в жидкости. Так например, в воздухе, по объему приблизительно 21% кислорода и 79% азота. Если воздух растворен в воде, то при температуре 20°C и нормальном давлении, в соответствии с табл. 11.2, в каждом кубическом сантиметре воды абсорбируется 0,031-0,21, т.е. $6,51 \cdot 10^{-3}$ см³ кислорода и 0,061-0,79, т.е. $12,64 \cdot 10^{-3}$ см³ азота, что составляет 34% кислорода и 66% азота. Отсюда следует, что воздух, растворенный в воде, богаче кислородом, поскольку его содержится 34%, тогда как нормальный атмосферный воздух – чистых 21%. Этот факт имеет большое значение для жизни водяных животных.

Л И Т Е Р А Т У Р А:

1. Китгель У., Найт У., Рудерман М. Курс физики. Том I. М.:Наука. 1971.
2. Штрауф Е.А. Курс физики. М. 1977.
3. Фейнман Р., Лейтон Р., Сэндс М. Фейнмановские лекции по физике. М.:Мир. 1965.
4. Чачхиани З.Б. Основы молекулярной физики. Тбилиси: Технический университет. 2009.

ЗУРАБ ЧАЧХИАНИ, Доктор физ.-мат. наук, профессор

МИХАИЛ БОЧОРИШВИЛИ, Канд. физ.-мат. наук

ЛАЛИТА ДАРЧИАШВИЛИ, Акад. доктор

РАСТВОРЫ (РАСТВОРЫ ЖИДКИЕ)

РЕЗЮМЕ

Под растворами подразумевается система, образованная двумя или более видами молекул, которые физически и химически однородны и чей состав можно изменять в более или менее широких пределах. Наиболее распространенным типом раствора является раствор, в котором растворитель - жидкость.

Рассмотрен процесс растворения, который сопровождается высвобождением или поглощением тепла. (Количество теплоты, которое высвобождается или расходуется при растворении 1 моля вещества в большом количестве растворителя, называется теплотой растворения).

Увеличение или снижение растворимости в зависимости от температуры тесно связано со знаком теплоты растворения. Если растворение вещества сопровождается поглощением тепла, теплота растворения отрицательна.

Doctor of Physics- Mathematical Sciences,

Professor ZURAB CHACHKHIANI

Candidate of Physics- Mathematical Sciences

MIKHAIL BOCHORISHVILI

Academic Doctor LALITA DARCHIASHVILI

SOLUTIONS (Liquid solutions)

SUMMARY

By solution is meant a system formed by two or more types of molecules that are physically and chemically uniform and whose composition can change in a more or less wide range. The most common type of solution is a solution in which the solvent - liquid.

The process of dissolution, which is accompanied by the release or absorption of heat. (The amount of heat that is released or consumed by dissolving 1 mole of a substance in a large amount of solvent is called a heat of solution).

Increase or decrease in solubility depending on temperature is closely related with the sign of the dissolution heat. If the solute is accompanied by absorption of heat, heat of solution negative.

Key words: solution, liquid, warmth, temperature, concentration

აგრეთვე შემფოთების თეორიის შემდეგი რიგების გათვალისწინებით; თუმცა ყველა შემთხვევაში შენარჩუნებულია ამ მატრიცის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება: ტალღური ფუნქციების სივრცეში ეს არის მეორე რანგის ტენზორი, რომელიც თანმხვედრია ნულოვანი მიახლოების ჰამილტონიანის სიმეტრიასთან. მოცემულ შემთხვევაში ეს სიმეტრია განისაზღვრება კუბური ჯგუფით, რომელიც გარდაქმნილია ჩვეულებრივ სივრცეში, T_{2g} და E_g დონეების ტალღური ფუნქციების ტრანსფორმაციული თვისებებით და η - ტრანსფორმაციული თვისებებით, ტენზორის ინვარიანტობის ფაქტიდან გამომდინარეობს ძირითადი დასკვნა: საუკუნის განტოლების კოეფიციენტები, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული ქვესისტემის ენერჯის დონეებს, დამოკიდებულია η -ზე მხოლოდ, როგორც ინვარიანტების ნაკრების ფუნქცია (1). ამდენად, თვითონ ენერჯის დონეებიც დამოკიდებული იქნება მხოლოდ ინვარიანტების ნაკრებზე (1) და მხოლოდ მათზე იქნება დამოკიდებული ელექტრონული ქვესისტემის თავისუფალი ენერჯიაც. ამდენად, Pr^{3+} არაურთიერთმოქმედი იონების ელექტრონული ქვესისტემა ხარისხობრივად ვერ შეცვლის ჩვენ დასკვნებს დაბალ სიმეტრიულ ფაზების სიმეტრიის და სტრუქტურის შესახებ. კითხვა ზოგიერთი პასუხის რაოდენობრივი მიმართულების შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს მკაცრად ფენომენოლოგიური თეორიის ფარგლებში. ამიტომ დაგვრჩენია მხოლოდ განვიხილოთ პრაქტიკული იონების ენერჯის გახლეჩის დამოკიდებულება ოქტაედრის მობრუნების სიდიდეზე დაბალ სიმეტრიულ ფაზაში.

მატრიცაში, რომელიც განსაზღვრავს ჟანგბადის გადანაცვლების გავლენას სპექტრის სტრუქტურის ცვლილებაზე, ინტეგრალები ერთიდაიგივე რიგისაა და ზოგადად D -ზე მეტია. ამიტომ სიმარტივისთვის შემოვიფარგლოთ მოდელით, სადაც $D = 0$. ამ მოდელში (1) მიხედვით, საუკუნის განტოლება T_{2g} და E_g თერმებისთვის იშლება მეორე და მესამე რიგის განტოლებებად. E_g თერმის გახლეჩა განისაზღვრება შემდეგი პირობით:

$$\lambda_{1,2} = -\frac{A}{\sqrt{3}}(3I_2 - I_1^2)^{1/2} \quad (2)$$

ეს ამოხსნა განიხილება [1]-ში და იქ მიღებული მოდელი ამ შემთხვევაში საკმაოდ სრულია, რადგან არ მიყვევართ შემთხვევით გადაგვარებასთან იმ ფაზების სპექტრში, სადაც გადაგვარება მოხსნილი უნდა იყოს.

T_{2g} დონისთვის საუკუნის განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$\begin{aligned} (\Delta - \lambda)^3 + (\Delta - \lambda) \left\{ \frac{3}{2}c^2(I_1^2 - 3I_2) - \frac{B}{2}(I_1 - I_2) \right\} + \\ + (3c - B)^2(3c + 2B)I_3 + \frac{1}{2}c(B^2 - 5c^2)I_1^3 + \\ + \frac{1}{2}c[(3c)^2 - B^2]I_1I_2 = 0 \end{aligned} \quad (3)$$

(3)-დან გამომდინარეობს, რომ დონეების გახლეჩა რომბოედრულ ფაზაში განისაზღვრება პარამეტრით B :

$$\begin{aligned} (\lambda_{1,2})_R &= \Delta - B\eta_0^2; \\ (\lambda_3)_R &= \Delta + B\eta_0^2. \end{aligned} \quad (4)$$

დონეების გახლეჩა ტეტრაგონალ ფაზაში განისაზღვრება C თეორიის ფენომენოლოგიური პარამეტრებით:

$$\begin{aligned} (\lambda_{1,2})_T &= \Delta - C\eta_0^2; \\ (\lambda_3)_T &= \Delta + 2C\eta_0^2. \end{aligned} \quad (5)$$

თუ შესაძლებელია ამ ორი პარამეტრის გაზომვა, მაშინ თერმების ქმედება ორთორომბულ და მონოკლინურ ფაზებში შეიძლება გამოვყენოთ ჟანგბადის ოქტაედრის მობრუნების გაზომვისათვის (ან პირიქით, ვიცით რა პრაქტიკული იონების აღზნებული დონეების ქმედება ორთორომბულ და მონოკლინურ ფაზაში) სისრულისთვის მოვიყვანოთ ენერჯის დონეების მნიშვნელობა ორთორომბულ:

$$\begin{aligned} (\lambda_1)_C &= \Delta - 2C\eta_0^2; (\lambda_2)_C = \Delta + (C - B)\eta_0^2; \\ (\lambda_3)_C &= \Delta + (C - B)\eta_0^2, \end{aligned} \quad (6)$$

და მონოკლინურ ფაზაში:

$$\begin{aligned} (\lambda_1)_M &= \Delta - C(\eta_1^2 + \eta_2^2); \\ (\lambda_{2,3})_M &= \Delta + \frac{C(\eta_1^2 + \eta_2^2)}{2} \mp \end{aligned} \quad (7)$$

$$\mp \sqrt[3]{9C^2(\eta_1^2 - \eta_2^2) + 4B^2\eta_1^2 + \eta_2^2}$$

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ მიღებული მო-

დელი მინიმალურია სრული მოდელებიდან. [1]-ში მოყვანილი მოდელი ($B = 0$) ასეთი სისრულით არ ხასიათდება და მივყავართ T_{2g} დონეების შემთხვევით გადაგვარებამდე D სიმეტრიის ფაზაში.

ლიტერატურა:

Harley R.T. Hayes W., Perry A.M., Smith S.R.P. The Phase Transition of $PrAlO_3$. -j. Phys.C. 1973. V.6. p. 2382-2400.

ზ. ჩაჩხიანი, ე. ზერაგია და ლ. დარჩიაშვილი
პრაზეოდიმის სპექტრის დამოკიდებულება
ფაზების სიმეტრიაზე

ანოტაცია

მოცემულია ზუსტად ამოხსნადი მოდელი მერვე ხარისხის თერმოდინამიკური პოტენციალით ჟანგბადის ოქტაედრის გადანაცვლებით, რომელიც სრულად აღწერს როგორც ყველა ფაზის შეცვლის ხასიათს $PrAlO_3$ -ში, აგრეთვე გაზომვადი მახასიათებლების ანომალიებს თანმიმდევრული გადასვლების სერიის დროს. მოცემულია სრული მოდელი, რომელიც აღწერს ჟანგბადის ოქტაედრის გადანაცვლების გავლენას P - იონის ძირითადი (E_g) და აგზნებული (T_{2g}) თერმის გახლეჩაზე. მიაღებულია ანალიტიკური გამოსახულებები (T_{2g}) თერმის გახლეჩისათვის ორთორომბულ და მონოკლინურ ფაზებში რიგის პარამეტრის კომპონენტების მნიშვნელობებით. დამტკიცებულია, რომ ელექტორნული ქვესისტემა $PrAlO_3$ -ში ვერ დაასტაბილურებს ახალი სიმეტრიის ფაზებს, როგორც წინათ ვარაუდობდნენ. განხილულია დაბალ სიმეტრიული ფაზების სტრუქტურა.

Z. Chachkhiani, E. Zeragia and L. Darchiashvili

Praseodymium Spectrum Dependency on Phase Symmetry

SUMMARY

Specific solvable model of eighth degree with thermodynamic potential and shifting oxygen

octahedron is given, which describes completely the character of changing all phases in $PrAlO_3$, as well as, anomalies of measurable characteristics during series of sequential transition. Complete model is given describing shifting oxygen octahedron influence on splitting of P ion main (E_g) and excited (T_{2g}) therm. Analytic patterns are received for splitting the therm (T_{2g}) in orthoromb and monoclinic phases with values of raw parameters components. It is confirmed that electronic subsystem in $PrAlO_3$ will not be able to stabilize new symmetry phases as it was considered earlier. The structure of low symmetric phases is discussed.

Key words: phase, matrix, spectrum, energy levels, symmetry.

З.Б. Чачхиани, Э.М. Зерагия, Л.К. Дарчиашвили

ЗАВИСИМОСТЬ СПЕКТРА ПРАЗЕОДИМА ОТ СИММЕТРИИ ФАЗ

РЕЗЮМЕ

Ключевые слова: фаза, матрица, спектр, уровни энергии, симметрия.

Дана точно решаемая модель перемещиванием кислородного октаэдра термодинамическим потенциалом восьмой степени, которая полностью описывает как изменение характера всех фаз в $PrAlO_3$, а также аномалий измеряемых характеристик во время ряда последовательных переходов. Дана полная модель, которая описывает влияние перемещения кислородного октаэдра на расщепление P ионную основную (E_g) и возбужденного (T_{2g}) терма. Получены аналитические изображения для расщепления (T_{2g}) терма с значениями компонент параметра порядка в орторомбических и моноклинных фазах. Доказано, что электронная подсистема в $PrAlO_3$ не в состоянии стабилизировать фазы новых симметрий, как предполагалось ранее. Рассмотрена структура низкосимметричных фаз.

დრეკადი სისტემის განხილვა მიწისძვრის დროს


ხაზიშვილი ანზორ,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



მიწისძვრის ზონაში განთავსებული დრეკადი სისტემის განხილვის დროს, ინერციის ძალების გათვალისწინება აუცილებელია. მიწის ზედაპირი და გრუნტში მოთავსებული ნაგებობა რაიმე აჩქარებით გადაადგილება, და ინერციის ძალას წარმოიშობს, რომელიც აჩქარების მიმართულების საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

აჩქარების მაქსიმალური მნიშვნელობა დამოკიდებულია მიწისძვრის ძალაზე (ბალზე) და სპეციალური ტექნიკური პირობებით დგინდება. მან შეიძლება მიაღწიოს x -ზე მეტ სიდიდეს, რომელიც ინერციის ძალის ინტენსიობის პირდაპირ პროპორციულია.

განვიხილოთ ქარხნის ბეტონის მაღლივი მილი (ნახ. 1,ა).



ნახ. 1

მიწისძვრის მოძრაობის გავლენით, მილი a აჩქარებით ჰორიზონტალურად გადაადგილდება და მასზე ინერციის ძალები იმოქმედებს.

თუ მილის დეფორმაციას უგულებელყოფთ, მაშინ მილის ყველა წერტილის აჩქარება ერთნაირი და ერთმანეთის ტოლად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

მოცემული სქემის მიხედვით, მილის ზედა

ბოლოდან x მანძილზე მდებარე განივი კვეთის ფართობი

$$F(x) = \pi(r_x^2 - r^2), \quad (1)$$

სადაც

$$r_x = r_0 + \frac{r_1 - r_0}{l} x. \quad (2)$$

(1)-ში (2)-ის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$F(x) = \pi \left[(r_0^2 - r^2) + 2r_0 \frac{r_1 - r_0}{l} x + \frac{(r_1 - r_0)^2}{l^2} x^2 \right]. \quad (3)$$

მილის სიგრძეზე ჰორიზონტალურად განაწილებული ინერციის ძალის ინტენსიობა ზედა ბოლოდან x მანძილზე განისაზღვრება ფორმულით [1]:

$$q_{\text{ინ}} = \frac{\gamma a}{g} F(x) = \frac{\gamma \pi a}{g} \left[(r_0^2 - r^2) + 2r_0 (r_1 - r_0) \frac{x}{l} + (r_1 - r_0)^2 \frac{x^2}{l^2} \right], \quad (4)$$

სადაც α არის ბეტონის მოცულობითი წონა, g - აჩქარება.

ინერციის ძალის ინტენსიობა წარმოვადგინოთ სწორკუთხედი, სამკუთხედი და კვადრატული პარაბოლის ერთობლიობის სახით (ნახ. 1,ბ), მაშინ მილის ნებისმიერ განივ კვეთში მდუნავი მომენტის სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

$$M(x) = \frac{\gamma \pi a}{12g} \left[6(r_0^2 - r^2) + 4r_0 (r_1 - r_0) \frac{x}{l} + (r_1 - r_0)^2 \frac{x^2}{l^2} \right] \cdot x^2. \quad (5)$$

მდუნავი მომენტით წარმოშობილი ნორმალური ძაბვა მილის ნებისმიერ x კვეთში ტოლია [2]:

$$\sigma_M(x) = \frac{M(x)}{W(x)}, \quad (6)$$

სადაც $W(x)$ არის მილის მებისმიერ x კვეთის წინაღობის მომენტი, და მოცემული სქემის მიხედვით გამოითვლება ფორმულით [3]:

$$W(x) = \frac{I(x)}{y_{\text{მ.ბ}}},$$

სადაც $I(x)$ კვეთის ინერციის მომენტი

$$I(x) = \frac{\pi r_x^4}{4} - \frac{\pi r^4}{4} = \frac{\pi r_x^2}{4} \left(1 - \frac{r^4}{r_x^4} \right), \quad \text{ხოლო } t_{\text{მ.ბ}} = r_x$$

ე.ო.

$$W(x) = \frac{\pi x^4}{4} \left(1 - \frac{r^4}{r_x^4} \right). \quad (7)$$

მილის საკუთარი წონის გავლენა ნორმალურ დაბეჭედად დიდია და მხედველობაში უნდა მივიღოთ.

აღნიშნოთ x კვეთის ზემოთ მდებარე მილის საკუთარი წონა $N(x)$ -ით, ხოლო მოცულობა $V(x)$ -ით, მაშინ

$$N(x) = \gamma \cdot V(x), \quad (8)$$

სადაც $V(x)$ არის მილის მოცულობა სიცარიელის გარეშე და განისაზღვრება ფორმულით [4]:

$$V(x) = \frac{\pi x}{3} (r_x^2 + r_x r_0 + r_0^2 - 3r^2). \quad (9)$$

საკუთარი წონით გამოწვეული ნორმალური დაბეჭევა გაჭიმვა-კუმშვისას ტოლია:

$$\sigma_N(x) = \frac{N(x)}{F(x)}. \quad (10)$$

(1) და (8)-ის ჩანაცვლებით, (10)-დან მივიღებთ:

$$\sigma_N(x) = \frac{\gamma(r_x^2 + r_x r_0 + r_0^2 - 3r^2)}{3(r_x^2 - r^2)}. \quad (11)$$

ცხადია, მაქსიმალური ნორმალური დაბეჭევა აღიძვრება მილის ჩამაგრების კვეთში:

$$\sigma_N = \frac{\mathcal{W}(\ell)}{F(\ell)} = \frac{\gamma(r_1^2 + r_1 r_0 + r_0^2 - 3r^2)}{3(r_1^2 - r^2)}. \quad (12)$$

რიცხვითი მაგალითი. ნახ. 1,ა-ზე მოცემული ქარხნის მაღლივი მილის სიმტკიცის პირობა დასაშვები დაბეჭების მიხედვით შევამოწმოთ, თუ მოცემულია:

მილი დამზადებულია ბეტონისაგან, რომლის კუმშვაზე და გაჭიმვაზე დასაშვები დაბეჭევა

$$[\sigma]_{კუმ} = 15 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}; \quad [\sigma]_{გაჭ} = 4 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}; \quad \text{მოცულობითი წონა}$$

$$\gamma = 2,35 \frac{\text{ტ}}{\text{სმ}^3}; \quad \text{მიწისძვრით გამოწვეული აჩქარება}$$

$$a = 2 \frac{\text{მ}}{\text{წმ}^2}; \quad \text{მილის სიმაღლე } \ell = 20 \text{ მ};$$

$$r_1 = 3\text{მ}; \quad r_2 = 1\text{მ}; \quad r_0 = 1,5\text{მ}.$$

ვინაიდან $r_x = r_1 = 3\text{მ}$, ჩამაგრების კვეთის წინა-ღობის მომენტი (7)-ის გამოყენებით მოგვცემს:

$$W(\ell) = \frac{3,14 \times 3^4}{4} \left(1 - \frac{1^4}{3^4} \right) = 20,93 \text{ მ}^3.$$

(5)-ში ცნობილი სიდიდეების ჩანაცვლებით მივიღებთ ინერციის ძალით გამოწვეულ მღუნავი მომენტის მაქსიმალურ მნიშვნელობას ჩამაგრების კვეთში:

$$M_{აქ}(\ell) = 940,24 \text{ ტ.მ.}$$

(6)-ის საშუალებით მომენტით გამოწვეული მაქსიმალური ნორმალური დაბეჭევა

$$\sigma_M = \frac{940,24}{20,93} = 4,5 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}$$

ჩამაგრების კვეთში, მილის საკუთარი წონის გავლენით წარმოშობილი მაქსიმალური ნორმალური დაბეჭის სიდიდე განვსაზღვროთ (12)-ით, გვექნება:

$$\sigma_N = \frac{2,35 \times 20(3^2 + 3 \times 1,5) + 1,5^2 - 3 \times 1^2}{3(3^2 - 1^2)} = 2,5 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}$$

ჩამაგრების კვეთის A და B წერტილებში


$$\sigma_N^A = \sigma_N^B = -2,5 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}, \quad \text{ხოლო}$$

$$\sigma_M^A = -4,5 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}; \quad \sigma_M^B = 4,5 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}.$$

სრული ნორმალური დაბეჭევა A და B წერტილებში

$$\text{იქნება: } \sigma_{სრ}^A = -7 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}, \quad \sigma_{სრ}^B = 2 \frac{\text{კბ}}{\text{სმ}^2}. \quad \text{მათი}$$

ეპიურები მოცემულია ნახ. 2-ზე.



ნახ. 2

მიღებული სიდიდეებით სიმტკიცის პირობა დაცულია.

დასკვნა

მიწისძვრისას წარმოშობილი ინერციის ძალის ინტენსიობა წარმოდგენილია სწორკუთხედის, სამკუთხედის და კვადრატული პარაბოლის ერთობლიობით, რაც ამარტივებს სისტემის გაანგარიშებას.

დრეკადი სისტემის გაანგარიშებისას საკუთარი წონა მხედველობაში უნდა იყოს მიღებული.

განივი ძალით გამოწვეული მხები ძაბვა სიმცირის გამო შეგვიძლია უგულებელყოთ.

ლიტერატურა:

1. Дарков А. В., Шапиро Г. С., Сопротивление материалов. Изд-во «Высшая школа» Москва, 1969. с. 593.
2. Тимошенко С. П., Горе Д. Ж. Механика материалов. Изд-во «Мир» москва, 1976 с.20.
3. ა. ხაბეიშვილი, თ. ბაციკაძე, ე. ალავეძე მასალათა გამძლეობა. საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი” თბილისი, 2009. გვ. 26.
4. Ривкин А. А., Ривкин А. З., Хренов Л. С. Справочник по математике Изд-во «Высшая школа», Москва. 1970 с.198.

Хабешвили А. Д.

Грузинский технический университет

РАСЧЕТ УПРУГОЙ СИСТЕМЫ ПРИ ЗЕМЛЯТРЕСЕНИИ

РЕЗЮМЕ

В статье дан расчет высотной ветонной трубы, вызванной силами инерции землетрясения.

Интенсивность сил инерции представлена в виде прямоугольника, треугольника и квадратной параболы. Принят во внимание собственный вес трубы.

Ключевые слова: *интенсивная сила, землетрясение.*

Anzor Khabeishvili,

Georgian Technical University

Calculation of the Elastic System during Earthquake

SUMMARY

The article provides calculation of a high-rise concrete pipe under the influence of the force of the inertia caused by earthquake.

Intensity of the force of inertia is presented in a form of a rectangle, a triangle and a square parabola. The pipe body weight is considered

Keywords: *Earthquake. Force of Intensity, Intensity*

არქიტექტურა АРХИТЕКТУРА ARCHITECTURA

ცაბაძის ქუჩის რეაბილიტაცია-კონსტრუქცია

დავითაია მათა, ვალიშვილი თამარი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა, რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, კონტრასტი, კონცეფცია.

მიწის კერძო საკუთრების ლიკვიდაციამ, მსხვილი უძრავი ადგილ-მამულის ნაციონალიზაციამ, არქიტექტურის წინაშე ახალი, მანამდე არნახული ამოცანები დასახა. ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ ახალი ქუჩების, სახლებისა და გზების აღდგენის და შეკეთების საქმე. კეთილმოწყობის საკითხების მოწესრიგებამ თანდათან ქალაქს სანუგეშო სახე მისცა. ქალაქის კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებასა და კეთილმოწყობის საქმეში ყველაფერი „წვრილმანებიდან“ იწყებოდა, რათა შექმნილიყო საფუძველი შემდგომი, უფრო დიდი სამუშაოებისთვის.

მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივაცია გახდა. ეს პირდაპირ იყო მიზნული ქალაქის გაფართოებასთან, ძველი შენობების და ნაგებობების აღდგენასთან, ახალი შენობების აგებასთან, ვინაიდან მუშათა კლასის დაკმაყოფილება პროდუქტიული იქნებოდა მათივე მხრიდან ჩამოთვლილი სამუშაოების შესასრულებლად.

აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ქართული, ეროვნული თავისებურებების წარმოჩენა და მათი განხორციელება, ამიტომ არქიტექტურაში გაჩნდა მოთხოვნილება ინდივიდუალური, ეროვნული შტრიხების მატარებელი ახალი შენობების

შემუშავებისა, რომლებიც ახალი ქუჩების ჩამოყალიბებაში დიდ როლს შეასრულებდნენ. ამ იდეით განმსჭვალული არქიტექტორები მრავალ ექსპერიმენტს ატარებდნენ ახალი ქართული არქიტექტურის ისტორიაში. ამ სირთულესთან შეჭიდება მოუწიათ უფროსი თაობის არქიტექტორებს: მ. ბუზოლი, მ. კალაშნიკოვი, ა. კალგინი, კ. ლეონტიევი, ნ. მადათოვი, მ. მაჭავარიანი, მ. ნეპრინცევი, ნ. სევეროვი, გ. ტერ-მიქელოვი, დ. ჩისლიევი და სხვ.

სწორედ დ. ჩისლიევის სახელს უკავშირდება 1926 წ. ტრამვაელთა სახლების მშენებლობა აღმავლების გამზირისა და ცაბაძის ქუჩის გადაკვეთაზე. ეს ქუჩები იმ დროს ცნობილი იყო პლენხანოვის გამზირისა და ტელმანის ქუჩის სახელით (სურ. 11).

სასტუმროს ტიპის, ოთხსექციანი, სამსართულიანი ტრამვაელთა სახლები ქმნიან საცხოვრებელ კომპლექსს, რომელშიც შედიოდა პირველადი მომსახურეობის დაწესებულებებიც, რაც ასეთი დაპროექტების პირველი მაგალითია. ყოველ სახლში ორი რიგითი და ორი გვერდითი სექციაა. რიგითი სექციები შიგნით არის შეწყული, ხოლო გვერდითი სექციების კუთხეები ჩაჭრილია. ბინები უზრუნველყოფილია განიავებით, კიბის უჯრედები ნახევრად ღიაა, ეს დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა ბინებში ოთახების განლაგება არადაამკმაყოფილებელია ორიენტაციის თვალ-

საზრისით. უჩვეულოა ტეხილი ფორმები, რომლებიც გეგმარებაში პრობლემებს ქმნიან. ეს გამოწვეულია ეროვნული არქიტექტურული სტილის ძიებით. არქიტექტორი ცდილობს ქართული ორნამენტისა და ფორმის ახლებურად დანახვას. აღნიშნული მცდელობა არ აღმოჩნდა გამართლებული. შენობის ფასადების პრეტენზიული არქიტექტურა ეწინააღმდეგება სიმსუბუქეს და ფორმათა იმ დახვეწილობას, რაც ასე დამახასიათებელია ქართული არქიტექტურისათვის. სავარაუდოდ, ამ მიზეზით შეჩერდა კომპლექსის სრული მშენებლობა და მოგვიანებით ტელმანის ქუჩა სხვა სტილის შენობებმა დაასრულა.

2012 წელს ქალაქის თვითმმართველმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ტელმანის (ახლანდელი გ. ცაბაძის ქუჩა) ქუჩისა და მასზე მდგარი 6 შენობის რეაბილიტაცია – რეკონსტრუქციის შესახებ. იმავდროულად დავალება მიზნად ისახავდა შენობებს შორის არსებული უსახური კომერციული ფართების ერთ შენობაში მოთავსებას, რომელიც მე-7 შენობა იქნებოდა გ. ცაბაძის ქუჩაზე.

სახლი 11 და სახლი 13 წარმოადგენს დ. ჩისლივეის ტრამვაის სახლებს. გვიანდელი ჩარევების შედეგად შენობის გვერდით სექციებზე მოეწყო თვითნებური ჩარევები და გაჩნდა მანსარდები, მოხდა ღიობების გაუქმება და არაერთგვაროვანი ფანჯრებისა და კარების ჩასმა. სახლებმა დაკარგეს პირველადი იერსახისათვის მოსაწონი ელემენტები კი. ერთიანობის განცდა ფასადებზე შეცვალა ქოტურმა ჩარევებმა, მოხდა ფასადების ფერების ცვლილება.

სახლი 15 და სახლი 19 შედარებით გვიანი პერიოდისაა და მათი არქიტექტურა მთლიანად გათავისუფლებულია ქართული ელემენტებისგან. ე.წ. „სტალინური სახლები“ მრავალჯერ გადაღებილი, ქოტური კარ-ფანჯრებითა და სარეკლამო აბრებით იყო წარმოდგენილი.

სახლი 111 გ. ცაბაძის ქუჩის დაბოლოებაა. ის მოედანზე გამოდის და წინამძღვრიშვილის ქუჩის და ცაბაძის გადაკვეთაზე დგას. პირველი სართულის ძველი აგურის წყობა ბევრჯერ გადაღებილმა ფასადმა შეცვალა. უსისტემოდ

შექმნილი კომერციული ფართების ერთობლიობა სახლთან ერთად მოწესრიგებას საჭიროებდა.

სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო დავალება გულისხმობდა ქუჩის პირველადი სახის აღდგენას და ახალი ჩარევებით ისტორიული შენობების სტილურ თავისებურებებთან მაქსიმალურ მისადაგებას. არსებული ვითარება სავალალო აღმოჩნდა იმ მხრივ, რომ ქუჩაზე 30 %-ით მეტი მოსახლე დასახლდა და მათი ახალი საბინაო ფართით დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო, ამიტომ სარეაბილიტაციო პროგრამის წარმართვა დავალების მიხედვით სირთულეს წარმოადგენდა.

საავტორო ჯგუფის კონცეფცია ეწინააღმდეგებოდა დასმულ ამოცანას და გულისხმობდა ისტორიული შენობებისგან გვიანდელი დანამატების გამოყოფას, ახალი მასალების გამოყენებით ძველთან ჰარმონიული თანაარსებობის დამყარებას. დ. ჩისლივეის პროექტი არ გამოდგა სახელმძღვანელოდ ახლანდელი რეაბილიტაციისათვის და ის შეიცვალა ახალი მიდგომით, რომელიც გულისხმობდა-ახლისა და ძველის სინთეზს.

დღეს მსოფლიოში საკმაოდ აქტუალურია კონტრასტული ჩარევის თემატიკა და მაგალითებიც მრავლადაა. ცნობილი არქიტექტორები კონვერსიის ამ გზას მიმართავენ ისტორიულ შენობებზე საჭირო დანამატების შექმნისა ან შეფუთვის შემთხვევებში (სურ. 2, სურ. 3, სურ. 4), ამიტომ ავტორებმა კონტრასტის გზით მსვლელობა გადაწყვიტეს, რომელიც პირველი მასშტაბური გადაწყვეტილება იქნებოდა დამკვეთთან მოლაპარაკებისა და კონსენსუსის მიღწევის შემდგომ.

თითოეულ სახლზე ჩატარებული კვლევისა და მოსახლეობის გამოკითხვის საფუძველზე მოხდა შენობების გამაგრება, ფასადების გაწმენდა და პირვანდელი ფერის დადგენა, კარფანჯრებისა და კომერციული ფართების აბრების გამოცვლა (სურ. 5, სურ. 6, სურ. 7, სურ. 8, სურ. 9, სურ. 10, სურ. 11), დ. ჩისლივეის სახლებზე არსებული მანსარდების ახალი შუშაბანდებით ჩანაცვლება. კონცეფციისათვის შესაბამისი პროდუქტის მისაღებად თანამედროვე მასალების გამოყენება საუკეთესო გამოსავალი აღმოჩნდა (სურ. 12).

გ. ცაბაძის ქ. 7 უფრო თამამი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლეოდა. კონცეფცია მეტად ხაზგასმული და გამყარებული გამოდგა, როდესაც დ. ჩისლიევის სახლებსა და ე.წ „სტალინურ“ სახლს შორის სრულიად ახალი, დინამიკური ფორმის მოცულობა გაჩნდა, რაც ეპოქებს შორის თანაარსებობის ერთგვარი ხიდი აღმოჩნდა. არსებული ფასადის გასუფთავების, ყველა ღიობის შენარჩუნების შემდეგ ახალი პლასტიური ფასადი შეიქმნა, რომელიც მინამაგნეზიტის ფილებისგან აეწყო (სურ. 8).

გ. ცაბაძის ქ. 11-ში მდებარე აგურის შენობა ქუჩის დაბოლოებაა და მოედნის ერთადერთ ისტორიულ და ღირებულ მოცულობას წარმოადგენს. დავალების მიხედვით შენობაზე უნდა გაჩენილიყო აქცენტი, რომელიც დამკვეთების მიერ თავდაპირველად გუმბათით მოიაზრებოდა. ვინაიდან ახალი კონცეფცია ეწინააღმდეგებოდა ძველი ორნამენტებისა და ფორმების დამატებას, შემუშავდა სრულიად ახალი აქცენტი, რომელიც გუმბათის ნაცვლად პლასტიურ ფორმას გვთავაზობს (სურ. 10).

კონცეფციის თანახმად, გ. ცაბაძის ქ. 9-სა და გ. ცაბაძის ქ. 11 შორის გაჩენილი ახალი შენობა თანამედროვე ტექნოლოგიებისაგან მიღებული მეტალით ე.წ „ქორთენით“ დაიფარა. ეს გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა, რადგან მან თავისი ფერით დიალოგი გამართა გვერდზე მდგარ აგურის შენობასთან და ბალანსი შექმნა (სურ. 11).


რეაბილიტაციის შედეგად მივიღეთ ერთიანი ანსამბლი, რომელიც კონტრასტის გზით კონტექსტურ განაშენიანებად ჩამოყალიბდა (სურ. 13).



1



2



3



4



5



10



7



11



8

12



13

ლიტერატურა:

1. ნ. ჯანზბერიძე, ქართული საბჭოთა არქიტექტურა. განვითარების გზები, თბილისი, 1971
2. მაია მანია, მოდერნიზმი თბილისის არქიტექტურაში, "საქართველოს სიძველენი" 116, 2013, გვ. 237-259

მაია დავითაია, თამარ ვალიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ცაბაძის ქუჩის რეაბილიტაცია - რეკონსტრუქცია

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თბილისის ერთერთი ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, კერძოდ ყოფილი ტელმანის ქუჩა, რომელსაც ახლა ცაბაძის ქუჩა ეკია.

დამკვეთების მიერ სამუშაოს დავალება იყო ქუჩისა და შენობების აღდგენა პირვანდელი სახით, ქართული სამშენებლო ტრადიციის შენარჩუნებით.

რეაბილიტაციის პროექტზე მუშაობდა სტუდია „არქიტექტურული ბიურო“, რომელმაც რეაბილიტაციის ახალი კონცეფცია შეიმუშავა. ის გულისხმობდა ძველსა და ახალს შორის ჰარმონიული კავშირის შენარჩუნებას მშენებლობისა და მასალების გამოყენების ახალი მეთოდებით.

სტატია იწყება ქუჩის ჩამოყალიბებისა და განვითარების წინაისტორიით და იმ სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის განხილვით, რომელიც იმ პერიოდს ახასიათებდა, შემდეგ მიდის განხილვა რეაბილიტაციამდე მდგომარეობის და სრულდება რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის აღწერით. პირველი ორი სახლი ამ ქუჩაზე ეკუთვნის დ. ჩისლიევს, რომელიც ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს. მოგვიანებით სხვა სახლები დაიდგა, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ქუჩის განაშენიანება.

რეაბილიტაციის მიზანი იყო ქუჩისა და მასზე მდგარი სახლების ერთიანი სახის მიღება, რომლებიც დროთა განმავლობაში დაინგრა ჩარევების გამო. შენობებს დაემატა ახალი ნაწილები - მანსარდები, ლოჯიები, აივნები და სხვ.

რეაბილიტაცია - რეკონსტრუქციის შემდეგ ქუჩამ

კონტექსტური განაშენიანება მიიღო კონტრასტის მეთოდით.

Maia Davitaya, Tamara Valishvili
Грузинский технический институт

Реабилитация и реконструкция улицы Цабадзе

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрена реабилитация-реконструкция одной из старых улиц города Тбилиси – бывшая улица Тельмана, сейчас улица Цабадзе. Проект реабилитации исполняла архитектурная студия „Архитектурное Бюро“. Они предложили новую концепцию реабилитации, которая подразумевала новый метод - сохранение гармонии между старым и новым используя новые методы строительства и материалы. Цель работ состоялась в восстановлении улицы и зданий в первоизданном виде, с сохранением грузинских строительных традиций.

Статья начинается с обзора предистории возникновения и развития улицы, с обзора той социально-политической ситуации, которая существовала в том периоде. Первый дом построил Д. Числиев и он имеет историческую ценность, позже строятся остальные дома, которые и создают застройку улицы. Цель реабилитации состоялась в том, чтоб получить единое лицо улицы и домов которые разрушились от позднего вмешательства. Были добавлены новостройки -мансарды, лоджии, балконы и т.д.

После реабилитации-реконструкции улица получила контекстуальную застройку методом контраста.

ключевие слова: архитектура, реабилитация, реконструкция, контраст, концепция.

Maia Davitaia, Tamar Valishvili
The Georgian Technical University

Tsabadze street rehabilitation and reconstruction project

SUMMARY

Key words: Architecture, Rehabilitation, Reconstruction, Contrast, Conception.

The reason of street rehabilitation was to receive whole rehabilitated look, which was disordered with late construction interference. At the buildings was added mansards, balconys - with irrelevant expression.

The purpose of rehabilitation was to make everything added to the original look old style.

Population had been increased by 30 % and it was impossible to preserve first architectural views, because new constructions was registrated with them.

Also our consideration was to separate old

architecture and new constructions, because in the other way it would destroy the harmony between each other.

New concept of rehabilitation implicated to renew late constructions with new methods. it meant, that everything added later on the buildings, had to be made with new materials and with new forms.

It helped separate different styles and eras and in parallel, to receive harmonious confluence.

Every building was researched, owners were questioned, laboratory expertise of façade colors was conducted, buildings were reinforced and after all this, rehabilitation was planned.

As a result of the rehabilitation, we received street and buildings created in one concept, which is the good example of how can the past and present co-exist, how difficult, but achievable is to create contrasting eclectic project and, if it is based on knowledge and compromises how good product.

ბის სილუეტის კორექტივიც კი. დღეს, მხოლოდ საკუთარ შენობაზეა მესაკუთრის ყურადღება და ინტერესები გადატანილი, დღეს მათი ინტერესების შემაკავებელი მუხრუჭი ფაქტიურად არ არსებობს და არცთუ იშვიათად დამამტკიცებელი ინსტანციები სწორედ კერძო მესაკუთრეთა ინტერესების დამცველად გვევლინება ქალაქთმშენებლობითი ინტერესების საზიანოდ.

განსხვავება ქალაქების სოციალისტურ და კაპიტალისტურ განაშენიანებაში უდავოდ მქდავდება განაშენიანების სილუეტშიც. მიწის ნაკვეთების არაერთგვაროვანი ღირებულება ქალაქის ცენტრში და მის განაპირას, კაპიტალისტურ კონიუნქტურაზე დამოკიდებული მიწაზე კერძო საკუთრება, უზარმაზარი კონკურენცია ცალკეულ კაპიტალისტურ გაერთიანებებს შორის და ბევრ შემთხვევაში მხატვრული საწყისის უქონლობა – ყველაფერი ეს და სხვა ბევრი რამ გავლენას ახდენს კაპიტალისტური ქალაქის სილუეტის განვითარებაზე. საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ ქვეყნებში არსებობდა წანამდღვრები ქალაქების გეგმაზომიერი განვითარებისა და ყველა საკითხის რაციონალური გადაწყვეტისათვის. დღეს მიწაზე ჩვენთანაც კერძო საკუთრების არსებობის გამო იგივე ტენდენციები ვითარდება, ბევრს ჯერ კიდევ ახსოვს წარსული და საჭიროა ამ გამოცდილების ჩართვა დაპროექტებაში. ამასთან, უნდა ვიცოდეთ ჩვენი ქალაქის მასშტაბი, მისი სპეციფიკა, რელიეფის სირთულე და ძალზე ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ საკითხს.

არქიტექტურისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ, ქალაქისა და მისი ცალკეული ნაწილების სილუეტების მხედველობაში მიღების იგნორირებამ და მხოლოდ საკუთარ შენობა-ნაგებობებზე ზრუნვამ შექმნა სრულიად ახალი გამომსახველობა, ახალი სილუეტები, რომლებიც უკვე საჭიროებს ამ მიმართულებით გარკვეული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაგეგმვა-ჩატარებას.

2. ძირითადი ნაწილი

დასაწყისშივე დავსახეთ სილუეტების შესაძლო სახესხვაობანი, რათა განხილული მაგალითები მეტი სიცხადისათვის მიგვეკუთვნებინა რომელიმე

მათგანისათვის, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, კორექტივი შეგვეტანა სილუეტების სახესხვაობათა დაზუსტებაში რელიეფთან დამოკიდებულებაში, ქალაქის ადგილისა და თავად სილუეტის მხატვრული სახის შესაბამისად:

სილუეტი, როდესაც რელიეფი და განაშენიანება თანაბარი სიძლიერითაა

წარმოდგენილი;

სილუეტი, როდესაც რელიეფი ბატონობს განაშენიანებაზე;

სილუეტი, როდესაც რელიეფი დაქვემდებარებულია განაშენიანებაზე;

სილუეტი ქალაქის შესასვლელებიდან;

სილუეტი ქალაქის გასასვლელებიდან;

სილუეტი მტკვრის დინების მიმართულებით;

სილუეტი მტკვრის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით;

სილუეტი ცალკეული მნიშვნელოვანი ობიექტის;

სილუეტი დაბალი ნიშნულიდან;

სილუეტი მაღალი ნიშნულიდან;

სილუეტი მცირე ფორმების (სხვადასხვა დანიშნულების ობელისკები);

სილუეტი ერთპლანიანი;

სილუეტი მრავალპლანიანი;

სილუეტი მშვიდი;

სილუეტი აფორიაქებული.

თბილისში ბოლო წლებში აშენებული რამდენიმე ობიექტის წარმოდგენა, სილუეტის განალიზების თვალსაზრისით დაგვარწმუნებს დასმული საკითხის მიზანშეწონილად გადაწყვეტის გადაუდებლობაში.

ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს, ჩვენდა გასაოცრად, აღმოჩნდა საკმაო ფინანსები, ადგილობრივი თუ უცხოური, რომელთა გამოყენება მოხდა დედაქალაქის აღმშენებლობაში. ქვეყნისთვის უმჯობესი იქნებოდა მათი პერიფერიებისკენ მიმართვა და არა თბილისის მსგავსი თავკომბალის შექმნა.

დასმულ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება ყველაზე ბოლოს შექმნილი მაგალითით დავიწყეთ, რამეთუ იგი იმის ნათელ გამოხატულებაა, თუ რა სიძნელეები შეიქმნა დღეს ასეთი დიდი მოცულობის შენობის აღმართვით ამ ადგილას. ეს გახლავთ

ქალაქის ცენტრში ცირკის შენობის გვერდით თამარ მეფის გამზირის მიმდებარე გრძივი ბორცვის დასაწყისში. შენობის მასშტაბი, მისი ერთგვაროვანი ჰორიზონტალური დანაწევრება მის მთელ სიმაღლეზე, მოითხოვს ახლებურ მიდგომას ქალაქის ამ ნაწილის აღქმისას. აქ გასათვალისწინებელია ბორცვის საკმაოდ გრძელი მონაკვეთი, რომლის სილუეტსაც სულ ცოტა ხნის წინ ქმნიდა ულიმდამოწერტილოვანი ტიპობრივი საცხოვრებელი სახლი და მოშორებით მდებარე არქიტექტორ გიორგი ჩახავას ხისტგულა ობიექტი, ამჟამად თიბისი ბანკის შენობა. სადგურის მოედნიდან ქალაქის ამ მონაკვეთზე და ამასთან მთელ ბორცვზე თანდათან იხსნება ხედი და აშკარად ჩანს, რომ გრძელდება მისი სილუეტის შექმნა. ის, რომ კბოდე დასაწყისი მოშენებული უნდა ყოფილიყო, ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ სართულების განუსაზღვრელ რაოდენობას შემოაქვს რა თბილისისათვის სრულიად ახალი მასშტაბი, მოითხოვს სრულიად განსხვავებულ სილუეტს. აუცილებელია არქიტექტურულმა საზოგადოებამ იცოდეს ამ ობიექტის ავტორის სავარაუდო დამოკიდებულება დედაქალაქის ამ მონაკვეთის მოშენების შესახებ.

სილუეტის თვალსაზრისით საკმაოდ რთულ შედეგს იძლევა ის მრავალსართულიანი მშენებლობა, რომელიც წარმოიშვა სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე და სანამ არ შეივსო სხვადასხვა ავტორის მიერ შესრულებული სხვადასხვა ტიპის შენობებით, მანამდე მიმდინარეობდა მშენებლობის ბუმი. შედეგად, ამ ტერიტორიაზე მივიღეთ ერთმანეთისაგან განსხვავებული გამომსახველობის სილუეტები განსხვავებული დამამთავრებელი სართულებით და ნაკლებად მოსაწონი კონტურებით. ესაა მრავალპლანიანი სილუეტები ერთმანეთში „გადარეული“ მონახაზებით. იმის ნაცვლად, რომ როგორღაც გათვალისწინებული ყოფილიყო წინა პლანზე მდებარე სპორტის სასახლის შენობა თავისი ცენტრული კომპოზიციით და მის გარშემო დარჩენილი ნორმებით შესატყვისი თავისუფალი სივრცე და საინტერესო ფონი, შენობები ისე შემოეხვია სპორტის სასახლეს, რომ „სუნთქვა აქვს შეკრული“, რაც უარყოფით

შეფასებას იმსახურებს როგორც მხატვრული, ასევე ტექნოლოგიური თვალსაზრისით.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ განაშენიანებაში აქტიური ჩარევით. მაგალითად, შენობების გამოხშირვით, ზედა სართულების გადაკეთებით, რაც ფაქტიურად შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ ღამის პირობებში შენობათა ზოგიერთი ადგილის განათებითა და გამწვანებით წარმოჩენა, რამაც შეიძლება შეძლოს მხატვრული სახის ნაწილობრივი სახეცვლილება. არ გადავაჭარბებთ, თუ აღვნიშნავთ, რომ რადიკალური გამოსავალი ფაქტიურად მდგომარეობს ყველა ახალი შენობის აღებაში და ერთი არქიტექტურული ჯგუფის მიერ ერთი გააზრებული ორგანიზმის შექმნაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის ეს მონაკვეთი კარგა ხანს დარჩება არქიტექტურის ისტორიის სამარცხვინო ლაქად.

მოედანზე, სპორტის სასახლის მოპირდაპირე მხარეს დოლიძისა და ბულაჩაურის ქუჩებს შორის ერთსართულიანი კვების ობიექტის ნაცვლად 3-სართულიანი სწრაფი კვების რესტორანის შენობის „ვენდის“ მშენებლობა (ავტორები გ. ღარიბაშვილი, გ. ჩიხლაძე, ნ. მგალობლიშვილი, ი. ლიპარტენიანი), სამწუხაროდ, სულ მოკლე დროში შეიწირავს იმ გამწვანებასაც, რაც ერთადერთი ფილტვებია ამ მოედნისთვის.

არასწორად მივიჩნევთ მოედნის ერთ-ერთი წამყვანი ობიექტის, არქიტექტორ მელიას სასტუმროს ფასადის გადაკეთების ფაქტს, რითაც არც გამომსახველობა და არც სილუეტი გაუმჯობესებულა, არც ტექნოლოგია და, ამასთან, ქალაქმა დაკარგა დროის შესატყვისი არქიტექტურა. ჩვენი ქვეყანა არ არის ისეთი შემძლე, რომ ასეთი ექსპერიმენტები ჩაატაროს.

განხილვის შემდეგი ობიექტია გმირთა მოედნის ანძა. სატრანსპორტო კვანძის შუაგულში აღმართული ხსოვნის მემორიალი, რომელზედაც გვარეზია ჩამოწერილი და მისი ძირითადი ფუნქცია სწორედ ამ გვარების წაკითხვაშია. ეს ობიექტი ვერ ასრულებს იმ ფუნქციას, რომლისთვისაც ისაა აგებული, რამეთუ მასთან მისვლა შეუძლებელია,

ამიტომ აუცილებელია სატრანსპორტო კვანძი გათავისუფლდეს უცხო სხეულისაგან და მას შეიძლება ადვილად გამოეძებნოს შესატყვისი ადგილი. რადგან გმირთა მოედანს შევხებით, მიუხედავად სატრანსპორტო სფეროში არასაკმარისი გათვითცნობიერების მიუხედავად, აღვნიშნავთ, რომ ამ კვანძს სჭირდება ორჯერ მეტი ტერიტორია მაინც, თუ გვინდა, რომ იგი უმტკივნეულოდ მოემსახუროს ქალაქს უახლოეს მომავალშიც.

პანორამის გახსნის თვალსაზრისით, თითქმის ყოველი მხრიდან – ახლოდან, მტკვრის მეორე მარცხენა სანაპიროდან, სხვადასხვა ნიშნულებიდან, ჩვენს ყურადღებას იქცევს იტალიელი არქიტექტორის მასიმილიანო ფუქსასის შენობა, რომელიც იუსტიციის სახლს წარმოადგენს და მდებარეობს მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. შენობა ამ ადგილს კარგად იმკვიდრებს და თავისად მიიჩნევს. ამასთან, მისი საერთო გამომსახველობა თითქოს ასეთი უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში განსხვავებული. ვფიქრობთ, ამოტომაა, რომ ობიექტის სილუეტი დადებით ემოციებს იწვევს ქალაქის ნებისმიერი წერტილიდან.

გამომსახველობის თვალსაზრისით, ასევე ყურადღებას იმსახურებს იტალიელი არქიტექტორის მიქელი დე ლუკას ე. წ. მშვიდობის ხიდი ძველ თბილისში მისი მაღალი მხატვრული გამომსახველობითა და გამოყენებული მასალებითა და კონსტრუქციებით, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული იმ ადგილის საერთო განაშენიანების სრულიად განსხვავებული მასშტაბი. მისთვის შესაძლებელია ადვილად გამოეძებნოს შესატყვისი ადგილი ახალ განაშენიანებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დასაწყისია მუშაობა ქალაქის ამ მონაკვეთის მასშტაბის შეცვლაზე, რაც შეიძლება მოისინჯოს სხვადასხვა არქიტექტურული ჯგუფების მიერ.

მხოლოდ ჯანმრთელი არქიტექტურული პოლიტიკა და სტრატეგია შეძლებს არსებული სირთულეების დაძლევას და არქიტექტურის საქმის აღმავლობის გზაზე გაყვანას.

3. დასკვნა

წარმოდგენილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ სილუეტს, როგორც ქალაქის არქიტექტურულ-მხატვრული სახის აქტიურ შემადგენელ ნაწილს, უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს განაშენიანების ფორმირებისთვის. პრობლემას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყველა ისტორიულ ეპოქაში და ყველა ხელისუფლების დროს. მათ შორის სოციალისტურ საზოგადოებაში, როდესაც მას თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ქალაქის სილუეტის ფორმირების პრობლემა წამყვან ტენდენციად რჩებოდა ქალაქთმშენებლობაში. ეს ტენდენცია, თუ სავსებით არა ნაწილობრივ მაინც უკუგდებული აღმოჩნდა თბილისში საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ე. ი. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან;

გამოიკვეთა ტენდენცია, ყოველი ახალი გენერალური გეგმის წარმოშობასთან ერთად შენობათა უფრო მაღლივი კომპოზიცია ხდება კანონზომიერი თბილისის მნიშვნელოვანი კუთხეების სივრცეებისთვის (1934 წლის გენერალურ გეგმა, 1951–1970 წლის გენერალურ გეგმა, 1968–2000 წლის გენერალურ გეგმა, ბოლო 2009 წლის გენერალურ გეგმა).

შემდგომი მაღლივი განვითარება ერთ-ერთი მათგანია, რის შედეგადაც მათი თვითმყოფადი, ისტორიულად ჩამოყალიბებული სილუეტი ხშირად წყვეტს აქტიურად იმოქმედოს მთელ განაშენიანებაზე. ამ შემთხვევაში სილუეტმა შეიძლება მიიღოს შემდგომი განვითარება, რათა გავლენა იქონიოს ქალაქის ახალ განზომილებაში;

დასასრულს, აუცილებელია სისტემატური სისტემური სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაგეგმვა თბილისისთვის მისი გარკვეული მონაკვეთების სილუეტების სრულყოფის უზრუნველსაყოფად. ასევე აუცილებელია ნებისმიერი ობიექტის შეთანხმებისას სილუეტის საკითხის წინა პლანზე წამოწევა, თუ გვინდა აღნიშნული პროცესი იყოს შეძლებისგვარად მართვადი.

ნანული თევზაძე – საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის არქიტექტურის,
ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, პროფესორი
მაია გოგოლაძე – სპეციალისტი
თამარ თავაძე, მარიამ ჩაგელიშვილი – სტუდენტები

ქალაქ თბილისის სილუეტი ანოტაცია

სტატია ეხება არქიტექტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას – თბილისის სილუეტის როლსა და ფორმირებას, როგორც მისი არქიტექტურულ-მხატვრული გამომსახველობის თავისებურებისა და სპეციფიკის შექმნის საშუალებას. გამოიკვეთა ტენდენცია, ყოველი ახალი გენერალური გეგმის წარმოშობასთან ერთად შენობათა უფრო მაღლივი კომპოზიცია ხდება კანონზომიერი თბილისის მნიშვნელოვანი კუთხეების სივრცეებისთვის.

შემდგომი მაღლივი განვითარება ერთ-ერთი მათგანია, რის შედეგადაც მათი თვითმყოფადი, ისტორიულად ჩამოყალიბებული სილუეტი ხშირად წყვეტს აქტიურად იმოქმედოს მთელ განაშენიანებაზე. ამ შემთხვევაში სილუეტმა შეიძლება მიიღოს შემდგომი განვითარება, რათა გავლენა იქონიოს ქალაქის ახალ განზომილებაში; აუცილებელია სისტემატური სისტემური სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაგეგმვა თბილისისთვის მისი გარკვეული მონაკვეთების სილუეტების სრულყოფის უზრუნველსაყოფად. ასევე აუცილებელია ნებისმიერი ობიექტის შეთანხმებისას სილუეტის საკითხის წინა პლანზე წამოწევა, თუ გვინდა აღნიშნული პროცესი იყოს შეძლებისგვარად მართვადი.

Проф. Нанули Тевзадзе
Специалист Маия Гоголадзе
Студенты Тамар Тавадзе, Мариам Чагелишвили

სილუეტის ქალაქი თბილისი Резюме

Статья касается одной из значительных проблем архитектуры – роли и формированию силуэта города Тбилиси. Силует представлен, как активное средство создания архитектурно-художественного облика его своеобразия и специфики. В ходе анализа

выявлена тенденция, при каждом происхождении нового генплана, более высокая композиция здания, становятся закономерным в важных углах пространства Тбилиси.

Последующая высотное развитие один из тех, в результате чего их оригинальный, исторический сложившийся силуэт, очень часто решает активно влиять на все застройку. В этом случае, возможно силуэт получит дальнейшее развитие, для того, чтобы оказать влияние на развитие города. Очень важно систематически и системно планировать работы в определенных частях Тбилиси для совершенствования силуэта. А также, очень важно при построении нового объекта в первую очередь решать вопросы силуэта, если хотим чтобы процесс был управляемым.

Ключевые слова: Силуэт, строение, застройка, панорама, пространство

Prof. Nanuli Tevzadze
Expert Maia Gogoladze
Students Tamar Tavadze,
Mariam Chagelishvili

Silhouette of Tbilisi

SUMMARY

The article discusses one of the most significant issues of Architecture: the evolution and the role of a city's silhouette (also referred to as a city skyline). The silhouette is a means of displaying a city's structural and architectural integrity. It gives a city its own artistic identity, its uniqueness and establishes its originality. During the analysis is revealed a tendency, for each origin of new master plan, the higher composition of the building, is logical in the important corners of the Tbilisi space.

Subsequent of the high-rise development is one of those, which bringing them original, historical forming silhouette, very often decide to actively influence on all city. In this case, silhouette perhaps will be further developed, in order to influence on the development of the city.

Key words: Silhouette, structure, construction, panorama, space

„ახალი“ ხალხური არქიტექტურა საქართველოს მაკალაშია რეგიონებში

იმნაძე ნინო, სტუ-ს პროფესორი
ადუაშვილი თამარ, სტუ-ს მაგისტრანტი



საკვანძო სიტყვები: რეგიონალიზმი, ხალხური ტრადიცია, გლობალური, კონტექსტი.

„ახალი“ ხალხური არქიტექტურა ე. წ. რეგიონალიზმი წარმოადგენს თავისებურ პასუხს გლობალიზაციაზე. გლობალიზაციას არქიტექტურაში მოაქვს გარკვეული არქიტექტურული ხერხების ტირაჟირება, ასეთ სიტუაციაში ტრადიციული კულტურა, თვითმყოფადობა, უწყვეტი კავშირი დროსთან იკარგება. მეორე მხრივ, მსოფლიო არქიტექტურის არსენალიდან ცალკეული კომპონენტების სესხება ხშირად ამდიდრებს ადგილობრივი არქიტექტურის კოლორიტს, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გლობალური გავლენები კორექტირდება აქტიური ადგილობრივი ნიშნებით.

განვიხილავთ რა რეგიონალურ და გლობალურ ტენდენციებს არქიტექტურაში, შეიძლება მივიღეთ პარადოქსულ დასკვნამდე: იმისთვის, რომ შევქმნათ რაღაც თვითმყოფადი და უნიკალური, უნდა იყო გახსნილი სამყაროსკენ. როგორც ისტორიიდან არის ცნობილი მკვეთრ იზოლაციას და შეზღუდვას არ მოაქვს დადებითი შედეგები. ხელს არ უწყობს შემოქმედებით ზრდას და თვითმყოფადობის გამოვლენას. თანამედროვე ტენდენციების მიმართ მხოლოდ გონივრული დამოკიდებულებით რეგიონალური ტრადიციის შენარჩუნებასთან ერთად იძლევა საფუძველს რეგიონალური არქიტექტურის მდგრადი განვითარებისთვის.

ხალხური ნაციონალური კულტურის შენარჩუნების პრობლემა მეტად აქტუალურია დღეს საქართველოსთვის, რადგან ის ქართული არქიტექტურის სამეტყველო ენის ნაწილია, მიმართული იდენტობის და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის.

არსებული გამოცდილების მაგალითებზე „ახალი ხალხური“ არქიტექტურა, ე. წ. რეგიონალიზმი ვლინდება სხვადასხვა მიდგომებით:

ადგილობრივი ბუნების და ლანდშაფტის შთაგონებით შექმნილი ტრადიციული არქიტექტურა. მაგ. „ბიზნეს ცენტრი“ მთაწმინდაზე. (არქ. ვ. დავითაია) – ეს ნაგებობა ორგანულად ჩაწერილია მთის ფერდობში და ოსტატურად იმეორებს რელიეფის კონტურს; თუმცა ტრადიციულობა მხოლოდ მისი ოგანულობით არ შემოიფარგლება. აქ ტრადიცია გეგმარებით სტრუქტურაშიც ჩანს. იგი მომდინარეობს თბილისური ატრიუმიანი სახლის კონცეფციიდან.

პოეზიის სასხლე ე. წ. „არტისტული ყვავილები“ (არქ. შ. ბოსტანაშვილი) ამაღლების ქუჩაზე (დღეს უკვე აღარ არსებობს, მის ადგილზე სხვა ნაგებობა დგას); ეს ნაგებობა ეხამებოდა იმ ადგილის ლანდშაფტს; სასახლის პლასტიკა შეესატყვისება ლანდშაფტს, მაგრამ ძალებს იკრებს ქართული დამწერლობის გრაფიკული პლასტიკიდან. უამრავ მეტაფორებს და ასოციაციებს აღძრავს.

ისტორიული „სახეების“ გამოყენება (დეკორი, ორნამენტი, გამოსახულებები).

მაგალითად ხალხური საცხოვრებელი სახლის გადახურვა „გვირგვინი“ გამოყენებულია თბილისში „რიტუალების სასახლის“ და ბიზნეს ცენტრ „არკადია“-ს ინტერიერში. მცხეთაში, საინფორმაციო ცენტრის შენობის მთავარ ფასადის წამყვან თემას ხალხური არქიტექტურის ელემენტი დედაბოძი ქმნის, ხოლო ლოჯიის სვეტებზე ციტირებულია „იშხანის“ კაპიტელები.

ტრადიციული, რომელიც შთაგონების წყაროა და ასოციაციების დონეზე ვლინდება.

მაგალითად: მუზეუმი მესტიაში (პროექტი; არქ. ვ. დავითაია) და ალგეთის ბაზილიკა (არქ. ვ. დავითაია) არქიტექტორი ვ. დავითაია აღნიშნავს, რომ „ასოციაციები და სივრცობრივი მინიშნება უადრესად თანამედროვე ოპერირების მომენტი არის არა ფორმა, ფორმის იდენტურობა არამედ განწყობილება“ ალგეთის ბაზილიკა მთა

დაგვირგვინებული ძეგლით, ნაცნობი და მახლობელი სიტუაცია ქართველი ადამიანისთვის ტრადიციულ ხასიათს იძენს“ (1.)

ტრადიციული მასალის და ფორმის შემოქმედებითი გააზრება და ახლებურად წაკითხვა. პურის ქარხანა თბილისში. (არქ.ვ. დავითაია შ. ბოსტანაშვილი) აქ, ნაგებობის სივრცულ-მოცულობითი წყობა კოლხურ არქიტექტურასთან ასოცირდება. დასავლური ეზოს სიტუაციაა გადმოცემული.

ისტორიული ობიექტის, ტრადიციული დასახლების რეკონსტრუქცია - შენარჩუნება და ხელმეორედ ათვისება - გამოყენების ახალი ფორმა. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ძეგლს დიდხანს იცოცხლოს. მესტიაში ხერგიანის კომპლექსის ფრაგმენტი ადაპტირებულია დასასვენებელ ბაზად. პროექტირების პროცესში მაქსიმალურად აღდგენილი იყო კომპლექსის საერთო სახე. (არქ. გ. მეტრეველი; ვ. ქორიძე; თ. ხოჯავა; 1984წ.) [2.] მსგავსი პრინციპით არის აღდგენილი ივარში (ზემო სვანეთი) შუა საუკუნოვანი კომპლექსი, რომელიც ადაპტირებული იყო არქიტექტორთა კავშირის ტურბაზად. (არქ. გ. მეტრეველი, მ. გაგნიძე, პ. ზაქარაია, ვ. ქორიძე 1978 წ.)

ხალხურის თანამედროვე ინტერპრეტაცია.

სოფელი გუდანო, შატილის ახალი დასახლება ხევსურეთში, „ტრადიცია აქ გააზრებულია სწორი კულტუროლოგიური პოზიციით, მასში არ არის „ნაციონალური სენტიმენტალიზმი“, მიმსგავსება ან კოპირება. აქ ხალხური თანამედროვე ინტერპრეტაციით ისე არის გადმოცემული, რომ ის კონფლიქტში არ შედის არც ხევსური ხალხის ტრადიციულ ყოფასთან, და არც გარემო ლანდშაფტთან. ეს ის სოფლებია სადაც ტრადიციის, რელიეფის, კლიმატის, ადგილობრივი სამშენებლო მასალის საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული მეთოდების და ხერხების გამოყენება განსხვავებული და ორიგინალური იერით ერთიანდებიან რეგიონალურ არქიტექტურად (1.)

ადგილობრივი ტრადიციული საქმიანობის, ხელოვნების გამოყენება, როგორც შთაგონების წყარო. სალხური დღესასწაულები დაედო საფუძვლად

სოფ. ხორნაბუჯში კულტურულ-სავაჭრო ცენტრის (არქ. ვ. დავითაია, 1991 წ.). არქიტექტურულ სივრცული გარემოს ფორმირებას.

კულტურული დიალოგი ტრადიციასთან.

ეროვნულ კულტურულ კონტექსტში იყო ჩაწერილი პოეზიის სასახლე თბილისში. თუმცა მას წაკითხვა და დანახვა სჭირდებოდა, ადეკვატური აღქმა ინტელექტის დონეზე. მის ადგილზე დღეს „სხვა“ ნაგებობაა, რომელიც ვერასოდეს ვერ შეიძენს კულტურულ ღირებულებას. „ტრადიცია ეროვნულის ფენომენის გენეზისში და მის გამოვლენის განსაკუთრებულ ნიშნებში დაისახება“ აღნიშნავდა ნაგებობის არქიტექტორი შ. ბოსტანაშვილი.

„ახალი“ ხალხური არქიტექტურის განვითარების პროცესი კარგად ჩანს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში: სვანეთში და თუშეთში. ეს რეგიონები გამოირჩევიან განსხვავებული და თავისებური „ხალხური“ არქიტექტურით; მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით და რთული რელიეფით; მოსახლეობის თავისებური და განსხვავებული ტრადიციებით, ხასიათით და წეს-ჩვეულებებით. ვიზუალური დაკვირვება და ხალხურ არქიტექტურასთან შედარებითი ანალიზით კარგად ჩანს თუ რამდენათ არის გააზრებული მთის თვითმყოფადი არქიტექტურა თანამედროვე არქიტექტურაში.

მესტიის ცენტრის ტრადიციულ დასახლებაში ახალი შინაარსით, მასშტაბით და სიმბოლოებით შემოდის შემოსაზღვრული სარეკრეაციო სივრცე, რომელიც არღვევს ტრადიციულობის პრინციპს - კავშირს გარემოსთან. ახალი და ძველი-რესტავრირებული შენობებით ფორმირებულ მოედნის არქიტექტურაში თვალნათლივ ჩანს ორი რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება ტრადიციული ხალხური არქიტექტურის მიმართ:

ერთი: უნებლიე კოდები, ღიათ და გულწრფელად ხალხურის მინიშნებით, ეს ნიშნებია: ხის აივნები, ასიმეტრიულად გაბნეული ღიობები, საფასადო მხატვრობა, ხალხური არქიტექტურის თემაზე შესრულებული გამეორებადი დეტალები გამიზნულად მიმართულია ქვეცნობიერად ეფექ-

ტის მიღწევაზე, არსებული გარემოს ჰარმონიულად აღქმაზე. ასეთი მიდგომით გააზრებულ ხალხურ არქიტექტურას თან სდევს ხელოვნურობა და ვერ ეწერება არსებულ კულტურულ ტრადიციაში, რომელიც საჭიროებს შენარჩუნებას, დაცვას და განვითარებას.

მეორე, ტრადიციული ფორმის ინტერპრეტაციით შექმნილი ახალი ნაგებობები. აეროპორტის, პოლიციის, იუსტიციის და ხიდის არქიტექტურაში, (არქ. გერმანელი ურგენ მეიერი). ტრადიციულობა „ფარულად“ ვლინდება. ასე მაგალითად: ახალი აეროპორტის შენობის სივრცულ-მოცულობით სტრუქტურაში ასოციაციის დონეზე იკითხება სვანური ტრადიციული საცხოვრისისთვის დამახასიათებელი კომპოზიციური წყობა - ვერტიკალური კოშკი და ჰორიზონტალური მაჩუბი. პოლიციის სახლი სვანური კოშკის თანამედროვე ინტერპრეტაციაა, ხიდი სტრუქტურულად თითქოს იმეორებს გარშემო მთების კონტურს, ცდილობს ორგანულად შეერწყას არსებულ ლანდშაფტს, ამ ახალმა არქიტექტურამ ვერ შეიძინა რეგიონალურის ნიშანი. ყურადრებას იქცევს ადგილობრივ მასალაში აშენებული ახალი სასამართლოს ნაგებობა, რომლის არქიტექტურაში შემოქმედებითად არის გააზრებული ტრადიციული სვანური არქიტექტურა ფასადზე ასიმეტრიულად გაბნეული ღიობები და ბადეში ჩაყრილი ქვებისგან აწყობილი სტილიზებული კოლონადა ტრადიციულის შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერებს.

ამდენათ, ერთეული მაგალითების გარდა, ახალი კონფლიქტშია არსებულთან, თუმცა ახალი ძველის სტილშიც ასევე ვერ იძენს რეგიონალურის ნიშნებს. „არქიტექტურა - ეს არის ადგილობრივის და გლობალურის სინთეზი, ადგილობრივი არ არის აუცილებელი იყოს ტრადიციული“ ამბობს მექსიკელი არქიტექტორი ფერნანდო რომერო. იგი თვლის, რომ ცივილიზაციის ევოლუციმ შეამცირა ლოკალურის როლი. შესაძლოა ეს მოსაზრება სიმართლეა, თუმცა აქ მოყვანილი მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ ამ ნაგებობებს არა აქვთ გენეტიკური კავშირი ადგილის კოდთან, სულთან, განწყობასთან.

თვითმყოფადი და ორიგინალური იერის ხალხური არქიტექტურის მატარებელი თუშეთი დღეს იბრძვის იდენტობის შენარჩუნებისთვის. უმეტესი ნაწილი ჯერ ხელუხლებელია. მისი არქიტექტურისთვის დამახასიათებელია ორგანულობა და ჰარმონიულობა გარემოსთან, სპეციფიური სილუეტი, რაც მიღწეულია ორიგინალური კომპოზიციური წყობის კომპაქტური დასახლებით. ეს ერთიან ანსამბლი შექმნილია ადგილობრივი ბუნებრივი მასალით. (სიპი ქვა) თუმცა არის საშიშროება დაიკარგოს ეს ჰარმონია. ამიტომ ახლის მშენებლობისას საჭიროა გააზრებული დამოკიდებულება, რათა არ იყოს დაშვებული ის შეცდომები რასაც ადგილი აქვს მესტიაში. არქიტექტორის ოსტატობა მდგომარეობს იმაში, რომ უპირველეს ყოვლისა ტრადიციის ანალიზით გამოვლენილი იყოს მდგრადი ტრადიციები და მისი სინთეზით თანამედროვეობასთან არ მოხდეს იდენტობის დაკარგვა. ნატურიდან დაკვირვება და ფოტოფიქსაცია მოგვცემს საშუალებას გამოვავლინოთ თანამედროვე ყოფაცხოვრებით მოტანილი ცვლილებების შესაბამისი ნიშნები, რომელიც დღეს თავად მოსახლეობის მიერ არის შემოტანილი. ასეთმა ანალიზმა შესაძლებელია მოგვცეს პასუხი კითხვაზე თუ რომელია მდგრადი ტრადიცია და საჭიროებს შენარჩუნებას და განვითარებას და რომელია უკვე დრო გასული, რომელიც დღეს მხოლოდ ფონის როლს ასრულებს. ეს თანამედროვე ნიშნებია: ახალი სახურავის თემა და თანამედროვე სახლები: ძველი და ახალი. ძველ სახლებზე ხდება „დადება“ ახალი ფერის და ტექნოლოგიის სამშენებლო მასალების. ცხადია, უნიკალური გარემოს ჩვეულ სილუეტში შემოდის უცხო ფერადი აქცენტები და კონსტრუქციები. თუმცა ასეთი სახით ახლი და ძველის თანაარსებობა იძლევა გარემოს აღქმის ახლებურ შინაარსს.

ნელნელა იკარგება სიპი ქვით გადახურული სახურავები, შესაბამისად ირღვევა ჩვეული ხედი და განწყობილება. მასთან ერთად იდენტობა. ამავე დროს, უნებლიედ, შემთხვევით - კიდევ ერთი „ხალხური“ არქიტექტურა იქმნება, ეს არის არქიტექტურა არქიტექტორის გარეშე, სადაც

თანამედროვე ყოფა ჯაბნის ხალხურს. ცხოვრება წინ მიდის და ახალ მოთხოვნებს შესაბამისი ახალი ფორმა მოაქვს.

მოგეხსენებათ, თუშეთი მდებარეობს მაღლა მთებში, სადაც გართულებულია კომუნიკაცია ბარსა და მთას შორის, აბსოლუტურად მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა (ძველ გზები) აქ ელექტრო ენერჯია არ არსებობს. ჩეხეთის სახელმწიფომ გამოჩინა კეთილი ნება და მოსახლეობას უსასყიდლოდ გადასცა მზის ელემენტებზე მომუშავე დანადგარები, რომლებიც თუშური სოფლების სილუეტის შემადგენელ, ჩვეულებრივ, ტრადიციულ ელემენტად გადაიქცა. შედეგად ჩვენ მივიღეთ საინტერესო სინთეზი ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და ხალხურ არქიტექტურას შორის. დღეს ეს ინოვაციები თუშური ტრადიციული სილუეტის შემადგენელი დეტალად გადაიქცა, რომელიც თანდათანობით მრავლდება. ტრადიციულ სურათს ცვლის. ეს დეტალები გვხვდება სახლების სახურავებზე ან ცალკე მდგომია. ასევე გაჩნდა კიდევ ერთი ახალი დეტალი, რომელმაც ასევე შეცვალა ჩვეული ტრადიციული სილუეტი: ეს არის პირობითად „ფარდის“ თემა. რომელმაც დროებითობა და ახალი ფერადი აქცენტები შემოიტანა სივრცულ ხასიათში. და ბოლოს კედლის მხატვრობა, რომელმაც შეცვალა გარემოს კოლორისტიკა. გარდა ამისა ხდება ხის აივნების განახლება და დამატება ძველ სახლებზე, ჩვეული ფორმის აღდგენის მიზნით. ხის არქიტექტურა თუშეთში აქტიურად გამოიყენება ახალ ტურისტულ დასახლებებში, მაგ. ე.წ. „მირგველა“. რომელიც ეწერება არსებული გარემოს კონტექსტში. როგორც უცხო სხეული შემოდის მინაშენები. ეს განუყოფელი ელემენტი ხდება, და განპირობებულია ყოფითი პრობლემებით. რომელიც სპონტანურ ხასიათს ატარებს. ეს არის ძველის განვითარების თავისებური ფორმა, რომელიც საჭიროებს ფრთხილ დამოკიდებულებას. აქ შესაძლებელია დაირღვეს ტრადიციულობის ნიშანი. შედეგად შეიძლება მივიღოთ ქაოსური სივრცე, რომელშიც შესაძლებელია დაიკარგოს ტრადიციული ხასიათი. ტრადიციული ხასიათის

შენარჩუნებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი სახის დეტალები, როგორცაა წარწერები და დიზაინერული ელემენტები შენობათა ფასადებზე. აქაც საჭიროა გააზრებული და შემოქმედებითი მიდგომა მაგალითად შრიფტის შერჩევა და შესაბამის ადგილზე განთავსება, რათა არ დაირღვეს სივრცის სემანტიკა.

ჩვენს მიერ გამოვლენილი ეს ახალი ნიშნები ახალ ყოფასთან დაკავშირებული ელემენტებია, რომელიც ხალხურის ინტერპრეტაციის შედეგად შეიქმნა: ხის აივანი, სიპი ქვით ნაშენი კედლები და სახურავები თუშური „სულის“ და განწყობილების ადექვატია. ამ გამორჩეული ინდივიდუალობის გვერდით ჩანს ის უხილავი ნიშნები, რაც თუშური არქიტექტურის ბუნებას, ერთი ხალხის კუთვნილებას გადმოსცემს. ეს არის სოფელი დოჭუ, ბოჭორნა, კვესელო, დართლო - ერთიანი შეკრული სივრცე, ადგილის „სული“, „ტოპოსი“, ადგილის „კოდი“, რომელიც ხალხს გადააქვს თაობიდან თაბაში და უცვლელია, თუმცა ცხოვრება წინ მიდის, შესაბამისად ახალ პირობებს აყენებს და კორექტირება შეაქვს არქიტექტურაშიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა არქიტექტურის ფაკულტეტის მაგისტრანტის თორნიკე აბულაძის სადიპლომო პროექტი. ეს პროექტი მაგალითია პატივისცემისა წარსულის არქიტექტურულ-მხატვრული კულტურული ტრადიციების მიმართ.

დასკვნის სახით:

ხალხური არქიტექტურა ეს არის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე ფაქიზი ნაწილი, რომელიც ფასეული ტრადიციული კულტურული აზრის მატარებელია. აქ შექმნილი ახალი არქიტექტურა დროის და განწყობის ადექვატური უნდა იყოს. ახალ არქიტექტურულ ფორმებს უნდა ჰქონდეთ გენეტიკური კავშირი ადგილთან. სწორედ ესე შეიქმნება „ახალი“ ხალხური არქიტექტურა, რომელიც ასე მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პირობებში.

ანალიზმა გვიჩვენა ხალხურის ინტერპრეტაციის და ადაპტაციის სხვადასხვა გზები: 1. სტილიზაცია (ერთ-ერთი პოპულარულია) იგი მოიცავს ტრადიციული ატრიბუტების გარეგნულ

გამოყენებას. ამით მაყურებელი სწრაფად ორიენტირდება კონკრეტულ ეთნოსში და დროში. ეს არის ხილული ნიშნები (ფერი, ორნამენტი, ელემენტები, კომპოზიციური ხერხები), რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულია დელიკატურად, მინიშნების დონეზე, ან აქტიურად, თავზე მოხვეულად, ზოგჯერ ორგანულად და ზოგჯერ ზედაპირულად, შესაძლოა ირონიულად, მაქსიმალურად მიახლოებული ორიგინალთან. თუმცა სტილიზაცია საკმაოდ პრეტენზიულია და გამოუცდელის ხელში ხალხური ტრადიცია იღუპება, უფასურდება, ხდება იაფფასიანი სამეჯლისო ჩასაცმელი. 2. პირდაპირი ციტირება ხალხური მასალის და შემოქმედების, მატერიალური კულტურის ფოტოგრაფიული აღდგენა. 3. მხატვრული სახის შექმნის მცდელობა, რომელიც გულისხმობს ხალხური შემოქმედების ახლებურ გააზრებას. 4. ხალხური მასალის ფაქტურის აღდგენა, რომელიც ასოცირდება კულტურულ ტრადიციასთან. 5. წარწერები ნაგებობებზე. აქაც გვხვდება სტილიზაცია ან ძველი დამწერლობის პირდაპირი აღდგენა. 6. ორნამენტი - ყველაზე ძლიერი და პოპულარული ხერხი.

ამრიგად, განხილულმა მასალამ ცხადყო, რომ „ახალი“ ხალხური ე. წ. რეგიონალური არქიტექტურის შექმნა ძალზე რთულია. იგი მხოლოდ თანამედროვე არქიტექტურის ერთ ერთი აქტუალური მიმართულებაა რომელშიც ფორმათწარმოქმნის დიდი შესაძლებლობები დევს. მისი სწორი ამოცნობა ხელს შეუწყობს იდენტობის შენარჩუნებას. ხალხური ტრადიციული ფასეულობები ახალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ხალხური კულტურა გვახსენებს პერიოდულად დავიწყებულ ჭეშმარიტებას - სრულყოფილი დღევანდელობა შეიძლება არსებობდეს წარსულის და მომავლის გზაჯვარედინზე.

ლიტერატურა:

1. ვ. დავითაია „არქიტექტურა ოცნება და სინამდვილე“ თბ. 2000წ.
2. Архитектура советской Грузии М. Строиздат 1986

*ნინო იმნაძე, სტუ-ს პროფესორი
თამარ ადუაშვილი, სტუ-ს მაგისტრანტი*

„ახალი“ ხალხური არქიტექტურა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ანოტაცია

ხალხური ნაციონალური კულტურის შენარჩუნების პრობლემა მეტად აქტუალურია დღეს საქართველოსთვის, რადგან ის ქართული არქიტექტურის სამეტყველო ენის ნაწილია, მიმართული იდენტობის და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. ხალხური არქიტექტურა - რეგიონალიზმი წარმოადგენს ტავისებურ პასუხს გლობალიზაციაზე, მიმართული იდენტობის და ინდივიდუალობის შენარჩუნებაზე. ანალიზმა გვიჩვენა ხალხური არქიტექტურის ინტერპრეტაციის სხვადასხვა გზები. 1. სტილიზაცია; 2. ხალხური შემოქმედების პირდაპირი ციტირება; 3. ხალხური შემოქმედების შემოქმედებით გააზრება; 4. ტრადიციული სამშენებლო მასალის გამოყენება; 5. წარწერები; 6. ორნამენტი. ამრიგად, განხილულმა მასალამ ცხადყო, რომ რეგიონალური არქიტექტურის შექმნა ძალზე რთულია. იგი მხოლოდ თანამედროვე არქიტექტურის ერთ ერთი აქტუალური მიმართულებაა რომელშიც ფორმათწარმოქმნის დიდი შესაძლებლობები დევს. მისი სწორი ამოცნობა ხელს შეუწყობს იდენტობის შენარჩუნებას. ხალხური ტრადიციული ფასეულობები ახალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ხალხური კულტურა გვახსენებს პერიოდულად დავიწყებულ ჭეშმარიტებას - სრულყოფილი დღევანდელობა შეიძლება არსებობდეს წარსულის და მომავლის გზაჯვარედინზე.

*Проф. Нино Имнадзе
Магистрант Тамар Адуашвили*

**“Новая” народная архитектура
высокогорных регионах Грузии**

РЕЗЮМЕ

Сохранение народной культуры один из актуальных проблем для Грузии, так как оно является частью Грузинского архитектурного языка. Народное архитектура - Регионализм является своеобразным ответом на глобализацию, направленная на сохранение идентичности и индивидуальности. Анализ показал разные пути интерпретации народной архитектуры. 1. Стилизация; 2. Прямое цитирование народного творчество; 3. Творческое переосмысления народного творчество; 4. Применение фактуры народного строительного материала; 5. Применение надписей. 6. Орнамент.

Создание региональной архитектуры очень трудно. Оно является лишь одним из направлений современной архитектуры, которая несет в себе огромный потенциал для форматворчество. Правильная понимание народной архитектуры дать возможность сохранить идентичность при глобализации. Народное культура гласит: „Полноценная настоящее может существовать на перекрестке прошлого и будущего“.

Ключевые слова: Регионализм, народная традиция, глобализация, контекст

Prof. Nino Imnadze

Graduate student Tamar Aduashvili

**The “new” folk architecture in the higher
mountainous regions**

SUMMARY

Preservation of folk culture is one of the most urgent problems for Georgia, because it is a part of the Georgian architectural language. Folk architecture – Regionalism is original response to the globalization aimed at the identity and individuality. Analysis of the material, show different ways to interpretation of the folk architecture: 1. Stylization; 2. direct citation of folk art.; 3. Creative rethinking of folk art; 4. Application of the national materials; 5. Use the national alphabet; 6. Ornament.

Creation of regional architecture is very difficult. It is one of the directions of the modern architecture. It is has a great potential for form making. Proper understanding of national architecture will allow saving identity. National culture study: “Present can exist at the crossroad of ancient and modern.

Key words: Regionalism, folk tradition, globalization, context

პლასტიკა აწყობილია „გარსით“ თამაშზე. ერთი, პარაბოლოიდური, გამჭვირვალე, მსუბუქი და ჰაეროვანია, მეორე კი ლითონის ფრაქტალური სტრუქტურის მოცულობას წარმოადგენს. ვიზუალურ ეფექტებზე ორიენტირებული ნაგებობა უახლესი არქიტექტურის კონტექსტშია. თუმცა დროსთან კონტექსტი შეგნებულ და გამიზნულ ანტიკონტექსტად გვავლინება. ცხადია ეს არის არქიტექტორის შეოქმედებითი პოზიცია და არა პროფესიონალური შეცდომა, რომელიც მნახველში ეჭვებს ბადებს. ასეთი რადიკალური, არაკონტექსტუალური არქიტექტურა ცვლის იქ არსებულ სივრცულ ხასიათს და გარემოს აღქმის სემანტიკურ შინაარსს. დიდ გავლენას ახდენს ისტორიულ განაშენიანებაზე, არსებულ ტრადიციულ და კულტურულ ფასეულობებზე. პარადოქსული მოცულობის აღქმა, ფსიქოემოციური გავლენა ადმიანზე, დადებითი თუ უარყოფითი ემოციები მასზე დამოკიდებულია იმაზე თუ საიდან შეხედავ შენობას. მშენებლობის პროცესში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ნაგებობა შეფუთული და მხოლოდ შიშველი კონსტრუქციას წარმოადგენდა იგი ბევრად უფრო საინტერესოდ, მეტიც დამაინტრიგებლად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით კი მისი ერთი პირობითი „მილი“ რომელშიც დომინირებდა წითელი ფერის კიბე - „გზა“; თავად რიყის ტერიტორიიდან ნაგებობის ერთმთლიანობაში აღქმა გართულებულია. მიწაზე, უსისტემოდ „დაყრილი“ გიგანტური არქიტექტურული ფრაგმენტები თეატრალური სპექტაკლის რეკვიზიტს ან გასართობ „ატრაქციონს“ წააგავს. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ იგი დროებითია. ნაგებობა სრულად მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან იკითხება. იგი გათვლილია შორიდან აღქმაზე. თუმცა, ავტორმა ბოლომდე ვერ გაიაზრა ის უარყოფითი მხარეები რაც ამ შენობის ადგილმდებარეობით არის განპირობებული. მოცულობის აღქმა გარკვეული წერტილებიდან პრობლემურია, განსაკუთრებით კი ბარათაშვილის ხიდიდან და აღმართიდან. გიგანტური წაგრძელებული მოცულობა, აგრესიულად ეფარება ისტორიულ ქალაქს. ფაქტობრივად სრულად იგნორირებულია

არსებული ლანდშაფტური და არქიტექტურული გარემო.

პროექტის ავტორია თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი არქიტექტორი, თეორეტიკოსი და ფილოსოფოსი, ლიტვური წარმოშობის იტალიელი არქიტექტორი მასიმილიანო ფუქსასი და მისი მეუღლე დორიანა. ავტორიტეტული ექსპერტი არქიტექტურასა და ურბანისტიკაში ინტერვიურებში აღნიშნავს, რომ არქიტექტურა საზოგადოების ნაწილია და უნდა ქმნიდეს სცენას, რომელზეც მსახიობები ითამაშებენ თავიანთი წესებით. ფუქსასი უპირატესობას ანიჭებს არაკონტექსტუალურ, რადიკალურად განსხვავებულ დამოკიდებულებას. იგი ყოველთვის ებრძვის გარემოს, იმას რაც კარნახობს ფორმას და სტილს, უპირატესობას ანიჭებს მსხვილ, მასშტაბით დიდ და უბრალო ფორმებს. თავის ქმნილებებს ადარებს მუსიკას, „შენ შეგიძლია დაუკრა ძირითადი თემა მუსიკაში, მაგრამ განავითარო ვარიაციებით და ბოლოს მიიღო რაღაც მოულოდნელი“. უბრალო ფორმების ტრანსფორმაცია მისი სტიქიაა. მართლაც მისი ნამუშევრები შთაბეჭდავია. „ჩემ ნამუშევრებში არ არის ევოლუცია, პირველი სტადიაა დიალექტიკური კონფლიქტი, როდესაც ორი დიამეტრიულად საპირისპირო საგნები ერთმანეთს ეჯახებიან. იდეა, ჟანრი, მასა არსებითი არ არის, მისთვის ისტორიულ ქალაქში მუშაობა ქაოსში მუშაობაა და არა წესრიგში. არქიტექტორის პროფესიული პოზიციიდან გამომდინარე თბილისური ობიექტი მოკლებულია გარემოსთან ურთიერთობას. ეს გარემო კი უნიკალური პანორამაა, ერთიანი სივრცული ანსამბლი, რომელიც წრიულად იკვრება: ბართაშვილის აღმართი - მეტეხის პლატო - თაბორის მთა - ნარიყალა - მამადავითი. რიყე კი ამ სივრცის შემკვრელ კომოზიციურ ცენტრს წარმოადგენს - ისტორიული თბილისის „თეატრალურ სცენას“. ამ შემთხვევაში იგი ხდება სხვა არაფერი თუ არა ლაბორატორიად ახალი არქიტექტურული გადაწყვეტებისთვის. თეატრალურობა, ზეიმურობა, დროებითობა, ღიაობა ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთებში მუდმივად ახასიათებდა რიყის ტერიტორიას. დროის სხვადასხვა მონაკვეთებში

მუდმივად იცვლიდა სახეს. იცვლებოდა ნაგებობები ისევე როგორც მის გარშემო არსებული პანორამა. ცვალებადობა მისი არსი გახდა. რიყის ისტორია, მისი განვითარება დროში და სივრცეში სრულყოფილად არის გაანალიზებული არაერთ თეორიულ ნაშრომში (ვ. ბერიძე, თ. ჩიჩუა, თ. კვიციანი, ვ. დავითაია, გ. ბათიაშვილი და სხვა.) ასევე არსებობს უამრავი ფოტო დოკუმენტაცია გადაღებული ერმაკოვის და როინიშვილის მიერ. საბოლოოდ ისტორიული ქალაქის ცენტრში ბუნებრივად გაჩნდა უზარმაზარი ცარიელი სივრცე, ღია თეატრალური სცენა, რომელსაც მთელი თბილისის დაჰყურებს.

სწორედ ასეთად იყო აღქმული რიყის ტერიტორია ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცხადებულ კონკურსზე, რაც გახდა მიზეზი ახალი კონცეფციებისთვის. კონკურსში მონაწილე არქიტექტორები აღოჩნდნენ ერთი საერთო პრობლემის წინაშე: გარდა ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტისა მათ უნდა შეექმნათ რიყის სივრცულ-არქიტექტურული სახე: ტრადიციული, ტრადიციის თანამედროვე ინტერპრეტაციით თუ თანამედროვე, პატივისცემით კონტექსტთან ან რადიკალურად განსხვავებული. ყველა კონცეფცია ხასიათდებოდა თეატრალურობით, აზრობრივი შინაარსით დატვირთული; ხედების გახსნით მარჯვენა სანაპიროსკენ; მსოფლმხედველობითი განსხვავებულობით. განსხვავებულობა პოზიციებში აისახებოდა. გამოვყოფთ რამოდენიმეს: ლანდშაფტურს, დროებითს, დროში ცვალებადს და თანამედროვეს, ისტორიულს, ტრადიციულს ხელმეორედ აღდგენით.

არქ. ვ. დავითაიას აზრით: “რიყე უნდა შეიქმნას დიდი არქიტექტურის, დიდი ხელოვნების, დაბადების წესითა და კანონზომიერებით. რიყე დიდი არქიტექტურის ზეიმის ღირსია. ...ისევე როგორც სპექტაკლის სცენოგრაფიას არ მოეთხოვება ანგარიში გაუწიოს თეატრალური დარბაზის არქიტექტურას, მის სტილს, ასევე რიყე-სცენას არ მოეთხოვება კონტექსტი გარემოსთან, ატმოსფეროსთან, განწყობილებასთან; ის დროებითი და წარმავალია. მისი არქიტექტურა მუდმივად ცვალებადი უნ-

და იყოს დროსა და სივრცეში..... ეს კი ხელს შეუწყობს არსებული არქიტექტურული ანტურაჟის ახლებურად წარმოჩენას“.

მიუხედავად კონცეფციების მრავალფეროვნებისა, საინტერესო გადაწყვეტებისა იგნორირებული და დავიწყებული იყო კონკურსის მიზნები და მიგნებები. 2006 წლიდან არაერთ უცხოელ არქიტექტორს დაუკვეთეს რიყის ტერიტორიის განვითარების პროექტი: იაპონელ არქიტექტორ ტაკამაცუს, დანიელ არქიტექტორ ჰენინგ ლარსენს, გერმანელ არქიტექტორს იურგენ მეიერს.

დღეს, რიყის ტერიტორიაზე გაშენდა ისეთი არქიტექტურული სახის ნაგებობები (საკონცერტო დარბაზი, საბაგრო გზის სადგური, სასტუმრო, მშვიდობის ხიდი) რომლებიც ვერ ქმნიან ერთიან ანსამბლს, კომპოზიციურადაც არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ვერ გაამდიდრეს არსებული ისტორიული გარემო.

ამრიგად, რეალობის ანალიზი არ იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ რაიმე სივრცულ-გეგმარებით კონცეფციაზე. ავტორებმა, ისტორიულად ჩამოყალიბებული ადგილის ხასიათი ვერ ამოიცნეს, ეს კი მისცემდა საშუალებას შეექმნათ ახალი ნაგებობა არსებული განაშენიანების მორფოლოგიის კონტექსტში, რაც გაამდიდრებდა არქიტექტურული გარემოს და მშენებარე ობიექტის სახეს. არსებული ისტორიულად ფასეული გარემო ახლისთვის გახდა მხოლოდ „ლამაზი დეკორაცია“. ვერ ჩამოყალიბდა ჰარმონიული, ემოციური გარემო, რომელშიც თანაარსებობენ ძველი და ახალი ობიექტები. ემოციური არქიტექტურული გარემო კი არის შედეგი ინტუიციის, რომელიც მიიღწევა კონცეფციებით, სადაც ურთიერთკავშირშია გარემო, ადამიანი და ბუნება.

თვითოვეული ეპოქა ისტორიულ ქალაქებში ქმნიდა ახალ ანსამბლებს, რომლებიც ერთიანდებოდნენ ისტორიულ ანსამბლებთან ერთად ერთიან მხატვრულ სისტემად. დღეს ეს პროცესი გართულებულია და დაკავშირებულია ახალი ეტაპის საქალაქმშენებლო კულტურასთან, მოცულობების გადიდებულ მასშტაბთან და უახლეს ტექნოლოგიებთან. აქედან გამომდინარე ახალი

ნაგებობის ინტეგრირება ისტორიულ ქალაქში მოითხოვს დიდ ტაქტს და ოსტატობას. ისტორიული ქალაქის ჩამოყალიბებული განაშენიანების და სივრცის პრინციპების წინასწარი შესწავლის საფუძველზე, დამაჯერებელი არგუმენტებით შესაძლებელია მსგავსი ახალი მშენებლობის აუცილებლობის დასაბუთება ისტორიულ ქალაქში.

*ნინო იმნაძე, სტუ-ს პროფესორი
ერეკლე ვარდოსანიძე; მაგისტრანტი*

**თანამედროვე არქიტექტურა ქალაქის ისტორიული
ცენტრის კონტექსტში
(„რიყის“ არქიტექტურულ-სივრცული ანალიზის
მცდელობა“)**

ანოტაცია

ახალი არქიტექტურის კონტექსტუალიზმის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ისტორიული ქალაქისთვის. ახალი ფორმის შექმნა, ამავე დროს კორექტულის ქალაქის ტრადიციული სახის მიმართ განსაკუთრებით აქტუალურია ისტორიული თბილისისთვის. დგება საკითხი: რამდენად შესაძლებელია თანამედროვე სივრცესა და ძველ გარემოს შორის შეიქმნას ანსამბლი? მიუხედავად უამრავი პუბლიკაციებისა, ორაზროვანი შეფასებებისა, წინამდებარე მოხსენებაში ჩვენ მაინც გავაანალიზებთ რიყის ახლად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ სივრცეს მიმდებარ ტერიტორიებთან ერთ მთლიანობაში.

ამრიგად, რეალობის ანალიზი არ იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ რაიმე სივრცულ-გეგმარებით კონცეფციასზე. ავტორებმა, ისტორიულად ჩამოყალიბებული ადგილის ხასიათი ვერ ამოიცნეს, ეს კი მისცემდა საშუალებას შეექმნათ ახალი ნაგებობა არსებული განაშენიანების მორფოლოგიის კონტექსტში, რაც გააძლიერებდა არქიტექტურული გარემოს და მშენებარე ობიექტის სახეს. არსებული ისტორიულად ფასეული გარემო ახლისთვის გახდა მხოლოდ „ლამაზი დეკორაცია“. ვერ ჩამოყალიბდა ჰარმონიული, ემოციური გარემო, რომელშიც თანაარსებობენ ძველი და ახალი

ობიექტები. ემოციური არქიტექტურული გარემო კი არის შედეგი ინტუიციის, რომელიც მიიღწევა კონცეფციებით, სადაც ურთიერთკავშირშია გარემო, ადამიანი და ბუნება.

*Проф. Нино Инадзе
Магистрант Ерекле Вардосанидзе*

**Современная архитектура в контексте
исторического центра города
(Попытка архитектурно-
пространственного анализа территории
Ри́ке)**

РЕЗЮМЕ

Вопросы контекстуализма новой архитектуры один из существенных для исторического города. Создание новой формы, в то же время корректного по отношению исторического города особенно актуально для современного Тбилиси. Возникает вопрос возможно ли сформировать ансамбль между современным пространством и исторической средой. Несмотря на множество публикации в статьи данн анализ вновь сформированной архитектурного пространства Рике во взаимосвязи с окружающей средой. Анализ реальности не дает возможность судить об существование некой пространственно-планировочной концепции. Авторы концертного здания не смогли опознать характер исторического места, а это дало бы им возможность создать новое здание в контексте морфологии существующей застройки, что усилило бы окружающую среду и архитектурный облик здания. Существующий исторически ценная среда для нового послужило всего лишь красивой декорации. Не удалось сформировать гармоничную, эмоциональную среду, где сосуществуют новые и старые объекты.

Эмоциональная архитектурная среда это результат интуиции, которое достигается концепциями, где в единстве существуют среда, человек и природа.

Ключевые слова: Контекстуализм, пространство, структура, концепция, ансамбль.

Prof. Nino imnadze

Graduate student Erekle Vardosanidze

**Contemporary architecture in the context
of the historic center
(Rike an attempt to architectural and
spatial analisis)**

SUMMARY

One of the significant questions for historical city is the context of new architecture. Creating a new form, at the same time correct to the historic city is especially important for modern Tbilisi. The question arises is it whether possible to form an ensemble between the modern

space and historical environment. Despite the many published articles in this article we analysis of the newly formed architectural space Rike in conjunction with the environment. Analysis of the reality does not allow to talk about existing space-planning concept. Authors of the concert hall building were unable to identify character of the historical places, it would give them opportunity to create a new building in the context of the morphology existed historical place, thereby enhancing the environment and the architectural appearance of the building. Existing the historically valuable environment for new, was only the beautiful decoration. It could not create the harmoni, emotional environment where coexist the new and old buildings. An emotional architectural environment is the result of intuition, which is achieved by the concepts, where in the unity exist the environment, person and nature.

Key words: Contextualizm, space, structure, cincept, ensemble

თანამედროვე ხიდების არქიტექტურა

თინიკაშვილი ბელა, აკადემიური დოქტორი,
ჯავახიშვილი მაია, აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



საკვანძო სიტყვები: ძველი ხიდები, ინოვაციური, საფეხმავლო, ეკოლოგია, ლანდშაფტი.

ხიდი — ხელოვნური ნაგებობაა, გადაჭიმული **მდინარეზე**, ხეობაზე (ვიადუკი), **ტბაზე** ან ნებისმიერ სხვა ფიზიკურ დაბრკოლებაზე; ცოდნა – აშენო გზა წყალზე ძალიან რთულ გეოგრაფიულ პირობებში, ეძიო და იპოვნო სწორი, პროგრესული გადაწყვეტილება, იყო და არის მთავარი ამოცანა ხიდმშენებლობისა.

პრეამბულა

ჯერ კიდევ მიკენური კულტურა იცნობდა მცირე, შეისრული ქვის ხიდების მშენებლობის ხელოვნებას. ძველი რომაელები ხიდების მშენებლობის ცოდნას საინჟინრო ხელოვნების მწვერვალად თვლიდნენ. შემთხვევითი არაა, რომ უმაღლესი ქურუმის ტიტული რომში „Pontifex Maximus“ (პონტიფექს მაქსიმუსი) ითარგმნება, როგორც – ხიდების მთავარი მშენებელი.

ძვ. წ. აღ. V ს-ში რომაელებმა ტიბროსზე ააგეს ხის ხიმინჯებზე დაყრდნობილი ხიდი. მოგვიანებით (I ს. ძვ.წ.ა) აშენდა ფაბრიციუსის ხიდი რომში რომლის სიგრძე 62 მ. და ხიდი ჩესტიო (Pons Cestius) ფაბრიციუსის ხიდის ახლოს მდებარე. ამ უძველეს ხიდებს საყრდენებად ქვის თაღოვანი კონსტრუქცია ჰქონდათ. სხვა ქვეყნების უძველესი ხიდებია: ხიდი როკოცის ტბაზე გერმანიაში (Ponte Rakotts), მოსტარის ხიდი (ბოსნია), ხიდი ქალაქ რონდაში (ესპანეთი), გეფსტოუს ხიდი (აშშ) და სხვა.

ხიდმშენებლობა ქართველი ხალხის ტექნოლოგიური შემოქმედების ერთ-ერთი თვალსაჩინო დარგია. ადგილობრივი ქვისა და კირის გაჩენამ წარმოშვა მტკიცე და მდგრადი თაღოვან-კამაროვანი კონსტრუქციები ხიდის სახით, რომელთა ნაწარგები მრავლად მოიპოვება საქართველოს ყველა კუთხეში. აგრეთვე დღემდეა შემორჩენილი რამდენიმე ათეული ქვის ხიდი, რომელსაც ესთეტურ

კატეგორიას წარმოადგენდა. “ქართველებმა ჯერ კიდევ, უძველეს ხანაში მიაგნეს პრაქტიკულად თაღის იმ რაციონალურ ფორმას, რომელმაც საშუალება მისცა ეშენებინათ ისე მტკიცედ, რომ ეს ხიდები დღესაც მყარად დგანან და განცვიფრებას იწვევენ თაღოვანი მოხაზულებით”. კამარის ეს ფორმა აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე ცნობილი გახდებოდა სტატიკის კანონები და გაანგარიშების გზით მიაგნეს იმავე ფორმას, რომელსაც თანამედროვე ხიდმშენებლობაშიც იყენებენ. ამის მაგალითებია პომპეუსის ხიდი, მოგვთახიდი — ქ. **მცხეთის** შესასვლელში, “ბესლეთის” ერთმალისანი ქვის ხიდი ქალაქ სოხუმთან (XIII ს.), თხელთაღოვანი ქვის ხიდი მდინარე თემამზე (XIII ს) რკონთან, კასპის რაიონში. რკონის ქვის ხიდის შესახებ არქიტექტორი ნ.პ.სევეროვი აღნიშნავს - “აქ ადგილი არა აქვს არავითარ მოპირკეთებას, იგი შთაბეჭდილებას ახდენს თავისი კონსტრუქციული და მხატვრული თვისებებით”. აღსანიშნავია აგრეთვე ჩოლაბურის ხიდი (XI ს.), ზესტაფონთან, დანდალოს ხიდი (XI–XII ს.) მაღალმთიან აჭარაში, ვარჯანულის ხიდი (XVII ს) ასევე ცხემვანის ხიდი (XVII) აჭარაში ქობულეთთან, მახოს ხიდი ბათუმთან და ა.შ.

განსჯა

თანამედროვე ხიდები არის როგორც მრავალფუნქციური: საფეხმავლო თავისი გასართობი და საგამოფენო სივრცეებით, ინოვაციური – ეკოლოგიური ხიდი (გამოიმუშავებს ენერჯიას), ასევე მონოფუნქციური, როგორცაა სატრანსპორტო სამანქანო, მეტრო-ხიდი, რკინიგზა-ხიდი, არხი-ხიდი, საფეხმავლო ხიდი და სამიგრაციო ხიდი ცხოველებისთვის. თანამედროვე ხიდები მაღალი ტექნოლოგიებისა და მაღალმხატვრული ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენენ, რის შედეგადაც ხდებიან ტურისტების მიზიდვის ობიექტები.

ხიდი ერთგვარი პოეტური ნაგებობაა. ბევრი

მათგანი არა თუ ხელს უშლის გარემო ლანდშაფტს, არამედ ხაზს უსვამს მის ღირშესანიშნაობას. ამის თვალსაჩინო მაგალითია სანტიაგო კალატრავას ხიდები: „ალამილიოს“ ხიდი სევილიაში, „ზუ-ბიზურის“ ხიდი ბილბაოში, „ქალის ხიდი“ ბუენოს-აირესში. აქ ავტორი ბაგირებს, გარდა მზიდი ფუნქციისა, ესთეტიურ მნიშვნელობასაც ანიჭებს და მათგან საოცარ კომპოზიციებს ქმნის. ხიდების თეთრი კონსტრუქცია წყლის ლურჯ სარკვეზე შესანიშნავად აღიქმება და ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. სემიუელ ბეკეტის სახელობის ხიდი – არფა (მდ. ლიფი, დუბლინი, ირლანდია) საფეხმავლო 123 მეტრიანი მოძრავი ვანტური ხიდია, დამაგრებული 25 მეტალის ბაგირით, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ ერთ საყრდენს. კვანძების მოძრავი სისტემის მეშვეობით ხიდი ბრუნავს 90 გრადუსით და ატარებს მდინარეზე გემებს.

ხიდი – „მზის საათი“ მდინარე საკრამენტოზე (ქ. რედინგი, აშშ.) განკუთვნილია საფეხმავლო და ველოსიპედით გადაადგილებისათვის. ხიდის დახრილ საყრდენს არა მხოლოდ ესთეტიური მნიშვნელობა აქვს, არამედ ის გიგანტური 66 მეტრიანი გნომონია და აღიარებულია ყველაზე დიდ მზის საათად მსოფლიოში. მშვიდი პეიზაჟის ფონზე მშვენივრად იკითხება ხიდის სილუეტი. აქ არქიტექტურა წარმოგვიდგება ლანდშაფტური კომპოზიციის ცენტრად.

არქიტექტურული ფირმის „Cox Rayner Architects“ მიერ ქალაქ ბრიზბენში (ავსტრალია) განხორციელებულია მსოფლიოში ყველაზე დიდი საფეხმავლო ხიდი – „კურილპა“ სიგრძით 470 მ. ხიდი უზრუნველყოფილია 84 მზის პანელით, რომლებიც კვებავენ მანათობელ დიოდებს. ღამით ფერით და ფორმით მრავალფეროვანი ეფექტები იქმნება. შერჩეული განათების რეჟიმის მიხედვით მზის პანელები უზრუნველყოფენ 75-100% ნაგებობის ელექტროენერგიის ხარჯებს, მათი ყოველდღიური გამომუშავება შეადგენს 100 კვტ. დამონტაჟებული მზის პანელები დღისით საჩრდილობის ფუნქციასაც ასრულებენ.

ნიდერლანდებში (ჰოლანდია) საფეხმავლო ხიდი არქიტექტორების რო კოსტერის და ედ კილის

პროექტით განხორციელდა. ავტორების წინაშე იდგა ამოცანა – მიწაყრილით გარშემორტყმულ არხზე შეექმნათ „უხილავი“ ხიდი ტურისტებისთვის. ხიდი უჩვეულო სტრუქტურის გამო ბიბლიური წინასწარმეტყველის „მოსეს“ სახელითაა ცნობილი. ხიდი წყლის დონიდან ერთი მეტრით დაბლაა ჩასმული და შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხიდზე გამავალი ადამიანი წყალს შორის მოძრაობს. მისი გვერდითი კედლები - კაშხლის მაგვარია, რაც ადამიანების უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს ერთი ნაპირიდან მეორეზე. მოსეს ხიდი უნიკალურია თავისი ორიგინალურობით და არაჩვეულებრივი გადაწყვეტილებით, მის მშენებლობაში გამოყენებულია ხის მასალა დამუშავებული ინოვაციური ტექნოლოგიებით, რომელიც მას 50 წელი გაამდებინებს წყლის ქვეშ.

ინოვაციურ ხიდების ბრწყინვალე მაგალითია Solar Wind-მრავალფუნქციური ეკოლოგიური „ქარის ხიდი“ გენერატორებით და მზის ელემენტებით, რომელმაც უნდა დააკავშიროს იტალიის ქალაქები ბაგნარუ და სცილა (არქიტექტორები: ფრანჩესკო კოლაროსი, ჯოვანა სარაკინო და ლუისა სარაკინო). ქვეყნის ამ ნაწილში ელექტროენერგია საკმაოდ ძვირია. დიზაინერების გადაწყვეტით ხიდი გამოიმუშავებს ენერგიას 40 მლნ. კვატ წელიწადში, რაც ელექტროენერგიით უზრუნველყოფს ამ რეგიონში მდებარე 15000 საცხოვრებელ სახლს. ოცკილომეტრიანი ეკოლოგიურად სუფთა ხიდის დიზანი შთაბეჭდავია. ხიდის საყრდენი კოლონებს შორის თავისუფალი სივრცე დატვირთულია საკმაოდ მსხვილი ქარის გენერატორებით. ასევე გზის ზედაპირზე განლაგებული მზის პანელები, დაფარულია გამჭვირვალე და გამძლე ნაირსახოვანი ფენებით. გზის პარალელურად მოეწყობა პარკი მცენარეებით. პროექტი აერთიანებს თავის თავში ორიგინალურობას და ესთეტიურობას, კონსტრუქციის გონივრულ გადაწყვეტას, სტაბილურობას და სარგებლიანობას, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებს და ინოვაციებს.

12 მეტრიანი ასაკეცი ხიდი Rolling Bridge ლონდონში (2004 წ.) წარმოადგენს საფეხმავლო ხიდს, გრანდ იუნიონის არხის ყურეზე გადასასვლელს.

ეს ხიდი უნიკალურია და ერთადერთია თავის ასაკეცი კონსტრუქციის გამო, რომელიც იმართება მოაჯირებში ჩამონტაჟებულ ჰიდრავლიკური ტუმბოს საშუალებით. კონსტრუქცია შედგება ტრაპეციის ფორმის 8 სექციისგან, გამოყენებულია ხე და მეტალის მასალა. არხზე წყლის ტრანსპორტის გასატარებლად ხიდი იწევა, იკეცება და დიდ ბორბალს ემსგავსება. დიზაინი დამუშავებულია ტომას ხეტერვიკის მიერ.

ფრანგმა მხატვარმა ოლივერ გროსეტმა (Olivier Grossette) ინგლისში იაპონურ ბაღში „ტატონ პარკში“ შექმნა ტბაზე შეკიდული ხიდი, „Pont de Singe“ რაც მაიმუნის ხიდს ნიშნავს. ჰაერში სამი თეთრი, ბუმბი შევსებულია ბუნებრივი აირით (ჰელიუმი) და მსუბუქი ხიდი ლივლივებს ტბის თავზე. იდეის ავტორი თვლის, რომ ასეთი ორიგინალური გადაწყვეტა, პირველ რიგში საშუალებას მისცემს გარემოზე და ლანდშაფტზე მიყენებული ზიანის აცილებას მშენებლობის დროს, და მეორე, ჰელიუმი - ბუნებრივი აირია, ასე რომ, ხიდი ეკოლოგიურად სუფთაა. ხიდი აღძრავს წარმოსახვას მაყურებელზე. საყრდენების შეცვლა საჰაერო ბუმბებით უარყოფს მიზიდულობის კანონს და საშუალებას იძლევა პროექტის პრაქტიკულ შესაძლებლობაზე. Pont de Singe - უფრო ხელოვნებაა, ვიდრე ინფრასტრუქტურა.

ცხოველების მიერ სატრანსპორტო მაგისტრალის გადაკვეთის დროს მათი სიცოცხლის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი გახდა სპეციალური სამიგრაციო ხიდების შექმნა. ასეთი ხიდები ბევრ ევროპულ და აშშ ქვეყნებშია. ცნობილია ხიდი ბანფის ნაციონალურ პარკში (კანადა), ნაციონალური პარკი ჰოლანდიაში, „წითელი კიბორჩხალას“ სამიგრაციო ხიდი ავსტრალიაში, და ა. შ.

საქართველოში უკანასკნელი პერიოდის გამორჩეულ ხიდს წარმოადგენს „მშვიდობის ხიდი“ (ავტ. მიკელე დე ლუკი, ფილიპ მარტინო). (2010 წ.) საფეხმავლო ხიდი მდინარე მტკვარზე, თბილისში, მეტეხისა და ბარათაშვილის ხიდებს შორის. ხიდის კონსტრუქციას წარმოადგენს ლითონის (ფოლადის) ბადურა კარკასი, ხოლო შემავსებელს - მინის პანელები, რომლებიც ერთობლიობაში 150

კვ.მ ფართობის მქონე ჩარდახის სახით ეხურება საფეხმავლო ბილიკს. საერთო სიგრძეა 156 მ. ღამით ხიდი განათებულია სპეციალური ცვალებადი განათებით.

დასკვნა

1. ხიდი, როგორც საინჟინრო ნაგებობა გარემოს ხელშეუვალი ნაწილია, ამიტომ განიხილება მასთან კონტექსტში. ქალაქის ტერიტორიები ხიდებთან მიახლოებული სასიცოცხლო მნიშვნელობის ზონებით ითხოვს სრულიად თავისებურ მიდგომას არქიტექტურული გარემოს ჩამოყალიბებაში.

2. შესაბამის სიტუაციაში გარემოს სივრცულ - არქიტექტორულ ანალიზის შედეგად აუცილებელია ხიდის შექმნა, როგორც დამაკავშირებელი სიტეტემა - სტუქტურისა.

3. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შედეგად ხიდის მხატვრული სახე წარმოადგენს ესთეტიკურ კატეგორიას და არ საჭიროებს დეკორის დონეზე დეტალიზაციას.

4. თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიური ინოვაციებმა არ უნდა დაარღვიოს ბუნებრივი გარემოს პრიორიტეტი და ხიდი, როგორც ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა უნდა იყოს არსებული ლანდშაფტის ჰარმონიული გაგრძელება.

ლიტერატურა:

1. Т. Квирквелия «Архитектура Тбилиси» «საბჭოთა საქართველო» Тбилиси. 1982 г.
2. ბერიძე „თბილისის ხუროთმოძღვრება“ ტ. II. „საბჭოთა საქართველო“ 1963წ.
3. ნ. კვეზერელი -კოპაძე. „საქართველოს ხიდები“ „საბჭოთა საქართველო“ 1972წ.
4. ბ.მ. ნადეჟინი. საქართველოს და სომხეთის - ძველი ხიდები. ჟურნალი «Строительство дорог» მოსკოვი. 1949 წ. №4

ბელა თინიკაშვილი, აკადემიური დოქტორი
მაია ჯავახიშვილი, აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თანამედროვე ხიდების არქიტექტურა

რეზიუმე

სტატიის მიზანია არსებული ხიდების სისტემატიზაცია და კვლევა. გამოვლინდა რომ ხიდი, როგორც საინჟინრონაგებობა გარემოს ხელშეუვალი ნაწილია, ამიტომ განიხილება მასთან კონტექსტში. ქალაქის ტერიტორიები ხიდებთან მიახლოებული სასიცოცხლო მნიშვნელობის ზონებით ითხოვს სრულიად თავისებურ მიდგომას არქიტექტურული გარემოს ჩამოყალიბებაში. შესაბამის სიტუაციაში გარემოს სივრცულ - არქიტექტორულ ანალიზის შედეგად აუცილებელია ხიდის შექმნა, როგორც დამაკავშირებელი სიტეტემა - სტრუქტურისა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შედეგად ხიდის მხატვრული სახე წარმოადგენს ესთეტიკურ კატეგორიას და არ საჭიროებს დეკორის დონეზე დეტალიზაციას. თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიური ინოვაციებმა არ უნდა დაარღვიოს ბუნებრივი გარემოს პრიორიტეტი და ხიდი, როგორც ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა უნდა იყოს არსებული ლანდშაფტის ჰარმონიული გაგრძელება.

PhD Doctor Bela Tinikashvili
PhD Doctor Maya Djavakhishvili

Modern bridges Architecture

SUMMARY

The aim of the article is to systematize and research of existing bridges. It has been discovered, that a bridge, as an engineering construction is an internal part of the environment and that is why it is discussed in its context. City territories with vital areas closed to bridges require absolutely specific approach in forming architectural environment. In corresponding cases the bridges are necessary to

be set up as a result of architectural analysis being interconnected system structure. Based on the above said artistic structure of a bridge represents esthetic category and does not require retaliation at the decorative level. Modern innovations engineering technology should not interfere with natural environment priorities and a bridge as a city planning structure must be in harmony with existing landscape.

key words: old bridges, innovative, footways, ecology and landscapes.

Академический доктор Белла Тиникашвили
Академический доктор Майя Джавахишвили
ГТУ.

Архитектура современных мостов

РЕЗЮМЕ

Цель статьи систематизация и исследование существующих мостов. Выявлено, что мост как инженерное сооружение является неотъемлемой частью окружающей среды и рассматривается в контексте с ним. Городские территории с приближенными к мостам жизненно важными зонами требуют иного подхода к формированию архитектурной среды. В соответствующей ситуации при анализе архитектурно-пространственной среды важно создание мостов, как соединительной система-структуры. Исходя из выше сказанного, художественный образ мостов представляет эстетическую категорию и не требует детализации на уровне декора. Современные инженерно - технологические инновации не должны нарушать приоритета естественной среды и моста, и как градостроительная структура должна быть гармоничным продолжением существующего ландшафта.

Ключевые слова: старинные мосты, инновационные, пешеходные, экология, ландшафт.

ავტორთა საყურადღებოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალი „განათლება“ რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალია. რეფერირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ რეფერატულ ჟურნალში.

სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს (დადგენილება N3, 30.04.3008) და სტუ-ს აკადემიური საბჭოს (დადგენილება N5 „სადისერტაციო საბჭოს შესახებ“) მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომლის თანახმადაც, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მიეწოდება საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექნიკურს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე;
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (მინიმუმ 150 სიტყვა) სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური) სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სრული სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური;
- ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word-ში;
- ქართული ნაშრომი იწყობა sylfaen, AcadNusx შრიფტით;
- რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;
- შრიფტის ზომა უნდა იყოს 12, ინერვალი - 1,5; ველების ზომა მარჯვენა მხარეს 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ;
- ნაშრომის მოცულობა ხუთ და ზოგ შემთხვევაში მეტ ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს წარმოადგენს;
- ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის). სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა;
- ნაშრომი უნდა მოგვაწოდოს CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთი ეგზემპლარად A4 ზომის ქაღალდზე;
- ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია თავად ავტორი.